

1967

114



ბეჭდვის

31

1967



გნეოთობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე

№ 1

იანვარი, 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლები კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გურამ ვეგეშიძე — ცოდვილი, რომანი, ნაწილი პირველი	3
ოთარ ჭილაძე — ლექსები	56
რეზო ჭეიშვილი — წლევიანდელი ზაფხული წყალტუბოში (ერთი თვის ქრონიკა)	60
ნაიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	82
გიორგი კაჭახიძე — კინოკრებებს მიღებენ სახლიაკები, ლექსი	84
ვახტანგ ჭავჭავაძე — ლექსები	85
ელგუჯა შადრაძე — ცხოვრება გრიგოლ თრბელიანისა, მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი	87
ალექსანდრე კალანდიაძე — რასობრივ სამსჯავროში, დოკუმენტური რომანი	111

დიადი 50 წელი

მ. ჭიჭეიშვილი — ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ზელისფლებსათვის საქართველოში	145
ანზორ კახანაძე — რევოლუციური გამოსვლების ეპიზოდები	151

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დავით თევზაძე — წიგნები კერძოების ეპიკური ნაწარმოებები	160
მიხეილ სააკაშვილი — ივანე თარხნიშვილი და ქართული საზოგადოებრიობა	164

ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვციელია — ათასი ფული ბრალდება, პირველი წიგნის მეორე ნაწილი	170
--	-----

წიგნების მიმოხილვა

შალვა რადიანი — დრო და პოეტი	183
გიორგი ნადიბაიძე — ადგილებლობისა და შემთხვევითობის მარქსისტული გაგებისათვის	191

95401

10476





მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარ-
დაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მალრა-
ძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთა-
თელი, ე. უიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შან-
შიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ჭიბლაძე.

20301

ტექნიკური რ. ჩავეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი რედაქტორის — 8-55-11,
პ/მგ. მდივის — 8-55-13, გაზეთიდან-
ბის — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/1-67 წ. ქა-
ღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა
7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
პირბით ფორმათა რაოდენობა 16.

უე 01922. ტირაჟი 8000. შეკე. № 4262.

საქ. კვ. ც. გამომცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ბ ბ ბ ბ ბ ბ

ბ ბ ბ ბ

„ღმერთმა ვიშველოს, სიკვდილო
სიკვდილზე შევწოვს შენითა“.

355

ნაწილი პირველი

1

ალისა და მასონი ველოსიპედზე ისხდნენ და გზაზე მიდიოდნენ. გზის ორივე მხარეს ბროწეულის ბუჩქებით შემორავული ეზოები იყო. ეზოებიდან თავიანთ საქმეებზე მიმავალი მოსახლეები გამოდიოდნენ. ალისა ყველა ნაცნობს ღიმილით ესალმებოდა, მასონი კი ჩუმად იჯდა. ის ალისას ზურგს მკერდით ეხებოდა და ველოსიპედი მიჰყავდა. ალისა ექთანად მუშაობდა და ახლა მორიგი გამოძახებიდან ბრუნდებოდა საავადმყოფოში. ჭიშკართან გაჩერებული ქალები ზოგჯერ უღიმოდნენ ალისას, ერთმა ჩასუქებულმა დედაკაცმა კი დაუძახა:

— როგორაა, ალისა, კობრეიძე?

ველოსიპედი წელა მიდიოდა და ალისამ უპასუხა:

— მოუხდა ნემსი! მაგას ორ დღეში წამოვაცენებ ფეხზე!

— შენ გაიხარე, ალისა, რა გემრიელი ხელი გაქვს!

შემდეგ ველოსიპედმა ჩაიარა, უკან მობრუნებულმა ქალმა კი, სტუმრად ჩამოსულ თავის ნათესავ გამხდარ ქალს. რომელიც აქვე იდგა უთბრა:

— ჩვენი ექთანია, პირდაპირ ოქროს ხელი აქვს...

— ის ბიჭი კმარია? — ცნობისმოყვარედ იკითხა გამხდარმა ქალმა.

— არა, ქალო, საყვარელია...

— უიშე, ქალო, რას მელაპარაკები, არა რცხვენია? რა ახალგაზრდაა, რა ლამაზი ქალია!...

ჩასუქებულ დედაკაცს ძალიან კეთილი გული ჰქონდა.

— ყოველმხრივ კარგი ადამიანია, მაგრამ... — თქვა მან.

— იმ ბიჭს დავაყარე მიწა, იმას მაინც რატომ არ რცხვენია?!

— მაგი აქაური არაა... ისე არ არის ურიგო ბიჭი, მაგრამ...

ველოსიპედი კი უკვე შორს იყო, მიდიოდა თავის გზაზე, სანამ დედაკაცები ერთმანეთში ჭორაობდნენ. მასონი კი, მართლაც, არ იყო ურიგო ბიჭი. მას ყოველთვის ველოსიპედით დაჰყავდა ალისა გამოძახებებზე და სანამ ალისა ავადმყოფს ნემსს უკეთებდა, მასონი ქუჩაში იცდიდა, თავის ველოსიპედიანად. საერთოდ, მასონი კარგი ბიჭი იყო. უყვარდა სმა, უყვარდა ქალები, უყვარდა თეატრზე საუბარი. ადგილობრივ კულტურის სახლში დრამურის ხელმძღვანელად მუშაობდა. მას უყვარდა თეატრზე საუბარი განსაკუთრებული სე-

რიოზულობით და მოწიწებით და სრულებით ანგარიშს არ უწყევდა იმ გარემოებას, რომ მსმენელთა უმრავლესობას აღარ აინტერესებდა თეატრი. სიტყვა „თეატრი“ მისთვის ისეთივე წმინდა და ისეთივე დიდმნიშვნელოვანი ცნება იყო, როგორც სიტყვა „სამშობლო“.

იასონი ცხოვრობდა თავისი თეატრალური ცხოვრებით, კულტურის სახლის სცენაზე ზოგჯერ რალაც პიესებსაც ღვამდა და არავის ხელს არ უშლიდა. უკვე ერთი წელი იყო, რაც ამ ქალაქში ცხოვრობდა და მასაც ხელს არავინ უშლიდა. ახლა ველოსიპედზე იჯდა და ალისა მორიგი გამოძახებიდან საავადმყოფოში მიჰყავდა. იასონს სიამოვნებდა ალისას ტარება ველოსიპედით. ის მკერდით ეხებოდა ალისას ზურგს. ალისას სიამოვნებდა მისი შეხება. ალისას სიამოვნებდა, რომ იასონს დაჰყავდა ავადმყოფებთან და ამას ყველა ხედავდა. ალისას მოსწონდა მისი ხუჭუჭი თმა, მოსწონდა მისი მალაქტანი. ავადმყოფებთან ალისას ყოველთვის მხნედ და მხიარულად ექირა თავი, რადგან იცოდა, გარეთ იასონი უცდიდა. ზოგჯერ ამისათვისაც ძალიან უყვარდა იასონი. აქაური უწეში, ტლანქი ბიჭებისაგან განსხვავებით, იასონი ძალზე გულისხმიერი იყო. გარდა ამისა, ალისას იმიტომაც შეუყვარდა იასონი, რომ ერთი წლის უკან, როცა მათ ერთმანეთი გაიცნეს, არავინ არ უყვარდა, რადგან მილიციის ლეიტენანტი ბეხო ბათუმში გადაიყვანეს სამუშაოდ და ბოლო დროს თითქმის აღარ იწერებოდა წერილებს, ალისას კი ყოველთვის უნდოდა მამაკაცი ჰყოლოდა გვერდით, უნდოდა დაყრდნობოდა ვიღაცას, ძლიერს, თუმცა იასონი არ იყო მაინცდამაინც ძლიერი... მაგრამ ეს სხვა საკითხია და ალისა ამაზე არ ფიქრობდა.

ახლა გრილი დილა იდგა და ისინი ველოსიპედით ბრუნდებოდნენ ქალაქში. ველოსიპედი ნელა მიდიოდა ბროწეულის ბუჩქებით შემორაგულ ეზოებს შორის, წინ მიდიოდნენ კიდევ სხვა ველოსიპედები და ხარს აწკრილებდნენ, მიდიოდნენ ქვეითები, ურმები, ლორები, ხანდახან ჩაივლიდა მანქანა, რომელიც მტვერს აყენებდა, მერე მტვერი იფანტებოდა, ისმოდა გზაზე მიმავალი ხალხის საუბარი. ჭიშკრებთან გაჩერებულნი რატომღაც დაკინებით აცქერდებოდნენ გამვლელებს, ნაცნობები ერთმანეთს ესალმებოდნენ, ესალმებოდნენ ალისასაც, გულთბილი ღიმილით, რადგან, ასე იყო თუ ისე, ალისა მაინც უყვარდათ. ბევრს უყვარდა ის, იმათ შორისაც კი, ვისაც არ მოსწონდა მისი ცხოვრება, მისი დამოკიდებულება იასონთან. ველოსიპედი კი მიდიოდა და დილის სიგრილე თანდათან სუსტდებოდა, ნელდებოდა. უკვე საკმაოდ მალა ამოსული მზის მცხუნვარება აქრობდა გაშლილი ფოთლებისა და მიწის სუნს. ცაზე ღრუბლები გაფანტულიყო, მაგრამ მაინც ცხელი იყო შუა ზაფხულის დღე. მერე ველოსიპედმა ხილი გაიარა და სწორედ ამ დროს გვერდით, რკინიგზის ხიდზე, ხმაურით გაიარბინა მატარებელმა. ალისა უყურებდა სადგურისკენ მიმავალ მატარებელს, მგზავრებს, რომლებიც მოჩანდნენ ვაგონის ფანჯრებში, ქვემოთ კი, ხიდის ძირში. ტიტლიკანა ბიჭები ბანაობდნენ მდინარეში.

— უყურე, ბანაობენ—უთხრა იასონმა ალისას.

მაგრამ ალისას არ გაუხედია. ალისას ძალიან უყვარდა მატარებლების ყურება.

მატარებელი სწრაფად გადავიდა ხიდზე, მერე ხეებს შორის მიიშალა და სადგურზე გაჩერდა.

2

მატარებელი გაჩერდა სადგურზე. მგზავრები ჩამოვიდნენ მატარებლიდან. ვიღაც ახალგაზრდა, რომელსაც, მოუხედავად სიციხისა, შავი, ოდნავ გახუნებული პერანგი, შავი შარვალი და მალაყელიანი შავი „ბატინკები“ ეცვა, გადმოვიდა ვაგონიდან ბაქანზე და ნელა გაემართა ფარდულისაკენ, სადაც ლუდი და პაპიროსი იყიდებოდა. ის მივიდა ფარდულთან, მოსთხოვა გამყიდველს პაპიროსი და მოუკიდა. იმის ზურგს უკან ირეოდნენ მგზავრები თავიანთი კალათებითა და ტომრებით, ჩემოდნებით, ზოგნი უბარგოდ, ზოგნი ვაფაცეცებით, სწრაფად მიმავალნი; ზოგნი კი აუჩქარებლად, ალბათ, უსაქმოდ დაეხეტებოდნენ. ის კი იდგა ფარდულთან და არავე მას არ იცნობდა, არავე ამჩნევდა და ყურადღებას არ აქცევდა. უკვე ცხელოდა და მან ცივი ლუდი მოითხოვა. ლუდი ბოთლებით იყო. გამყიდველმა გაუხსნა ერთი ბოთლი და წინ დაუდგა, მან აიღო ბოთლი და ნელა მიიყუდა პირზე და ამ დროს გაისმა ზარის ხმაც, მერე სასტვენის და მატარებელი ნელა დაიძრა, ის კი აუჩქარებლად, მაგრამ სიამოვნებით სვამდა ლუდს და იმის ზურგს უკან გრძელდებოდა ჩვეულებრივი აურზაური, როგორც ყოველთვის არის ხოლმე პატარა სადგურზე საგარეუბნო მატარებლის გასვლისას, და, როცა მან ლუდის სმა მოათავა, უკანასკნელმა ვაგონმაც ჩაიარა. მან დადგა ბოთლი და ფული გადაიხადა.

შემდეგ მობრუნდა და უკანასკნელი ვაგონი დაინახა, რომელიც არც ისე შორს იყო და ის რალაცნაირად, ზარმაცად გამოიქცა მატარებელს, მატარებელმა თანდათან სვლას უშატა და ახლა საჭირო იყო ცოტა უფრო სწრაფად გაქცევა, რაც სულ არ არის ძნელი ჯანმრთელი ახალგაზრდა კაცისათვის, მაგრამ სწორედ ამ დროს მან სირბილი შეწყვიტა და ხელი ჩაიჭნია, მატარებელი კი წავიდა და ჩამოცარიელებულ

რელსებს იქით გამოჩნდა ოდნავ შეყვითლებული სიმინდის ყანა, უფრო შორს, თვალუწვდენელი მინდვრების ბოლოს, ნისლში გახვეული ლილისფერი მთები მოჩანდა. ახალგაზრდა უკან გამობრუნდა, ბაქანზე, და ვიღაც რკინიგზელმა, რომელმაც პირველმა შეამჩნია მისი დარჩენა, თანაგრძნობის ღიმილით ჰკითხა:

- ჩამორჩი?
- ერთი მაგის... — უპასუხა შავტანსაცმლიანი ახალგაზრდამ და ფარდულს მოსცილდა.
- რკინიგზელმა მზერა გააყოლა, მერე ბაქანზე გაიარ-გამოიარა და ფარდულთან შეჩერდა.
- ნახე, კაცო, როგორ ჩამორჩა? — უთხრა გამყიდველს.
- აბა?!
- ცოტაც რომ გაქცეულიყო, დაეწყოდა.
- რას გაიგებ? ათასი ჯურის ხალხია ამ ქვეყანაზე...
- რკინიგზელმა ქუდი მოიხადა და ოფლი მოიწმინდა.
- გამიხსენი, თუ ძმა ხარ, ლუდი.
- რკინიგზელმა ლუდი დალია და ისევ იკითხა:
- ნეტავი ვინაა, ა, ხომ არ იცი?
- რა ვიცი, კაცო, რამდენი მგზავრი აივლის და ჩამოივლის ამ სადგურზე, ყველა საიდან უნდა ვიცოდე? — თქვა გამყიდველმა.
- ჰო, აბა საიდან უნდა იცოდე, — დაეთანხმა რკინიგზელი.

3

მთელი დღე დადიოდა ქალაქში შავტანსაცმლიანი უცხო ახალგაზრდა. ყველა ამჩნევდა, რომ უცხო იყო. ის შედიოდა მალაზიებში, დიდხანს იდგა და ათვალეირებდა გამოფენილ საქონელს. შემდეგ გამოდიოდა ქუჩაში და ნელა, ზარმაცად მიაბიჯებდა ჩრდილიან ტროტუარზე, მიაბიჯებდა ჯიბეებში ხელემაჩწყობილი, რალაცნაირი ზღაზღინით,

უხალისოდ, მაგრამ მაინც განსაკუთრებულიად, არა ისე, როგორც აქაურები დადიან. მერე ჩერდებოდა რომელიმე ხესთან და იდგა დიდხანს, ზედმეტად დიდხანს და ათვალეირებდა გამვლელ-გამომვლელებს. მის მხერაში იყო რაღაც განსაკუთრებული, რაღაც არააქაური, თითქოს ვერც ამჩნევდა გამვლელ-გამომვლელებს, რომლებსაც ასე დიდხანს შესცქეროდა, თითქოს არც აინტერესებდა ისინი. გამვლელებიც აკვირდებოდნენ მას და ატყობდნენ, რომ უცხოა, მაგრამ იმწამსვე ავიწყდებოდათ, რადგან ყველას თავისი საქმე აწუხებდა და სულაც არ იყო გასაკვირი და საყურადღებო, რომ ვინმე უცხო ჩამოსულიყო ამ ქალაქში. ის კი იდგა მარტო და უყურებდა გამვლელ-გამომვლელებს.

შუადღისას, როცა მუშაობა დამთავრდა, ალისამაც დაინახა ეს ბიჭი. ალისა აფთიაქიდან გამოდიოდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ ჯემალთან ერთად, რომელიც ამ ათიოდე დღის წინ პრაქტიკაზე ჩამოსულიყო აქაურ საავადმყოფოში. ჯემალი ძალიან სასიამოვნო ბიჭი იყო. ახლა, როცა ისინი აფთიაქიდან გამოვიდნენ, ალისამ დაინახა ხეს მიყრდნობილი შავტანსაცმლიანი ახალგაზრდა და გაიფიქრა „ესეც ჩამოსულია“, მერე კი ჯემალს უთხრა:

— ვერა; ვერ წამოვალ.

— რა მოხდა, კინოში წასვლა რა დიდი ამბავია, — ეუბნებოდა ჯემალი ალისას.

— არა, დღეს არ შემიძლია, სხვა დროს ვნახოთ, — კისკისებდა ალისა და მერე ქუჩა სირბილით გადატრა.

შავტანსაცმლიანმა პაპიროსი გააბოლა, ნელა წამოვიდა ტროტუარზე და გვერდით ჩაუარა ჯემალს. მან ერთი წამითა თვალი მოკრა ალისას, რომელიც შუა ქუჩაში გარბოდა და გზა განაგრძო.

სალამოს ის მარტო იდგა ავტობუსის გაჩერებასთან. მოშორებით, სადგურისკენ მიმავალ ქუჩაში, უსაქმოდ თავშეყრილ მოფრებს მერა დაეჭირათ და აწვალდნენ, შავტანსაცმლიანი ახალგაზრდა ძალაუნებურად იხედებოდა იქით.

მერა შაბათობით არ გამოდიოდა ქალაქში, ეს იყო პირველი შემთხვევა და იმ დღეს ბიჭები ძალიან გასაოცრებლები იყვნენ, რომ ასეთი მოულოდნელი გასართობი მიეცათ. მთელი ქალაქი იცნობდა მერას, რადგან სულელი იყო. ის ყოველთვის ბაზარში ტრიალებდა და სოფლიდან საავტოროდ ჩამოსულ გლეხებს საჯარო ტომრების დახლამდე გადატანაში ეხმარებოდა, ენერგიული ფხაკიფხუკით დარბოდა და ეჭიდებოდა ხოლმე ტომრებს. მძიმე ტომრებს მერა ვერა სძრავდა, რადგან ძალზე პატარა ტანისა იყო, თანაც სუსტი, ხოლო როცა თავისი ძალის შესაფერ ტომარას მოიგდებდა ზურგზე, მოჩანდა როგორ უკანკალებდა გამბდარი, წვრილი ფეხები მუხლებამდე აკაბიწებულ შარვლის ქვემოთ. ტომრის ქვეშ მოკაცული მერა გადაბმულად ქშინავდა ხოლმე და რაღაცას გაუგებრად ბურდუნებდა. ძუნწი გლეხები ყოველთვის მცირე გასამრჯელოს აძლევდნენ მოხმარებაში და ის ყოველთვის ჭიჭუნებდა, დაუსრულებლად ბლუქუნებდა, მაგრამ საქმეში გართული გლეხები ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქმის სრულებით არ ამჩნევდნენ, ზოგჯერ კი საერთოდ არაფერს არ აძლევდნენ, ვინებით ან პანდურით იცილებდნენ თავიდან. მაშინ სასტიკად დაჩაგრული და განაწყენებული მერა გულამოსკვნილი ტიროდა შუა ბაზარში, მაგრამ გლეხებს ის სრულებითაც არ ეცოდებოდათ. თავის პროტესტს მერა ტირილით გამოხატავდა. იდგა ხოლმე წელში მოხრილი, ხელეჩამოყრილი და ცრემლები დაბალბობით ჩამოსდიოდა სახეზე. ჭაღარა წვერი სრულებით დაღამული ჰქონდა. მერა სამოცი წლისა იქნებოდა.

სალამობით, როცა ბაზარი ხალხისაგან იცლებოდა, მერა მკვირცხლად გარბოდა სადგურისაკენ. მწვანე მინდორს, ბაზრის წინ, სადაც ყოველთვის უღლიდან გამოხსნილი ხარები და კამეჩები იცოხნებოდნენ, მერა აულელვებლად გადასჭრიდა ხოლმე. აქ არ იყო საშიში, აქ მერასთვის არ ეცალათ. მე-

რე კი, ქუჩებში გამოსვლისთანავე იწყებოდა ფათურაკებითა და ზიფათით აღსავსე ცხოვრება. მეირა დიდ სიფრთხილესა და მოხერხებულობას იჩენდა, რომ როგორმე მიეღწია სადგურამდე მატარებლის მოსვლის დროისათვის. მაგრამ გამვლელები მაინც ხშირად იჭერდნენ და აღარ უშვებდნენ ზოლმე.

— სად გარბიხარ, შე მამაძაღლო, გივიგეთ ქალი მოგიტაცია... — შრისხანელ ყვიროდნენ გამვლელები.

— ღმელთმანი, მე ალ მომიტაცია, მე ალ მომიტაცია — თავს იმართლებდა მეირა.

— ციხეში ჩაალბეთ ეს ბანდიტი, ციხეში! წამოდი ციხეში! — ყვიროდნენ გამვლელები და მიჰყავდათ მეირა ცოტეში.

მეირას ეგონა, რომ მართლა ციხეში მიჰყავდათ და გამწარებით ბლაოდა. მან არ იცოდა, რა არის ციხე, მაგრამ მაინც უშინოდა ციხის. დანარჩენები ხარხარებდნენ.

ამ დროს ზოგჯერ გამოივლიდა ვინმე ღვთისნიერი, ხანშიშესული მამაკაცი ან მანდილოსანი და იტყოდა:

— რას აწვალებთ, ბიჭო ამ სულელს, არა გრცხვენიათ, თქვე ვირებო? თფუი, თქვენ კაცობას!..

და მეირას ხელს უშვებდნენ. მეირა სწრაფად ჩუმდებოდა და გარბოდა სადგურისაკენ.

უფრო ხშირად ბავშვები და ახალგაზრდები აწვალებდნენ, ამიტომ ბავშვებისა და ახალგაზრდების მეირას უშინოდა. მოხუცების შიში არა ჰქონდა.

მეირას ძაღლებისაც უშინოდა. პატარა, გულუბრყვილო ფინიას რომ გზა გადაეჭრა მეირასთვის, მეირა გაჩერდებოდა, ფრთხილად გაიხედ-გამოიხედავდა აქეთ-იქით, მერე ჩუმად გაიპარებოდა, სხვა ქუჩაზე გადაუხვევდა და ისევ სირბილით აგრძელებდა გზას. ბოლო დროს მეირა პირდაპირ ლიანდაგთან ჩარბოდა და ბილიკს მიყვებოდა სადგურისაკენ, რკინიგზისა და სიმინდის ყანებს შორის. ეს გზა უფრო შორი იყო. მაგრამ უფრო საიმედო. სამაგიეროდ მა-

ტარებლების გრუხუნი უხეთქავდა, მეირას გულს. გაქანებულნი მატარებლის დანახვაზე მეირა გარბოდა წამსიმიანდის ყანებში იმალებოდა. პირდაპირ მიწაზე წვებოდა, ბელტებს შორის, თავჩამსობილი. შემდეგ, როცა მატარებელი ჩაიგრუხუნებდა, თავისი საფარიდან გამოდიოდა და გზას აგრძელებდა. გაჩერებული მატარებლის მეირას არ ეშინოდა. მეირა დარბოდა ბაქანზე, ფეხებში ედებოდა მგზავრებს და ცოცხლად იძახდა: „აბა, კაი მუშა, აბა, კაი მუშა“. ზოგიერთებს ეციხებოდათ, რაც სულ არ იყო საკვირველი, რადგან ამ დროს პატარა და მოხუცი „კაი მუშა“, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება, ყოჩაღად მოეჩვენებინა თავი, მართლაც, სასაცილო იყო. ზოგიერთები კი აძლევენ ბობჩას ან ჩემოდანს და ისიც ყოჩაღად მიათრევდა თავის ტვირთს ეგონამდე და რიზიანად ყვიროდა:

— აბა გზა! ხაბალდა! გაიწიე იქეთ თუ ალა მოგამტვლიე მაგ ფეხები...

ზოგჯერ ვინმე შეუტევდა ზოლმე მეირას: — უყურე ამ გლაბაქს?! — და მეირა გარბოდა ტვირთის პატრონთან და ყვიროდა:

— მიშველეთ!
მაგრამ, როცა თავს სამშვიდობოზე იგრძნობოდა, შორიდან იმუქრებოდა:
— სენ წყვიანათ იყავი მაქანა, თუ ალა... თუ მოვედი... — და მუშტებს იქნევდა.

მეირამ გამოცდილებით იცოდა, რომ მატარებლის გასვლამდე ხელს არავინ ატლებდა. ამ დროს მისთვის არ ეცალათ.

მერე მატარებელი ნელა დაიძვრებოდა ზოლმე, მეირას კი საშინლად უშინოდა და ძაძული მატარებლის და უსაქმოდ დარჩენილი ხალხის. მატარებლის წასვლისთანავე მთელი თავისი რიზიანი შემართება ეკარგებოდა, შეუმჩნეველად მიიპარებოდა სადგურიდან და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა შინისაკენ. მხოლოდ შინ გრძნობდა თავს უშიშრად და მეირა გარბოდა. უკანიდან კი ჯერ კიდევ ისმოდა მატარებლის ბორბლების

საშინელი გრუხუნნი, ელშავლის შემზარავი ყვირილი, მაგრამ მეირა არ იყურებოდა უკან, იმ ვაგონებისაკენ, რომლებშიც ის არასოდეს არ მჯდარა, რომლებიც ყოველთვის საშინელი სისწრაფით გვერდით ჩაუბრუნდნენ ხოლმე მეირას ბილიკს — რომლითაც სადგურიდან შინ ბრუნდებოდა — და მიდიოდნენ შორს, იკარგებოდნენ სადღაც, მერე ისევ გამოჩნდებოდნენ სულ სხვა მხრიდან, არა იქიდან საითაც წავიდნენ, არამედ იქიდან საიდანაც მოვიდნენ, და მეირას ვერაფერი ვერ გაეგო, ის არც ცდილობდა გაეგო, მაგრამ მაინც საშინლად ეშინოდა მათი სისწრაფის და უკანმოუხედავად გარბოდა თავისი სახლისაკენ, სადგურიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე, ურიათუბანში. მხოლოდ შინ გრძნობდა მეირა თავს უშიშრად, აქ ოთხი სიფრთხილით კედლით გარემოცულს, აღარ ეშინოდა სიბნელის, აღარც მატარებლების საშინელი სისწრაფის, აღარც გაშლილი სივრცის. შინ დაცული იყო შეუცნობელობით საესე და საშიში სამყაროსაგან. ამიტომ, როგორც კი ჩამოვინდებოდა, მთელი არსებით მიისწრაფოდა შინისაკენ. მეირა ურიათუბანში ცხოვრობდა, სადგურიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე, და ყოველ დილითა და საღამოს, გარდა შაბათისა, სირბილით ფარავდა ამ მანძილს.

ახლა შაბათი საღამო იყო. მეირა წრეში მოქეციათ ლაზღანდარობის ხასიათზე მოსულ ბიჭებს და არ უშვებდნენ, შეატანსაცმლიანი ახალგაზრდა კი ავტობუსის გაჩერებასთან იდგა და უყურებდა მათ.

— მეირა, რატომ გამოსულხარ ამ შაბათ საღამოს ქალაქში, ა? — ჰკითხა ვიღაცამ მეირას.

მეირა დამფრთხალი აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით.

— ალ ვიცო, ღმერთმანი...

— ქალებს დასდევს, ალბათ... — თქვა ერთმა.

— ბიჭოს, ეს ჩემი ქუდი ვინ მოგცა შენ?! — დაიძახა მეორემ და ქუდი გადაადრო მეირას.

მეირას მელოტი თავი გამოუჩნდა.

— ღმერთმანი! ცემი ქუდიც ესე... — აღსკამ მაცუქა, — აწუწუნდა მეირა და ქუდის წამართმევს გამოუდგა.

— აბრაშკა თითონ ქურდია, ორშაურიან პაპიროსს აბახად ყიდის...

— ღმერთმანი, ცემია ესე, დედას გაფიცებ, მომეცი...

— დამტყიცე, რომ შენია! — დაიღრიალა ვიღაცამ.

— ღმერთმანი, ცემია, აბლასკამ მაცუქა...

— დამტყიცე, — დაიღრიალა ისევ ვიღაცამ, — რით დამტყიცებ?

ამ ღრიალმა გული გაუხეჭა მეირას. მან უნუგეზოდ შეხედა გულცივ, ეშმაკურად გაღიმებულ სახეებს, ვერაფერი მოისაზრა და უცბად აბღავლდა.

— ცემია, ცემია... — ყვიროდა ის მიწაზე დამჯდარი.

— ეგ რა დამტყიცება, — უთხრა ქუდის წამართმევმა და ისევ ფეხზე წამოაყენა, — იცეკვე და მოგცემ.

— ა?

— იცეკვე და მოგცემ. — უთხრა ქუდის წამართმევმა.

მეირამ ბლავილი შეწყვიტა.

— იცეკვე და ქუდს დაგიბრუნებ. — გაუმეორა ქუდის წამართმევმა და ქუდი დაიანახა.

მეირა ჩაფიქრდა. თავის მტვერში დასვრილ, შიშველ ფეხებს დახედა. შემდეგ მოისაზრა რაშიც იყო საქმე.

— ტასი! — თქვა მან და თავი ასწია.

— აბა, ტაში მეირას, ჩქარი ტაში! — დაიძახეს გამხიარულებულმა ბიჭებმა, რომელთა მეტი ნაწილი შოფერი იყო და ტაში დასცხეს.

მეირამ ხელები გაშალა და დაკლული ქათამივით ააფორთხიალა ფეხები მტვერში. ის ერთ ადგილზე ფხაკურობდა. ბიჭები კი სიცილით იგუდებოდნენ და ყვიროდნენ:

— ტაში, ტაში, ჩქარი ტაში მეირას!

უცბად ერთი ბიჭი მიეპარა უკანიდან და შარვალი ჩახადა. მეირას ზორცი გამოუჩნდა. აღფრთოვანებისაგან სიცილით იჭაჭებოდნენ მეირას ირგვლივ

შეგროვილი. ერთი ყველაზე ბრგე ვაყ-
კაცი წრეს გამოეყო, ქუჩის ნაპირზე
თხრილთან მივიდა წელში მოხრილი და
ხარხარებდა. მეირამ შარვალი აიწია და
აბლავლებული პირდაპირ იქით გაიქცა,
სადაც უცნობი, შავტანსაცმლიანი ახა-
ლგაზრდა იდგა, ავტობუსის გაჩერებას-
თან; უცნობმა ახალგაზრდამ ხალხს გა-
დაავლო თვალი და წინ წამოიწია. მეირა
შუა ქუჩაში გარბოდა სასაცილო, მოკ-
ლე ნაბიჯებით და, ეტყობა, სულაც
აღარ ახსოვდა ქუდი.

— არ გაუშვათ ეგ კომიკი, ე, ბი-
ჭო, დაიჭირეთ! — დაიძახა იმან, რომელ-
ღაც წრეს გამოეყო და თხრილის ნა-
პირზე იდგა.

ყველაზე ახალგაზრდა ბიჭები, თითქ-
მის სულ ბავშვები, ყვირილით გამოუდ-
გნენ მეირას.

— გაჩერდით! — დაიძახა უცებ უც-
ნობმა ახალგაზრდამ და შუა-ქუჩაში გა-
კუბა.

გაოცებული ბიჭები შედგნენ, ის კი
იდგა მათ წინ, შავი ტანსაცმელი ეცვა,
მოკლე, ქერა თმა შუბლზე ჩამოყაროდა
და აღზნებული თვალებით იყურე-
ბოდა.

— მოუსვით აქედან!

უცებ ერთმა, სწორედ იმან, რომელ-
მაც შარვალი ჩახადა მეირას, გამოდგო-
მა დააბირა. უცნობმა წიხლი მოუქნია.
მთელი ძალით მოარტყა და თხრილში
გადაავლო.

გაოცებული ბიჭები იდგნენ, შერე
უკან დაიხიეს, მეირა აღარსად ჩანდა.
ის, ვინც თხრილთან იდგა და მეირას
დაქერის განკარგულება გასცა, დაბლვე-
რილი წამოვიდა. იგრძნობოდა, რომ ეს
იყო მთავარი მთელ ამ გართობაში. და-
ნარჩენები, რაღაცის მოლოდინში, ჩუ-
მად მიყვებოდნენ თავიანთ მეთაურს,
გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი და-
ძაბულობით. უცნობი გრძნობდა მათ
დაძაბულობას და აგრეთვე იმას, რომ
ის იყო მთავარი, რომელიც მოდიოდა
მისკენ, თანდათან უახლოვდებოდა და
ბოლოს წინ დაუდგა.

— ბავშვებს ურტყამ? — ჰკითხა მან.
და ზიზლით გაეღიმა.

— დიდებსაც ვურტყამა, უპასუხა
უცნობმა და იმწამსვე სთხლიშა. მე-
თაური უკან გადაქანდა, ამ დროს უც-
ნობმა კიდევ ერთხელ სთხლიშა.

მეთაური ძირს ეგდო. უცნობმა სწრა-
ფად დააძრო ჯიბიდან სანადირო დანა-
და მთელი ხმით დაიდრიალა:

— აბა, მოუსვით აქედან, თქვენი... —
და შეიგინა.

ყველანი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.
ის კი იდგა შუა ქუჩაში, ხელში დანა,
ეჭირა და დაბნეული და გაკვირვებული
ხალხი, შეუცნობელი მოლოდინით აღ-
საესე, შორიდან უყურებდა მას.

უცებ მოსახვევიდან სატვირთო მან-
ქანა გამოვარდა, რომელსაც საქესთან
ელამი ძუკუ ეჯდა. უცნობი წინ გა-
დაუდგა მანქანას და დანიახი ხელი ას-
წია. ელამი ძუკუ მთვრალი იყო და მან-
ქანა ზედ იმის ცხვირწინ დაამუხრულა.
მაგრამ ის ბიჭი არც კი განძრეულა.
როცა მანქანა გაჩერდა, ნელა მოუარა
წინიდან, გამოალო კარები და ელამი
ძუკუს გვერდით დაჯდა.

— წავედით! — უთხრა მან ძუკუს.

— თუ ქმა ხარ, დანა დაკეცე, მეში-
ნია. — უთხრა ელამმა ძუკუმ დაცინვით
და აათვალ-ჩაათვალიერა.

მან დაკეცა დანა და მშვიდად, აუჩქა-
რებლად ჩაიდო ჯიბეში. ელამმა ძუკუმ
მანქანის ფანჯარიდან ხალხს გადახედა.

— ძუკუ! — დაუძახა ვიღაცამ და
თვალით რაღაც ანიშნა.

ძუკუმ დახედა მიწაზე დაგდებულ
კაცს, ვაზს ბოლომდე დააჭირა ფეხი და
მანქანა მთელი ხმით ააბლავლა, შერე
შებნდა იმას, ვინც აუღელვებელი სახით
ეჯდა გვერდით და აგდებულად ჰკითხა,
თითქოს მაინცადამაინც არც აინტერე-
სებდა:

— შენ დააგორე შამილა?

უცნობმა თავი დაუქნია.

— დანა დაარტყი?

— არა!

— ძალიან მიგიქარავს!

უცნობმა ვერ გაიგო რა მიუქარავს.



ის, რომ დანა არ დაარტყა, თუ ის, რომ საერთოდ დაარტყა, და ამიტომ ხმა არ ამოუღია.

მერე ძუკუმ გულმოსულად გამოსწია სინჯარის სახელური და სანამ კონუსიდან ფეხს აიღებდა, ფანჯრიდან გადააპურჭყა და ხალხს შეაგინა:

— წადით, თქვენნი..

და ადგილიდან მოწყვეტილი მანქანა პირდაპირ ტროტუარისკენ გააქანა.

დამფრთხალი ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. ძუკუმ საქე მოაბრუნა და ახლა მთელი სისწრაფით გარეკა მანქანა შუა ქუჩაში.

— მთვრალია ეს გადარეული!

— სულ მთვრალი არ არის?

— მთვრალი კი არა, გიყვია... — შეიგინა ვილაცამ.

ძირს დაგდებულ შამილას ხალხი შემოესია. თხრილში ჩავარდნილი ბიჭიც ამოათრია. შეიქნა ჩოჩქოლი, მუქარა, გინება. ამ ჩოჩქოლისა და აურზაურის დროს ალისა ტროტუარზე იდგა და ყოველივე ამას ინტერესით უყურებდა. ის ხედავდა, როგორ შეერია ხალხს სტუდენტი ჯეშალი. ის ხედავდა, როგორ წამოაყენეს შამილა, რომელსაც ფეხზე დადგომის თავი არა ჰქონდა. ალისას თან ეშინოდა და თან მოსწონდა ეს. სადღაც, შეუცნობლად უნდოდა, რომ ეს ჩხუბი მისი გულსათვის მომხდარიყო და არა მეორის გამო. მერე იასონიც მოვიდა და იკითხა, რა მოხდაო.

— შამილას სცემეს. — უთხრა ალისამ.

— ვინა სცემა? — გაუკვირდა იასონს.

— არ ვიცი, ვილაც უცნობი ბიჭი იყო...

იასონი ველოსიპედზე იჯდა და ორივე ფეხები მიწაზე ედგა.

— მოდი, დაჯექი! — უთხრა მან ალისას.

ალისა კობტად შეხტა ველოსიპედზე. ორგვლივ კი ისევ არეულობა იყო.

— ნუ გეშინია, შამილა არავის არაფერს არ შეარჩენს, — თქვა იასონმა.

— მე რისი მეშინია, მაგას ეშინოდეს

თორემ, — გეცინა ალისას, — უყურე რა დღეშია.

— მაგას ძმაკაცები ჰყაჭყაყენენ...

თქვა იასონმა, — რომ...

ველოსიპედი ტროტუარის გასწვრივ მიდიოდა.

— ააწრიალეს ქალაქი მაგან და მაგის ძმაკაცებმა, ახია მაგაზე, — თქვა ალისამ.

ჩხუბის ადგილზე კი ისევ ჩოჩქოლი იყო.

— ვაი, მაგის დედას, უბედურს, — იძახდა შამილას ერთერთი ამხანაგი, შავგვრემანი, ღონიერი ტიპი, სახელად ბუზუტი.

— ძუკუმ ჩაისვა მანქანაში, თორემ ახლა ჩვენს ხელში იქნებოდა, — იძახდა მეორე, თმებშეთხლებული, ხმელი ახალგაზრდა, სახელად რეზო.

— სად გაიქცევა, ძუკუსაც დედას ვუტირებთ...

მანქანა კი აღარა ჩანდა. ახლა იგი ბაზრის იქით, გზაზე მირახახახებდა.

4

ტრიალ მინდორზე, მიტოვებულ ეკლესიასთან, ძუკუმ მანქანა გააჩერა, თავისი მგზავრი ჩამოსვა და მანქანა უკან გააბრუნა.

შავტანსაცმლიანი ბიჭი მარტო დარჩა. ის გზის პირას ჩამოჯდა ქვაზე. გზა სრულიად ცარიელი იყო. ორგვლივ ტრიალი მინდორი გაშლილიყო, არც ერთი მოსახლე არა ჩანდა. ზურგს უკან მიტოვებული, თეთრი ეკლესია იდგა, იმის უკან კი, ბინდში, ჯერ კიდევ მოჩანდა ლიანდაგის დაყოლებით დასობილი შავი ბომბები. უზარმაზარი, თალხი ცაკილით კიდემდე გადაკიმულიყო. ბნელდებოდა. იყო სიჩუმე და სიმარტოვე. ვილაც კაცმა მინდვრის ბოლო გადაქრა, ეკლესიის კარები ჭრიალით გააღო და შიგ შევიდა. ახალგაზრდა იჯდა. დიდხანს იჯდა თავის ფიქრებში წასული.

ამასობაში უფრო დაბნელდა და გზაზე მერია გამოჩნდა. ახალგაზრდამ

მეირა შორიდანვე დაინახა. მეირა ძუნძულით მოფრატუნებდა მტვერში, ქუდი არ ეხურა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საცოდავი იყო, შორიდან რატომღაც მაინც წაავადდა მაწანწალა ძაღლს, რომელიც ყოველთვის გზის პირას დარბის ხოლმე. ახალგაზრდა წამოდგა და გზაზე გავიდა. მოახლოებულმა მეირამ, როცა გზაზე გამოსული კაცი დაინახა, უკან დაიხია.

— მეირა! — დაუძახა ახალგაზრდამ და მისკენ გაემართა.

მეირა მინდორზე გადავიდა და უფრო სწრაფად მოუსვა.

— მეირა! — დაიძახა ისევ ახალგაზრდამ, — მოიცა!

მავრამ მეირა უკანმოუხედავად გარბოდა. ახალგაზრდა გამოედევნა და დაეწია. მეირა გვერდზე გახტა, ბუჩქებისაკენ და გზის პირას მომწყვდევული აღმოჩნდა. მეირამ თავის მართლება დაიწყო:

— დედას გაფიცებ, ვამიწვი. ღმელთმანი, მე ალ მომიტაცია ქალი, ღმელთმანი... — იმეორებდა მეირა თითქმის გახეპირებულ სიტყვებს და უკან-უკან იხევდა.

ახალგაზრდამ ხელი მოჰკიდა მეირას. მეირა შეკრთა, თავი განზე გასწია და ცალი ხელი სახეზე აიფარა, ალბათ იმიტომ, რომ მოსალოდნელი დარტყმა აეცდინა, და მთლად აკანკალდა.

— ნუ გეშინია, მეირა, დაწყნარდი. — უთხრა ახალგაზრდამ.

— ღმელთმანი, ალ მომიტაცია ქალი, დედას გაფიცებ... — სატირლად მზად იყო მეირა.

ახალგაზრდამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და ფული ამოიღო. ამ დროს მეირა გაუსხლტა და გაკეთრცხლა გზაზე. ჯიბიდან ამოღებული ფული ახალგაზრდას ხელში შერჩა. მეირა გარბოდა. ის კი იდგა გზაზე და უყურებდა. ის დიღხანს უყურებდა, როგორ გარბოდა მეირა გზაზე.

მერე გაეცინა. ფული ჯიბეში ჩაიდო და მიწას დააკეჭერდა. უცბად ზურგს უკან ხითხითი მოესმა. სწრაფად მოტ-

რიალდა და დაინახა შუახნის, გაუპარსავი, გამხდარი კაცი, რომელიც მინდვრიდან მოდიოდა მისკენ. — ჩქმჩქმჩ ტალახიანი ჰქონდა, ზოლიანი შარვალი მუხლებზე სხვადასხვა ფერის ნაჭრებით დაეკერებინა და, მიუხედავად იმისა, რომ შუა ზაფხული იდგა, დაბამბული ქურთუკი — „ტელოგრეიკა“ — ეცვა.

— გამარჯობათ, — თქვა მოსულმა და ხითხითი შეწყვიტა, — ერთობით?

ახალგაზრდამ თვალით აზომა მოსული და არ უპასუხა. მან მიწაზე დაგდებულ ქვას ფეხი გაჰკრა და მინდვრისკენ ისროლა.

— თქვენ ნუ გეწყინებთ, ყმაწვილო, — თქვა კაცმა და ჩაიხითხითა, — სულელებით ყველა ერთობა, სულელი იმიტომ არსებობს, რომ ჰკვიანები გაერთონ.

სწორედ ამ დროს გზაზე ველოსიპედით ჩამოიარეს იასონმა და ალისამ. მოუხერხებლად ჯდომისაგან, ქალს მუხლებს ზემოთ კაბა ასწოდა და ჩამოჭნილი ფეხები მოუჩანდა. ახალგაზრდა ქალის მუხლისთავეებს დააკეჭრდა. ველოსიპედმა სულ ახლოს ჩაუარა მათ, მერე გასცდა. ველოსიპედი ნელა მიდიოდა მოსახვევისაკენ, საიდანაც ტყე იწყებოდა. მარცხნივ ტყე გააფუთი იყო და ხეების ადგილზე ჩამუჭებული ცა მოჩანდა. მუქი ღრუბლები მძიმედ აწებოდნენ ზემოდან დედამიწას.

— გიყვარს ქალები? — ჰკითხა ახალგაზრდამ კაცს.

— ქალები?... — ჩაფიქრდა გამხდარი კაცი, — მე უფრო მოგზაურობა მიყვარს.

— მოგზაურობა კარვია, — თქვა ახალგაზრდამ.

ველოსიპედმა მოსახვევში შეუხვია და თვალს მიეფარა.

— ეს გზა საით მიდის? — იკითხა ახალგაზრდამ.

— ეს გზა ურიათუბანში მიდის, არ არის შორს...

— შენ აქაური ხარ?



— არა. მე შორეული სამონასტრო ქალაქიდან ვარ. ძალიან ლამაზი და მშვენიერი ქალაქია.

ახალგაზრდამ აათვალ-ჩაათვალე რა თანამესაუბრე.

— თუ ასე ლამაზი და მშვენიერი ქალაქია, აქ რაღას ჩამოდიოდი?

— აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მინდოდა ფეიხოსს ხე მენახა.

— ფეიხოსს ხე?

— დიახ, ფეიხოსს ხე... ეს ღვთაებრივი ხეა, სოხუმის ახლოს ხარობს, ეშერში, იცით ეშერი?

— ვიცი.

— მხოლოდ იქ ხარობს... დიდებული რამ არის ფეიხოსს ხე. მთელი ჩემი ცხოვრება მაგის ნახვაზე ვოცნებობდი და აი, როგორც იქნა, შედიხარ, მივალწიე მიზანს... — ლაპარაკის დროს კაცი საღდაც, სივრცეში იყურებოდა.

— შესანიშნავი ოცნებები და მიზნები გქონია, — გაეცინა ახალგაზრდას და ირონიით გაუბრწყინდა თვალები, — ბოტანიკოსი ხომ არა ხარ?

— თქვენ გგონიათ ეს ადვილი იყო?

— არ უბასუხა კითხვაზე კაცმა. ის ისევ სივრცეში იყურებოდა და თითქოს თავისთვის განაგრძობდა, — ეეჰ, ჩემო კარგო, ჩემთვის ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. თქვენთვის ეს შეიძლება ძალიან ადვილი ყოფილიყო, ჩემთვის კი ეს ძალიან ძნელი იყო.

— ახლა აქ რას აკეთებ? ალბათ ქლიავის ხე უნდა ნახო?! — უთხრა ახალგაზრდამ.

— დამკინით? — მორიდებულად გაეღიმა კაცს და თავი ახალგაზრდისაკენ მიაბრუნა, — თქვენ, ალბათ, სულელი გგონივართ?

— არა, რატომ?! — თქვა ახალგაზრდამ შეკავებული ღიმილით.

— მაგრამ ეს თქვენი ბრალი არ არის, — გააგრძელა კაცმა და ისევ სივრცეს მიაპყრო მზერა, — ეს ჩემი ბრალია, რომ ყველას სულელი გგონივართ. ეს იმის ბრალია, რომ, აი, ასეთი ვარ, ასეთი მიზანი მაქვს...

ახალგაზრდა გზიდან გადავიდა და მიწაზე ჩამოვდა. გამხდარი კაცი გაყვანილ და გვერდით მიუჯდა. ახალგაზრდამ სპაპიროსი ამოიღო და კაცსაც მიაწოდა.

— მე არ ვეწევი, — უთხრა კაცმა.

— როცა მიზანს მივალწიე, მოწევა მართლაც არ არის საჭირო, — თქვა ახალგაზრდამ.

— ჰო, მიზანს მივალწიე, — თქვა კაცმა, — უმიზნობა არ ვარგა: მიზანი უეჭველად უნდა გქონდეს.

ამ კაცს წამდაუწუმ ეღიმიებოდა. ეღიმიებოდა მორიდებითა და კრძალვით, თითქოს უხერხულად გრძნობდა თავს და სახეში არ უყურებდა ახალგაზრდას.

— მე არავითარი მიზანი არა მაქვს, მაგრამ მშვენიერად ვგრძნობ თავს. — თქვა ახალგაზრდამ. ცოტა ხნის მერე კი იკითხა — ახლა რასა შევები? — და ნესტოებიდან ბოლი გამოუშვა.

— ახლა დავდივარ და ხალხს ვეცნობი.

— რაში გვირდება ხალხის გაცნობა?

— მომწონს ასეთი ცხოვრება. დავდივარ, ვაკვირდები ხალხს, ვესაუბრები...

— მერე რისთვის ვინდა ეს?

— ისე. უბრალოდ, მიყვარს ხალხთან საუბარი, მაინტერესებს, ათას რაღაცას ვგებულობ.

ახალგაზრდამ გაიცინა და თქვა:

— უცნაური კაცი ყოფილხარ, ერთი მითხარი, რა გაიგე?

— ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ. თუნდაც ის, რომ შეუძლებელია ცხოვრება, თუ არა გაქვს მიზანი, თუ არა გაქვს ბუდე! თუ არც მიზანი გაქვს და არც ბუდე, ვერ იარსებებ, უეჭველად დაიღუბები...

ახალგაზრდა ცოტა ხანს ჩუმად სწუვდა პაპიროსს, მერე იკითხა:

— შენ გაქვს მიზანი და ბუდე?

— მაქვს. მართალია პატარა, მაგრამ მაინც მაქვს, — მტკიცედ, შინაგანი სიამაყის გრძნობით თქვა კაცმა, — მე მეტი არცა მჭირდება. მე მაქვს ჩემი პატარა მიზანი და პატარა ბუდე. ყველასა აქვს თავისი პატარა ბუდე, ყვე-

ლას. წელან თქვენ რომ გზაზე სულელს გამოედევნეთ, იმასაც აქვს თავისი ბუდე. ბუდე რომ არა ჰქონდეს, ვერ იარსებებდა.

— თუ ვერ იარსებებდა, ამით ქვეყანას არც არაფერი დააკლდებოდა.

— ქვეყანას არასოდეს არაფერი არ აკლდება. მაგრამ ყველასაც აქვს უფლება არსებობის, ღმერთის წინაშე ყველა ერთნაირია. იმ სულელს, რომელიც არავის არ სჭირდება, ისევე უყვარს თავისი თავი, როგორც, მაგალითად, თქვენ გიყვართ თქვენი თავი და ამიტომ სრული უფლება აქვს არსებობისა და სიყვარულის, რადგან მის ჰუმანაკლულობაში მრავალი მას პიროვნებას და ადამიანობას კი არ მიუძღვის, არამედ მის სხეულს, მის არსებას, რომელიც ასეთი შეიქმნა მისი სურვილისგან დამოუკიდებლად. ამიტომ, მიუხედავად იმისა, საჭირო და სასარგებლოა თუ არა ის ქვეყანისათვის, საზოგადოებისათვის, მაინც საყვარელია, რადგან ბუნების მიერ არის შექმნილი.

— მერე რა? ბუნების მიერ ათასი რამ არის შექმნილი, მაგრამ ყველაფერი საყვარელი კი არ არის?

— ყველაფერი, რაც ბუნების მიერ არის შექმნილი, უნდა გიყვარდეს.

— მაშ, შენი აზრით, სიკვდილი და ტანჯვა უნდა გიყვარდეს, ესეც ბუნების მიერ არის შექმნილი.

— სიკვდილი და ტანჯვა აუცილებელია ცხოვრებისათვის და სწორედ მისგან გამომდინარეობს, მისი განუყოფელი ნაწილია. ამიტომ მოთმინებისა უნდა შეხედე მას, უნდა შეეგუო.

— შეგუება ადვილი სათქმელია...

— ადამიანი ყველაფერს ეგუება, ჩემო კარგო, დიახ, ყველაფერს ეგუება.

— ადამიანი ყველაფერს ეგუება უსამართლობის გარდა! ბევრი უსამართლო რამ ხდება ქვეყანაზე, რასაც ადამიანი ვერ ეგუება.

— უნდა შეეგუოს. ყველაფერს უნდა შეეგუოს. ყველაფერი, რაც შექმნილია, არსებობის უფლებით არის შექმ-

ნილი. ყველა მოგვლენა ზემოდან მოდის. ამიტომ ყველაფერს უნდა შეეგუო. შეგუება ბიოლოგიური თავისუფლებისათვის სიძლიერება.

— სამაგიეროდ, ადამიანური ღირსებისა და სიამაყის თვალსაზრისით, ესე იგი სულის თვალსაზრისით, სისუსტეა. მხოლოდ ღირსება ქმნის ადამიანს მშვენიერს. სისუსტეა, როცა ყველაფერს ეგუები.

— მაგ სისუსტეშია სულის სიძლიერე, რადგან სიამაყე და ღირსება სულის ისეთი თვისებებია, რომელთაგანაც სული უნდა განთავისუფლდეს, რათა სრულყოფას მიაღწიოს და მიუახლოვდეს ღმერთს. შემთხვევით არაფერი არ იქმნება. აი, თქვენ რომ წელან სულელს გამოედევნეთ თავშესაქცევად, მასაც ისევე უყვარს თავისი თავი, როგორც თქვენ გიყვართ თქვენი თავი და ამიტომ...

— შენ რა იცი, მე როგორ მიყვარს ჩემი თავი? — გააწყვეტინა ახალგაზრდამ და სახეში შეხედა.

— მე ეგ ისე, სიტყვაზე ვთქვი, საკუთარი თავი ყველასათვის ყველაზე უფრო საყვარელია.

— ეგ არ არის სწორი. იქნებ მირჩევნია, მოგკვდე მე ვიდრე, დავეშვათ... დავეშვათ — ჩემი ძმა?

— ეგ გრძნობაც საკუთარი თავის სიყვარულით არის გამოწვეული და თქვენი სისუსტის ნიშანია. სიკვდილი ამ შემთხვევაში ტანჯვისაგან თავის დაცვაა. დიახ, არშეგუება — სისუსტეა. ვისაც შეგუების უნარი არა აქვს, ის სუსტია. სუსტია ადამიანი, სუსტი და თუ მას მიზანი და ბუდე არ გააჩნია, ერთიორად ხუსტი ხდება. ყველასაც აქვს ბუდე. ფრინველებსაც აქვთ ბუდე. როგორც კი დაღამდება, ისინი თავიანთ ბუდეებში მოიკალათებენ ხოლმე, ხის ტოტებზე, ჩამოუშვებენ ფრთებს და სძინავთ, ძალას იკრეფენ მეორე დღისათვის, ემზადებიან.

კაცი გაიუმდა. ახალგაზრდამ პაპიროსი გადაადგო.

— კარგია, როცა ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა, — თქვა მან.

— დიახ, კარგია. — თქვა კაცმა.

ახალგაზრდამ ჯიბიდან დანა ამოიღო და მიწაში ჩაასო. მერე წამოდგა. სერიოზული სახე ჰქონდა, ღიმილი აღარ უთამაშებდა სახეზე.

— კიდევ კარგი, რომ ეგრე არ არი, — თქვა მან, — ეგრე რომ იყოს, სრული ქაოსი იქნებოდა.

— განა ეხლა ქაოსი არ არის? — ცვიტად წამოიძახა გამხდარმა კაცმა. — ეხლაც ქაოსია.

— რაღაც კანონზომიერება, ალბათ, მაინც არსებობს, მაგრამ ჯერ არ არის ამოხსნილი, — თქვა ახალგაზრდამ.

მერე ის დიხზარა. მიწიდან დანა ამოაძრო, დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო. უკვე სულ ბნელოდა. ტყიდან რომელიღაც ფრინველის საიდუმლო ხმა ისმოდა. ეს ხმა ხანგამოშვებით არღვევდა სიჩუმეს. ცა ღრუბლიანი იყო და ვარსკვლავები არა ჩანდა.

— შენ სადა ცხოვრობ? — ჰკითხა ახალგაზრდამ გამხდარ კაცს.

— აჰ, ამ ეკლესიაში, აქ ძალიან მყუდროდა ვარ, — თქვა კაცმა.

ახალგაზრდამ ეკლესიისაკენ გაიხედა, შემდეგ მიწაზე მჯდარ კაცს მიუბრუნდა:

— რა გქვია?

— ანტონი!

— ანტონ, ხომ არ წამოხვალ ურიათუბანში? მე ჯერ იქ არა ვყოფილვარ!

5

საპარიკმახეროდან, რომელიც ხის პატარა ფიცრულს წარმოადგენდა, მთელი ქუჩა ჩანდა და პარსვის დროს, პაუზებს შორის, ჩასუქებული დალაქი ღანჯრიდან ქუჩაში იხედებოდა, უყურებდა ბაზრისკენ მომავალ ხალხს და, როცა ერთ მუშტარს გაისტუმრებდა, გამოდიოდა ქუჩაში. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედავდა, მერე ფიცრულში შებრუნდებოდა, ახალ მუშტარს სვამდა

საფარძელში, წინ თეთრ წინსაფარს ჩამოათარებდა, ააქაფებდა საპონს რკინის ჯაშში და დიდხანს ლესავდა სამართებელს ფართო ქამარზე, რომელიც სადალაქო მავიდაზე იყო მიბმული. მთელი ამ პროცედურის განმავლობაში დალაქი ზედაც არ უყურებდა სარკის წინ, საფარძელში მჯდარ მუშტარს. ის ქუჩაში იხედებოდა, რომ ამ გამოპარვოდა; საინტერესო შემთხვევა. კვირა დღე იყო. დალაქი ფანჯრიდან ზედავდა, როგორ მიიჩქაროდნენ ბაზრისაკენ კარგად გამოძინებული და ვაჭრობის ოშტაზე მოსული მოქალაქეები. მერე პარსვა დაიწყო, თან კედელთან, ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარ მუშტარებს ესაუბრებოდა, რომელთაგან ზოგიერთი გასაპარსავად არ იყო შემოსული, რადგან საპარიკმახეროში უბრავლესობა გასაპარსავად კი არ შემოდიოდა, არამედ სასაუბროდ. ბაზრისკენ ისევ მიდიოდა ხალხი, მიდიოდნენ ურმები, ორთვალეები, ფურგონები, ნავაჭრი ხალხი უკან ბრუნდებოდა და ისმოდა განუწყვეტილი ხმაური, ყვირილი, ძახილი.

ბაზარში ვახურებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული. შავტანსაცმლიანი ახალგაზრდა და ქურთუკიანი, გამხდარი კაცი, ანტონი, დადიოდნენ დახლებს შორის, ეჯახებოდნენ გამვლელებს, ჩერდებოდნენ დახლთან, შავტანსაცმლიანი ახალგაზრდა ყიდულობდა ხილს და ორივენი ქამდნენ. მერე ისევ მიდიოდნენ, დახეტილობდნენ და ზოგიერთები აკვირდებოდნენ ახალგაზრდას, როცა ის ჩაივლიდა და დიდხანს უყურებდნენ გაკვირებით, ცნობისმოყვარეობით, სანამ თვალს არ მიეფარებოდა. ის კი დაეხეტებოდა უამრავ ხალხში, აშკარად ეტყობოდა, რომ არ იყო სავაჭროდ მოსული, თანამგზავრი უკან მიყვებოდა, თვალს არ აცილებდა მის ქერა, ოქროსფერ თავს. რომელიც ბზინავდა მხეზე, და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, არ ასცდენოდა.

მერე ისინი ბაზრიდან გამოვიდნენ და საპარიკმახეროში შევიდნენ. დალაქმა ერთი წამით შეწყვიტა პარსვა,

სარკეში შეხედა მათ ისე, რომ არც კი მობრუნებულა, მუშტრის თვალით აათვალ-ჩაათვალიერა და პარსვა განაგრძო. კედელთან, ხის გრძელ სკამზე ჩამომსხდარნი ჩაიწ-ჩამოიწივნენ და ანტონი დაჯდა. ახალგაზრდა ზურგიით კედელს მიეყრდნო. ფეხი ფეხზე გადადო და პაპიროსი გააბოლა. მას საყვლო ძალზე გაღვლილი ჰქონდა და მზემოკიდებულ იმერტი მოუჩანდა. ხის სკამზე ახლა სამნი ისხდნენ: ანტონი, ერთი ცალფეხა კაცი და ერთიც წვერებიანი ებრაელი. ისინი რალაცაზე ლაპარაკობდნენ, ახალგაზრდა ყურს უგდებდა, თან ცდილობდა პირიდან რგოლებად გამოეშვა ბოლი. ანტონი ნახევარი ტანით მოსაუბრებმაკენ იყო მიბრუნებული და უნდოდა როგორმე ჩარეულიყო საუბარში. მაგრამ ჭერჭერობით ვერ ახერხებდა. დალაქი ვიღაც ქალარაშერეულ კაცს პარსავდა.

— ე, ბიჭო, შეირა გარბის ეგერ, — იყვირა უცებ დალაქმა და ქუჩაში გავარდა.

წვერიანი ებრაელი და ცალფეხა წამოიწივნენ თავიანთი ადგილიდან და ქუჩაში დაიწყეს ყურება. ახალგაზრდამ მიიხედა. მხოლოდ ის, რომელსაც პარსავდნენ, მშვიდად იჯდა საგრძელში და ჭიუტად მისჩერებოდა სარკეში საყუთარ თავს.

დალაქი ისევ შემოვიდა, გახსნილი სამართებელი ეჭირა ხელში და თქვა: — ხედავთ, დღეს რა გვიან გამოსულა ბაზარში?

— მაგან წუხელის ქუდი დაკარგა, ვადაი, უქულოდ ჩვენ არ გვაწერია ქუჩაში გამოსვლა. — თქვა წვერებიანმა.

— ეგ რატომ? — იკითხა ცალფეხამ.

— ასეა წესი...

— ქუდი ეხურა, კაცო, — თქვა დალაქმა.

— აჩუქა, ალბათ, ვინმემ.

ცალფეხამ კამათი დაუწყო გრძელწვერას.

— ისე, რა წესია მაგი? — თქვა მან ირონიით.

— ჩვენ ასე გვიწერია, ვადაი.
— ვინ დაწერა მაგ წესი?
— ღმერთმა, ვადაი, რა უნდა იცოცხლე...

— ჰმ, — გაელიმა ცალფეხას, — სადაა, კაცო, ღმერთი?

— ისე მე ვიცოცხლო და ჩემი შვილები გაახაროს გამჩენმა, როგორც არი...

— რა იცი შენ, არის თუ არა?

— უნდა გწამდეს და მაშინ გეცოდინება.

— ვინ დაამტკიცა, რომ ღმერთი არის! — იკითხა ცალფეხამ.

— შენ იგი მითხარი, ვინ დაამტკიცა არ არისო? — გაიწიმატა გრძელწვერა.

— ა, უყურე, — თქვა ცალფეხამ.

დალაქმა პარსვა მოათავა და ახლა კომპრესს უყუთებდა თავის კლიენტს. თან სარკეში იყურებოდა.

— კაცო, გაიგეთ, გუშინ შამილა რომ გაულახავს ვიღაცას? — იკითხა მან საუბარში ჩამოვარდნილი პაუზის შემდეგ.

— რომელი შამილა? — იკითხა ცალფეხამ.

— მოჩხუბარი რომ არის, ისი, — უთხრა გრძელწვერამ.

— შოფერი? — გაუკვირდა ცალფეხას.

— ჰო, შოფერი, — უთხრა დალაქმა ცალფეხას, — ვიღაცას მაგრა გაულახავს.

— ბიჭოს! — თქვა ცალფეხამ, — რატომ თუ იცი?

დალაქი ოდესკოლონს ასხამდა თავზე თავის კლიენტს.

— მეირას აწვალდნენ თურმე და... — მან ოდესკოლონის ბოთლი მაგიდაზე დადო და რკინის საგარცხელი აიღო.

— მეირას გულსთვის კაცს რავე ეაწყენინებ, — ჩაილიმა ცალფეხამ.

— აღამიანია ისიც, აღამიანი, — თქვა გრძელწვერამ.

— აღამიანი კია, მარა რაში გამოგადგება?..

— გამოდგომაში ხომ არ არის საქმე?

— თქვა ანტონმა, ძალიან კმაყოფილმა იმით, რომ საუბარში ჩარევა მოახერხა.

— აბა? — თქვა ცალფეხამ გაკვირვებით.

— სხვა რამეშია, — თქვა ანტონმა მოწყენილად.

ახლა სუყველამ მას შეხედა. ანტონს ქურთუკი გაეხადა და მუხლებზე დაედო.

ამასობაში დალაქმა გაპარსული და დავარცხნილი კლიენტი სავარძლიდან წამოაყენა. იმან გრძელკარტუზიანი შწვანე ქუდი დაიღო სველ თმებზე, წელზე ფართო, ოფიცრული ქამარი შემოიჭირა, დალაქს ფული მისცა, მადლობა გადაიხადა და ახალი ჩექმების კრატუნით ქუჩაში გავიდა.

— დაბრძანდით! — უთხრა დალაქმა შევტანსაცმლიანს.

ახალგაზრდა სავარძელში ჩაქდა. შეხედა სარკეში თავის თავს. სახე ოდნავ გამხდარი და თვალებიც ჩაწითლებული ჰქონდა. თხელი წვერი უძვე მკაფიოდ ეტყობოდა ლოყებსა და კისერზე.

— არ გცხელა, სულ შავები რომ გაცვია? — ღიმილით უთხრა დალაქმა და წინსაფარი გაუეთა.

— არა, — ცივად უპასუხა ახალგაზრდამ.

დალაქს ძალიან უყვარდა ლაყბობა. მაგრამ ახლა გაჩუმდა და პარსვისათვის მზადებას შეუდგა.

ძალიან ცხელოდა.

სანამ დალაქი ყველაფერს მოაზრებდა, ახალგაზრდა უსმენდა ცალფეხსა კაცის და გრძელწვერა ებრაელის კამათს.

— აბა არის ვითომ ღმერთი? — ამბობდა ცალფეხა.

დალაქმა საპონი ააქათა, სამართებელიც გალესა და პარსვა დაიწყო.

— თუ არის, სად არის, ვინ ნახა?

— ნახვა არ შეიძლება, ვადაი, — თქვა გრძელწვერამ.

— ნეტავ რატომ? — განზრახ მიამიტად იკითხა ცალფეხამ.

— რა გითხრა, იცი? მოსე ხომ გავიგონია, მოსე?

— თქვენი მოსე? — ჰო.

— რავე არ გამიგონია. „მოსე წყალში ჩავიდა, გაცურა და გავიდა“ — თქვა ცალფეხამ.

— ებრაელობა მაგან გამოიყვანა ეგვიპტიდან. ორმოცი წელიწადი უღაბნოში დავდიოდით თურმე. ღმერთს ყვარებია მოსე და უთქვამს, მოსე, საქმე მაქვს შენთანო, ამოდი ავერ მთაზეო, სინას მთა ყოფილა საცხა, და ვილაპარაკოთო. წასულა თურმე მოსე, ისე შენ იხარე, რა უნდა ექნა, აბა? ღმერთი გამოგიძახებს და არ წახვალ? ასულა, ვადაი, იმ მთის წვერზე და ულაპარაკნია ღმერთთან, როგორც ახლა მე და შენ ვლაპარაკობთ ისე, მაგრამ ღმერთის ხმა ესმოდა, თურმე, სახით ვერ დუნახამს და უთხოვია მოსეს: გამოდი, ვადაი, ერთი დამენახე, რავალი ხარ თვალათო, მაგრამ გამჩენს უპასუხია, არ შეიძლება, მოსე, ცოცხალი კაცი მე ვერ დამინახავსო... ვინც მე დამინახავს, ის წუთში მოკვდებაო...

— აბა, რომ მოკვდები, მერე ვნახავ ღმერთს? — წამოიყვინა ცალფეხამ და გამარჯვებულის თვალი გადაავლო ყველას, — რომ მოკვდები, რათ მინდა, ბანია, ღმერთი? მე ახლა მინდა ღმერთი, თუ არა, რომ მოკვდები, მერე გინდყოფილა და გინდ არა? — ჩამამალა ქვიროდა ცალფეხა.

— შენ იმასაც არ დაიჯერებ, იეშაღა ნავინმა მზე რომ გააჩერა ცაში, — წყენით თქვა გრძელწვერამ.

— მზე კი არა, ბუზი არ გინდა! — გაბრაზდა ცალფეხა.

— სხვა ხალხი იყო, ვადაი, მაშინ. შე და შენ რომ ვართ, ამისთანა ხალხი კი არ იყო?...!

დალაქს ჩუმჩუმად ეცინებოდა. ქუჩაში ვილაც ბიჭები შეგროვდნენ და საპარიკმახეროში ყურება დაიწყეს. მერე ერთი, ხმელ-ხმელი, თმებგაცვენილი, ძალალი ახალგაზრდა გამოეყო დანარჩენებს და შემოვიდა. დალაქი დაწრილიყო და კისერს უპარსავდა შევტან-

მოსე ხომ გავიგონია
მოსე
მოსე

საცმილიანს, რომელსაც თავი უკან გადაეწია, ნახევარი სახე საპნიანი ჰქონდა. შემოსულმა დახედა მას, მოულოდნელად ხელი მოიჭინია და ზემოდან მთელი ძალით დაარტყა. სავარძელი გადაყირავდა და შავტანსაცმიანი ფიცრულის კუთხეში გაიშლართა. მაგრამ იმ წამსვე წამოხტა და ამ დროს ის, ვინც გაარტყა, გარეთ გავარდა, დალაქს კი სამართებელი ხელიდან გავარდნოდა და პირდაღებული შესცქეროდა შავტანსაცმიანს და, სანამ ის რამეს იტყოდა, სანამ სკამზე ჩამომსხდარნი, დაბნეულობისა თუ შიშისაგან კედელს მიკრულნი, რამეს იტყოდნენ, ეს იყო სულ ერთ წამს, ახალგაზრდა სარკეს მივარდა. წინსაფარი ჩამოიგლიოჯა და დაინახა, რომ კისერი მთლიანად სისხლში ჰქონდა მოსერილი და სისხლი ქვემოთ, მკერდისკენ მიედინებოდა. მას ინსტინქტურად გაუფლვა აზრმა — „საძილე არტერია“, რადგან ტყვილს არა გრძნობდა, და უცხად გარეთ გავარდა. ეს მოხდა სულ ერთ წამში და მალაღი, ზმელ-ზემელი ახალგაზრდა, რომელიც ქურდულად შემოიპარა საპარიკმანეროში, ასევე ქურდულად სწრაფად მიიპარებოდა ნოშორებით მდგარი მანქანისკენ, თან უკან იხედებოდა. ყელგამოდადრული ბიჭი მთელი სისწრაფით გამოედევნა მას და უცებ გაისმა ქალების კვილი. ატყდა ჩოჩქოლი, ვასისხლიანებული კაცის დანახვაზე ყველა ქუჩის მეორე მხარეს გაკვივდა, ის კი მიბრუნდა, რაც შეეძლო, მაგრამ მისი მეტოქეც გაიქცა, და მერე მან დაინახა, როგორ შეხტა ის კარგალებულ მანქანაში და მანქანაც იმ წამსვე გავარდა წინ, კარები არც კი მიეხურათ, შავტანსაცმიანი შეჩერდა. მიძიმედ სუნთქავდა. მერე ბარბაცით წამოვიდა უკან და ბოძს მიეყრდნო. რატომღაც სანადირო დანა ამოიღო ჯიბიდან და გახსნა.

— ხელი დააჭირეთ ჭრილობაზე! — ყვიროდა გარსშემოხვეული ხალხი, მაგრამ ვერავინ ვერ შედავდა ახლოს მისვლას.

საღდაციდან აღისა გაჩნდა, გამოარ-

ღვია ხალხის წრე და გავარდა დამკრულისაკენ, მაგრამ სანამ ხელს წაავლებდა, ახალგაზრდამ დანა მოსწივრება და უთხრა:

— არ მომეკარო!

— რას შერები, ძამივო, ხომ არ გავიქვდი, სისხლისაგან დაიცილები! — გაისმა აღისას სასოწარკვეთილი ხმა.

— თავი გამანებეთ, — თქვა დაჭრილმა, — არ მინდა სიცოცხლე!

ამ ბოძზე იყო აკრული, როგორც წმინდანი და ცას უყურებდა. თანდათან ბნელდებოდა და იბურებოდა სივრცე-თვალების წინ მოძრაობდნენ პატარა, მრგვალი ბურთულები, რომლებიც მერე ფართო რგოლებად გადაიქცნენ და გამალებით დაიწყეს ტრიალი ირგვლივ. რგოლები ქრებოდნენ, მერე ისევ ჩნდებოდნენ, მიდიოდნენ უკან და ქრებოდნენ, ისევ ჩნდებოდნენ ახალი რგოლები და ისევ მიდიოდნენ სულ უკან, უკან და ქრებოდნენ. მთელი სივრცე ფართო, ვრძელი ხაზებით დაისერა და ქუჩის მეორე მხარეს მდგარი მალაღი აღვის ხეები ამ ხაზებად გადაიქცნენ და დაიწყეს ქანაობა. მერე მან იგრძნო ამ უჩვეულო გარდაქმნის რაღაც მწვავე და საშინელი წუთი, გონებამ იცოდა, რომ ახლა მზეა, დილაა, მაგრამ თვალუბი ხედავდა სიბნელეს და ის გრძნობდა, რომ სხეული უკვე მისი აღარ იყო. უკვე ვეღარ გრძნობდა სხეულს, როგორც თავისას, მაგრამ გონება, რომელიც ახლა ცალკე გამოიყო, ჯერ კიდევ მისი იყო, გონება არ ტოვებდა, გონება საღად და ნორმალურად აღიქვამდა ყველაფერს, რაც ხდებოდა და რაც ასე უჩვეულო იყო. გონება აღიქვამდა უჩვეულობასაც... მერე ის ჩაიკვცა, მტვერში დაჭდა და იგრძნო ის ზღვარი სულა და სხეულს შორის, ის შუალედი, რომელსაც, ალბათ, მხოლოდ სიკვდილის დროს გრძნობენ. ამავ დროს სხეული საღდაც გაქრა, უფრო დაბნელდა, საგნები აირ-დაირივნენ სივრცეში, მაგრამ გონება ჯერ კიდევ მისი იყო, ჯერ კიდევ ემორჩილებოდა, გონება მკაფიოდ აღიქვამდა გადასვლის ამ

10.366

ლამოს ქუჩაში გამგელებმა დაინახეს ამ აივანზე მდგარი ჯემალი, ოთახში კი სინათლე არ ენთო და ღია კარიდან ისმოდა მუსიკის ხმა. რადიოლა უკრავდა.

ღილაობით აღისა და ჯემალი ერთად მოდიოდნენ საავადმყოფოში. ისინი ფოსტასთან ხედებოდნენ ერთმანეთს აღისას სახლის წინ. ამას ყველა ხედავდა. მერე მხიარული საუბრით მოდიოდნენ ქუჩაში, ესალმებოდნენ ნაცნობებს, განსაკუთრებით აღისა, რადგან ჯემალს მაინცდამაინც ბევრი ნაცნობი არა ჰყავდა ამ ქალაქში, — რაც არ უნდა იყოს ახლად ჩამოსული კაცი იყო

— მოდიოდნენ მხიარულ საუბარში გართულნი, იციოდნენ, ბალთან მთავარ ქუჩას ჭრიდნენ და საავადმყოფოში შედიოდნენ.

საავადმყოფო ქალაქის ცენტრში იყო. ეს იყო თეთრი, ორსართულიანი შენობა, რომელიც ქუჩის პირას იდგა. შენობის ფანჯრები ქალაქის პარკს გადაჰყურებდა, პარკი მოუვლელი იყო. აქ იდგა მარადმწვანე მავნოლიის ხეები, ხოლო პარკის ცენტრში იყო ლურჯად შეღებილი, მაგრამ ახლა საღებავგადაცილილი ესტრადა, სადაც შარშან მთელი ზაფხული უკრავდა ორკესტრი და სცენის წინ თითო-ორთა წყვილი ცეკვავდა ხოლმე. აქ უმთავრესად, ეგრეთწოდებული „მოსტილნო“ ახალგაზრდები ცეკვავდნენ, უმრავლესობა კი ცეკვებს უყურებდა, მაგრამ განუწყვეტელი ხმაური საღამოობით ძალიან აწუხებდა ავადმყოფებს და ამიტომ წელს ეს ცეკვები კულტურის სახლის ტერიტორიაზე გადაიტანეს, სადაც ყოველგვარი კულტურულ-გასართობი ღონისძიებანი ხორციელდებოდა. ახლა პარკში იშვიათად თუ შეივლიდა ვინმე საღამო ხანს. ქუჩა პარკსა და საავადმყოფოს შორის წყნარი იყო, ხეებზე მხიარულად ჟღერტულვებდნენ ბელურები და გამოჯამრთვებულ ავადმყოფებს სიამოვნებადთ ფანჯრიდან ქუჩაში ყურება, სადაც ისინი ხედავდნენ სხვათა საქმიანობას, ფუსფუსს, ცხოვრებას, რომელშიც თითონ ვერ იღებდნენ მონაწილეობას ჯერჯერობით.

ქუჩაში არაფერი განსაკუთრებული არა ხდებოდა. მაგრამ იქიდან ისმოდა ზაფხულის ცხელი დღის ხმაური, რომელიც არღვევდა შენობაში გამეფებულ სიჩუმეს და ეძახდა ავადმყოფებს გარეთ, სიცოცხლისაკენ, სადაც იყო სიკსე და ოფლი, სადაც იყო მოძრაობა, და საწყალი ავადმყოფებისათვის ეს ხმა წარმოადგენდა იმედს, იმედს იმისა, რომ სიცოცხლე ვრძელდება, რომ გარეთა ყველაფერი განსაღია, გარეთ ყველანი ძლიერები და ბედნიერები არიან და ღირს აქედან იქ გასვლა. ამიტომ ყველა პალატაში, დღისით და ღამით, ფანჯრები ღია იყო.

მხოლოდ ერთი დიდი, თეთრი პალატის ფანჯრები იყო დახურული. აქ იწვა ის შეეტანსაცმლიანი ბიჭი, რომელიც ბაზარში დაჭრეს.

უკვე გავიდა ერთი კვირა მას შემდეგ, რაც ის ყელგამოღარული მოიყვანა აღისამ აქ. იმ დღეს, როცა ის აქ მოიყვანეს, საავადმყოფოს წინ დაღამებამდე იდგა ხალხი. პატარა ქალაქი შემოთვებული იყო და ბევრს, ძალიან ბევრს, გულწრფელად აინტერესებდა გადაარჩებოდა თუ არა ეს უცნობი ახალგაზრდა, რომელიც ასე უეცრად მოველინა ქალაქს, უცბადვე მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში, ახლა კი ისევე უცბად, ისევე მოულოდნელად, როგორც მოვიდა, უნდა გამქრალიყო და ამიტომ ყველას, თითქმის ყველას აინტერესებდა მისი ბედი და ძალიან ბევრნი დაღამებამდე იდგნენ საავადმყოფოს თეთრი, ორსართულიანი შენობის წინ და იცდიდნენ, რათა გეგოთ, როგორ დამთავრდებოდა ოპერაცია. მერე მილიციაც მოვიდა, ყველა დაჰკითხეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არავინ არაფერი იცოდა.

მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და, როცა დაღამდა, ხალხს მოწყინდა საავადმყოფოს წინ დგომა, როგორც

ყოველგვარი გართობა სწყინდებათ ხოლმე, და დაიშალნენ. მათ იცოდნენ, რომ დაჭრილის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო და ტყუილად ცდას არა ჰქონდა აზრი. მეორე დღეს იყო ორშაბათი, სამუშაო დღე. ყველანი თავთავიანთ სახლებში წავიდნენ.

უკვე გავიდა ერთი გრძელი კვირა ამ აზრის შემდეგ. უკვე თითქმის მოუშუშდა და დაჭრილს ჰრილობა. დროულმა დახმარებამ თუ რაღაც ბედნიერმა, გამოუცნობმა შემთხვევამ გადაარჩინა ის.

— ყველაფერი შემთხვევანულად ამოკიდებული, — თქვა ექიმმა, რომელმაც ჰრილობა გაკერა, — ალისა რომ არ დასწრებოდა მაგ ამბავს, ან მე რომ მატარებელზე არ დამგვიანებოდა, იმ დღეს, ბატონო, ფოთში ვაპირებდი წასვლას ნათესაებთან, არაფრით არ ვადარჩებოდა...

ასე თქვა ექიმმა.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ეს ქერათიანი ბიჭი, რომელსაც შავი ტანსაცმელი ეცვა, გადარჩა, დაუბრუნდა სიცოცხლეს. უკვე ყველამ იცოდა მისი სახელი. მას ერქვა ვამეხი, გვირად იყო გურამიშვილი. უკვე ერთი კვირაა ჩუხად, ხმაამოუღებლად იწვა თავის პალატაში და დაეინებით მისჩერებოდა ერთ წერტილს კედელზე. მთელი ერთი კვირა ასე ჩუხად იწვა.

და, აი, დადგა დრო, როცა უნდა გაეწერათ საავადმყოფოდან. ექიმი ალისას და ჯემალის თანხლებით შემოვიდა პალატაში, მოახსენებინა ალისას სახვევი და შეხედა გრძელ, იისფერ ნაიარვეს ვამეხის კისერზე. ავადმყოფს წვერი უთანაბროდ ამოსვლოდა სახეზე და ტანჯულის იერი ჰქონდა. გამხდარი იყო, მოკლე ქერა თმა შუბლზე ჩამოყროდა და, სანამ ექიმი ჰრილობას ათვლიერებდა, ხმას არ იღებდა. მეორე ექიმი წელში გასწორდა და ღიმილით თქვა:

— ძალიან გადარჩი, — მან შეხედა ალისას — აი, ამას უნდა უმადლოდე.

— გმადლობთ, — უთხრა ვამეხმა ალისას.

— მოკლედ, ბედი გქონია, შვილო,

— თქვა ისევ ექიმმა, — შემთხვევით გადარჩი... მე რომ მატარებელზე არ დამგვიანებოდა, ან ალისა ვერ იქნებოდა ფილიყო იმ დროს ბაზარში, ვერ გადარჩებოდი.

ვამეხი ლოგინზე წამოჯდა.

— სიცოცხლე შემთხვევანულად ამოკიდებული, — თქვა მან. — გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა მთლიანად ცვლის კაცის ცხოვრებას... — მერე გაიღიმა: — უაზრობაა ყველაფერი...

—რა?

— ყველაფერი! სიცოცხლე, ცხოვრება...

— ცხოვრება? — გაოცებით ჰკითხა ექიმმა.

მერე დადგა საღამო. დადგა ზაფხულის თბილი, ნაზი საღამო, როცა მზე არიბად ისვრის სხივებს, დასაუღეთისკენ ცა მეწამული ხდება, უფრო მკვეთრია ჩიტების ელურტული, დღე რაღაც ისე ტკბილი და სასიამოვნოა, რომ გენანება დალამება და გინდა ეს წამი, სიმშვიდის ეს დაურღვეველი შეგრძნება, დიდხანს გაგრძელდეს. დადგა საღამო. ვამეხმა ჩაიცვა თავისი შავი ტანსაცმელი, რომელიც გაერეცხათ, მოეშორებინათ სისხლის ლაქები, და წავიდა საავადმყოფოდან. გავიდა გარეთ, სადაც ათასნაირი, რთული ცხოვრებით ცხოვრობდა ქვეყანა, სადაც დაბრუნება ოცნება იყო ფანჯარასთან მჯდარი ავადმყოფებისათვის.

წავიდა ვამეხი და უცბად ალისამ იგრძნო, რომ რაღაც გათავდა. ის ფანჯარასთან იდგა და უყურებდა ქუჩაში მიმავალ ვამეხს, რომელსაც მოკლე, ქერა თმა შუბლზე ჩამოყროდა; შავი, რეცხვისგან გახუნებული ტანსაცმელი ეცვანელა, უმიზნოდ მიდიოდა საღამო და ალისა გრძნობდა, რომ ყოველ დღით, როცა საავადმყოფოში მოდიოდა, სანამ ვამეხი იწვა იქ, სასიამოვნო, ამაღელვებელ მოლოდინს განიცდიდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო დღეს, თითქოს რაღაც საქმე უნდა გადაწყვეტილიყო. ამ ერთი კვირის განმავლობაში ალისას უხაროდა, ეხალისებოდა

საავადმყოფოში მოსვლა და განსაკუთრებით იმ პალატაში შესვლა აინტერესებდა, სადაც ვამეხი იწვა. მიუხედავად იმისა, რომ იასონს წაეჩხუბა, მიუხედავად იმისა, რომ ჯემალს დაუმეგობრდა, მაინც, ამ უკანასკნელ კვირას, სულ სხვა რამისადმი მიმართული ინტერესით ცხოვრობდა, ვიდრე თითონ ეგონა, ახლა კი, როცა ვამეხმა საავადმყოფო დატოვა, როცა ქუჩა გადაჭრა და აფთიაქის შენობას მიეფარა, აღისამ ნათლად იგრძნო, რომ ვერ დიკმაყოფილა ცნობის-მოყვარეობა, რაღაც გათავდა, ცხოვრება ისევ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ინტერესით შემოიფარგლა. არაფერი არ იყო წინ ისეთი, რასაც შეიძლება სიხარულით ელოდო.

— რას ჩაფიქრებულხარ? — ჰკითხა ამ დროს ჯემალმა, რომელიც შეუძმინეველად მოსულიყო ფანჯარასთან და გვერდით ამოდგომოდა.

— არაფერი, ისე, — გამოერკვა აღისა.

— წავიდა ვამეხი?

ჯემალმა ქუჩაში გადაიხედა.

— ჰო, წავიდა, — თქვა აღისამ, — უცნაური კაცი ჩანს ეგ ბიჭი, არა? — ჩაფიქრებით თქვა ისევ აღისამ.

— ჰო, მგონი, ცოტა უცნაური უნდა იყოს, — თქვა ჯემალმა, — აღისა, ამ საღამოს კინოში წავიდეთ? — იკითხა მეტრე.

— რა გინდა კინოში?

— კარგი მუსიკა იქნება, მოვეუსმინოთ.

— რას ავიჩემებია ეს კინო, ხომ იცი, მე იქ არ დავდივარ, არ მინდა იასონს შევხვდე!

— რატომ?

— რატომ?! — აღისა გაჩუმდა. — ეკ, რაც იყოს იყოს, თუ მუსიკა გინდა, წამო ჩემთან, მშვენიერი ფირფიტები მაქვს!

7

შამილა ორი დღე იწვა ლოგინში. მესამე დღეს, როცა ლოგინიდან წამოდგა, ყბა ისევ საშინლად სტკიოდა და ლაპარაკი უჭირდა.

ერთადერთი კაცი, ვისაც შამილასი არ ეშინოდა ამ ქალაქში, იყო ელაში ძუკუ-დანარჩენი ბიჭები, რომლებსაც კარტევს სცემდნენ ან ვაჟკაცობისათვის, ან სხვა რამის გამო, ზოგი შიშით, ზოგი ძლიერთან ახლოს ყოფნის სურვილით, ერიდებოდნენ შამილას, მეგობრობდნენ, ცდილობდნენ კარგად ყოფილიყვნენ მასთან. მხოლოდ ელამ ძუკუს არ ეშინოდა შამილასი და ამას შამილაც გრძნობდა, სხვებიც გრძნობდნენ, არ შეიძლება ასეთი რამ არ იგრძნო. რასაკვირველია, არც შამილას ეშინოდა ელაში ძუკუსი. ელაში ძუკუ ისეთი კაცი იყო, რომ არასოდეს პირველობისაკენ არ მიილტვოდა, ასეთი რამეები მაინცდამაინც არ აინტერესებდა, ხუმრობასაც ადვილად იტანდა, მაგრამ თუ დათვრებოდა, ან გაბრაზდებოდა, შეეძლო ყოველად წარმოუდგენელი საქციელი ჩაედინა. შამილასაგან განსხვავებით, სრულებით კარგავდა საკუთარი თავის კონტროლს და იცოდა რა ეს, შამილა ცდილობდა მორიდებოდა ელამ ძუკუსთან შეხლას, რადგან გრძნობდა, ამას ისე ადვილად ვერ დაჯაბნიდა, როგორც სხვებს ჯაბნიდა ხოლმე. მიუხედავად ელამ ძუკუსთან ასე ფრთხილი დამოკიდებულებისა, შამილას ქალაქში თავზეხელაღებული, ძალიან მაგარი ბიჭის სახელი ჰქონდა გაეარღბილი და სინამდვილეში მართლაც ასე იყო. ჯანი ჰქონდა, კარგადაც ჩხუბობდა და ჯერ არავის ახსოვს, მას მორეოდნებ. ყველა ერიდებოდა შამილას და ბევრ რამესაც უთმობდნენ.

და აი, ქალაქში ვიღაც სრულიად უცნობი ახალგაზრდა ჩამოვიდა და ჩამოსვლის პირველსავე დღეს ორი დარტყმით, ორი დღით ლოგინში ჩააწვინა შამილა. ამ ამბავს რაც მოყვა, შამილამ კარგად იცოდა, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ამ ამბის გამო არ შეიძლებოდა არ შელახულიყო მისი სახელი.

ეს მართლაც ასე მოხდა. ქალაქელი ბიჭები ჩუმჩუმად, აღტაცებით ლაპარაკობდნენ ვიღაც უცნობზე, რომელმაც ისე სცემა შამილა, შამილა, რომლის სახელი ყველამ იცოდა ამ რაიონში, რომ

სახლში ხელით წასადები შეიქნა. მართალია, მერე ის ბიჭი დაქრეს, ეს ამბავი არ შეარჩინეს, ახლა საავადმყოფოში იწვა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ შამილას ამხანაგი, რეზო, უკანინდან მიეპარა და იხე დაარტყა, როცა ის ბიჭი წვევს იპარსავდა სადალაქოში. ყველამ იცოდა, რომ მერე ის ბიჭი, დაქრილი, გასისხლიანებული, ყელგამოღადრული გამოვარდა გარეთ საპარიკმახეროდან და დაედევნა რეზოს სამაგიეროს გადასახდელად, მაგრამ რეზომ ლაჩრულად, გაქცევით უშველა თავს, თორემ, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა. ამიტომ თავისდაუნებურად ბევრის სიმპათიები აშკარად იმ უცნობი ბიჭისაკენ იყო მიმართული და ყველას აინტერესებდა, რა იქნებოდა შემდეგ. ასპარეზზე ახალი გმირი გამოჩნდა და ხალხი ბევრს მოელოდა მისგან.

და, აი, იმ საღამოს, როცა ვამეხი საავადმყოფოდან გამოეწერა, როცა ქუჩაში გამოვიდა, არც კი იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა, თუ რა ვნებათა ღელვა ტრიალებდა მის ირგვლივ, თუ რას წარმოადგენდა ქალაქელი ბიჭებისათვის ამქამად.

ვამეხი ჩაფიქრებული მიდიოდა ქუჩაში. შავი ტანსაცმელი ეცვა, კისერზე იისფერი, გრძელი ნაიარვეი აჩნდა. გამველელები ჩერდებოდნენ და სრულებით დაუფარავი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, როგორ მიყვებოდა ვამეხი მთავარ ქუჩას ნელი ნაბიჯებით. ბრიყვეული გაოცება ეხატებოდათ სახეზე. რა იყო საოცარი იმაში, რომ კაცი სიკვდილს გადარჩა? რა თქმა უნდა, არაფერი, მაგრამ მაინც უკვირდათ. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა მისი გადარჩენის ამბავი, რატომღაც მაინც ვერ ფარავდნენ გაოცებას, როცა ხედავდნენ წვერმოშვებულ ვამეხს, მთავარ ქუჩაზე აუღელვებელი, ნელი ნაბიჯებით მიმავალს. ვამეხი კი ნელა მიდიოდა ბაზრისაკენ და სიამოვნებდა, რომ თანდათან უფრო ნაკლები ხალხი ხვდებოდა აქეთკენ

ბაზრის წინ, საპარიკმახეროსთან, სადაც ის დაიჭრა, ვამეხი შედგა. იგივე

დალაქი, ვინც მაშინ პარსავდა, ახლა სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ირგვლივ არავინ იყავს. ვამეხი დალაქი და სადალაქოში შევიდა. დალაქმა თავი მოაბრუნა და გაოცებისაგან პირი დააღო.

ვამეხს ვაეცინა.

— მაშინ არ დამამთავრებინეს პარსვა, ახლა მინდა გავიპარსო... — თქვა ვამეხმა.

დალაქი წამოდგა დაბნეული, გაკვირვებული. გაზეთი დაკეცა, დადო, სავარძელი გამოსწია...

— ჩემი ბრალი არ იყო, — თქვა. — ხომ იცი, ისე გამოვიდა.. — მერე რალაცას დაუწყო ძებნა ყუთში.

— შენ ვინ გაბრალებს?! — ვაეცინა ვამეხს, სავარძელში ჩაჯდა და სარკეში ჩაიხედა. ნახევარ ღოყაზე უფრო მეტი წვერი ამოსვლოდა, ვიდრე მეორეზე. წვერმოშვებული სულ სხვა კაცს ჰგავდა. დალაქს აღელვებამ თანდათან გადაუარა, და, როგორც იქნა, საპირი აჭაფა. მერე პარსვა დაიწყო.

— მაშ გადარჩი? — ჰკითხა დალაქმა.

— გადავრჩი...

— ო, მაგ გაფუჭებულები, კინალამ კაცის ცოდვა დამედო.

— შენ რა შუაში ხარ?

— არაფერში, მაგრამ კინალამ შარში ვაგები.

დამწვიდებული დალაქი გულმოდგინედ პარსავდა ვამეხს, ვამეხი კი სარკეში იყურებოდა.

— ვინ იყო ის ბიჭი, ხომ არ იცი? — იკითხა მერე სხვათაშორის ვამეხმა.

— ის ბიჭი? — ჩაფიქრდა დალაქი.

— ჰო.

— მაგი შამილას ამხანაგია.

— რა ჰქვია, ხომ არ იცი?

— რა ჰქვია? — ჩაფიქრდა ისევ დალაქი.

— ჰო.

— არ ვიცი.

— იცი, — უთხრა ვამეხმა და სარკეში შეხედა დალაქს.

— არა. არ ვიცი, ღმერთმანი. — საწყლად დაიძანა დალაქი.

ვამეხი მიხვდა, რომ დალაქმა აშვე-

ნიერად იცოდა იმ მაღალი, თმაგაცვენილი ბიჭის სახელი, მაგრამ ეშინოდა თქმა. ვამეხს შეეცოდა დალაქი და ხმა აღარ ამოიღო.

პარსევა გრძელდებოდა.

დალაქი ახლა უფრო მეტი გულმოდგინებით ლესავდა სამართებელს, უკვე მესამედ უსვამდა სახეზე საპონს.

— კრილობა არ მატყინო, — უთხრა ვამეხმა.

— არა, შენი ჭირიმე, ნუ გეშინია.

კარგა ხანს ფრთხილად პარსავდა დალაქი ვამეხს და ბოლოს პარსევა მოათავა.

ვამეხი წამოდგა და სარკეში თავის თავს დააცქერდა. ახლა უფრო გამხდარი და ფერწასული ჩანდა. მიანიც მოეწონა საკუთარი თავი, რადგან უხდებოდა სიგამხდრე და ფერწასულობა. იისფერი ნაჭრილობევი, გაპარსვის შემდეგ, უფრო შემზარავად და უსიამოვნოდ აჩნდა კისერზე. ის დიდხანს ათვალიერებდა ნაიარევეს.

— რამხელა ნაიარევი დაგრჩენია, — სინანულის გამომხატველი თავის ქნევით უთხრა დალაქმა, — ო, მაგ გათახსირებულეები...

ვამეხმა ჩიბიდან ფული ამოიღო და ორჯერ უფრო მეტი გადაუხადა, ვიდრე ერგებოდა.

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, გმადლობთ, კიდევ გამოიარე. — თქვა დალაქმა.

— ეღღარ გამოვივლი, — უთხრა ვამეხმა, — დღეს მივდივარ.

— სად მიდიხარ?

— მივდივარ თქვენი ქალაქიდან... სხვაგან.

— აბა, არ ეძებ იმ ბიჭს? — წამოიძახა დალაქმა და ნაჭრილობევეზე შეხედა ვამეხს.

ვამეხს გაეცინა და, კარებთან მისულმა, მხარზე ხელი დაჰკრა გაოცებულ პარიკმახერს.

— არავის არ ვეძებ, ალალი იყოს. კარგად იყავი!

მერე საპარიკმახეროდან გამოვიდა და სადგურისაკენ გაემართა.

უკვე ბნელდებოდა სადგურზე, როგორც მუდამეხს საღამო. დალაქმა უამრავი ხალხი ირეოდა. მისთვის მარტოაც, ელოდნენ მატარებელს, ზოგიერთები კი თავშესაქცევად იყვნენ გამოსული. ეს უკანასკნელნი ჯგუფად იდგნენ და საუბრობდნენ. საბარგო განყოფილების პატარა, თეთრ შენობასთან თავისი ამხანაგებით გარშემორტყებული შამილა იდგა. ისინი პაპიროსს ეწეოდნენ, რაღაცას ყვებოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ, შამილა კი ჩუმად იდგა მათ შორის, ყურს უგდებდა საუბარს და ზოგჯერ იღიმებოდა.

— ჰოდა, იცი, მერე იმ შტერ ძუკუს რა უქნია? — ამბობდა ერთი შეგვრემანი, ჩაფსკენილი ბიჭი.

— ჰო, რა უქნია?

— დამთვრალა, ბიჭო, უგრძობლად, ეგ წინა დღესაც მთვრალი იყო, ჰოდა. დაუღწია ბოთლები სასადილოში, დაუწყია ბღაილი. ბიჭი რომ ჰყავს მაგას მეხანიკად, ვალიყო გაბეჩავას შვილი, თაურია, ხომ იცი?

— თაურია რა არის?

— თაურია სახელია.

— ეგ რა სახელია?

— დიდი თავი აქვს და იმიტომ დაარქვა... ჰოდა, იმას ვერაფრით ვერ დაუმარგებია, გაგიჟდა თურმე ბავშვი. მოსულა ოფიციალტი გვაჩი და უკითხავს, რა გატირებს, ძუკუ, რა იყო ბიძია, რა მოხდაო? ძმაცაი მომიკლეს, მაგათი ყოფა ვატირეო! აუჰ, რომელ, ბიჭო. რა ჰქვია სახელიო? ძუკუ თურმე სახეში ითხლამუნებს ხელებს, ცხვირიდან სისხლი მოსდის... რომელი, ბიჭო, რა ჰქვია სახელიო, კიდევ უკითხავს გვაჩის. წამომხატარა ძუკუ და უთხლესია, ბატონო, შენი გვაჩისთვის, დაუგდია ძირს. „რა ვიცი მე სახელი, რა სახელი, რის სახელი, სახელში ხომ არ არის საქმეო“, ყვიროდა თურმე...

ყველამ ერთხმად გაიცინა.

— მერე, მერე?

— მერე დაუქერიათ და იმ დამეს მილიციაში ჩაუსვამთ. დილას გამოუშ-

ვიათ. მთელი იმ დამტყვევული კურკლის ფული უნდა გადაიხადოს. დადის, დანა პიოს არ უხსნის.

— აბა მაგაზე!

— ვის ტიროდა ეგ გამოჩერებები, სახელი თუ არ იცოდა?

— ვის ტიროდა და იმ ბიქს!

— რომელ ბიქს!

— ე, იმ ბიქს!

მთხრობელმა და მერე დანარჩენებმაც შამილას შეხედეს.

— რეზომ რომ დაჭრა, იმ ბიქს, — წყნარად თქვა ერთმა.

— აა! — თქვა მეორემ.

— იმას მეტი ეკუთვნოდა, მაგრამ ვერ ჩავიგდე წესიერად ხელში, — თქვა რეზომ, — მაგიც ძუკუს ბრალაა.

— ე, ბიჭო, მეირა გამოსულა ეგერ!

— წამოიძახა უცებ ერთმა.

— აბა?

— ეგერ!

— უყურე, ბიჭო, მეირას, — გამოცობლდნენ ბიჭები.

ყველამ ბაქნის ბოლოსკენ გაიხედა, სადაც, რკინიგზის ლიანდაგის დაყოფებით, თავჩაქინდრული მეირა მოძუნძულდებდა.

— ახლა უყურეთ, რა ვეყო მაგას, — თქვა ერთმა და სიამოვნებით ჩაიციხა.

მეირა კი ბაქანზე შემოვიდა, სირბილი შეწყვიტა, ხალხს მიაშურა და დაიწყო ჩვეულებრივი ბურღლუნი: კაი მუშა, აბა, კაი მუშა, ვის უნდა კაი მუშა?! შორიდან არ ისმოდა მეირას ხმა. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სწორედ ამას იძახდა, აბა, სხვა რა უნდა ეთქვა? და ბიჭები უყურებდნენ მეირას, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა საბარგო განყოფილების თეთრ შენობას და თავის სამსახურს სთავაზობდა მატარებლის მოლოდინში მოუთმენლობით შეწუხებულ ხალხს.

— აბა, კაი მუშა, კაი მუშა, ვის უნდა კაი მუშა?! — იძახდა ის და ბაქნის ქვაფენილზე შიშველ ფეხებს ატყლაპუნებდა. მოძუნძულდებდა პატარა, მხრებჩამოყრილი, მუხლებამდე აკაპიწებული შარვლის ტოტებიდან გამხდარი

წვივები მოუჩანდა, ქუჩყინი. ქალბრაწვერი, თითქოს თავზე დაძუნძულ ქუჩის ნაწილს წარმოადგენდა! მეირას ვილაყის დაგლეჯილი ფაფახი ეხურა ამ სიცხეში. მოძუნძულდებდა ცოცხლად, ცვიტად, ენერგიულად, მაგრამ მაინც საწყლად და სასაცილოდ და გაუჩერებლევ იმეორებდა: — აბა, კაი მუშა, ვის უნდა კაი მუშა?!..

— დაბერდა ეს საწყალი, — შენიშნა ერთმა, შამილას ამხანაგებიდან.

— დაბერდა რა, პატარა კი აღარ არი...

— ვინ დაბერდა, უყურე როგორ იცეკვოს, — თქვა მეორემ და ჭკუფს თამამად გამოეყო: — მეირა! — დამაბა მან.

მეირა შეკრთა, შეჩერდა და უნდობლად მოიხედა. მან არ იცოდა რისთვის ეძახდნენ, რადგან აქ ბარგს ვერ ხედავდა.

— მოდი აქ!

ის ნელ-ნელა წამოვიდა, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ბარგის წასაღებად ეძახდნენ თუ სალაზღანდაროდ, და თუმცა ბარგს ვერ ხედავდა, მაინც ჰქონდა უკეთესის იმედი. ის ნელ-ნელა წამოვიდა და სწორედ ამ დროს გაისმა შამილას მკაცრი ხმა:

— დაანებეთ თავი!.. მეეშვით ამ მეირას!..

ის ბიჭი, რომელმაც მეირას დაუძახა, შეცბუნებული მობრუნდა. მეირა უფრო ახლოს მოვიდა და გაუბედავად თქვა:

— აბა, კაი მუშა...

— წადი, წადი, არ გვინდა მუშა, — უთხრა რეზომ.

მეირა გაბრუნდა. ჩამოვარდა სინთმე. სადგურის რადიომ გამოაცხადა, რომ მატარებელი უკვე გამოვიდა მეზობელი სადგურიდან. ხალხი ამოჩქოლდა. ბაქანზე ნელი ნაბიჯებით შემოვიდა ვამები. ვამები ახალგაპარსული იყო, ხელები ჯიბეებში ჩაეყო. მან ნელა, აუჩქარებლად გაიარა შამილასა და მისი ამხანაგების წინ. არც კი და-

უნახავს ისინი, რადგან პირდაპირ იყურებოდა ნელა მიდიოდა საბილეთო სალაროსაკენ, რომელიც მოსაცდელი დარბაზის გვერდით იყო მოთავსებული. ის მივიდა სალაროსთან, აიღო ბილეთი და მერე ბაქნის სვეტს მიეყრდნო.

შამილა და მისი ძმაკაცები ჩუმიად უყურებდნენ ვამებს. მერე სუყველამ შამილას შეხედა- შორიდან გაისმა მოახლოებული მატარებლის კივილი. ხალხი ახლა უფრო აჩოჩქოლდა, აწერიალდა. შამილა შეიშმუშნა, ფერმა გადაკრა სახეზე. მაინც მოახერხა აღელვების დაფარვა მერე ჩაახველა და იქით გაემართა, სადაც ვამები იდგა-

— რა ვქნათ? — იკითხა ერთმა ბიჭმა.

— აცალე, შამილამ თითონ იცის, — უთხრა მეორემ.

მატარებელი კი ამასობაში ერთბაშად შემოგრიალდა პირველ ლიანდაგზე. ახმაურებული ხალხი ვაგონებს მიაწყდა. შამილა მივიდა ვამებთან და წინ გაუჩერდა. მათ შეხედეს ერთმანეთს. მერე ვამებმა გაიხედა შამილას უკან, მწვანე ვაგონებისაკენ, რომელთა ფანჯრებში თავი გამოეყოთ მგზავრებს, კიბეებთან შეგროვილი ხალხი კი ცდილობდა ვაგონში ერთბაშად ასვლას, ყოველგვარი რიგისა და წესრიგის გარეშე. ეს მატარებელი ცოტა ხანს ჩერდებოდა ამ სადგურზე და მგზავრებს დარჩენისა ეშინოდათ.

— მიცანი? — ჰკითხა შამილამ ვამებს.

ვამებმა თავი დაუქნია და გულგრილად შეხედა. მერე ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. მატარებლის ბილეთიც ხელში ეჭირა და ატრიალებდა.

— კარგად გადაჩენილხარ, — უთხრა შამილამ და ნაპირილობევე შეხედა. ვამებმა პირდაპირ სახეში შეაბოლა. შამილამ ბილეთს დახედა, რომელიც ვამებს ხელში ეჭირა, მერე მატარებლისაკენ გაიხედა.

— მიდიხარ? — იკითხა იმან.

ვამებმა არ უპასუხა ისევე ვაბოლა და ხალხს გადააელო მსერე უყუბად ივიდა ხალხი ვაგონებში და მატარებელზე შეწყდა. მერე სასტვენის ხმაც გაისმა. საცაა დაიძრება მატარებელი.

— წადი, ბიძია, გირჩენია, თუ არა, შენ არ იცი ჩვენი ამბავი, თავს წააგებ ამ ქალაქში...

ვამებმა პაპიროსი კბილებით დაიჭირა და თვალბში შეხედა შამილას. მერე ბილეთი შუაზე გახია, ნაკუწები ერთმანეთს დაადო და კიდევ გახია. ბილეთის ნახევები ფეხებთან დაუყარა შამილას და მთელი ტანიით ოდნავ წინ წამოწეულმა უთხრა:

— ვინ გითხრა მივდივარო? არსადაც არ მივდივარ, აქ ძალიან მომწონს!

მატარებელი აიძრა, თანდათან გასცილდა სადგურს და მერე მისი ბორბლების რახრახიც მიწყდა.

8

მატარებელი წავიდა. მიწყდა ბორბლების გრუხუნე. ხალხი დაიშალა. წუთიერმა დამაბულობამ, მოლოდინმა, თუ რაღაც ამის მსგავსმა, რომელიც ეველას ქვეშეცნეულად დაუფლებოდა, სანამ მატარებელი სადგურზე იდგა, გადაიარა. შეირა აღარსად ჩანდა. ის ალბათ, ყანებში მიბრბოდა თავისი სახლისაკენ. ლიანდაგის გასწვრივ წითელქუდიანი რკინიგზის მილიციელი დასუარსობდა. ბაქანი თითქმის ჩამოცარიელდა. მხოლოდ საბარგო განყოფილების წინ დარჩნენ ჯგუფად მდგარი ბიჭები. შამილა და ვამები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. მერე ვამები უხმოდ მობრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— მოიცა! — დაუძახა შამილამ.

ვამები შეჩერდა. შამილა მიუახლოვდა.

— შენ ხომ იცი, ბიჭო, კამეჩთან მოქიდავე ხარს რქები არ შერჩება.

— მერე შენ კამეჩი ხომ არა ხარ?

— გაიცინა ვამებმა.

შამილამ ტუჩები მოკუმა და თავი დააქნია მუქარით.

— კარგი, ასე იყოს...

ვამეხი გამოვიდა ბაქნიდან და სადგურის მოედანზე გაჩერდა. ახლა არსად არ იყო წასასვლელი და ისევ არა ჰქონდა არავითარი მიზანი. ამიტომ ადგა და გზონის გასწვრივ მდგარ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. უყურებდა ქუჩას და მთელი არსებით განიცდიდა პატარა ქალაქის სევდიან სინუემს, რომელსაც ბოძზე ჩამოკიდებული რეპროდუქტორის ჩახლენილი ხმა უფრო მკვეთრად საგრძნობსა ხდიდა. რეპროდუქტორი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდა, მერე კი მუსიკა დაიწყო. რადიო ხრიალებდა და ამ ხმას ვამეხი აღიქვამდა, როგორც ძახილს საყვარელი, მაგრამ შორეული, სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე ჭევენიდან, რომელიც მიუწვდომელია და ამიტომ უფრო მიმზიდველი. ის იჭდა და უყურებდა გამვლელ-გამომვლელს.

აი, მის წინ ჩაიარა მსუქანმა მოხუცმა კაცმა. მოხუცი მოკლე-მოკლე, სწრაფ ნაბიჯებს დგამდა და ხელში ჯობი ეჭირა. ეტყობოდა, უჭირდა სიარული-ვამეხმა მზერა გააყოლა. მოხუცი ძლივს, ნელ-ნელა ავიდა სადგურის კიბეებზე და მიიშალა. როცა ის მიიშალა, ვამეხმა შეამჩნია გვერდით მჭდარი წვერგაუპარსავი, შავგვერდანი კაცი. მას მუხლებზე კალათი დაედო და ნაღვლიანი სახით იხედებოდა წინ, მორჩილად, მორიდებულად. მერე კალათიდან ქალაღში გახვეული პური და ძებვის ნაჭერი ამოიღო და ჭამა დაიწყო ისე მორიდებულად, თან ისე ხარბად, რომ ვამეხს გული ეტკინა და უცბად შეებრაღა საკუთარი თავიც და ყველა, ვისაც ხედავდა. ისეთი მწვავე სიმართლევ, ისეთი სიცივე შემოაწვა გულზე, რომ ნაღველი ყელში გაეჩხირა, სუნთქვა შეეკრა. მერე საღდაც გულამოსკვნით ატირდა ბავშვი. ქუჩის მეორე მხარეს სამხედროს კიტელიანი გამზდარი, ქალარა კაცი ცდილობდა ეზოში შეედენა ქუჩაში გამოსული ქათამი და

სასაცილოდ, უმწეოდ შლიდა ხელებს და დარბოდა ტროტუარზე. ბნელდებოდა და ვამეხმა თვალეზი დახუჭავს. მომცველი სიბრალულით აღივსო მთელი მისი არსება. ის გრძნობდა უჩვეულო სითბოს მოზღვავებას და ამ სრულებით უცნობმა შეგრძნებამ ელდასავით დაარტყა. ის გაეკირვებით ამჩნევდა თავის თავში სევდიანი, მწვავე, და ამვე დროს, რაღაცნაირად ტყბილი გრძნობის დაგუბებას, რაც მიმართული იყო მთელი გარემოსადმი, ყველაფრისადმი, რასაც ის ხედავდა, რომლითაც გამსჭვალული იყო ყველა საგანი, რომელსაც გრძნობდა ახლა და ეს შეგრძნება აუტანლად ტყბილს, აუტანლად ძვირფასს და აუტანლად დასანანს ხდიდა რაღაცას, რაც თითონ მასში იყო, თითონ ვამეხში, მაგრამ რასაც ბოლომდე ვერა სწევდებოდა და რაც ასე მოულოდნელად გაერთიანდა და მწვავე ტკივილად იქცა. ვამეხს ცრემლები ჩამოსდიოდა სახეზე, რადიოში კი ისევ გაისმოდა ნაღვლიანი საფორტეპიანო მუსიკა, როგორც ხმა მღალადებლისა უღაბნოსა შინა.

მერე მუსიკა შეწყდა და ეს განწყობა დაეკარგა ვამეხმა დაინახა, როგორ გამოვიდნენ სადგურიდან შამილა და მისი ამხანაგები და ინანა, რომ დარჩა ამ ქალაქში. ყველა ისინი მოეჩვენა საბრალო, უმწეო ადამიანებად, რომლებიც სულ რაღაც ოცდაათი, ორმოცი წლის შემდეგ საცოდავი მოხუცები იქნებიან, ან დაიხოცებიან. თვითონ შამილაც ჯობით დაიწყებს ჩაქაქს, როგორც ის მსუქანი მოხუცი კაცი, რომელმაც წელან ვამეხის წინ ჩაიარა და სადგურის შენობაში შევიდა. ვინ იცის, რა ბიჭი იყო ის მოხუცი წინათ? მაგრამ ახლა ძლივს დადიოდა... დაღება წუთი, როცა შამილასაც დღევანდელი დღე სისულელედ მოეჩვენება და ეგონება, რომ შეიგრძნო ცხოვრების ნამდვილი აზრი, მაგრამ უკვე გვიან იქნე-



ბა. გარკვეულ დროს ყველა ზედება, როგორ უნდა ეცხოვრა, ან როგორ უნდა იცხოვროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ზდება მაშინ, როცა უკვე შეუძლებელია იმისი განხორციელება, რაც გინდა და, გარდა ამისა, ყველანი ზელს უშლიან ერთმანეთს, რადგან ხალხი სხვადასხვა წარმოდგენისაა ქვეყნის რაობისა და ქვეყნარტების შესახებ, ხოლო ცხოვრების სინამდვილეს მაშინ შეიცნობენ ზოლმე, როცა ბრძოლისაგან იღლებიან, როცა აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლიათ, რადგან განვლილია სიცოცხლის გზა. რამდენადაც დიდია მსგავსება ადამიანებს შორის იმდენადვე დიდია განსხვავება, და, როცა ერთს ერთი გარკვეული რაღაც სურს, მეორეს სულ სხვა სურვილები აწუხებს. იქნებ ამის გამოა ზოგჯერ ასე ცუდი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი? იქნებ პირველყოფილი ნათელი სიმარტივისაგან დაშორება იწვევს ამას?

ვამეხი უყურებდა შამილას და მის მეგობრებს, რომლებიც მიდიოდნენ ქუჩაში სულ უფრო შორს, და ვერაფრით ვერ გარკვეულიყო რა გრძნობა ჰქონდა მათ მიმართ. მერე ვამეხი წამოდგა და გაიგონა, რომ ვიღაცამ დაუძახა.

9

ეს იყო იასონი. მან ვადმოჭრა მოედანი და ვამეხს მიუახლოვდა. სიარულში ეტყობოდა, რომ ნასევამი იყო. ვამეხს ეცნო მისი სახე, მაგრამ ვერ მოიგონა საიდან ახსოვდა და ამიტომ დაიძაბა. იასონი ვამეხის წინ გაჩერდა და მორიდებულად გაიღიმა. ის მთელი თავით მაღალი იყო ვამეხზე.

— ბოდიში, რომ დაგიძახე, — თქვა მან.

— არა უშავს, — უთხრა ვამეხმა ვამეხი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე, ან რა უნდა შიშხდარიყო, და დაძაბული იდგა.

— მართალია, შენ მე არ მიცნობ, მაგრამ მე ვიცნობ, — თქვა იასონმა. ვამეხი ჩემად შესცქეროდა.

— მე იასონი მქვია... წამოდი, ცოტა გავიაროთ, თუ გცალია...

— აქვე მითხარი, რა გინდა? იასონმა გაიღიმა.

— ჰმ, — ჩაახველა მან, — აღისას იცნობ?

— აღისას?

— ჰო, შენ რომ გადაგარჩინა, საავადმყოფოში მუშაობს.

— ვიცნობ.

— ჰმ, — კიდევ ჩაახველა იასონმა, მერე უხერხულად გაიღიმა, — ბოდიში რომ გაწუხებ, სადმე ხომ არ გჩქარება?

— არსად არ მეჩქარება.

— რაღაცა მინდოდა შენთვის მეთქვა... აღისასთან არის დაკავშირებული ეს ამბავი და...

ვამეხს უცებ ნათლად მოაგონდა, რომ ეს ის ხუჭუტთმინი ბიჭი იყო, რომელმაც ერთხელ ველოსიპედით ჩაიარა გზაზე, მიტოვებულ ეკლესიასთან და წინ, ველოსიპედზე ვიღაც ლამაზფეხებიანი ქალი ეჯდა. ეტყობა, ის ქალი აღისა იყო. ვამეხს ბუნდოვნად მოაგონდა ქალის სახე და მიხვდა, რომ სწორედ აღისა უნდა ყოფილიყო. როგორც კი მეხსიერებაში მივიწყებული სახეები აღადგინა, დაძაბულობამ გადაუარა.

— მითხარი, რაც გინდა, სიამოვნებით გისმენ, — უთხრა იასონს.

იასონს შეეტყო, რომ გაუხარდა.

— წამოდი, თუ ძმა ხარ, ეგერ სასადილოში შევიდეთ და იქ ვისაუბროთ, ქუჩაში უხერხულია.

მათ გადაქრეს მოედანი, გაიარეს სადღურიდან ქალაქისაკენ მიმავალი უკვე საკმაოდ ჩაბნელებული ქუჩა, მერე უფრო ვიწრო ქუჩაში შეუხეიეს, სადაც ქვაფენილი რატომღაც აყრილი იყო, და პატარა, ჭუჭყიან სასადილოს მიაღწენ. ისონი შეუძღვა ვამებს. სასადილოში მებუფეტის გარდა არაფერი იყო და მომტანის მოვალეობასაც ის ასრულებდა. ისონმა გადასწია ერთადერთი კაბინეტის ფარდა, შეიპატრვა ვამები და ორივენი დასხდნენ მაგიდასთან, რომელზედაც დანაყილი ქვამარილით სავსე სამაროლე იდგა. მერე ისონი გავიდა, ისმოდა როგორ აძღვედა შეკვეთას დაბალი ხმით მებუფეტეს, და ისევ დაბრუნდა. ვამები ჩუმად იჭდა და ფიქრობდა იმაზე, თუ რაში უნდა ყოფილიყო საქმე, რა უნდოდა იასონს. ცოტა ხნის მერე მომტანმა ორი ბოთლი ღვინო, პური, მწვანილი და ლობიო მოიტანა. ისონმა ჭიქები გაავსო და პირველი სადღერგებლო ერთმანეთის გაცნობისა დალიეს. მერე პაპიროსი გააბოლეს.

— მოდი, კიდევ დაელიოთ, — თქვა ცოტა ხნის მერე ისონმა და კიდევ დალიეს.

ამის შემდეგ ვამებმა სახეში შეხედა ისონს და უთხრა:

— მითხარი, რაც სათქმელი გაქვს!

— ეს ცოტა ძნელი ამბავია, არ ვიცი, როგორ დავიწყო... — თქვა ისონმა.

მერე ხელმოკრედ გაავსო ჭიქები.

— ამით მოდი იმ საქმეს გაუმარჯოს, რომელ საქმისთვისაც შენ აქ ჩამოსულხარ.

— მე არავითარ საქმისთვის არ ჩამოსულვარ, შემთხვევით მოვხვდი ამ ქალაქში.

— მაშინ მოდი, იმ შემთხვევას გაუმარჯოს, რომელმაც ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედრა.

— გაუმარჯოს! — თქვა ვამებმა და სწრაფად გადაქრა.

— მე დრამურის ბელმძღვანელად ვმუშაობ კულტურის სახლში, — თქვა ისონმა, როცა ჭიქა დაცულა და ამოი-

სუნთქა, — ისე აქაური არა ვარ, სოხუმელი ვარ, იქ ოჯახი მაქვს და წელიწადნახევარია გადმოვედი.

ვამები ყურს უგდებდა.

— ჰე, რა ქალაქია სოხუმი! რამდენი ქალები მყავდა! ქალები არც აქ მაკლია. მაგრამ...

— ეშერში თუ ყოფილხარ? — ჰკითხა ვამებმა.

— როგორ არა!

— ფეიხოსს ხე გინახავს?

— კი?!

— დიდებული რამ არის ფეიხოსს ხე, — თქვა ვამებმა.

— კი, კარგია, — გაკვირვებით თქვა ისონმა და მერე ისევ განაგრძო: — ქალები არც აქ მაკლია. ზომ იცი, ჩვენი საქმე ასეთია, რომ... სცენა სულ სხვა რამეა... აღისას ზომ იცნობ?

— ვიცნობ.

— როგორი გოგოა?

— კარგი.

— მაგაზე თანამედროვე გოგო ამ ქალაქში არ არის... უკვე ერთი წელიწადია ჩემი საყვარელია.

ვამებს რატომღაც არ ესიამოვნა ეს სიტყვები, მაგრამ ამ უსიამოვნებას ყურადღება არ მიაქცია.

— არც აღისაა მთლად აქაური... აქ ზოგიერთები გიყვებიან აღისაზე, მე კი, სიმართლე გითხრა, უკვე მომწყინდა. მაგრამ ახლანდელ ხანს იმიტომ არ დავანებებ თავი, რომ ეგ ერთადერთი ქალია აქ, ვისაც შეიძლება კაცი დაელაპარაკოს. ვამები ჩუმად უსმენდა.

— ამ ერთი კვირის წინ ჩსუბი მოგვივიდა, მაგრამ ეგ არაფერი, შევრიგდებით. უჩემოდ ვერ გაძლებს. მაგას კულტურული ბიჭები ძალიან უყვარს, ამისთანები კი აქ ბევრი არ არის... არიან აქ, რა თქმა უნდა, წესიერი ბიჭები, მაგრამ ზოგი ცოლშვილიანია, ზოგი კიდევ, ზომ იცი პატარა ქალაქის ამბავი, აღისას კი არ უყვარს კულტურის თამაში. მე მაგისტოვი ვვლავზე შესაფერ კაცს წარმოვადგენ.

— თუ მართლა კულტურის სახლში მუშაობ, მაშინ უეჭველად კულტურუ-

ლი კაცი იქნები, — თქვა ვამეხმა თითქმის სერიოზულად.

— ჰო, — თქვა იასონმა ვამეხმის სიტყვების გაუზარებლად, — მაგრამ იცი, რაზე მოგვივიდა ჩხუბი?

ვამეხმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა.

— მაგას მე ნაძირალა და ლაპარაკი ვგონივარ, მაგრამ დავუშტკიცებ, რომ არ არის მასე საქმე! — რიხიანად თქვა იასონმა.

— ყოჩაღ! — თქვა ვამეხმა და გაიცივნა.

— იცი, რაზე მოგვივიდა ჩხუბი? — იკითხა ისევ იასონმა.

— არ ვიცი, — თქვა ვამეხმა.

— შენი გულისთვის!

— ჩემი გულისთვის?

— ჰო, შენი გულისთვის. ახლა პირდაპირ უნდა ვითხრა ურთი რამე, ვაქცურად... ჩამომართვი ხელი!

ვამეხმა ჩამოართვა და დაინტერესებულ სახით შეხედა იასონს.

— მე შენთან დამნაშავე ვარ! — თქვა იასონმა ღვინისგან გამოწვეული რიხით.

— რაში?

— ერთ რამეში, მაგრამ მთლად მტყუანი მინც არა ვარ... მე მინდა, შენ გამოვიგო, როგორც ვაქცამა ვაქცაცს. ვიცი, შენ ვაქცაი ხარ!

— თქვი, რაშია საქმე?

— ამ წუთში.

იასონმა ღვინო დალია და უფრო გათამამდა.

— მე, შეიძლება, ბევრ რამეში ვცდებოდე, მაგრამ ვერაფერ ვერ დამწამებს, რომ ლაპარაკი მსოფლიო ვიყო. ხომ დავიძახე ვაქცაურად და ხომ გეუბნები ყველაფერს პირში? დანაშაუნი შენი საქმეა, მაგრამ მე მინდა პირდაპირ ვითხრა ურთი რამე და იმედი მაქვს ვამიგებ, როგორც ვაქცაი ვაქცაცს, და აღისახა ვაგებინებ, რაც შენი ვაქცაობის კიდევ ერთი დადასტურება იქნება.

— კაცო, მე არაფერი დადასტურება არა მქირდება, — თქვა ვამეხმა, რომელსაც მოხეზრდა ასეთი გრძელი შესავალი, — თქვი ბარემ, რაშია საქმე.

— საქმე იმაშია, შენ რომ დავებრეს, ნაწილობრივ ჩემი ბრალია, — და უცბად იასონმა გამომცდურად თქვა: — ღვინოვანად შეხედა ვამეხმს თვალში.

— როგორ? — წყნარად იკითხა ვამეხმა.

— ხომ მომისმენ ბოლომდე? — წყნარად იკითხა იასონმა.

ვამეხმა თავი დაუქნია.

— რეზოს და იმ ბიჭებს მე ვუთხარი, რომ შენ ქალაქში იყავი... მაგრამ მაშინ მე შენ არ გიცნობდი, არ ვიცოდი, ასეთი კარგი ბიჭი თუ იყავი...

— ეგ შენ ახლაც არ იცი...

— არა, ახლა ვიცი, ახლა... — ხმას აუწია იასონმა.

— კარგი, გეყოფა, — გააწყვეტინა ვამეხმა, — მოყვი, რასაც ყვები.

— ხომ არ გეწყინა, რაც ვითხარი?

— ისევ ფრთხილად, მორიდებულად იკითხა იასონმა.

— არა, — ზიზლით გაიცინა ვამეხმა, მაგრამ იასონმა ეს ვერ იგრძნო.

— მე დავიანახე წინაღუდს ეკლესიასთან. მე და აღისამ ველოსიპედით ჩავიარეთ და შენ იქ, გზაზე, ანტონი რომაა, დიაკვანი, იმას ელაპარაკებოდი. პოდა, ურიათუბნიდან რომ დავბრუნდით, მე ვუთხარი ბიჭებს, სადაც განახე. იმათ დავიწყეს ძებნა და მეორე ღღეს ვიპოვნეს კიდევ ბაზართან...

— მერე?

— ამასე წამეჩხუბა აღისა. რატომ უთხარიო. ახლა მინდა გამოვიგო, როგორც ვაქცამა ვაქცაცს. მე შენ არ გიცნობდი, იმათ ვიცნობდი, ავდექი და ვუთხარი, რა ჩემი ბრალია? ა? მითხარი ერთი, დამნაშავე ვარ? თუ დამნაშავე ვარ, ბოდიშს მოვიხდი და რასაც გინდა, ვიზამ...

ვამეხმს ისევ გაეცინა.

— ხომ არ გეწყინა? — ჰკითხა ცოტათი გამხნეებულმა იასონმა.

— არა, — სრულებით გულწრფელად უპასუხა ვამეხმა და იგრძნო, რომ კი არ სწყინდა, უბრალოდ ეს კაცი არ მოსწონდა. ამას რომ არ ეთქვა, ვინმე სხვა ეტყოდა და, რაც მოხდა, მათნე მოხდებოდა.

ბოდა, რადგან ვამეხი არ ამირებდა დამალვას და, გარდა ამისა, რაც მოსახდენია, ის, ასე თუ ისე, მინც თავისთავად ხდება. ვამეხი გრძნობდა, რომ არაფერი არ სწყინდა, მაგრამ მინც ზიზღნარევი დაცინვით უყურებდა იასონს.

— აი, ამიტომ შეგაწუხებ, — თქვა იასონმა.

— ახლა რა გინდა? — ჰკითხა ვამეხმა.

— ახლა? — იასონს სახე დაემანჭა და ხელი აუკანკალდა, — ახლა ის მინდა, რომ... იასონს ენა დაება, — მე ის მინდა, რომ... — საოცრად საწყლად თქვა მან, — ალისასთან შემარიგო, — და უტბად, თითქოს გულზე მოეშვაო, თავისუფლად გააგრძელა საუბარი: — უფრო სწორად, წამომყევი ალისასთან, მინდა იმან ნახოს, რომ შენ ჩემზე არა ხარ ნაწყენი და, ესე იგი, მე შენთან ვაკაცურად მოვედი და გითხარი, რაც გავაკეთე...

ვამეხს გაეცინა.

— შენ მართლა არტისტი ყოფილხარ, ვიყვარს ის გოგო?

— სიყვარული რა შუაშია? აქ ვაკაცური პრეტეიის ამბავია.

ვამეხს ისევ გაეცინა.

— კარგი, მინც წამოგყვები... პრესტიჟი იყო!

ისინი აღვნენ და, როდესაც ვამეხმა დაინახა იასონის სახე იმ წუთში, როცა ის ფულს უხდიდა მედუქნეს, როდესაც მან დაინახა ნამდვილი, ნილაბჩამოცილებული სახე იმ ადამიანისა, სამინლად შეებრალა იგი.

10

გარეთ კი ამ დროს სასიამოვნო თბილი საღამო იდგა. სადგურიდან სამანევრო ორთქლმავლის ქშენა და კივილი მოისმოდა. სახლებში უკვე შუქი აენთოთ და ფანჯრებში მოჩანდნენ საშინაოდ, შილიფად ჩაცმული მცხოვრებლები, რომლებიც ამ საღამოს თავიანთ მყუდრო ოთახებში ატარებდნენ,

სადაც კედლებზე ლამაზად ნაქსოვი ხალიჩები ეკიდა, კუთხეში მდგომარეობდა ლეზური, დიდი ბუფეტების მაგივრად სხვადასხვა სახის ბროლიულები ეწყობო. სუფრაგადაფარებულ, ქათათა მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი და ხილით სავსე ლარნაკი იდგა, რადიომიმღებიდან ისმოდა ხმადამალი მუსიკა, კედლის საათი კი მშვიდად, მონოტონურად რეკავდა, ხანგამოშვებით არღვევდა ოთახებში გამეფებულ სიწყინარეს, აფრთხილებდა ამ მყუდრო ოთახების მცხოვრებლებს, რომ გარკვეული დრო გავიდა, რომ მათ სიმშვიდეს, მათ უზრუნველ აუღლებებელ ყოფას მოაკლდა რაღაც უხილავი ნაწილი, გავლილია თვალთ შეუმჩნეველი მთლიანობის რაღაც მონაკვეთი და ახლოვდება წუთი. როცა შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს მათ ცხოვრებაში. მაგრამ მობინადრენი, რა თქმა უნდა, ასე არ აღიქვამდნენ კედლის საათის ავისმომასწავებელ რეკვას. მათთვის ეს ხმა ყოველდღიურ, ჩვეულებრივ, არც თუ ისე საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა და ისინი მას ყოველგვარი ფილოსოფიური გაზრების გარეშე უღგებოდნენ, ცხოვრების პრაქტიკული საჭიროების მიხედვით აფასებდნენ. დროის სვლისადმი სწორედ ასეთი თვალსაზრისის გამო აუფორიაქებლად, მყუდროდ და მშვიდად მიედინებოდა მათი ცხოვრება და შორიდან სანატრელი იყო ეს ყოფა. ოჯახის ეს სიმყარე, ისეთი კაცისთვის, ვისაც არ ჰქონდა სახლი და კარი, არ ჰქონდა სულის სიმშვიდე.

მთავარ ქუჩაზე კი ნათურები ენთო და აქაც ხალხი გამოფენილიყო. ჭკუფ-ჭკუფად იდგნენ ახალგაზრდები და საუბრობდნენ, ერთობოდნენ, მაგნოლიის ძირს ჩამოწოლილ ტოტებქვეშ დასეირნობდნენ. ყველა წესიერი ოჯახის შვილი იყო და ამიტომ სუფთად, კობტად ეცვათ. კაცებს კისერზე ოთხად დაკეცილი ცხვირსახოცები ედოთ, ალბათ იმიტომ, რომ ოფლისა და გაქუქყიანებისაგან დაეცვათ პერანგის საყელო. დასეირნობდნენ ამაყად, თავიანთი

ღირსების სრული შეგნებით, და მათ შორის ზოგიერთს მართლა გააჩნდა რაღაც ღირსებები, ზოგიერთს კი ეს ღირსება მოღის მიხედვით შეკერილი ტანსაცმელი ეგონა და ეს ისე აშკარად იგრძნობოდა, რომ ძალზე სასაცილო იყო მათი ყურება. სასაცილო იყო მათი ზედმიწევნით წესიერი ჩაცმულობა. არც გავლა-გამოვლა, არც მიხვრა-მოხვრა არ ჰქონდათ თავიანთი ევროპული ტანსაცმლის შესატყვისი ამ ტანწერწეტა, მხრების რხევით, საკუთარი ღირსების სრული შეგრძნებით მოსეირნე ვაჟებს. მათ ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი უფრო დაშვენდებოდათ, მაგრამ ასეთ სიტყვაში ჩოხა-ახალუხის ჩაცმა, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა და ძნელიც რომ არ იყოს, ვინ იცავს ახლა საქართველოში ჩოხა-ახალუხს, გარდა თითო ოროლა, ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი მტკიცე ხასიათის მოხუცებისა, რომლებიც თავიანთ ჩვევებს ჯიუტად არ იშლიან, თუმცა ძირფესვიანად შეიცვალა ცხოვრება. კიდევ იცავენ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტები, რომლებიც კონცერტებზე გამოდიან ხოლმე ჩოხა-ახალუხით, ხოლო კონცერტის შემდეგ ისე არიან გამოპრანჭული ეს მომღერლები და მოცეკვავეები, რომ ევრეთყოდებულნი ღონღონელი დენდები გეგონებათ.

იმ საღამოს, სწორედ ასე საზეიმოდ გამოწყობილი ახალგაზრდები დასეირნობდნენ ქალაქის ქუჩებში. თეთრი, ქათათა პერანგები ეცვათ, ვაუთოებულნი შარვლები, წვრილცხვირიანი ფეხსაცმელები. დასეირნობდნენ უღარდელად, თავიანთი ცხოვრებით და დღევანდელი დღით კმაყოფილები, და შეიძლება სწორედ ამიტომ, არა მხოლოდ გარეგნული, არამედ შინაგანი განსხვავების გამოც, გამოირჩეოდა მათგან ვამები, რომელიც იასონთან ერთად მოაბიჯებდა შუა ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად მღვარ ხალხს შორის. მოაბიჯებდა თამამად, გრძელ, ფართო ნაბიჯებს დგამდა, თითქოს ეს მისი საკუთარი ქალაქი იყო და სრულებით არ ჰყავდა აქ მტრე-

ბი. გახუნებული შავი პერანგი დაქმტუნილი შავი შარვალი და ყუღბანი ფეხსაცმელები ეცვა, მაგრამ ვინაშნაშნა მტრე-ტო ამით განსხვავდებოდა აქაუთი ბიჭებისაგან, აქ ყველა კი არ დადიოდა გამოპრანჭული, არამედ ამგვარი რამეებისაღმი უგულისყურო, უპატივცემულო, გულგრილი დამოკიდებულებით, რაც არ შეიძლებოდა არ გეგრძნოთ, თუკი კარგად დააკვირდებოდი ვამებს. ის ზედმიწევნით გაპარსული იყო, ოქროსფერი თმა შუბლზე ჩამოყროდა და კისერზე აჩნდა გრძელი, იისფერი ნაიარევი, რომელიც მისი სახის, მისი თვალების სითბოს სრულებით ვერ შლიდა, თუმცა ქალაქში ამ სითბოს ბევრი ვერ ამჩნევდა და ვამების გამომეტყველებაში გამოწვევას, მუქარის მანიშნებელ ზედმეტ სიამაყეს ხედავდნენ. ასეც იყო, რა თქმა უნდა, შამილასთან ჩხუბის შემდეგ ასეც იყო. ახლა დაძაბული დადიოდა ვამები და ის გაფანტული. უყურადღებო მზერა, რომლითაც ათვალეირებდა თავის ჩამოსვლის პირველ დღეს ქუჩაში გამველე-გამომველებს, გაუქრა, მაგრამ მთლიანად ასე მინც არ იყო. მას არ შეეძლო მთლიანად შეცვლილიყო იმ ჩხუბის შემდეგ.

ზოგიერთებს თავიდანვე მოეწონათ და შეუყვარდათ ვამები. ახლა მათი სიმპათიები ვამებს ეკუთვნოდა. მაგრამ ისინი აშკარად არ ამბობდნენ ამას, რადგან, რაც არ უნდა იყოს, შამილას მინც ამ ქალაქში ცხოვრობდა და არ იყო ლამაზი ასე უცბად უცხო კაცს მიმხრობდნენ, რომელიც ზვალ თუ ზეგ შეიძლება სამუდამოდ წასულიყო ქალაქიდან და მხოლოდ მოგონება და ეტოვებინა, მტეტი არაფერი. შამილა კი აქ რჩებოდა, აქ ცხოვრობდა და არ ღირდა მასთან ურთიერთობის გაფუჭება.

მხოლოდ ელამი ძუკუ არ დაეძებდა ამას. მას ვამები უფრო მოსწონდა. შამილასი კი-სრულებით არ უშინოდა. ელამ ძუკუს არავისი არ უშინოდა. ის ახლა ურიათუბნის სასადილოში იჯდა და ქვიფობდა. მშვენეირ გუნებაზე იყო იმ საღამოს ელამი ძუკუ. გვერდით თაურის

ეჭადა, თავისი თანამშემწე. თაურია ჩვიდმეტე წლის ობოლი ბიჭი იყო. უკვე რამდენიმე წელია მას ყოველთვის ძუკუსთან ხედავდა ხალხი. აღარავის ახსოვდა მისი ნამდვილი სახელი. ბავშვობაში დიდი თავი ჰქონდა და ძუკუმ ამის გამო ზედმეტსახელად თაურია დაარქვა. მერე ეს სახელი ისე შეერჩა, ისე შეეჩვია ამ სახელს ყველა, რომ ახლაც თაურისა ეძახდნენ, თუმცა, როცა წამოიხარდა, მისი თავის სიდიდეს წინააღმდეგურად აღარ გეცემოდათ თვალში. თაურია ჩადსკენილი ბიჭი იყო. თმა სასაცილოდ ჰქონდა შეკრეპილი, ძალიან მოკლედ, მხოლოდ წინ, შებლზე დაეტოვებინა გრძელი ქაოჩი. მუდამ ილიმებოდა, თითქოს მუდამ კმაყოფილი იყო ცხოვრებისა. უყვარდა ხემრობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი ჰქონდა. ხშირად ამასხარავებდა ძუკუს, რაზედაც ძუკუ საშინლად ბრახდებოდა და თავში უპარტყუნებდა ან პანლურს სთავახობდა, გულს სიღრმეში კი ძალიან მოსწონდა. თაურია იცოდა, რომ ძუკუს მოსწონდა მისი სითამამე და ამიტომ სულ არ ეშინოდა ძუკუს გაბრახებისა და, როგორც კი დაწყნარდებოდა ძუკუ, თაურია თავიდან იწყებდა მასხრობას, მაგრამ არასოდეს გადადიოდა ზღვარს, ეს ჰქონდა, ეს მან იცოდა. სწორედ ამიტომ საუკეთესო მეგობრები იყვნენ ძუკუ და თაურია, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. თაურის მამა, ვალიკო გაბეჩავაც შოფერი იყო. მან ასწავლა ძუკუს მანქანის ტარება. ვალიკო გაბეჩავა კარგ, გამოცდილ შოფრად ითვლებოდა. თბუთმეტე წელი იმუშავა დამზადების კანტორაში ტონანახევრიანზე ისე, რომ ერთი, უმნიშვნელო ავარიაც კი არ შემთხვევია, მაგრამ შეიღო წლის უკან, როცა თაურია ათა წლის ბავშვი იყო და ვალიკომ ცოლშვილი წაიყვანა თავისი ტონანახევრიანით სოფელში, დასასვენებლად, არავინ იცის რა მიზეზის გამო, მანქანა ხევში გადაიჩეხა და ვალიკო და მისი მეუღლე იქვე დაიხოცნენ, თაურია კი, რაღაც სასწაულით გადარჩა. დარჩა ბავშვი ცოც-

სალი, მაგრამ უპატრონო. არავინ ჰეჭადა მასლომელი და ნათესავი ვალიკოს მეგობრები ინტერნატში დაიტოვებენ. მუშევრის მიხარებას, მაგრამ ძუკუ წინააღმდეგ წავიდა, სასტიკად გაბრახდა და თვითონ იკისრა ბავშვის აღზრდა. ძუკუ ამ დროს ოცდაორი წლის საკმაოდ ჰყუამხიარული ახალგაზრდა გახლდათ. მაგრამ ის თაურის მამის ერთგული მეგობარი იყო, თავს იმის მოწაფედ თვლიდა და თაურის ბედზე ყველაზე მეტად შესტკიოდა გული. მან ბავშვი თავის სახლში წაიყვანა. სამი წლის განმავლობაში, სანამ ძუკუს დედა ცოცხალი იყო, თაურისა ცხოვრება, ასე თუ ისე, ნორმალურად მიმდინარეობდა. დადიოდა სკოლაში, მართალია, გაკირვებით სწავლობდა, ზარმაცობდა, მაგრამ გაყვეთილების შემდეგ ყოველთვის შინ ბრუნდებოდა, დროზე ჰამდა და სვამდა და სუფთად, წესიერად ეცემა, როგორც ყველა მის ტოლ ბავშვს. მაგრამ ახალი ცხოვრების დაწყებიდან სამი წლის შემდეგ ძუკუს დედას, გულკეთილ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანმრთელ დედაკაცს, მალალი წნევის გამო ტვინში სისხლი ჩაექცა და, ყველასათვის მოულოდნელად, ორ დღეში გარდაიცვალა. ძუკუ და თაურია ისევ ობლად დარჩნენ. მაშინ ძუკუ ოცდახუთი წლის ყმაწვილი კაცი იყო. ძნელია ოცდახუთი წლის გამოუცდელი კაცისათვის ბავშვობიდან გარდამავალ ხანაში შესული ბიჭის აღზრდა. ძუკუ პირველ ხანებში ბევრს სვამდა, თავისი სამუშაოს მიზეზით ხშირად ვერ მოდიოდა სახლში და სისტემატური მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილმა თაურია სულ ატრია, სწავლას თავი მიანება და იმ წელიწადს იმავე კლასში დარჩა. ამას ისიც დაემატა, რომ შემოდგომაზე ელაში ძუკუ სვანეთში გაგზავნეს სამუშაოდ, სამი თვით, და, აი, მაშინ ძუკუმ გადაწყვიტა ბავშვი სკოლიდან გამოეყვანა და მისთვის შოფრობა ესწავლებინა. ეს იმიტაც მოსახერხებელი იყო, რომ ბიჭი ყოველთვის გვერდით ეყოლებოდა და მისი მოვლა-პატრონობა არ გაუქირდებოდა. მართლაც,

იმ დღის შემდეგ, რაც სკოლიდან გა-
ბოვიდა, ოთხი წლის განმავლობაში
თაურია და ძუძუ განუყრელად ერთად
იყვნენ. ხანდახან მთავარ ქუჩაზე სა-
შინელი სიჩქარით ჩააჭროლებდნენ თა-
ვიანთ მანქანას შეშინებული მოქალა-
ქეების თვალწინ, იმათ გულის გასახეთ-
ქად. ხან კიდევ შინისაკენ ფეხით მიიან-
ჩალებდნენ ხელიხელ გადახვეულები,
მთვრალეები და ღრიალებდნენ. ზოგი-
ერთებს, უფრო ხანში შეუტლებს, არ
მოსწონდათ ძუძუს ქარაფშუტობა, არ
მოსწონდათ, რომ ძუძუ ბავშვს ღვინის
სმას აჩვენებდა და საყვედურობდნენ კი-
დეც ძუძუს, მაგრამ ძუძუ ასეთ ზალბს
დაცინვით ისტუმრებდა და ჭიუტად
იმეორებდა თავისას: — ვაჟკაცმა უნდა
დალიოს, აბა? თითონ გაზარდონ უკე-
თესად, თუ შეუძლიათ. — ძუძუს მი-
ანდა, თუ კაცი ბევრ ღვინოს სვამდა,
უფრო დიდი ვაჟკაცი იყო, ვიდრე ის.
ვისაც ბევრი ღვინის დალევა არ შეეძ-
ლო. ამიტომ ცდილობდა თავიდანვე
შეეჩვია თაურია ღვინის სმას, რომ უფ-
რო კარგი ვაჟკაცი დამდგარიყო, გამო-
ბრძმედილიყო ცხოვრებაში. ძუძუს
თავში აზრადაც არ მოსდიოდა. რომ ასე-
თი გამობრძმედა მავნებელი იყო ბიჭის
ორგანიზმისათვის, ყოველ შემთხვევაში,
ჭერ ძალიან ნაადრევი იყო. მას მთელი
სულითა და გულით უყვარდა თაურია
და ყველაფერი კარგი, რაც თითონ
იყოდა, უნდოდა მისთვისაც ესწავლები-
ნა.

ახლა ისინი სსაადილოში იზბდნენ და
სვამდნენ. მათთან ერთად იყო ლევანი.
მალალი ტანის, წყნარი, მოწყენილი
ახალგაზრდა, იმ ეჭიმის შვილი, რომელ-
მაც ვამებს ქრალბა გაუყრა. ისიც
შოფრად მუშაობდა მეზობელ ქალაქში.
ურიათუბანში რაღაც საქმეზე ჩამოსუ-
ლიყო და შემთხვევით შეხვედროდა ძუ-
ძუს. ამათ გარდა, სსაადილოში კიდევ
იმ დღის კვირის დღის და კარგობა
ძუძუმ მათ ორი ბოთლი ღვინო გაუფხავ-
ნა. ისინი ჩუქვად სვამდნენ და თან თა-
ვიანთ საქმეებზე საუბრობდნენ. ძუძუ
სვანეთის ამბებს ივონებდა, სადაც ლე-

ვანთან ერთად მუშაობდა ამ რამდენიმე
წლის წინათ.

— გახსოვს, ლევან, ^{ნაგვენუსე} უნდა გეხსენებო-
ყალი ასტამური? — ამბობდა ძუძუ და
ელაში თვალეები უბრწყინავდა. სახეც გა-
წითლებოდა.

— კარგი ბიჭი იყო, — უდასტურებ-
და ლევანი.

— ისე, კაცმა რომ თქვას, არც კონია
იყო ცუდი ბიჭი, ა?

— რა უქირადა... არა, ცუდი კაცი არ
იყო.

— მითხარი, თუ ძმა ხარ, არ არის
უცნაურად მოწყობილი კაცის ცხოვ-
რება? — თქვა ძუძუმ.

— მაგათი სიკვდილი ნამდვილად უც-
ნაური იყო... ისე დაემთხვა ერთმანეთს...
— თქვა ლევანმა.

— შენ იცი, რაში იყო საქმე? — მიუ-
ბრუნდა ძუძუ ჩუქვად მჭდარ თაურიას,
— თუ არ იცი, ყური დამიგდე და გიტყ-
ვი, — ძუძუ თაურიასაკენ გადაიხარა და
სახეში მიანიჩრდა, — ასტამური და კო-
ნია ბიძაშვილები იყვნენ და ჩხუბი მო-
უვიდით რაღაც წერილმანზე, სწორედ
ორი დღის წინ, სანამ ეს ამბავი მოხდე-
ბოდა...

— რაღაც კამიკების გამო, — თქვა
ლევანმა, — რადგან ძუძუ ახლა მას
მიანიჩრდა.

— ჰო, — განაგრძო ძუძუმ, — ჰოდა,
ასტამურმა ხელი შემოკრა. იმ დამეს...

— ღაზე კი არა, საღამო იყო, — გა-
აწყვეტინა ლევანმა.

— მთვარის ვახშობის დრო იყო. —
გასწორა ძუძუმ და ისევ თაურიას შე-
ხედა საჩიში. — ხიშს რომ გამოცდა საწ-
ყალი კონია, მანქანა გადაუბრუნდა, იქ,
ერთ ადგილზე, საშიში მოსახვევია, ვნ-
გურის პირას, და ჩაიჩეხა, აბა?

— საწყალი, — თქვა თაურია.

— მაკალო, ჭერ არ დამითავრობია —
თქვა ძუძუმ და განაგრძო: — მეორე

*ღვინის გვეწყინა, სასწრაფოდ ფული შე-
ვაგროვეთ ბიჭებმა, ოჯახის დასახმა-
რებლად, ასტამურსაც ძალიან აკლი
დაწყდა, ნანობდა, რატომ ვაწყენინეო.*

იმ დღეს ასტამურიც წამოვიდა და ახლად აღამებულში, ზუსტად იმ ადგილზე გადაიჩეხა, სადაც წინა დღით საწყალი კოჩია ვადავარდა. ორივეს გვაში ერთად ეგდო მდინარის პირზე. არ არის ეს ბედნიერი?

— იჩხუბეს და ერთად კი მოკვდნენ, — თქვა ლევანმა და ახლა იმანაც თათრისა შეხედა, — ორივე ერთსა და იმავე ადგილას გადაიჩეხა.

— რა ჰქონდათ საჩხუბარი, რა ჰქონდათ გასაყოფი? ეჰ, კარგი ბიჭები იყვნენ საწყალები, — ამოიოხრა ძუკუმ, — იმათი ხსოვნა იყოს, — და გადაკრა. მერე წამოიღვა, ცხვირსახოცი თ ფლი შეიმშრალა კისერზე, ფანჯარაში გაიხედა, ვიღაცას დააკვირდა და გაიცინა. თათრია სწრაფად წამოხტა, გაიხედა ქუჩაში:

— თავისი ძმაკაცი დაინახა! — თქვა სიცილით და ისევ დაჯდა.

— ბიჭო, შენ ენა დაამოკლე, თუ არა... — თვალეზი გადაუბრიალა ძუკუმ.

თათრიამ უცხად სერიოზული სახე მიიღო. ძუკუ ისევ ფანჯარასთან იდგა.

— იმ ბიჭების ხსოვნა იყოს! — თქვა ლევანმა, დალია და ქიჭა დადგა, — ვის უყურებ? — იკითხა მერე.

ძუკუ დაჯდა. კიდევ ერთხელ დაუბღვირა თათრისა.

— შეირა იყო.

— ა, შეირა? კიდევ ცოცხალია?

— ცოცხალი კი არა, მაგის გულისთვის კინალამ დახოცეს ერთმანეთი.

— რატომ? — იკითხა ლევანმა. პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან და გააბოლა.

— შამილა მოთეთქვეს მეირას გულისთვის, — გაიცინა ძუკუმ, — მაგარმაგარი მოხედა ა, რას იტყვი შენ? — ძუკუმ თათრისა შეხედა. თათრიაც იციწინოდა.

— ორი დღე ლოგინიდან ვერ დგებოდა, — თქვა თათრიამ სიცილით.

— შამილა სცემეს? — გაუკვირდა ლევანს და ბოლი გამოუშვა ნესტოებიდან. — ვინ სცემა?

— ვინ არის ვითომ შამილა, რომ ეგ ვერ სცემონ? — იკითხა ძუკუმ.

— მკობნის მკობნი არ უნდა იყოს შამილა? — იკითხა ლევანმა.

— რაში იყო და მეირას აწვალე ბნენ თურმე ქუჩაში, ხო იცი... ჰოდა, ერთი ბიჭი იყო აქ ჩამოსული, ვამეხსოვება... — ძუკუმ თათრისა შეხედა და ჰკითხა: — არა?

— ჰო!

— ჰოდა, ეს ბიჭი გამოექომაგა და შენს შამილას ორი ისეთი სცეცხლა, რომ ძლივს წაათრეის სახლში...

ძუკუმ გადაიხარხარა.

— ეს არ ვიცოდი, — თქვა ლევანმა.

— ვითომ რატომ უნდა აწვალონ მეირა, მეირა ადამიანი არ არის? — წამოიძახა ძუკუმ.

— რა თქმა უნდა, ადამიანია, ცოდვა...

— ჰოდა, ყბებიც მოუნგრეის შამილას.

— მერე შეარჩინა შამილამ?

— მეორე დღეს დასტერეს ის ბიჭი საპარიკმაზეროში. ახლაც საავადმყოფოში წევს...

— ო, ეს არ არის კარგი ამბავი. სადა თურია?

— არ ვიცი,

— მძიმედ დასტერეს?

— კისერში, — თქვა ძუკუმ, — წინა დღეს მე ვუშველე. პანჯანაში ჩავსვი და ქალაქიდან გავიყვანე. მეორე დღეს ბაზარში გამოსულა, ხომ იცი, უცხო კაცის ამბავი, უკნიდან მიეპარნენ და ისე დასტერეს. მამაშენმა გადაარჩინა. მამაშენი რომ არ ყოფილიყო...

ლევანმა თავი ჩაღუნა.

— მოდი, მამაშენის სადღეგრძელო დავლიოთ, — თქვა ძუკუმ, — თქვენი ამბავი თქვენ იცით, მაგრამ ჩემი ჰკუთით ძალიან კარგი კაცია, ექიმი ეგეთი უნდა, გაუმარჯოს კოწიას!

ლევანი თავჩაღუნული იჯდა. ლევანი კოწიას შევილი იყო, სწორედ იმ ქირურგის, რომელმაც ჰრილობა გაუყვარა ვამებს.

ვინ არის ისეთი ამ ქვეყანად. რომ

ყველა მადლიერი ჰყავდეს? არ არსებობს ადამიანი ყველასთვის ერთნაირად სასიამოვნო. თვით ყველაზე კეთილ, ყველაზე სამართლიან, ლამაზ ან ნიჭიერ კაცს, არ შეიძლება ერთი ვინმე მაინც არ ჰყავდეს უმადური, უკმაყოფილო, თუ უფრო მეტი არა. ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება. არ არსებობს ადამიანი აბსოლუტურად კარგი ან აბსოლუტურად ცუდი. ისიც კი, ვინც უმრავლესობის მიერ აბსოლუტურად ცუდ კაცად ითვლება, ვიღაცას მაინც უყვარს, ვიღაც ერთი მაინც ხედავს მასში რაღაც კარგ თვისებას. ამიტომ ადამიანის სიკარგისა და სიცუდის განმსაზღვრელი მათი საქციელი კი არ არის, არამედ ის სიყვარულია, რომელსაც ისინი იწვევენ ხვებაში. რაც უფრო გიყვარს კაცი, მით უფრო კარგად გეჩვენება და ვინც არ გიყვარს, ის უფრო ცუდად. მაგრამ რა იწვევს სიყვარულს? სიყვარულს იწვევს ამ ადამიანის ბუნებისა და ხასიათის გამოვლინება და თქვენი ბუნების, თქვენი ხასიათის შეთანხმება ამ გამოვლინებასთან. ეს გამოვლინება ხშირად საქციელში გამოიხატება, ზოგჯერ კი — არა. საქციელი ყოველთვის არ განსაზღვრავს ადამიანის ბუნებას. სიტყვები და მოქმედებაც კი, ზოგჯერ სრულიად არ გამოხატავენ კაცის ნამდვილ მისწრაფებას. ბევრი ინაღბება ცხოვრებაში შეგნებულად თუ შეუგნებლად. მაგრამ სიყვარული იმდენად მგრძობიარე რაშეა თავისი არსით, რომ არასოდეს არ ტყუვდება იმ საგნის შეფასებაში, რომლისკენაც მიმართულია. აქ ლაპარაკია თავისუფალ სიყვარულზე, სიყვარულზე, რომელიც არ არის დამოკიდებული არც სქესზე, არც ინსტინქტზე. ბოლოს და ბოლოს, კარგი კაცია ის, ვინც უმრავლესობას უყვარს, თუმცა ლეგენდის შექმნა პიროვნების შესახებ ყოველთვის შეიძლება. მაგრამ არც ის არის მიზანშეწონილი, რომ უცადო დროის სვლას, რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს.

ლევიანის მამა, კოწია, ამ ქალაქში უმეტესობას უყვარდა. ყველას ესმარე-

ბოდა, ყველას შეელოდა, რამდენადაც შეეძლო. პატიოსან, სამართლიან, ყველა და განათლებულ კაცზე ღირსეულად. ასეთი იყო საერთო აზრი. კარგ ინტელიგენტად მიაჩნდათ, რადგან ამ ქალაქში ინტელიგენტობა სულისა და გონების კეთილშობილურ თვისებად კი არ ითვლებოდა, არამედ სოციალურ მდგომარეობად. მაგრამ რატომღაც ამ კაცის შვილი, მისი ერთადერთი ვაჟი ლევანი, უკვე რამდენიმე წელია ოჯახისაგან განცალკევებით ცხოვრობდა, არ ჰქონდა ურთიერთობა მშობლებთან. რა იყო ამის მიზეზი? რა იყო მიზეზი იმისა, რომ ინტელიგენტური ოჯახის წარმომადგენელი, საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა, უბრალო მოფერი გახდა? ხშირად უჭირდა, ხშირად მშვიერი და მწყურვალი დაიარებოდა, ბავშვობის მიზნებსა და ოცნებებს ვერ მიაღწია, ვერ ისწავლა, მისი კეთილი, პატიოსანი მშობლები კი, რომლებიც, მათივე სიტყვით, ყველას გადაყოლილნი იყვნენ ამ ქალაქში, ყურადღებას არ აქცევდნენ, არ ესმარებოდნენ მტკიცედ დამდგარიყო ფეხზე. გამოსულიყო ცხოვრებაში. ძნელია თქმა იმისა, თუ რა იყო ამის მიზეზი, რადგან მიზეზი ბევრი იყო.

კოწია მრავალრიცხოვან, ღარიბ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი ლოთი, ჭირვეული, მოჩხუბარი კაცი ყოფილა. ასე ამბობდნენ მოხუცები, რომლებიც იცნობდნენ მას და ჭერ კიდევ აბსოვდათ. კოწიას მამას, თურმე, არ ენაღვლებოდა ოჯახიც და შვილებიც. მხოლოდ ღვინო უყვარდა და ღვინისა და სიღარიბისაგან სისტემატურად გაღიზიანებული, ერთხელ ჩხუბში მოკლეს. კოწიასა და მის დაძმას შორის მუდამ დაძაბული, უხეში, საკმაოდ უცნაური ურთიერთდამოკიდებულება სუფევდა. მან უზნერვიულემაულ ახალგაზრდებს შეეძლოთ ყოველ წერილმანზე დაეკმათ ერთმანეთი; — გაუთავებლად ჩხუბობდნენ, იღრინებოდნენ, უკარგავდნენ ერთმანეთს ხალისს, უსპობდნენ სილაღს, უმწარებდნენ ცხოვრებას. კოწია თავიდანვე მიხვდა, რომ თუ ამ წრეში ღარ-

ჩებოდა, გერასოდეს გახდებოდა კაცი. მის დატოვა ოჯახი და თბილისს მიაშურა სასწავლებლად. უმაღლესი დამთავრა და რამდენიმე წლის შემდეგ მშობლოურ ქალაქს დაუბრუნდა, როგორც ექიმი. ახლა ყველაფერი შეიცვალა მისთვის. ახლა ის საზოგადოების პატივცემული წევრი გახდა. იმ დროს, როცა უმაღლესდამთავრებული ხალხი ცოტა იყო ჩვენში, ექიმობა უცხო ხილი იყო და მათ განსაკუთრებულ პატივს ცემდნენ და კოწიაც თავისი ოჯახისა და ნათესავებისათვის, თავისი ამხანაგებისათვის სათაყვანებელი კერა გახდა. ქალაქში ახლად გაბნეულ საავადმყოფოს მთავარ ექიმად დანიშნეს, ყველანი პატივს სცემდნენ, ყველანი ყურს უგდებდნენ მის სიტყვას. კოწია მიეჩვია განსაკუთრებულ ყურადღებას, დაავიწყდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ისეთი, როგორც ყველა. დაავიწყდა, მხოლოდ იმით გამოირჩეოდა სხვებისაგან, რომ ექიმობა იყო. რა თქმა უნდა, მისი პროფესია თავისთავად დიდად დასაფასებელია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კოწია სხვებზე მაღლა იდგა თავისი ბუნებით, სხვებზე უფრო ვაჟკაცი იყო, სხვებზე უფრო კეთილი, უფრო ქვიანი და გამობრძმედილი ცხოვრების საკითხებში. მის ირგვლივ მოულოდნელად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ კოწიამ თავი არაჩვეულებრივ ადამიანად წარმოადგინა. თუმცა არასოდეს ავიწყდებოდა, რომ იმ პირებთან, რომლებიც, კოწიას აზრით, იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისაში, მორიდებულად, თავმდაბლურად დაეკირა თავი. მაგრამ იმათთან, ვინც კოწიაზე დაბლა იდგა თავისი საზოგადო მდგომარეობით, კოწია ქედმაღალი, ამაყი, უკადრისი იყო, არ შეეძლო არ დაენახებინა მათთვის თავისი უპირატესობა. თავისი პიროვნული ღირსება, რაც უმაღლე უჭრებოდა, როგორც კი უფროსებთან ექნებოდა საქმე. მაგრამ კოწია ამას ვერ ამჩნევდა, იმდენად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა უფროსთან — თავდაბლობა და უმცროსთან — ქედმაღლობა. არ იცოდა,

რომ საჭიროა ყველასთან ერთობა იყო, ისეთი, როგორც ხარ კინამდევლებში. სწამდა, რომ სინამდვილეში იყო, როგორც წარმოდგენა ცხოვრება და კეთილად განწყობილ ნათესავებს. მათ კი გულწრფელად მიაჩნდათ კოწია არაჩვეულებრივ კაცად, ოჯახისა და ნათესავების სიამაყედ. სწორედ ამიტომ, კოწია ვერ იტანდა უბრალო წინააღმდეგობას, შეკამათებას. მას მიაჩნდა, რომ მისი ყოველი მოსაზრება ცხოვრების ყოველგვარ საკითხზე უყოყმანოდ უნდა მიედოთ. კოწია ზოგჯერ ძალზე ფიცხი და ჯიუტი იყო, თუმცა ბუნებით რბილი და არამტკიცე ხასიათი ჰქონდა. საერთოდ, ეს იყო კეთილი, გულწრფელი კაცი, მაგრამ დაბნეული მდგომარეობის მიერ. ვერ ხედავდა თავის თავს ნათლად და უსაფუძვლო მიზნი ჰქონდა იმისა, რომ მთავს გაუყადრებდა უბრალო კაცს, თუ იყადრებდა უბრალო ხალხის საზოგადოებას, თითონაც უბრალო გახდებოდა. საკუთარი ვაჟი სვილის მიმართაც ასეთვე დამოკიდებულება ჰქონდა. კოწია თავს არ უყადრებდა მას და თავის სიმაღლიდან დასცილნოდა ზოგიერთ მის ბავშვურ გატაცებას. ლევან ბავშვობაში ლექსების წერა და ხატვა უყვარდა. როდესაც მშობლებს უჩვენებდა ხოლმე თავის ნაშუქებს, კოწია ირონიულად იღიმებოდა, დასცილნოდა ბავშვურ გატაცებას და ქარაფშუტობას უწოდებდა ამას. უნდა ითქვას, რომ მართლაც ქარაფშუტობად მიაჩნდა ლექსების წერა და ხატვა, თანაც ფიქრობდა, საკუთარი შვილის ნაჯღბანი რომ მოვიწინო. მის თვალში ჩემი მაღალი გეგმონება დაკნინდება, შეილახება. სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ხდებოდა. ბავშვი საერთო ენას კარგავდა მშობლებთან. შვილის შეფასებაში დედაც თავისი მეუღლის თვალსაზრისს იზიარებდა, რადიან შეუღლებავი იყო მისთვის ქმრის ავტორიტეტი, ის ყველაფერში სწორი და მართალი იყო ამ ქალის აზრით და ვერც იმისა, უსაზღვრო იყო მაღლივობა

გრძნობა იმ სიყვარულისათვის, რომელ-
მაც ის, უბრალო, გაუნათლებელი სოფ-
ლელი ქალი, ექიმის მეუღლე გახადა, ქა-
ლაქში ერთერთი ღირსეული და საპა-
ტავცემულო ქალი. ბავშვი კი არ იზიარ-
ებდა მისი მშობლების აღტაცებას სა-
კუთარი თავით, საკუთარი ცხოვრებით,
წიგნების საშუალებით გებულობდა,
რომ უფრო ღამაში და უკეთესი ცხოვ-
რება არსებობს და მაგალითს მშობლე-
ბისაგან კი არ იღებდა, არამედ იმ გმი-
რებისგან, რომელთაც წიგნებში ეცნო-
ბოდა. მშობლებზე უფრო ამ არარეა-
ლური გმირების ცხოვრება მოსწონდა
და ამიტომ არ ემორჩილებოდა მშობ-
ლებს. კრიტიკულად უყურებდა მათ,
რადგან მათ არ სწამდათ და არც ესმო-
დათ ბევრი რამ, რაც წიგნების მიხედ-
ვით კარგი და მისაბაძი იყო. რაც შეე-
ხება კოწიას და მის მეუღლეს, აზრადაც
არ მოსულიდათ, რომ საჭიროა შვილის
აღზრდა, მისი ყოველმხრივი მომზადება
მომავალი ცხოვრებისათვის. ასმევედნენ
და აჰმევედნენ, სკოლაში და მუსიკაზე
დაჰყავდათ, მეტი რა ექნათ? თათონ
ხომ ყოველივე ამას მოკლებულნი იყე-
ნენ - ბავშვობაში? თუ არ ისწავლის, კი-
სერი უტეხია! რა მათი ბრალი იყო, რომ
ამ უწყისო და ზარმაცვა ბავშვმა მუსი-
კას თავი დაანება, არც ცეკვამ უშველა,
არც არაფერმა. აი, ასეთი აუტანელი
ბავშვი იყო ლევანი. ის კი, რაც უფრო
მეტს ლანძღავდნენ, მით უფრო გულ-
ჩათხრობილი ხდებოდა. უხეშობას უხე-
შობით პასუხობდა და მშობლებსა და
შვილს შორის უნდობლობისა და უპა-
ტივიემულობის უფსკრული გაითხარა.
ყოველგვარ სასჯელს ბავშვი უადრესად
მძიმედ განიცდიდა და იტანჯებოდა. ლე-
ვანი, თუმცა ბავშვი იყო, ინსტინქტურად
თუ ქვეცნობიერად მაინც გრძნობდა,
რომ არ იყო ზნეობრივად ისეთი მახინ-
ჯი და ავი, ვულჩათხრობილი, როგორც
მის მშობლებს მიაჩნდათ და აკრთოვე
ახლო ნათესაებს, რომლებიც, რა თქმა
უნდა, მშობლებს გადმოაცემით და ხათ-
რით, ნერვოზულ, უზნეო ბავშვად თვლი-
დნენ ლევანს და ყოველთვის ეჭვიანად.

გამომცდელად უყურებდნენ, რასაც ბავ-
შვი გრძნობდა და სულ უფრო უტყუ-
ლებოდა წარმოდგენა თავის არასრულ-
ყოფილობაზე.

ეს იყო ძალიან მძიმე წლები და ლე-
ვანს ახლაც კი არ სიამოვნებდა იმ წლე-
ბის მოგონება, ახლა, როცა ამდენი დრო
გავიდა იმ ამბების შემდეგ. მეორე კი
სხვა დრო დადგა. როცა თერამეტი წლის
შეიქნა, ერთერთი მორიგი კონფლიქტის
შემდეგ, ლევანმა სააუღამოდ მიატოვა
ოჯახი, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა
ოჯახთან და იმ ნათესაებთან, რომლე-
ბიც განუწყვეტლივ კიცხავდნენ და თა-
ვისუფლებით დატკობობის საშუალებას
უსპობდნენ. დაიწყო დამოუკიდებელი
ცხოვრება. ახლა კი ნამდვილი ბედნიე-
რება, ნამდვილი თავისუფლება იგრძნო.
იგრძნო, რომ თავისუფალია და რომ
მის ირგვლივ ყველა აღამიანია. ახლა
აღარ არსებობდა ის ხელოვნური ზღუ-
დეები, რომლებიც ბოკავდა მთელი
ცხოვრების მანძილზე. მას შეეძლო, რაც
უნდოდა, ის ჩადენილი, ვისაც უხელოდა.
იმას დამეგობრებოდა, აღარ ეშინოდა,
რომ ამით ჩრდილს მიაყენებდა მამის
ავტორიტეტს, რომელიც არასოდეს არ
სწამდა. მას არ სწამდა, რომ მამამისი
ღირსეული. ქვეყანი და ყოველთვის მა-
რთალი კაცი იყო. მაგრამ ახლა ამაზე
აღარ ფიქრობდა. მიუხედავად ბევრი
გაპირებებისა, კმაყოფილი იყო თავისი
ახალი ცხოვრების. ახლა სირცხვილად
არ ჩაეთვლებოდა, რომ სასაღილოში შე-
სულიყო და უბრალო ბიჭებთან ერთად
უცელი, ან იმ გოგოს გააჩნებოდა,
რომელიც ძალიან მოსწონდა, თუმცა ის
ღამის დაარაჯის შვილი იყო. ახლა ქვე-
ყანა მისთვის გაიყო პატიოსან, კე-
თილშობილ და არაკეთილშობილ ხალ-
ხად, და არა ცხოვრებაში გამოსულე-
ბად და გამოუსვლელებად, როგორც
მის ოჯახში იყო მიღებული. მაგრამ ხან-
დახან მაინც აბრზობდა სევდა, ბოღმა,
გული წყდებოდა, რომ ყოველთვის მო-
ლებული იყო სიბოძის და, როდესაც
სხვა აღამიანების ურთიერთობაში ხე-
დავდა ამ სიბოძის, თვალზე ცრემლი

აღგებოდა, ეგონა, რომ ძალიან დაიხავრა ცხოვრებაში. ამ რწმენამ მელანქოლიისაყენ მიღრეკილება განუვითარა. სწყინდა, რომ მელანქოლიური იყო, მაგრამ მერე სადაც, რომელიც ფილოსოფოსის ნაშრომში წაიკითხა, რომ მელანქოლია ყველაზე ამაღლებული, ყველაზე კეთილშობილური განწყობაა და სიამაყე იგრძნო თავისი მარტოობით. ეამაყებოდა მარტოობა. ყოველგვარ ხალხში ათქვეფდას, კეთილშობილური სიმარტოვე ეჩინა. ჩაფიქრებული და მოწყენილი დადიოდა, სიხარულსაც ჩუმად გამოხატავდა. მაგრამ რა ბობოქარი ბედნიერებით იყო ზოლმე აღსავსე, როცა ბუნების წიაღში აღმოჩნდებოდა, სადაც ავიწყდებოდა თავისი ვინაობა, ავიწყდებოდა ვინ იყო, რა იყო, საიდან მოვიდა, რა ერქვა, რა ენაზე ლაპარაკობდა, ვისი შვილი იყო. ის გრძნობდა, რომ იყო ადამიანი, ისეთივე ორგანული ნაწილი ამ შეუცნობელი სამყაროსი, როგორც ხე, ქვა, წყალი... ის გრძნობდა, რომ იყო შვილი ქვეყნისა და შექმნა იმავე კანონმა, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ხმელეთი, მთები და ველები, ტყე და ცხოველები, ყველაფერი, რაც შექმნილია. ასეთ დროს უფრო ახლობელი, უფრო საყვარელი და გასაგები ხდებოდა მნიშვნელობა ყველაფრისა, რასაც ხედავდა, რასაც განიცდიდა. ის გრძნობდა თავის ყოფიერებას და ტკებოდა ამით, რადგან ეს შეგრძნება ავიწყებდა თავის ყოფა-ცხოვრებას, რომელიც საოცრად წვრილმანად ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რასაც საკუთარი სიცოცხლის შეგრძნება აგრძნობინებდა. წამიერი იყო ეს განცდა სიცოცხლისა და ამიტომ უფრო დამაბული, საესე შთაბეჭდილებით. ის გრძნობდა, როგორ ცხოვრობდნენ ზის ფოთლები, როგორ მოჰქროდა ნიავი და ნიავი მისთვის იყო არა საკუთარი თავის გაზრებას მოკლებული უხილავი ჰეროს ნაკადი, არამედ რაღაც სიცოცხლით სავსე, როგორც ღმერთი, რომელიც აგრეთვე უხილავია, მაგრამ ყველაფერში იგრძნობა. ეს იყო უბედნიერესი წუთე-

ბი მის ცხოვრებაში და ასეთივე უბედნიერესი იყო ის წუთებიც, როცა მშვენიერად ამის გადმოცემას ცდილობდა ლექსად, ქალაღზე, ან საღებავებით ტილოზე, და ახერხებდა თავისი განწყობის გადმოცემას. მის მოშორებას თავიდან, მაშინ მცირე ხნით ბედნიერი იყო, იყო სასიამოვნოდ დაღლილი და დატლილი, სანამ ცხოვრება ხელშეწყობდ არ აავსებდა მის სულს, თავის რომელიც გამოვლინებით, ბუნების რომელიც საიდუმლოში ჩაწყვდომის სურვილით. ის იყო პოეტი და მხატვარი და პოეზიას და მხატვრობას დიდი ბედნიერება მოჰქონდა მისთვის. მაგრამ თავის ნაღვაწს არავის არ უჩვენებდა, არ ელოდა, რომ გაუგებდნენ და დაფასებდნენ. რადგან ბავშვობიდანვე შეჩვეული იყო ლანძღვას და გინებას, რაც ვინ იცის, იქნებ ნიქის მიმართ გაუცნობიერებელი შურით მოსდიოდათ მლანძღველებს. რომლებიც ასაკით ბევრად უფროსნი იყვნენ პატარა ბიჭზე. ზოგჯერ კი, როცა შეზარბოვდებოდა ლევანი, თავის მეგობრებს, შოფრებს და ხელოსნებს, იმ ხალხს, ვისთანაც უხდებოდა ტრიალი. საკუთარ ლექსებს უკითხავდა და აოცებდა, აცრემლებდა. ისინი კი, ვინც მის პატარა ოთახში მოდიოდნენ და აედლებზე ჩამოკიდებულ ნახატებს ნახულობდნენ, აღფრთოვანებული რჩებოდნენ, თუმცა სრულიადაც არ გაეცებოდათ მხატვრობა, მაგრამ თავიანთი უშუალობის წყალობით გრძნობდნენ. რომ ნიჭიერ კაცთან ჰქონდათ საქმე. ეს იყო სრულებით უპრეტენზიო ხალხი. მათ არ ეშინოდათ იმისა, რომ ლევანის ნამუშევრების შეფასებით საკუთარ გემოვნებას გამოამკლავებდნენ და შერცხვებოდნენ, რადგან, ზომ შეიძლება. ისეთი რამ მოსწონებოდათ, რაც არ იყო მოწონების ღირსი და ისეთი რამ არ მოსწონებოდათ, რაც ნამდვილად მოწონების ღირსი იყო? ამ ხალხს საკუთარი აზრები ჰქონდა და პირდაპირ ამბობდნენ, რა მოსწონდათ და რა არა. მათ გულწრფელ გაცემას იწყევდა ის ამბავი, რომ უბრალო, შოფერ-კაცს შე-

გმლო ასეთი მშვენიერი ლექსების შე-
თხზვა და ასეთი საინტერესო სურათების
დახატვა. მათ ეამყებოდათ ლევანის
ნიჭი, რადგან გრძნობდნენ, რომ ნიჭი,
სხვევ როგორც სილამაზე, შემოდან ემ-
ლევა კაცს, ეს ღვთის მიჭრ მონიჭებუ-
ლი მადლია, რადგან თითქმის ყველაფ-
რის გამომუშავება შეუძლია ადამიანს,
გარდა ნიჭისა. ნიჭი მხოლოდ ფილისტე-
რებს სძულთ და ეხარბებათ, ამათ კი
უყვარდათ ლევანი, რადგან არ იყვნენ
ფილისტერები. ლევანს უხაროდა, როცა
მეგობრები შეუჭებდნენ ლექსებს და
ნახატებს, და სწყინდა, როცა დაუწუ-
ნებდნენ.

ასეთი იყო ლევანი. ახლა ის თავჩაღუნ-
ული იჯდა ურიათუნის სასადილოში და
უსმენდა ელამ ძუკუს. უკვე ბნელდებო-
და. სასადილოს თეთრ კედელზე უც-
ნაური ჩრდილები დაცოცავდნენ. ძუკუს
ხელში ისევ ღვინით სავსე ქიქა ეჭირა.
მან უკვე შესვა ყველა სადღეგრძელო,
რომლებსაც სუფრის წესი მოითხოვდა.
ადღეგრძელა სამშობლო, მშობლები,
დედამამიშვილები, მეგობრები, სუფრის
წევრები, ამ სასადილოს მებუფეტე და
ოფიცინტები, ცოცხლები და მკვდრე-
ბი, ყოვლად წმინდა ანგელოზები და
ახლა შორეული წინაპრების სადღეგრ-
ძელოს დაღევას ამირებდა, რადგან ეს
სადღეგრძელო, რომელიც წესით უფრო
ადრე უნდა დაეღო, გვიან მოაგონდა.

— ჩვენ ვაქვაცი წინაპრები გვყავდა,
— ამბობდა ის, — პა, რას იტყვი. ლე-
ვან, რას ჩამოგიშვია ცხვირი?

— უდავოდ, — თქვა ლევანმა.

— ხომ გვყავდა ვაქვაცი წინაპრები?
— გვყავდა.

— ამა ეს არის საქმე? საპარკმახე-
როში უქნიდან მოეპარნენ კაცს და
დაჭრეს.

— ეს ჩვენი სირცხვილია, — თქვა
ლევანმა.

ძუკუმ ქიქა დადგა.

— მე უნდა ვითხრა შენ, ჩემო ლე-
ვან, რომ გაფუჭდა ჩვენი ქალაქი. ყვე-
ლა ძლიერის მხარეს იჭერს, სუსტს არა-
ვინ ეჭომავება, პირიქით, ჩავრავენ. იმა-

ზე მეტი რა გინდა, შე კაი კაცი, რომ
სიკეთე, კეთილი, პატივსიყვარული
გულუბრყვილობად, სისულელედად
ლევა. ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრე-
ბი? უკანიდან მიპარვას იკადრებდნენ,
ა? რას იტყვი, ლევან?

— რა ვიცი, ამა?

— რას ქვია, არ იცი?! მაგას რათ უნ-
და ლაპარაკი, რომ ასეთ ლაჩრობას,
ასეთ სულმდაბლობას მაშინ არავინ იკა-
დრებდა. ახლა კი, ის რეზოა თუ ჩემი ფე-
ხებია, გამოდის ხალხში და ტრაბახობს,
ვითომ დიდი ვაჟკაცობა ჩაიღინა. იმის
მაგივრად, რომ რცხვენოდეს — ტრაბა-
ხობს, შამილას გული უნდა მოიგოს. მაგ-
რამ მაგას მე ვუტირებ დედას, ჯერ არა
მაქვს დრო, თორემ...

— ჩვენი ქალაქი მართლა გაფუჭდა,
— თქვა ლევანმა.

— გაფუჭდა! — წამოიძახა ძუკუმ, —
აქ ვილაღ-ვილაღეებმა აიშვეს თავი, მაგ-
რამ არ გამოუვათ ის, რაც ჰგონიათ. მარ-
თალმა კაცმა უნდა გაიმარჯვოს, ასეთია
ბუნების კანონი. მე სიმართლე მიყვარს.
სიმართლე! — იყვირა ძუკუმ.

— სიმართლე კარგია, ძუკუ, სიმართ-
ლეს რა სჯობს!

— მიყვარს მართალი კაცი! ა იმ ბიჭს
ვენაცვალე, მეირას გულისთვის რომ
მთელი ქალაქი გადაიკიდა. ხომ შეეძ-
ლო არ ჩარეულიყო ამ საქმეში, მაგრამ
ვერ მოითმინა იმიტომ, რომ ვაჟკაცი
ყოფილა, თორემ ღირს მეირასთვის თა-
ვის გაწირვა?

— რატომაც არ ღირს, მეირაც კი-
ცია.

— რა კაცია მეირა, მაგრამ მაინც არ
უნდა დაჩაგრო. სუსტს ყველა მოერევა.
ამა, თუ ბიჭი ხარ, ძლიერს შეუბრძო-
ლე! — ძუკუმ მრავალმნიშვნელოვანი
პაუზა გააკეთა. მერე გააგრძელა: — ის
ბიჭი შეებრძოლა და მთელი ქალაქი გა-
დაიკიდა... კაცი ყოფილა, ვენაცვალე
სულში.

— რატომ მთელი ქალაქი? შენ ვის-
კენა ხარ, ძუკუ?

— მე იმ ბიჭისკენა ვარ, ამას რად
უნდა კითხვა. მართალია ჩამოსულია,

უცხო კაცია, მაგრამ მე მაინც იმისკენა ვარ, რადგან ის მართალია.

— მეც იმ ბიჭისკენა ვარ, თუმცა არც ვიცნობ, — თქვა ლევანმა, — რამდენია კიდევ ჩვენი სანა?

— ბევრია.

— ესე იგი, ჩვენს ქალაქში კარგი ხალხიც ბლომად ყოფილა?!

— კარგი და ცუდი ყველგან არის, ყველა ქალაქში და ყველა ოჯახში, მაგრამ მე ის მწყინს, რომ ცუდები ჩაგრავენ კარგებს. გაფუქდა ჩვენი ქალაქი!

— ყოველთვის ასე ხომ არ იქნება? მოდი, კარგ ხალხს გაუმარჯოს, ძუკუ! — ხელში ჭიჭა აიღო ლევანმა და მაგიდისკენ წამოიწია, — მოდი, გაუმარჯოს გულკეთილ და მართალ ხალხს, რას იტყვი?

— კარგი სადღეგრძელოა, რა უნდა ვთქვა? — ძუკუმაც აიღო ჭიჭა ხელში და მეორე ხელი გაშალა, — ოღონდ მე ერთ რამეს დავუმატებ, — თქვა მან: — გაუმარჯოს ყველა კარგ კაცს, იმ ბიჭის თამალობით, რომელიც ახლა სააჯადმყოფოში წევს, მაგრამ მალე გამოიჭობინდება, ვამეხს ქვია, არა? — მიუბრუნდა ძუკუ თურჩას.

თურჩას თავი მაგიდაზე დაედო და ეძინა.

— ბიჭოს, ამას დაუძინია! — განცვიფრდა ძუკუ.

— ცოდვია, ეძინოს, ალბათ, დაილალა.

— დაილალა კი არა, სმა არ შეუძლია აწიე, ბიჭო, თავი! — იყვირა ძუკუმ, მხარზე დაადო ხელს და შეაჯანჯლარა, მაგრამ ვერ გამოაღვიძა.

თურჩია შეიშმუშნა, რალაც ჩაიბურღლუნა და ძილი განაგრძო.

— დალიე, ძუკუ! — თქვა ლევანმა.

— რას ვამბობდი? ჰო, გაუმარჯოს ყველა კარგ კაცს ვამეხს თამალობით, — თქვა ძუკუმ და გადაკრა.

— გაუმარჯოს ყველას, ვამეხს თამალობით, — თქვა ლევანმაც.

ისინი კიდევ კარგა ხანს ლაპარაკობდნენ. როცა სასადილოდან გამოვიდნენ.

მთვრალეები იყვნენ და ბარბაცებდნენ. კარებამდე გამოაცილა თურჩის საფრანგო ოფიცინანტი, რომელიც ძუკუმ სამჭკერ გადაკაცა. ბნელოდა. მთვარე ჭერ არ ამოსულიყო და ქუჩაში გავრელები უცნაურ, არააქვეყნიურ ამრდილებს ჰგავდნენ. თურჩია ზურგით ხეს მიყრდნობოდა, ხელები გულზე დაეკრიფა და მოწყენილი სახით გასცქეროდა ბნელ ცას. ძუკუ თავისი მანქანის საკეტთან მჯდარ ლევანს ელაპარაკებოდა. მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ლევანმა მანქანა დაძარა. ძუკუმ ქუჩა გადაკრა და თავის მანქანას ამოუფარა. გაისმა დაქუეული წყლის შხრილი. მერე სიჩუმი ჩამოვარდა. ცოტა ხნის მერე ძუკუს ჩახლჩილი ხმა გაისმა.

— თურჩი!

სასადილოში სკამებსა და მაგიდებს ბრახუნით ალაგებდნენ.

— თურჩია! — გაისმა ისევ ძუკუს ხმა.

თურჩია ჩუმად მიუახლოვდა მანქანას და ძუკუს გვერდით დაჭდა.

— სად იყავი, ბიჭო? — ჰკითხა ძუკუმ და თან მოხერხებულად მოთავსდა რბილ სკამზე.

— სად მივდივართ? — იკითხა თურჩიამ წყნარად.

— სად მივდივართ და შინ.

— შინ? — იკითხა თურჩიამ.

— ჰო, რა იყო? — გაუკვირდა ძუკუს.

— არაფერი, — ჩაილაპარაკა თურჩიამ. ის ფერწასული იყო და გოაცებული, ჩაფიქრებული იყურებოდა; დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა, — სად ვიყავით ჩვენ?

— სად ვიყავით და სასადილოში, შენ ხომ არ გძინავს? — წამოიძახა ძუკუმ და სინათლე ჩხაკუნით აანთო. — რა მთვრალივით ლაპარაკობ?

მანქანის ფარებით განათებული გზა თეთრად აპრიალდა, როგორც წყვილიაღში უმიზნოდ გაკრილი ისარი. ისინი სიბნელეში ისხდნენ და წინ იყურებოდნენ.

— ახლა გამახსენდა, ურიათუბანში ვართ! — თქვა თურჩიამ.

ძუკუმ ისევ გამორთო შუქი.

— ბიჭო, შენ ხომ არ გძინავს? რა მოგვიდა?

— რა იყო, ძეკუ, იცი? — თქვა თათრისმა მალზე დაბალი ხმით, ათქმის ჩუჩრჩულით, — ასე მეგონა, რომ ქვეყანაზე აღარ ვიყავი. თითქოს დრო უჩემოდ გავიდა. თითქოს გამოვეყავი ყველაფერს და სხვაგან წავედი, არ ვიცი, სად. თითქოს არ ვარსებობდი. შემეშინდა.

— რამ შეგაშინა, ბიჭო, არ გრცხვენია? — თქვა ძეკუმ და ცრემლები წამოვიდა. — რა სისულელეს ამბობ თუ რა?

— არ ვიცი.

— არ გრცხვენია, ბიჭო? — ძეკუმ კისერზე მოხვია თათრის ხელი და გულში ჩაიკრა, შეაჯანჯლარა. მერე მოტორი ამოშავა, — მოდი, დაჩქი საქესთან, გარეე ერთი ვაქაცურად! უკვე ვაქაცი ხარ, უნდა ატარო მანქანა!

მანქანიდან გადმოვიდა, ცრემლები დაბალუბით ჩამოსდიოდა სახეზე, წინიდან მოუარა მანქანას და თათრის გვერდით დაჯდა.

11

იმავე საღამოს, სწორედ იმ დროს, როდესაც თათრიამ და ძეკუმ მანქანა ქალაქში შემოავრიალეს და გადაბმული საყვირით გაიარეს მთავარი ქუჩა, ალისა და ჭემალი მკლავგაყრილი მოსიერობდნენ. ისინი ალისასთან მიდიოდნენ მუსიკის მოსასმენად. ჭემალი მოუთხრობდა ალისას, თუ რა შესანიშნავი ქალაქია ოდესა, სადაც უკვე მებუთე წელი. სწავლობდა, სამედიცინო ინსტიტუტში. ის ყვებოდა, თუ რა სასიამოვნოა ზღვისპირა პარკიდან გემების ყურება, როცა ისინი მიდიან, ან მოდიან პორტისაკენ. თუკი მზიანი დღეა, თუთრა გედებოვით დასრიალებენ სამგზავრო გემები ლურჯ ზღვაში. ჭემალი ყვებოდა, თუ რა სასიამოვნოა დერიბასოვან პროსპექტზე სეირნობა წაბლების ქვეშ. შესანიშნავი ქალაქია ოდესა, ყვებოდა ჭემალი, ალისა კი დიდი გულსყურით უსმენდა. სინამ-

დვილში არც მას და არც ჭემალს არ აინტერესებდათ ქალაქი, რა სიკეთეა მისი ღირსშესანიშნაობანი. სულ სხვა რაღაც იმალებოდა ოდესის იქეთ. მათი ყურადღება გამახვილებული იყო არა ოდესის მიმართ, არამედ იმის მიმართ, რაც ხდებოდა ახლა მათ შორის ლაპარაკის გარეშე, და რაც უფრო უკეთესად ყვებოდა ჭემალი ოდესის შესახებ, ეგონა, მით უფრო აღწევდა თავის ნამდვილ მიზანს, უფრო უკეთესად აგებინებდა ალისას, რისი თქმაც უნდოდა. და რაც უფრო უკეთ უსმენდა ალისა, მით უფრო გრძნობდა ჭემალს ნამდვილ სათქმელს, რადგან ყველაზე უფრო საინტერესო ამბების გადმოცემისას ჭემალი ხელს უშერდა მკლავზე ალისას, ვითომ ეფექტს გასაძლიერებლად, ეტყვანებოდა, ვითომ საუბრით იყო ვართოლი, აჩერებდა იქ, სადაც ჩრდილი იწვე ქუჩაში, ხის ქვეშ, და ძალიან ახლოს მიჰქონდა სახე მის სახესთან, ელაპარაკებოდა თითქმის ჩურჩულით, თუმცა ალისას ყურს არ აკლდა და არც საუბრის თემს იყო მაინცდამაინც საჩრჩოლო. ალისას მშვენივრად ესმოდა, რაც უნდოდა ჭემალს. ის კარგად იცნობდა მამაკაცებს. ბევრთან ჰქონია საქმე და შესწავლილი ჰყავდა ისინი. თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავდა, თუმცა ზოგჯერ განსხვავებდაც დიდი იყო ამ კაცებს შორის. მაგრამ ზოგიერთი თავიდანვე ნათელი იყო ალისასათვის, გაცნობისთანავე ეტყობოდა, რა ხასიათიც ჰქონდა და ბოლომდე უცვლელი რჩებოდა. ზოგიერთი კი იცვლებოდა ხოლმე, მერე სულ სხვანაირი ხასიათი აღმოაჩნდებოდა, ვიდრე ალისას ეგონა თავდაპირველად. მაგრამ გულის სიღრმეში ალისა თავიდანვე გრძნობდა, ვინ რა იყო. ალისა იცნობდა მშვენიერი გარეგნობის ბიჭებს, რომელთაც აკლდათ სიმტკიცე, ვაქაციობა, თუმცა თავდაპირველად ეს არ ეტყობოდათ, თავიანთი საქციელით ასეთი ფიქრის საბაბს არ ძძლიოდნენ, მაგრამ ზშირად ალისა ინტუიციით გრძნობდა მათ შინაარსს და ბოლოს უეჭველად უმართლდებოდა წინათგრძნობა. ასეთი იყო იასონი, ალისას

თვალში. იყვნენ სხვებიც, თავიდან ბოლომდე მტკიცენი და უხეშნი, როგორც მილიციის ლეიტენანტი ბენო, რომელიც მტკიცედ და უხეშად ექცეოდა ყველას, თავის ხელქვეითებსა და მოქალაქეებს, აღისასაც კი, მხოლოდ ზემდგომ უფროსებთან იყო მორიდებული და თავდაპირველი, მაგრამ აღისას მაინც უყვარდა ბენო, რადგან თავისუფლად შეეძლო მისი იმედი ჰქონოდა, თუ მასთან იყო, ვერავინ აწყენინებდა. იყვნენ ზრდილი, კულტურული ბიჭებიც, რომლებიც ზედმიწევნით წესიერად იცვამდნენ, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩაცმა-დახურვას, საუბრობდნენ ამაღლებულ თემებზე: ლიტერატურაზე, ზელოვნებაზე, კინოზე, თეატრზე და, თუმცა აღისას არ ესმოდა ისე, როგორც საჭიროა, არც ლიტერატურა, არც ზელოვნება, მაგრამ კინო და თეატრი ძალიან უყვარდა და არანაკლებ უყვარდა ისეთ ხალხთან ყოფნა, ვინც კინოზე და თეატრზე ბევრს ლაპარაკობდა. იასონი ასეთი იყო, მაგრამ ჭეშმარიტად შეეძლო ამ თემებზე საუბარი. აღისასთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, თუ რას ამბობდა ხოლმე ჭეშმარი, სისულელეს თუ სიჭკვიანეს, მისთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა ჭეშმარილის აზრებს, მთავარი იყო ის, რომ ამ ბიჭს შეეძლო ესაუბრა ლიტერატურაზე და ზელოვნებაზე, კინოზე და თეატრზე. ამის გამოც მოსწონდა აღისას ჭეშმარი, რატომღაც აღისა დარწმუნებული იყო, რომ ჭეშმარი არასოდეს არ ჩაიდენდა იმას, რაც იასონმა ჩაიდინა ვამეხის მიმართ. აღისას ჭეშმარი კიდევ იმიტომ მოსწონდა, რომ, რაც არ უნდა იყოს, მაინც ქალი იყო და ყველაზე დიდ მნიშვნელობას ადამიანის გარეგნულ მხარეს ანიჭებდა. ჭეშმარი იასონივით მაღალი და მხარბეჭიანი ბიჭი იყო, მაგრამ იასონზე უფრო დახვეწილი და გამოსული ჩანდა. გარდა ამისა, აღისა ჩაცმულობასაც დიდ ყურადღებას აქცევდა. ვინც უფრო კობტად იცვამდა, ის უფრო კულტურულ კაცად მიიჩნეოდა. აღისას აზრით, დაუდევრად ჩაცმა მხოლოდ ბნელ, უკულტურო პიროვნებებს შეეძლოთ და

ამიტომ უგემოვნოდ, ცუდად ჩაცმულ ხალხს გაუბოდა, ეწინააღმდეგებოდა. როგორც შამილასი და ჭეშმარი, უკვირდა ვამეხის დაუდევრობა ჩაცმაში. რადგან გრძობდა, რომ ის არ იყო შამილასი და ძუქუს დონის კაცი. ვამეხი რატომღაც ძალიან აინტერესებდა აღისას. ვერაფრით ვერ გაეგო ვამეხის მამინდელი საქციელი, როცა სისხლისაგან იცლებოდა ყელგამოღადრული და ახლოს არავის უშვებდა, მაგრამ რა კარგი იყო ვამეხი, როდესაც მეიარას დასაცავად წინ აღუდგა შამილას! ახ, რა კარგი იყო მამინ ვამეხი, პატარა ბიჭივით გატაცებული თავისი თავზეხელაღებული საქციელით, ერთი — მთელი ქალაქის წინააღმდეგ.

მაგრამ ახლა აღისას ჭეშმარი მოსწონდა. რაც არ უნდა იყოს, ის ქალი იყო, და, როგორც ყველა ქალს, მასაც უყვარდა როცა ეარშიყებოდნენ, ძალიან უხაროდა, როცა ყურადღებით ექცეოდნენ და იმ ადამიანში, ვინც განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობოდა და ამით პატივმოყვარეობას დაუქმყოფილებდა, აღისა ბევრ შესანიშნავ თვისებას ხედავდა. ჭეშმარი კი აღისას თავისი ჩამოსვლის პირველი დღიდანვე ეარშიყებოდა, ყურადღებას არ აკლებდა.

ახლა ისინი მთავარ ქუჩაზე მისიერნობდნენ. მიდიოდნენ ნელ-ნელა, ხანდახან ხის ქვეშ ჩერდებოდნენ, იცინოდნენ, ხან კი სერაიოზული სახით რაღაც უმნიშვნელო წვრილმანებზე დაობდნენ. თბილი, სასიამოვნო საღამო იღვა. ისინი ქალაქის ცენტრს გამოცდნენ და ფოსტისკენ გაემართნენ. ქუჩაში ბნელოდა, განათებულ ფანჯრებში მცხოვრებლები მოჩანდნენ, სახლების წინ კი, კიბეებზე და ტროტუარზე დადგმულ პატარა სკამებზე სარაფნიანი ქალები ისხდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ბავშვები თამაშობდნენ, ცელქობდნენ, პიჯამოიანი კაცები ყვიროდნენ, ან ბოხი ხმით იცინოდნენ. ჯერ არავის ეძინებოდა და ყველა ხედავდა აღისასა და ჭეშმარს, რომლებიც საუბრით გართულნი, ნელ-ნელა მისიერნობდნენ ფოს-

ტისაყენ. მერე ჯემალმა ალისას სახლის სადარბაზოდან გამოსული ისაონი დაინახა, ხესთან შეჩერდა, ალისას ხელი წაავლო და იქეთვე გაახედა. ისაონი შუა ქუჩაში გაჩერდა და ზემოთ, ალისას ფანჯრისაკენ იყურებოდა.

— რა უნდა შენთან?

— რა ვიცი, — თქვა ალისამ და კმაყოფილი ღიმილი ვერ შეიკავა.

— ავი ჩვენს შორის აღარაფერი არისო? — რატომღაც მკაცრად იკითხა ჯემალმა.

— ნამდვილად ასეა, არ ვიცი, რა უნდა, — რატომღაც თავის მართლება დაიწყო ალისამ და მხრები ასწია.

ისაონი მობრუნდა, ქუჩა გადაქრა და ფოსტასთან მივიდა. იქ, ჩრდილში, ვიღაც იცდიდა. ისაონი გაჩერდა და რაღაცას ელაპარაკებოდა ჩრდილში მდგარს. მერე ორივენი ზემოთ წამოვიდნენ. შუა ქუჩაში მოაბიჯებდნენ. როცა სინათლეში გამოვიდნენ, ხეს ამოფარებულმა ჯემალმა იცნო ისაონის თანამგზავრი.

— ბიჭოს! ეს ხომ ვამეხია! — წამოიძახა მან.

ალისამ თავი დააქნია და გაკვირვებით თქვა:

— ნეტა რა უნდოდათ ჩემთან?

12

მერე კი დაღამდა და ისევ გათენდა. აღმოსავლეთი წითლად შეიღებდა. თანდათან გათეთრდა ცა, სინათლე მოეფინა ქვეყანას. გამოიღვიძა დაძინებულმა ქალაქმა. ქუჩებში ბირველი გამეულელები გამოჩნდნენ. ყველამ თავისებურად გაატარა დამე. თავისებურად ხედებოდა ყველა ახალ დღეს. ზოგს ჯერ კიდევ ეძინა. ზოგმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რას მოუტანდა ეს დილა, რა ცვლილებას წინა დღესთან შედარებით. თანდათან ამობრუნდა და ახმაურდა ქალაქი. მზე ამოვიდა. დიწყო მისი მარადიული გზა დედამიწის ირგვლივ, დიახ, დედამიწის ირგვლივ და არა პირიქით, რადგან ყველა ადამიანი ასე ხედავს ამ ბუნებრივ მოვლენას, ჩვენი გრძნობის ორგანოები

ასე აღიქვამს ამ ფაქტს. მხოლოდ გონება იცის, რომ სინამდვილეში ესეულ სხვა რამ ხდება. მხოლოდ გონება სწვდება იმას. რასაც თვალი ვერ ხედავს.

მაგრამ მაინც რამდენ რამეს ვერ სწვდება გონების თვალი?! ის, რაც სავესებით დასაშვებია ცხოვრების რთული კანონების თვალსაზრისით, უცნაური და მოულოდნელია ჩვენი გონებისთვის, ისევე როგორც გრძნობისთვის, გრძნობითი აღქმისთვის, და მოვლენის ანალიზი თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან გაუგებარია მისი ლოგიკურობა. ჩვენთვის სრულებით მიუწვდომელია ცხოვრების მრავალი გამოვლინების აუცილებელი სისწორე. უფრო ხშირად გამოცანაა ბოლმე ის, რაც შეიძლება სხვა ადამიანის გონებაზე უფრო მაღალი გონებასთვის ნათელი და გასაგები იყოს. ადამიანისთვის შემზარავი და აუხსნელია ნადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც წყდება არა კანონზომიერი სიბერის შემდეგ, არამედ მაშინ, როდესაც ბუნების სასიცოცხლო ძალები მხოლოდ ახლა იწყებენ გაღვიძებას, განვითარებას, ზრდას, მომწიფებას, გაფურჩქვნას, ესე იგი სიცოცხლეს. არავინ იცის, რატომ ხდება ასეთი არათანმიმდევრული, არალოგიკური რამ ბუნებაში. ეს არ ემორჩილება განვითარების საერთო წესს. ადამიანი კი ყველაფერში წესრიგს ეძებს. ჩვენ მიგვაჩინია, რომ ყველაფერი, რაც ხდება სამყაროში, გარკვეულ წესს ემორჩილება. ამ წესრიგში ყოველთვის ვგულისხმობთ სამართლიანობასაც. „წესრიგი“ და „სამართლიანობა“ ყოველთვის განუყოფელია ჩვენთვის და ამიტომაც გეგუებთ ბუნების ბევრ მოვლენას, კანონს და წესს, დაბადებას, ზრდას, სიბერეს, სიბერით გამოწვეულ სიკვდილს. ყველაფერი ეს ბუნებრივად, სამართლიანად გვეჩვენება. ბუნებრივად გვეჩვენება ის ამბავი, რომ უნდა ვიცოცხლოთ, დაებრდეთ და მერე მოკვდეთ. გეგუებით ჩვენს მომავალ სიკვდილს. მაგრამ, რატომ უნდა მოკვდეთ მანამდე, ვიდრე

მეიღწევევდეთ სიცოცხლის იმ წერტილს, რომლის შემდეგ სიკვდილი აუცილებელია? ჩვენ ვერ ვეგუებოთ ამას, თუმცა ასეთი შემთხვევები ბშირია და ჩვეულებრივად ითვლება. მაგრამ რატომ არის ეს მოვლენა ჩვეულებრივი, არავინ იცის.

მეორე დღით, ურიათუბანში ქვიფის შემდეგ, ძუკუს და თაურისა არყის დალევა მოუწდათ. რატომ? ძნელი სათქმელია! ნამთვრალევი გამოვიდნენ სახლიდან. დუქანში შევიდნენ, ბაზართან. მანქანა ქუჩაში დააყენეს. ისაუბრეს. თითო ჭიქა არაყი გადაკრეს.

— კიდევ დავლიოთ, ძუკუ? — იკითხა თაურიაში.

— დავლიოთ, — უპასუხა ძუკუმ.

სამსა-სამსაში არაყი დალიეს. სულ არ ეტყობოდათ სიმთვრალე. ჩუმად სვამდნენ. მედუქნე ხედავდა, როგორ ისხდნენ მაგიდასთან, ერთმანეთს ჭიქებს უქაზუნებდნენ და ამბობდნენ „თითო სახარება შეგვეწიოსო“. სამ-სამ სახარებამდე ავიდნენ. მერე მედუქნეს დაუძახეს და ანგარიში მოსთხოვეს. როდესაც მედუქნე დანახარჯის ასაღებად მივიდა, ისინი ჯერ კიდევ ისხდნენ. წინ მოსუფთავებული თეფშები ედოთ. მაგიდაზე პურის ნამცეცები ეყარა. სამარტილიან მარტილი ვაღმომხეულიყო. ცოტა არაყიც დაქეცოდათ სუფრაზე და ამ დაღვრილ სითხეში თაურისა დაუდევრად ჩაედო იდაყვი. საბით ხელს დაყრდნობოდა. ფრჩხილები ჭუჭყისაგან ჩაშვებოდა. მკლავები აეკაპიწებოდა და ხელზე ლურჯად გამოყვანილი ასოები „ტ. გ.“ აჩნდა, მისი სახელისა და გვარის ინიციალები. მედუქნემ იანგარიშია და ძუკუმ ფული მაგიდაზე დაყარა. ყველამ ფულს დახედა, თაურიაში და მედუქნემ, ძუკუმაც. ერთი ქალაღის მანეთიანი დასველდა, მაგიდაზე დაღვრილი სათბით გაიყლინა და ზედ პურის ნამცეცები აეკრა. მერე თაურია და ძუკუ აღვინ და წავიდნენ. ისინი ქუჩაში გავიდნენ, აქ უკვე მზე ანათებდა, მანქანასთან შეჩერდნენ, პაპირისი გააბოლეს, სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში, თითქოს ერთმანეთს

ეჯიბრებოდნენ, ვინ მოასწრებდა და გარეკა. როცა მანქანა თვალს მიეჭრა, მედუქნემ ცარიელი თეფშები ააღავა, სველი, ჭუჭყიანი ჩეხარი აიღო და გადაწმინდა მაგიდა, რომელთანაც წებან ძუკუ და თაურია ისხდნენ. სამარტილს ისევ დაასხდნენ ბუხებში. მედუქნე სკამზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. ძუკუ და თაურია დამხადების კანტორაში მივიდნენ, სადაც ძუკუს საქმე ჰქონდა. ძუკუ კანტორაში შევიდა, თაურია გარეთ დარჩა. მანქანასთან იცდიდა.

ეს იყო დღით. დღით ადრე. მერე მზემ უფრო დააცხუნა და ყველამ, ვინც ამ დროს ქუჩაში იყო, დაინახა, როგორ მოაქროლებდა თაურია ძუკუს ტონანახეგრინს. სიმთვრალით ან, შეიძლება, წინაღობის შექმნით გათამამებული თაურია მანქანის საქვს მიჯდომოდა და საშინელი სისწრაფით მარჯვკვდა ტონანახეგრინს მთავარ ქუჩაზე, ქუჩის ბოლოსკი, იმ სკოლის პირდაპირ, სადაც ოდესღაც სწავლობდა, მანქანა ტელეგრაფის ბოძს დააჯახა და დაამტვრია, თითონ საფეთქელი გაიქნება და იქვე მოკვდა. ერთ წამში მოხდა ყოველივე და იმავე წამს საშინელი, წარმოუდგენელი აურზაური ატყდა. ხალხი აირია, აზმუვლდა. თაურია თავგატეხილი იდო მიწაზე და სისხლი სდიოდა. სისხლით იყო მოსვრილი მისი სახე, მისი ხელები, ტანი. სისხლიანი იყო მანქანა, მიწა, თბრილში გუბედ მდგარი წყალი, რომლის პირას იდო მკვდარი თაურია. ქუჩა ხალხით გაიქმდა. ერთ წამში მოხდა ყოველივე ეს. ხალხს თვალწინ, რომელსაც არ უნდოდა ეს ამბავი მომხდარიყო, მაგრამ ყოველივე უკვე მომხდარი იყო და მოვლენების უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. თაურია მიწაზე იდო მკვდარი, გაშეშებული.

ვამეხმა უკვე იცოდა, რაც მოხდა. ის სწრაფად მოყვებოდა მთავარ ქუჩას იმ ადგილისაკენ, საითაც ახლა ყველა გარბოდა. ის ხედავდა ნაცნობებს, უკვე ჰყავდა ნაცნობები ამ ქალაქში. ხედავდა ალღელებულ, შეშფოთებულ სახეებს და თითონაც ალღელებული მიჰყვებოდა

ხალხის ამ ნაკადს. რაღაც უჩვეულოდ გრძნობდა თავს. უბედურების პირველ წუთებში აღამიანი ყოველთვის კარგავს რეალურობის განცდას. ამოვარდნილია ჩვეული კალაპოტიდან, ღრვებით ვთიშება თავის ყოველდღიურ ინტერესებს და გარკვეული ღრობის განმავლობაში მიაჩნია, რომ აებოდა თვალა, თავისი ნამდვილი სახით დაინახა ცხოვრება, დაინახა ის, რაც, საერთოდ, დაფარულია ცხოვრებამ ყოველდღიურობას, ჩვეულებრივობის ფარდით და ყველაფერი არაჩვეულებრივ ამოვებად მიაჩნია მანამდე, სანამ ეს სეზფოთება, სულიერი წონასწორობის ეს დარღვევა არ გაუქმდის და ხელშეორედ არ შეეჩვევა, არ შეეგუება ცხოვრებას თავისი მუდმივი უბედურებებითა და ბედნიერებით. რაც უფრო მახლობელ აღამიანს შეეძახებოდა უბედურება, მით უფრო დიდხანს რჩება ეს განწყობილება და, რაც უფრო უცხოა ის, ვინც მოკვდა, მით უფრო მალე გვაფიწყდება, რომ ჩვენც იგივე ბოლო მოგველის.

ვამები გულხელდაკრეფალი იდგა და ხალხს უყურებდა. ის არ ცდილობდა გაერღვია ხალხის წრე და დაეხედა მიცვალებულსთვის, თუცა ყველა ასე იქცეოდა. ქალები ტაროდნენ და მუხლზე ხელს ირტყამდნენ, მამაკაცები თავს იქნევდნენ. ირგვლივ აუწყრელი ყაყანი იყო. მერე წრიდან შამილა გამოვიდა.

— გაბეთქილი მთვრალი ყოფილა, — თქვა და თვალი მოკრა ვამებს, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. აგე, ის ბიჭიც, ვინც ვამებს დაარტყა და საშინელი ქრილობა მიაყენა. ვამებმა უცხად საკუთარი გულსცემა გაიგონა და ინსტინქტურად მუშტები მოკუმშა, მაგრამ იმ წამსვე გაშალა ხელები. ის ბიჭი შამილას გვერდით იდგა და ცალი თვალით ვამებს უყურებდა, მაგრამ ისე იჭერდა თავს, თითქოს ვერ ხედავდა. შამილას ზურგი მოეჭკია ვამებისთვის და ვიდაცეებს ელაპარაკებოდა. ამსობაში მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანაც, საიდანაც გადმოვიდნენ კოწია-ეჭიმი, აღისა და ჭემალი. სამივეს თეთრი ხალათები ეც-

ვათ. მათ გაარღვეს ხალხის წრე და მიცვალებულთან მივიდნენ. ვამები მოსორებით იდგა, გულზეხელდაკრეფალი და უყურებდა, რაც ხდებოდა. მერე ვიდაცის მანქანა გაჩერდა და იქიდან საშინელი ბღავილით გადმოხტა ძეკუ, რომელსაც უკვე გაეგო ეს უბედურება. ძეკუს ხალათი შემოხეული ჰქონდა, მკერდი დასისხლიანებული, თვალები არეული, ცრემლიანი. ჩაწითლებული, თმები აწეილი. ხალხი წიშით შემოეცალა და ძეკუ გავარდა იქითკენ, სადაც მიცვალებული იღო. მან დაინახა თაურია, უცხად შეჩერდა, რაღაც არააღმიათურად, საზარლად, ბირუტყვეულად. ნადირივით იბღავლა, ხელები სახეში შემოიკრა, მობრუნდა, მანქანისკენ გაქანდა და მთელი ძალით ლეწა თავი კაბინას.

— არიქა, გვიშველეთ! — გაისმა ძახილი ხალხში.

შამილა და თმებგაცვენილი ბიჭი, რეზო, რომელმაც ვამები დასქრა. ადგილიდან მოწყდნენ და ეჭვგარეშე ძეკუს, მაგრამ ძეკუს მანქანისკენ ხელმეორედ გაქანებული, უკვე გატეხილი და განისხლიანებული თავი პირდაპირ სახეში აძგერა რეზოს და ძირს დასცა. მერე წიხლებს ქნევა დაიწყო და ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა შამილას, რომელიც უკანიდან იჭერდა.

უცხად ვამები მიიჭრა ძეკუსთან, წელზე შემოებნია და მის წინ პირისპირ დარჩენილი აღმოჩნდა. ახლა ვამები და შამილა ამაგრებდნენ ძეკუს.

— გამიშვით! — ყვიროდა ძეკუ და ფართხალებდა მათ მკლავებში მოქცეული. ვერავინ ბედავდა ახლან მისვლას.

მერე საშივენი მიწაზე დაეცნენ. ვამები გრძნობდა ღვინის სუნს, პირიდან რომ ამოსდიოდა ძეკუს, და ტკივილს ფეხში, — ალბათ, რაღაც წვეტიანზე დაეცა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. საშინელი ორომტრიალი გაიპართა. ძნელი იყო გაყოფებული კაცის დამაგრება.

— ტკუ, დაწინარდი, ძეკუ, ჩაჩერდი, სირცხვილია, რამ გადაგრა, ბიჭო! — ყვიროდა შამილა და კდილობდა წამო-

ეყენებინა ფეხზე, მაგრამ ვერ ახერხებდა. მერე ვამეხი, როგორც იქნა, მუხლებზე დადგა და ორივე ხელი უკან გადაუგრია ძუკუს. და სწორედ ამ დროს, სრულიად შემთხვევით, მისი სახე შამილას სახეს შეეხო, მათი მკლავები ერთმანეთს გადაეკედო და უცხად ვამეხმა იგრძნო, რომ არ სძულდა შამილა, პირიქით, ის ახლა მახლობელი იყო, უყვარდა... მერე ყველაფერი ერთმანეთში გაერთიანდა, ეს მოულოდნელი, უცნაური გრძობა შამილას მიმართ, ძუკუს სიბრალეული, მწარე ტკივილი ფეხში და ყვირილი, ქაჩვა, წეწვა, რომელიც გრძელდებოდა, და ვამეხს ცრემლები მოადგა თვალეზზე და ძლივს მოახერხა თავის შეკავება. მერე ძუკუს დაიღალა, მძიმედ სუნთქვა დაიწყო და ვამეხმა და შამილამ ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანეს ის, როგორც იქნა.

— ასე როგორ შეიძლება, დაწყნარდი, ბიჭო, სირცხვილია, რას შეგები?! — ეუბნებოდა ძუკუს თითონაც საკმაოდ აქლოშინებული შამილა და ხელს არ უშვებდა. მეორე მხრიდან ძუკუს ვამეხი ედგა. ძუკუ ხმას არ იღებდა. მოეშვა, მოიღალა, თავი ჩაღუნა და გაჩუმდა. სახე ოულით და ცრემლით დასველებოდა და თავიდან კისერზე სისხლი ჩამოსდიოდა. ვამეხმა პაპიროსი მიაწოდა. ძუკუს ტუჩები უკანკალებდა, მაგრამ მაინც ამოღებდა და დროგამოშვებით, ჩუმიად სლუკუნებდა. ისინი გზის პირას იდგნენ. კოწია-ექიმი, ჯემალი და ალისა მოვიდნენ და ძუკუს დაწყნარება დაუწყეს.

— ასე როგორ შეიძლება გაგიყვება, შეკაციო, — ამბობდა კოწია-ექიმი, — ვაჟკაცი არა ხარ? შეუხვიე ამას თავი...

ძუკუმ მორჩილად წამოსწია თავი და ალისა სახვევის შემოხვევას შეუღვა. სახვევი იმ წამსვე გაიქვინთა სისხლით. ჯემალი ვამეხს პაპიროსი სთხოვა:

— უყურე, როგორ მოხდა?... — ჰკითხა მერე.

— არა, გვიან მოვედი, — უპასუხა ვამეხმა.

ჯემალი თავი გააქნია და კოწია-ექიმთან მივიდა.

— ვაჟკაცი არა ხარ? ვამეხვი, ასე როგორ შეიძლება?! — მაკურე ტლით ეუბნებოდა კოწია-ექიმი.

ვამეხი გრძობდა, რამდენად სულელური და თითქმის სასაცილო იყო ექიმის სიტყვები და ნაძალადევად მკაცრი ტონი, რადგან კოწია-ექიმი არ განიცდიდა იმას, რასაც განიცდიდა ძუკუ, და ამიტომ მისთვის შესაძლებელი იყო შედარებით მშვიდად შეეხედა ამ ამბისათვის; მაგრამ სხვა რა უნდა ეთქვა ექიმს, ან ვის რა უნდა ეთქვა? როგორ შეიძლება ნუგეშის ცემა ლაპარაკით? როგორ შეიძლება სიტყვებით გამოხატო ზუსტად ის, რასაც კაცი განიცდის? სიტყვები მხოლოდ მინიშნებაა გრძობისა და განცდის თავისებურების და იმ ჩაუღწეველი სიღრმის, რომელიც ამ სიტყვებში იგულისხმება. ეს მინიშნება კი თითქმის მთლიანად ნათელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის განცდა, რომლის ვადმოცემასაც სიტყვებით ცდილობენ, მთელი სისავსით უგრძნია თვითონ მსმენელს. სწორედ ამიტომაც, რომ განსაკუთრებით მძიმე წუთებში, უფრო ხშირად, უთქმელად უგებენ ერთმანეთს ადამიანები, სიტყვების გარეშე, როცა განცდა უაღრესად ნათელია და არ არის საჭირო მისი ახსნა-განმარტება. სულერთია, ახსნა-განმარტება არაფერს არ ხსნის და განმარტავს, არ აახლოვებს ადამიანებს, ისინი, მიუხედავად ახსნა-განმარტებისა, მაინც თავისთავად ახრზე. თავისისავე პოზიციებზე რჩებიან, რადგან ადამიანებს მხოლოდ მაშინ ესმით ერთმანეთისა, მხოლოდ მაშინ ერთმანედებიან, როცა მათი სურვილები, მათი განცდები და ვნებები ერთმანეთს ემთხვევა, საერთოა, თითქმის ერთნაირია, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთნაირად მიმართულია და ამიტომ უსიტყვოდაც ნათელია ყველაფერი, რაც ხდება. საერთოდ, ასეთი ვაგება იშვიათია, მაგრამ ახლა ვამეხს ძალიან კარგად ესმოდა ძუკუს მდგომარეობა.

ის ჩაფიქრებული იდგა და ხმას არ იღებდა. ალისა თავს უხვევდა ძუკუს,

მერე შეხვევა მოათავა და ვამების გვერდით გაჩერდა.

— წარმოგიდგენიათ. რა სამინელებია? — თქვა ალისამ.

— ვიცი, გამომიცდია... — ყრუდ ჩაილაპარაკა ვამებმა.

— გამოგიცდიათ? — ინტერესით ჰკითხა ალისამ და სახეში შეხედა.

— რა? — გაკვირვებით მიაჩერდა ვამები ალისას.

ალისა დაიბნა, გაწითლდა, შეიძლება შერცხვა თავისი უადგილო ცნობისმოყვარეობის, ხმა არ ამოიღო.

ირგვლივ კი ისევ ხალხი ირეოდა. ავტონისპექციის მორტოციკლებზეც მოვიდა და ინსპექტორები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ დამტყვეულ მანქანას. კოწია-ექიმი და ჭემალი ძუკუს რაღაცაზე ეთათბირებოდნენ. შამილაც იქვე იდგა.

— არა, კაცო, საბლში, პირდაპირ საბლში წაეასვენებ, — მოისმა ძუკუს ხმა.

— კარგი, როგორც გინდა, — თქვა კოწია-ექიმმა. მერე იქეთ-აქით გაიხედ-გამოიხედა, — მოდი, შევასვენოთ მანქანაში.

შამილა და ჭემალი წაყენენ კოწია-ექიმს. ძუკუმ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ უცბად მოიხედა და რატომღაც ვამებს შეხედს. ერთი წუთით მხერა შეაჩერა ვამებზე, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მერე წავიდა იქითკენ, სადაც თათურია იღო. ვამები უკან გაყვა. ხალხმა გზა მისცა.

თათურისას სახეზე სისბლით გასვრილი ცხვირსახოცი ეფარა. ვერ დაიჭერბდით, რომ ეს ბიჭი მკვდარი იყო. მოშვებულად იწვა ის მიწაზე. ზოლებიანი ტილოს შარვალი და ტილოსავე ფეხსაცმელები ეცვა. ერთი წინდა ქუსლზე გახედა, ეტყობა, დაკრება ვერ მოესწრო, ან არც უზრუნია ამაზე. შარვლის ერთი ღილიც გახსნილი ჰქონდა. ხელები აქეთ-იქით გაეშალა, თითქოს პატიებას ითხოვდა უბედური ბიჭი. ცახე კი მზე ანათებდა... თათურისას თავთან ჭემალი და შამილა იდგნენ, ფეხებთან — თავხალწუნული ძუკუ ვამები ძუკუს გვერდით ვა-

ჩერდა. ის ცდილობდა არ შეეხებოდა მიცვალებულისათვის და პირდაპირ სივრცეში იყურებოდა. სანამ ვამები წაიშალა შამილა თათბირობდნენ თუ როგორ აეღოთ მიცვალებული და დაედოთ მანქანაში, ვამებმა იგრძნო, რომ კისერში მზე აჭურდა, აეწვა კისერი, შეწუხდა ამისგან და ამ შეგრძნებამ თან გააკვირვა, თან დაცინვა გამოიწვია მის გულში საკუთარი თავისადმი. ირონიული სახით იდგა მიცვალებულს ფეხებთან და სივრცეს უყურებდა, მაგრამ ვერაფერს ვერ აღიქვამდა, ვერ არჩევდა. მერე თათურია ყველამ ერთად აწვია, მილიციელიც მიეხმარათ და სასწრაფო დახმარების მანქანაში შედეს. კოწია-ექიმი, ჭემალი, ძუკუ, შამილა და კიდევ ვიღაც ხანდაზმული კაცი მანქანაში დასხდნენ. სანამ კარებს მიხურავდნენ, ძუკუმ კიდევ ერთხელ შეხედა ვამებს. მერე კარები მიხურეს. მანქანა წაიქცა და გზაზე მტვერი დადგა. მერე მტვერი გაიფანტა და ისევ ჩვეულებრივი იყო ყველაფერი, თითქოს არ არსებობდა ქვეყნად არც სიკვდილის შემზარაობა და არც მისი შიში. გზაზე ბატებმა გადაიარეს ყუყინით. ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ. მართალია, ისინი შემკრთალნი და შეშინებულნი ჩანდნენ, მაგრამ მაინც შედიოდნენ სკოლის შენობაში ჩანთებით ხელში, როგორც ყოველთვის. სკოლის ზარი დაირეკა, გაკვეთილები იწყებოდა. ძუკუს დამტყვეული ტონანახევრიანი მეორე მანქანას მიიბეხს და წაიყვანეს ინსპექტორებმა, შეგროვილმა ხალხმაც დამლა იწყო და ამის შემდეგ თითქმის წაიშალა ყველა კვალი, რასაც შეეძლო იმ უბედურების მოგონება, რომელიც წელან მოხდა. „მტვერი იყო და მტვრად იქცა“ — გაუელვა ვამებს...

— რატომ იღიმები? — მოესმა ამ დროს ნაცნობი ხმა.

ვამებმა მოიხედა და დაინახა ალისა, რომელიც გვერდით ედგა. ქალს ხალათი გაეხადა, ლამაზი კაბა ეცვა და ახლა, ამ მზიან დღით, ძალიან ჭანსალად და კონტად გამოიყურებოდა, რაც იმ წამსვე შეამჩნია ვამებმა და, მიუხედავად იმ

მძიმე გუნება-განწყობისა, რომელიც დაუფლებოდა, შინც ესიამოვნა.

— შე ვიღიბები? — თქვა ვამეხმა.

— დიახ. თქვენ იდექით და იღიბებოდით.

ვამეხს ირონიულად ჩაეცინა.

— ჰმ, შეიძლება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც მიხარია, — მერე ათვალეირ-ჩაათვალეირა ქალი და, თუმცა სრულებით ამის გუნებაზე არ იყო, მაინც გადაწყვიტა ქათინაურა ეთქვა მისთვის: — რა თქმა უნდა, თქვენი დანახვის გარდა, — და შეხედა სახეში.

ქალს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ, რომ არ შეეჩინიათ მისი სიხარული, მოილუშა და ამოიოხრა.

— ეჰ, რა ცუდი დღე გათენდა... ახლა საავადმყოფოში უნდა წავიდე, ხომ არ მოღიხარებ უნდა?

— მოგდივარ, — თქვა ვამეხმა.

13

მალაზიები უკვე გაეღოთ, სასაუზმე-ებიც და ყველა თავის ყოველდღიურ საქმეს ეშუტრებოდა. გამყიდველებმა ქუჩაში იღვინეს და ერთმანეთს აგარიის შესახებ ელაპარაკებოდნენ. შუა ქუჩაში რაბზახით მივორავდა რაღაც რკინებით დატვირთული ფურაონი. გაზონებში, ქუჩაში და ტროტუარს შორის, ახლად მორწყული ყვავილები და პალმები სასიამოვნო საგრილეს აგრეცლებდნენ ირგვლივ. ზაფხულის მშვენიერი დღეა იღვა.

— იცნობდით თაურაას? — ჰკითხა ალიამ ვამეხს.

იანნი მთავარა ქუჩის ჩრდილიან მხარეს მიჰყვებოდნენ.

— არა, არ ვიცნობდი, — უთხრა ვამეხმა.

— ელამ ქუჩის ხომ იცნობ?

— ვიცნობ!

— ეგ ზრდიდა თაურაას.

— ვიცი. მიაპბუს.

— სხვათა შორის, შენი გულისთვის კინაღამ დაიჭირეს ამას წინათ ელამი ქუ-

ჩა, — მოვლოდნელად თქვა ალისამ და სრულებით ბუნებრივად გაუღვივდა. — ნიპით“ მიმართავს.

— ჩემი გულსთვის? — გაუკვირდა ვამეხს.

— ჰო, როცა შენ დაგჭრეს ბაზართან. მაგას ეგონა თურმე, რომ მოგკლეს, — ამ სიტყვის ხსენებაზე ალისამ სახეში შეხედა ვამეხს და ასევე განაგრძო: — დამთვრალა სასადილოში. ქუჩაზელი დაუშვტრევიკა, მომტანი უცემია, ტაროდა თურმე, ძმა დაეკარგეო...

— იქნებ ტანში უაზრა. რომ მართლა დაქარგავდა ძმას... — ჩაილაპარაკა ვამეხმა წყნარად.

— ...მერე გამოირკვა, რომ შენზე ტაროდა და აუხსნეს, რომ ცოცხალი გადარჩი, მთელი იმ დამტრეული ქუჩა-ლის ფული მაგას შეაწერეს.

— შე არაფერი არ ვიცოდი, — თქვა ვამეხმა.

— არ მიყვარს ეგ ქუჩა. ნამდვილი მხეცია. მაგან დალუბა ეს საწყალი ბა-შვი, — თქვა ალისამ.

— ქუჩა რა შუაშია, იმ უბედურს ასეთი ბედი ჰქონია...

— რომელ ბედზე ლაპარაკობ. როცა აქედანვე ლოთობას აჩევიდა ბავშვს და ბოლოს, ხომ ხედავ, სამარის კარამდეც მიიყვანა.

— ეგეც ბედა!

— რა სისულელეა! მე არ მწამს არავითარი ბიოი.

— შე მწამს, — თქვა ვამეხმა. — ადამიანი არ არის მხოლოდ თავის ნება-სურვილზე დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ აბსოლუტურად უდანაშაულო კაცი, სრულიად უმარხვოდ ეტანება.

— საიდან იცი, ვინ არის უდანაშაულო? უმარხვოდ არაფერ არ ირანება.

— ამ უმარხვობაში, ზოგჯერ. მართლაც, შეიძლება დაფარული მიზეზის დანახვა, რომელიც მხოლოდ გარედან შეიძინებია ხოლმე, ის ვინც განსაზღვრულია, მარხვის ვინ ამჩნევს. მაგრა?

— რას ამბობ, თორთა რომ თანადი ყოფილიყო, ახლა ცოცხალი იქნებოდა.

— მართალია მაგრამ სწორედ ეგ არის ბედისწერა, რომ მთვრალი იყო.

— მერე რატომ სვამდა? რატომ უყვარდა ღვინო? ყველაფერი, რაც ადამიანს ემართება, მისი ბუნებიდან გამომდინარეობს.

— გაუთვალისწინებელი შემთხვევა ადამიანის ბუნებიდან არ გამომდინარეობს... აქ სულ სხვა რაღაც ხდება.

— რა?

— არ ვიცი. მაგრამ ზოგჯერ მოვლენები ისე უცნაურად ვითარდება, რომ კაცმა არ იცის, რა ხდება და რატომ? ეს უკვე ბედაა...

— არ მესმის, რომელ ბედზე ლაპარაკობ, როცა საწყალი თაურთას სიკვდილის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მისი სიმთვრალე იყო. ფხიზელი რომ ყოფილიყო, ეს აშბავი არ მოუვდიოდა.

— სწორია, — თქვა ვამეხმა, — მისი სიკვდილის მიზეზი სიმთვრალე იყო, სიმთვრალის მიზეზი ობლობა და აქედან გამომდინარე არასწორი აღზრდა... მაგრამ რა იყო მისი ობლობის მიზეზი, არავინ იცის; რატომ დაობლდა ასე ადრე? მისი ობლობის მიზეზი შემთხვევა იყო და, ესე იგი, თაურთას სუბიექტურად არ დღუმსახურებია ცხოვრებისგან ის სასაჩელი, რომელიც მიიღო, მაგრამ მისი ცხოვრება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ისე წარიშართა, რომ ეს უბედური ბიჭი, ჩვენი, ესე იგი, საზოგადოების თვალსაზრისით, კანონზომიერად მივიდა ამ დღემდე, მაშინ, როდესაც ის, როგორც სრულებით ნორჩი და უწინდელი ადამიანი, სრულებითაც არ იყო ასეთი უდროო სიკვდილის ღირსი. მაგრამ მაინც მოკვდა, — თქვა ვამეხმა, — რატომ?

— იმიტომ, რომ ძუკუ ღვინოს ასმევდა, — თქვა ალისამ.

ვამეხმა შეხედა ალისას და გაჩუმდა. ალისა მიხვდა, ვამეხს არ მოეწონა მისი პასუხი და გადაწყვიტა ხელმოკრედ გამოეწვია ლაპარაკში ვამეხი, გაერკვია, რაში იყო საქმე, რას ფიქრობდა ის.

— აბა რატომ მოკვდა? — იკითხა მან და შეხედა ვამეხს.

— არ ვიცი. ეს მისი ამოუხსნელი ბედისწერაა, — თქვა ვამეხმა და გაჩუმდა...
 ბიჭულიძე

ამსობაში აფთიაქთან მივიდნენ. ალისა გაჩერდა და სთხოვა ვამეხს, ცოტა ხანს დამიცადეო. ვამეხი დათანხმდა. ალისა აფთიაქში შევიდა. ვამეხი ხეს მიეყრდნო და პაპიროსი გააბოლა. შუა ქუჩაში ცალფეხა კაცმა გაიარა და შორიდან მიესალმა ვამეხს. ვამეხმაც თავის დაკვირვებით უბასუხა ამ კაცს, რომელიც სადალაქოში ნახა ერთხელ, როცა ის არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა. მოუხედავად ასეთი მოგონებისა, მაინც უსიამოვნა, რომ მიესალმნენ. თუმცა ცუდ გუნებაზე იყო, მაგრამ მაინც უხაროდა, რომ ამ უცხო ქალაქში თითქმის ყველა იცნობდა და ბევრი ქუჩაშიც კი ესალმებოდა. ვამეხს სიამოვნებდა, რომ ალისაც გაიცნო და ახლა მას უცდიდა. სრულებით უცხო ქალაქში უკვე ბლომად ჰყავდა ნაცნობები და ეს ძალიან სასიამოვნო იყო დღეს, თუმცა გუშინ ამას სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას. „ალარ წავალ აქედან, — გაიფიქრა ვამეხმა, — სად წავიდე?“

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ამ დროს ალისამ, რომელიც შეუუმჩნევლად გამოსულიყო აფთიაქიდან და ჩანთაში რაღაც პაკეტები ჩაეწყო. ალისა ვამეხთან გაჩერდა, ცალი ფეხი მოლუნა, ჩანთა მუხლზე დაიდო და პაკეტებს ზემოდან თავისი თეთრი ხალათი გადააფარა. ვამეხმა შეამჩნია, რომ ქალს მშვენიერი, ძლიერი ფეხები ჰქონდა და ნათლად მოაგონდა ის ადღეუება, რომელიც ამ ფეხების დანახვისას განიცადა სულ პირველად, მიტოვებულ ეკლესიასთან, ტრიალ მინდორზე. ნათლად მოაგონდა ის დღე და არ უსიამოვნა, რომ მაშინ ალისა იასონს ეჭდა წინ, ველოსიპედზე. მაგრამ მაინც ძალზე სასიამოვნო იყო, რომ ახლაც უყურებდა ამ ლამაზ, ვენების აღმძვრელ ფეხებს, რომლებიც დროებით ავიწყებდნენ იმ ტყვილს, გულში რომ ჰქონდა. ალისამ შეამჩნია, რომ ვამეხს მოსწონდა მისი ფეხები და როცა გასწორდა, მკლავში ხელი გამოდო და უთხრა:

— წამოდი!

„ალარ წავალ აქედან, — გაიფიქრა ვამეხმა, — სად წავიდე, როდემდის უნდა ვიხეტიალო?“

მათ ისევ განაგრძეს გზა.

— ემ, საცოდავი ბავშვი, — თქვა ალისამ, — აფთიაქშიც ყველა მავაზე ლაპარაკობს...

ვამეხი დუმდა.

— უცნაურად არის ეს ცხოვრება მოწყობილი, — თქვა ალისამ, ვამეხს ხელი გაუშვა და ჩანთა მეორე ხელში გადმოიტანა.

— რატომ? — ჰკითხა ვამეხმა.

— მოიცა, ქურნალი მინდა ვიყიდო...

ალისა ვაშეთების კიოსკთან გაჩერდა და სურათებიანი, საზღვარგარეთული ქურნალი გამოართვა გამყიდველს. ვამეხმა ფული გადაიხადა.

— მოიცა, მოიცა, — ძახლდა ალისა და ცალი ხელით ჩანთიდან ფულის ამოღებას ცდილობდა, მაგრამ ვამეხმა მოასწრო.

— გმადლობთ, — უთხრა ალისამ და ქურნალი გადაშალა.

— არაფრის, — უთხრა ვამეხმა, — იცი უცხო ენები?

— არა. ამ ქურნალს მოდებისთვის ვყიდულობ. ნახე, ამ ქალს რა კაბა აცვია, — დანახა ალისამ ვამეხს ერთი სურათი.

ვამეხმა უყურადღებოდ დახედა სურათს, რომელზედაც პირში პაპიროსგაჩრილი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იყო გამოსახული.

— კარგი ქალია, — თქვა მან, — პო, რატომაა ცხოვრება უცნაური?

— იმიტომ!

ვამეხს გაეცინა.

— რა გაციენებს? — თქვა ალისამ და ქურნალი დაკეცა, — მე რომ არ ვყოფილიყავი, დღეს არც შენ იქნებოდი ცოცხალი. მე გადაგარჩინე სიკვდილს.

ვამეხმა თავი ჩაღუნა. ალისამ ქურნალი იდლიაში ამოიღო. ცოტა ხანს ორივენი დუმილით მიდიოდნენ.

— მაინც რა იყო მაშინ, ვერ გამიგია, მართლა გინდოდა სიკვდილი? — ჰკითხა

მერე ალისამ და თავი ვაქუსკენ მიაბრუნა.

— რატომაც არა! — უბრალოდ ვამეხმა, — ადრე თუ გვიან ხომ ყველანი უნდა მოვკვდეთ?

— მერე რაღა ადრე კვდები, არა სჯობს გვიან მოკვდე?

— სულერთია!

— სულერთია?

— აბა რა! — თქვა ვამეხმა.

— სულ ერთი რომ იყოს, ომი, მკვლელობა და ყოველგვარი საზიზღრობა გამართლებული იქნებოდა, რადგან, თუკი სულერთია, როდის მოკვდები, მაშინ სიცოცხლეს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს...

— რა თქმა უნდა, არ არის სულერთი, ეს ისე ვთქვი, — გაიცინა ვამეხმა, — კაცი მაშინ უნდა მოკვდეს, როცა აღარ შეუძლია სიცოცხლე, არც ფიზიკურად, არც სულიერად...

— შენ ფიზიკურად ძალიან ყოჩაღად გამოიყურები, სულიერად კი... რა ცოდვა გაწევს ისეთი? — გაიღიმა ალისამ.

— ვინ იცის, რა ცოდვა მაწევს, — თქვა ვამეხმა, — იქნებ, მართლაც, ძალიან ცოდვილი კაცი ვარ... — ვამეხმა ჭიბიდან პაპიროსი ამოიღო, პირში ჩაიდო და მოუკიდა.

— არა მჭერა, — თქვა ალისამ. — თუმცა მაშინ მთვრალი არ იყავი. ვერაფრით ვერ გამიგია მაშინდელი შენი მოქმედება.

ამ დროს ვამეხმა ქუჩის მეორე მხრიდან გადმოსული იასონი დაინახა და გაჩერდა. ალისა გვერდზე გადაგა. იასონი ახლოს მოვიდა და ორივეს მიესალმა.

— კაცო, ვაიგეთ რა მომხდარა? — აღელვებით იკითხა მან.

— გავიგეთ, — მშვიდად უპასუხა ვამეხმა.

იასონი საშინლად შეშფოთებული ჩანდა.

— კაცო, როგორ მოხდა ეს ამბავი, ა? ვამეხი და ალისა დუმდნენ. ვამეხი წელში გამართულიყო, ხელეები ჭიბეებში ჩაეწყო, პირში პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი და ცალი თვალი მოეხუჭა, რად-

გან პაპიროსის ბოლი აწუხებდა ისონ-
მა ალისას გადახედა და ვამეხს უთხრა:

— რა აღრე ამდგარხარ? დილას რომ
გამეღვიძა და ვერ დაგინახე, ძალიან გა-
მიკვირდა...

ვამეხსმა არ უპასუხა. ის თვალეზში
უყურებდა ისონს. ისონს მზერა აქეთ-
იქით გაუტრბოდა.

— ეხ, საწყალი ბავშვი, როგორ და-
ლუბულა, — თქვა ისონმა, — რა გადა-
წყვიტე, ვამეხ, მიდიხარ დღეს?

ახლა მოშორებით მდგარმა ალისამაც
შეავლო ვამეხს თვალი.

— არა, — თქვა ვამეხმა, — გადავი-
ფიქრე.

— ძალიან კარგი გიქნია, — სიხარუ-
ლით წამოიძახა ისონმა, — მე ძუკუს-
თან წავალ, მივუსამძიმრებ, შენ, თუ შინ
მისვლა დაგჭირდეს, გასაღები ზომ იცი
სად არის და აიღე... — ისონს აღარ გა-
უხედა ალისასაკენ.

— თუ დამპირდა, ავიღებ, — თქვა
ვამეხმა.

ისონმა კმაყოფილებით ამოისუნთქა
და საქმიანი კაცის ნაბიჯით წავიდა.

ალისა და ვამეხი ჩუმად წამოვიდნენ
ზემოთ, საავადმყოფოსაკენ. საავადმყო-
ფოს წინ შეჩერდნენ.

— მაშ, შენ ისონთან გძინავს? —
იკითხა უცებ ალისამ.

— ჰო, წუხელის იქ მეძინა.

— როგორ მოხვდი მაგასთან?

— რა ვიცი, შემთხვევით.

ალისა ჩაფიქრდა. მერე სახეში მია-
ჩერდა ვამეხს და ჰკითხა:

— რამდენ ხანს დარჩები აქ?

— არ ვიცი.

— ერთ რამეს გეტყობდი, მაგრამ...

— მითხარი.

— არა. არ ღირს, არ არის საჭირო, —
და ალისა გაიქცა, და სანამ საავადმყო-
ფოს კარებში შევიდოდა, ხელი დაუჭინა
ვამეხს, მერე მიიშალა.

ვამეხი მარტო დარჩა. ნეტა რა უნდა
ეთქვა ალისას? შეიძლება ის, რაც გუ-
შინ ისონმა უთხრა, თუ ამის თქმას აპი-
რებდა; მაშინ ალისას, როგორც ჩანს,
აღარ ჰყვარებია ისონი. მაგრამ რა ვა-

მეხის საქმეა, ვის ვინ უყვარს. ასეთმა
რამეებმა ვამეხი არც უნდა დააინტერე-
სოს. მან ხელეები გულზე დაიკრძა და
ირგვლივ გაიხედა-გამოიხედა. ქუჩის მე-
ორე მხარეს ერთმანეთზე გადაბმული,
დაბალი, ერთსართულიანი სახლები იდ-
გა. ამ სახლებში სხვადასხვა სახის სა-
ვაკროები იყო: სასაუზმე, წიგნების მა-
ლაზია, უნივერსალი, გასტრონომი და სა-
პარიკმახერო. სავაკროებში ხალხი შე-
დიოდა, ზოგი გამოდიოდა. სავაკროების
უკანაც სახლები იდგა. იმ სახლების ზე-
მოთ სადგურის შენობის ზედა ნაწილს
და მწვანედ შეღებილი სახურავი მო-
ჩანდა. სადგურთან თავდებოდა ეს პატა-
რა ქალაქი. ქალაქს სარულებითაც არ ეტ-
ყობოდა, რომ დღეს აქ საშინელი უბე-
ღურება მოხდა. ვამეხს უცებ აუტან-
ლად მოეწყინა და წასვლა მოუნდა აქე-
დან, მაგრამ ვერ გადაწყვიტა წასულაყო
თუ დარჩენილიყო. ის ატყობდა, რომ
უცნაური მოვალეობის გრძნობა გაუჩნ-
და ზოგიერთების მიმართ ამ ქალაქში
და, თუმცა ეს შეგრძნება ჯერ არ იყო
ჩამოყალიბებული და გარკვეული მის
შეგნებაში, მაინც იმდენად ძლიერი იყო,
რომ არ იძლეოდა იმის უფლებას, მიე-
ტოვებინა ყველაფერი და, ჩვეულები-
სამებრ, ისევ სადღაც გადაკარგულიყო.

აუტანელია იმ კაცის ცხოვრება, ვინც
მხოლოდ წარსულით ცხოვრობს, ვინც
ვერ სწყდება წარსულს. მომავლის იმე-
დი და სიახლისადმი სწრაფვა ქმნის
ცხოვრებას მიმზიდველს და საინტერე-
სოს. საბედნიეროდ, ნორმალური ადამ-
იანი საოცრად სწრაფად ივიწყებს
წარსულ ცხოვრებას, სწრაფად და იო-
ლად ივიწყებს თავისი სიცოცხლის უმ-
ეტეს ნაწილს და ბევრი რამ, რაც უნა-
ხავს და განუცდია, ძალზე ბუნდოვნად
ესახება მის გონებას. განვლილი ათი
წლიდან, აბსოლუტურად ნათლად, შე-
იძლება, დიდი-დიდი ათი დღე გახსოვ-
დეს. სხვათა შორის, ეს ძალიან კარ-

გია, ასეც უნდა იყოს, ასე უკეთესია, მაგრამ, მაინც უცნაურია, რომ ადამიანს თითქმის სრულებით ავიწყდება თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი წუთები, ავიწყდება თავისი გატაცება, აღლვება, ვნება, იმედგაცრუება, სასოწარკვეთილება, ავიწყდება თავისი ტკივილიც და სიხარულიც, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო მაშინ, როცა მას ვანიცდიდა კაცი. ყველაფერი ეს იშლება მესხიერებიდან, იშლება აღქმისა და განცდის სიმძაფრე. დრო, მართლაც საუკეთესო მკურნალია. დრო ვადის და გავიწყებს წარსულს, გავიწყებს უკვე მოხდენილ ავსაც და კარვსაც. გაშორებს მას და გაიძულებს რეალური ცხოვრებით იცხოვრო. მაგრამ სანამ ჭრილობა ახალია, ადამიანი ვერ ხედავს მისი მოშუშების საშუალებას, ვერ ხედავს გზას, რომელსაც უნდა გაყვეს, რადგან ჭერ კიდევ მომხდარი ფაქტის გავლენით ცხოვრობს, ჭერ კიდევ ამ ფაქტს ეჭუთენის და არა მყობადს და აძიტომ ტკივილი ტანჯავს მის სულს.

ვამეხი უკვე მეორე თვეა დახეტიალობდა ქალაქიდან ქალაქში, მიემგზავრებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ხან სად ეძინა, ხან სად. სადაც მოუხდებოდა, ხან სადგურის მოსაცდელ დარბაზში, ხან ბაღში, მოლზე წამოწოლილს, ხან სადმე, ძველი შენობის ნანგრევებში... ხვდებოდა ათასნაირ ხალხს: მოხუცებს და ახალგაზრდებს, ავებს და კეთილებს, საქმიანებს და უსაქმოებს, მაგრამ არ იტაცებდა არავითარი ნაცნობობა; ხანდახან მთელი დღე მშვიერი იყო, ხან კი შემთხვევით გაცნობილ ხალხთან სვამდა სასადილოში, ან ბაზარში, ან ღვინის წერტში, ფანერის ყუთებზე ჩამომჯდარი. სვამდა ხან ცოტას, ხან კი იღუშებოდა, ზოგჯერ ჩხუბიც მოსდიოდა. უძებდა ხიფათს, ფათერაკს, მაგრამ ღმერთი სწყალობდა, ყოველი მდგომარეობიდან მრთული გამოდიოდა. მერე ისევ მიეხეტებოდა სადღაც, მგზავრობდა ხან მანქანით, ხან მატარებლით (საბარგოთი ან სამგზავროთი), სულაც

არ ენაღვლებოდა, სად მიიყვანდა ბედი, სად მოხვდებოდა, რა მთელუფლები-გორ წარიმართებოდა მის ცხოვრებას. ის ეძებდა დაეიწყებას და გარემოს სისტემატური ცვლა ძალიან შეელოდა, რადგან თითქმის არა რჩებოდა დრო თავის ფიქრებთან, თავის თავთან ჩამყუდროებისა.

ბოლოს პატარა ქალაქის საავადმყოფოში მოხვდა. ერთი კვირა იწვა და ამ ერთი კვირის განმავლობაში, სანამ ხეტილით და უწესრიგო ცხოვრებით დაღლილი მისი სხეული ძალას იკრებდა, ვამეხი განუწყვეტლივ ფიქრობდა, განუწყვეტლივ ფიქრობდა იმაზე, თუ რა ექნა, როგორ ეცხოვრა, საჭირო იყო თუ არა ის, რასაც აკეთებდა? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეეფასებინა სინამდვილე, ხომ უნდა შეეხედა თვალეში თავისი დღევანდელი, თუნდაც საშინელი დღისათვის? მან იცოდა, რომ ადამიანი ყველაფერს ეგუება, ყველაფერს ეჩვევა და შერე, როცა რამე მოხდება, ან ცუდი, ან კარგი, ეჩვენება, რომ ყოველთვის ასე იყო. მან იცოდა, რომ ადამიანს მალე ავიწყდება გუშინდელი დღე და ვინც უფრო მალე ივიწყებს ყოფილ კეთილდღეობას, ან ყოფილ უბედურებას, ის უფრო ბედნიერია. ვამეხმა იცოდა, რომ ეს ასეა, მაგრამ მისი გრძნობები, გონების ცივი ანალიზის საწინააღმდეგოდ, ვერ იზიარებდა ამ თვალსაზრისის, არ ჭეროდა ასეთი თვალსაზრისის არა თუ სისწორე, არამედ შესაძლებლობაც. ყოველ შემთხვევაში, ახლა ვამეხს არ სჯეროდა, რომ როდისმე შესძლებდა დაევიწყებინა ის, რაც მოხდა, რაც სამუდამო სატანჯველად განუშადა ბუნებამ. ვამეხს არ შეეძლო ამის დაევიწყება, ამ შეგრძნებით კი არ შეეძლო შეგუებოდა ცხოვრებას. რა ექნა? მან არ იცოდა, რა ექნა.

რა თქმა უნდა, იყო ერთი გზა, ერთი გამოსავალი, ერთი საშველი. გზა არა გაქცევისა და თავდავიწყებისა, არამედ პიროვნულის დაევიწყებისა. ვამეხს შეეძლო უარი ეთქვა საკუთარი „მე“-ზე,

უფრო სწორად, უარი უნდა ეთქვა ბედნიერების უფლებაზე. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი მხოლოდ იმიტომ ხომ არ არსებობს ქვეყანაზე, რომ თითონ იყოს ბედნიერი? ხომ შეიძლება მან სხვებს მოუტანოს ბედნიერება? იქნებ სულაც ეს იყო ვამეხის დანიშნულება ამ სამყაროში? მაგრამ როგორ უნდა მოეტანა ბედნიერება სხვებისათვის, როცა საშინელი უბედურება მოუტანა ყველაზე ახლობელს. სხვებს რომ ტვირთი შეუშუსბუქო, წმინდანი უნდა იყო, ვამეხს კი თავისი თავი ყველაზე ცოდვილ ადამიანად მიაჩნდა. სწორედ იმიტომ არ იცოდა, რა გადაეწყვიტა, რა ეფიქრა, რა გზას დადგომოდა. არ იცოდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო ამ ქალაქში. თუ წავიდოდა, კვლავ გაგრძელებოდა ის თავდავიწყებული ცხოვრება, რომელმაც მოიყვანა საავადმყოფოში, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე ისროდა მას, როგორც ტალღა ნაფოტს, ახალ-ახალ ხალხთან, ახალ სადგურებში, ახალ სასადილოებში... თუ დარჩებოდა, ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო და ტვირთი უნდა შეემსუბუქებინა ამ უცხო ადამიანებისათვის, მაგრამ როგორ, მან არ იცოდა. იქნებ გაეგრძელებინა ცხოვრება ძველი პრინციპით, რომელიც ერთადერთ სამართლიან, უმარტივეს და უკეთილშობილურეს პრინციპად მიაჩნდა: დაეცვა სიკეთე, წინააღმდეგობა ბოროტებას. ადრეც ხომ ასე იქცეოდა? მაგრამ ახლა ვამეხს ახლებურად ესაზებოდა ყოველივე. მას უარი უნდა ეთქვა საკუთარ „ბედნიერებაზე“, არ ეცდებოდა რაიმე ელონა საკუთარი კეთილდღეობისათვის, რადგან კეთილდღეობა სრულებით შეუძლებლად მიაჩნდა. მისი მოქმედება სხვების სასარგებლოდ გამოხსნული უნდა ყოფილიყო არა იმისკენ, რომ თითონ ეგრძნო თავი ბედნიერად, არამედ ეს უნდა ყოფილიყო მისი ჩვეულებრივი საქმიანობა, მისი შრომა, მისი არსებობის ნიშანთვისება და არა საკუთარი სიკეთით დატკობის საშუალება. მხო-

ლოდ ამ გზით შეიძლებოდა იმ ცოდვის დაიწყება, რომლის სიმტყვეველშიც აღუწევდა. მაგრამ ვამეხს ჯერ კიდევ ცხერს გადაეწყვიტა, საბოლოოდ დარჩენილიყო თუ წასულიყო ამ ქალაქიდან, რადგან გადაწყვეტილების მიღება ადვილია, მისი განხორციელებაა ძნელი.

და, აი, სწორედ ამ დროს თაურია დაიღუპა. ახლა ქალაქში პირზე ყველას ეს ამბავი ეკერა. ვამეხი დაავიწყდათ. დაავიწყდათ მისი ჩხუბი შამილასთან. სიკვდილის წინაშე ის ამბავი უმნიშვნელო წერილმანად გამოჩნდა.

ვამეხი იმავე საღამოს მივიდა ძუკუსთან. ეზოში, სკამზე ჩამოჯდა და მთელი საღამო მოსულ ხალხს ათვალიერებდა. თითქმის ყველა მისი ნაცნობი აქ იყო. ალისა და ჯემალი ერთად მოვიდნენ. კოწია-ეჭიმიც მოვიდა. შამილა, რეზო და კიდევ ზოგიერთები, რომელთა სახელები ვამეხმა არ იცოდა, სახლის წინ, ხის ქვეშ იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ისინი არც კი იხედებოდნენ ვამეხისაკენ, თუმცა იცოდნენ, ის იქ რომ იყო. ახლა მისთვის არ ეცალათ. არც ვამეხი აქცევდა მათ ყურადღებას. მარტო მარტო იჯდა თავისთვის, ფიქრებში წასული და ხალხს უყურებდა. მოვიდა ჩასუქებული დალაქი და მიესალმა ვამეხს. ცალფხვა კაცმა, სწორედ იმან, რომელიც აფთიაქთან მიესალმა ვამეხს ამ დღით, კიდევ ერთხელ დაუქნია თავი. ვამეხი იჯდა და თაურიას ბედზე ფიქრობდა. აა, ვინ იყო მართლა უბედური. ყველაფერი მორჩა მისთვის. თუმცა მისი სხეული ჯერ კიდევ არსებობდა, როგორც გარკვეული ფორმის მქონე საგანი სივრცეში, არარაობად იქცა მისი დანიშნულება. ხალხი აღიოდა აივანზე, ხელს ართმევდნენ ძუკუს, თავიანთი ანგარიშით თანაგრძნობას უწყევდნენ, ამხნევებდნენ ჰირისუფალს, მოვალეობას იხდიდნენ. მერე აივნიდან ეზოში ჩამოდიოდნენ და, მცირე ხნის საუბრის შემდეგ, შინ ბრუნდებოდნენ. ყოველდღე მოდიოდა ვამეხი ძუკუსთან და უყურებდა იმას, რაც ეზოში

ხდებოდა. ეზოში განუწყვეტლივ ფუს-ფუსი იყო. საქმიანი კაცის სახით დარბოდნენ ძუკუს ძმაცაცები და მეზობლები. ყოველგვარ წვრილმანზე დაობდნენ, ცდილობდნენ უფროსობა ჩაეგდოთ ხელში, თითქმის უმიზეზოდ ბრახობდნენ, ერთმანეთს პირველობისათვის ეცილებოდნენ და ისეთი გაცხოველებული ენერგიით ემზადებოდნენ პურმარილისათვის — დასავლეთ საქართველოში გავრცელებული უკვე დრომოქმული ჩვეულების თანახმად — თითქოს ამ პურ-მარილს გადაწყვეტა მნიშვნელობა ჰქონოდა, როგორც მიცვალებულისათვის, ისე მისი მარტოხელა ჳირისუფალისათვის, თითქოს პურ-მარილის გარეშე შეუძლებელი იყო გულწრფელი დარდის გამოხატვა, პატივისცემა მიცვალებულის ხსოვნისა. თითქოს მართლაც, სირცხვილი იყო მიწისათვის მიეზარებინათ მკვდარი, დღეისათვის ყოველად გაუმართლებელი წინასწარი ღრეობის გაუმართავად. თავის დროზე ეს ჩვეულება, ალბათ, საჭირო იყო და ამიტომაც წარმოიშვა, მაგრამ დღეს ძალზე არაბუნებრივად, უღამაზოდ, ბარბაროსულად გამოიყურებოდა ის ამბავი, რომ დაკრძალვის მომწყობ ხალხს ყველაზე მთავარ, სერიოზულ და მნიშვნელოვან მოვლენად ის კი არ მიაჩნდა, რომ თაურთამ შეწყვიტა სიცოცხლე, აღარ იყო ქვეყანაზე და აღარც არასოდეს იქნებოდა, არამედ პურმარილი, რომელიც უნდა გაემართათ თაურთას დაკრძალვის წინ. და ისინი დიდიდან სალამომდე დარბოდნენ არაქათგამოცლილნი ხან ღვინისათვის, ხან ლობიოს და ბრინჯის საშოვნელად, და მთელი ამ ხნის განმავლობაში თაურთას ტრავიკულ ბედზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ იმაზე, ეყოფოდათ თუ არა სურსათ-სანოვავაგე ამდენი ხალხის გასაძლომად. საწყალი თაურთა კი შუა ოთახში იდო და წარმოდგენა არა ჰქონოდა თუ რამდენი ვინმე გაერთო მისი სიკვდილით, რამდენი ფუსფუსებდა, წუხდა და შრომობდა მისი გულისთვის, რამდენ ენერ-

გიას და დროს ხარჯავდნენ ის ადამიანები, რომლებიც, სანამ თაურთა ცოცხალი იყო, ერთხელაც კი არა დაფიქრებულან თაურთას არსებობაზე, ზოგიერთებმა არც კი იცოდნენ ვინ იყო თაურთა, როგორი ადამიანი იყო... საშინლად გაუკვირდებოდა თაურთას, ყველაფერი ეს რომ ენახა, ეს უცხო ადამიანები, რომლებიც ახლა მის უახლოეს ჳირისუფლებად თვლიდნენ თავს, მაგრამ რას იზამ? ასეთია სიკვდილი...

დაკრძალვის დღეს ძუკუს ეზოში ხალხმა შუა დღიდან იწყო დენა. ეზოში უზარმაზარი, ბრეზენტის სეფა გაეშალათ. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. ქუჩაში მნაირულად მომავალი ქალები, როგორც წესი, უცხად იწყებდნენ კივილს, ეზოში ფეხისშემოდგმისთანავე, თითქოს ვინმე აძლევდა ნიშანს. მერე მთელი პროცესია შედიოდა ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, შემოხვიოდნენ ძუკუს, ძლიერდებოდა წივილ-კივილი, ბოლოს მაინც წყნარდებოდნენ, ვალმოხდილი ადამიანის კმაყოფილი სახით ეზოში გამოდიოდნენ, სადაც სპეციალურად ამისთვის აქ დაყენებული კაცები ეპატიებოდნენ მათ ბრეზენტის უზარმაზარ ჩარდახში გაშლილ სუფრასთან. ისინი, ვინც წელან საშინელ დარდს შეეპყრო, ახლა გულდამშვიდებულნი მადიანად შეექცეოდნენ ლობიოსა და ბრინჯს და დარბაისლურად საუბრობდნენ. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხალხს გული არ ეწვოდა, არ ეცოდებოდა თაურთა, პირიქით, ყველანი გულწრფელად დალონებულები იყვნენ, მაგრამ მაინც ისხდნენ სუფრასთან და მადიანად შეექცეოდნენ სადილს.

ვამეხი იდგა ეზოში, გულხელდაკრფილი და ყოველივე ამას ნაღვლიანად, გულისტკივილით შესცქეროდა. სწყინდა, რომ ყველა რაღაცით იყო გართული და არავინ არ ფიქრობდა თაურთაზე.

მერე ვამეხი ეზოდან გამოვიდა და სასაფლაოსკენ გაემართა, მარტოკა მი-

ვიდა სასაფლაოზე. აქ სინუშე იდგა. მესაფლავეებს თაურიას საფლავი უკვე გაეთხარათ და წასულიყვნენ. ტანწერ-წერა კვიპაროსები მოწყენილად იდგნენ. უზარმაზარი, სურამოდებული ცაცხვი საიდუმლოდ გატრუნულიყო, გარინდებულიყო. ვამეხი საფლავის ქვაზე ჩაოჯდა. ქვემოთ დაბლობი მოჩანდა. მოჩანდა ქალაქი, რკინიგზა და გზატყეცილი, მდინარე, ყანები. სასაფლაო ფერდობზე იყო. ფერდობის ვაგრძელეზაზე, ზემოთ, ცალი მხრიდან მიუდგომელი გორაკის წვერზე, ძველისძველი, ჯერ კიდევ მტკიცედ შენახული. მაგრამ დაცარიელებული და ქონგურებჩამონგრეული ციხე-კოშკი იდგა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ძველი კოლხეთის რომელიღაც მეფეს ეკუთვნოდა. ციხის კედელზე სურო და ხავსი ამოსულიყო და ტყიანი ქედის ფონზე იგი ნახევრად მწყვანედ, ნახევრად თეთრად მოჩანდა შორიდან, თითქოს უხეიროდ შეენიღბა ვინმეს. ვამეხი საფლავის ქვაზე იჯდა და ფიქრობდა. ვინ იცის, წინათ როგორი ხედი იშლებოდა აქედან. დაბურული ტყეები სავსე იყო ნადირით, ჭობებს ორთქლი ასდიოდა. აქ ცხოვრობდა დღევანდელისაგან სრულიად განსხვავებული ხალხი; მათ ტანი დასვირინგებული ჰქონდათ, ტყავებში გახვეული დადიოდნენ, არ იცოდნენ, რა არის სირცხვილი, მაგრამ საუკეთესო რკინის იარაღს ჰედავდნენ თურმე და ეხერხებოდათ კიდევ მისი ხმარება. სხვაგვარი იყო მაშინ სამყარო, სხვაგვარი იყო ადამიანთა ვნებებიც კი, ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარი იყო ცხოვრების მოვლენათა შეფასება. მაგრამ რა არის დღეს მნიშვნელობა იმისა, რაც იყო? არაფერი! რა არის „იყო“ — დღეს? არაფერი? კაცი შეიძლება იყო ბედნიერი, იყო ლამაზი, იყო ცოცხალი, მაგრამ დღეს რას ნიშნავს ეს „იყო“? არაფერს? აბსოლუტურად არაფერს. ეს ნიშნავს, რომ იყო და აღარ არის. მაშთავისთავად ეს „იყო“ რეალობაა თუ არა დღეისათვის?

ვამეხი საფლავის ქვაზე იჯდა. ვინ იცის, ამ ლოდის ქვეშ, და რამდენი ხანია, რაც იწვა, მან არ იცოდა, რა იქნება ლოდზე სიძველის გამო წასლილიყო. მაგრამ იქ, ქვემოთ, მიწაში იყო იმის ნეშტი, ვინც ოდესღაც ადამიანი იყო, დადიოდა მიწაზე, სუნთქავდა ჰაერს, ჰქონდა თავისებური სახე, ჰქონდა ხმა, მხედველობა, ის იყო ადამიანი, რომელიც თავისი შინაგანი ბუნებითაც, ალბათ, ერთადერთი და განუმეორებელი იყო მთელ ქვეყანაზე, ალბათ ისიც ფიქრობდა სიკვდილზე, რადგან ადამიანი იყო. სანამ ის გაჩნდებოდა ამ ქვეყანად, სამყარო არსებობდა მილიონი და მილიარდი წლების განმავლობაში. დაუსრულებლად არსებობდა ეს ქვეყანა იმ ადამიანის გაჩენამდე. მერე კი ის დაიბადა, იცხოვრა და მოკვდა. ის მოკვდა და გავიდა მისი სიკვდილიდან ერთი წამი, ერთი წუთი, ერთი საათი, ერთი დღე, ერთი წელიწადი, საფლავს ლოდი დაადრს და დააწერეს, ვინ იყო ის, რამდენხანს იცხოვრა ამ ქვეყანად, მაგრამ გადიოდა წლები და ამინდმა თუ ეამთა სვლამ წაშალა წარწერა საფლავის ქვაზე, ახლა არავინ იცოდა, ვინ იწვა ამ ლოდის ქვეშ, ქალი თუ კაცი, მოზუცი თუ ახალგაზრდა, კეთილი თუ ბოროტი? გადიოდა წლები, გავიდა კიდევ მილიონი თუ მილიარდი წელი, დაუსრულებლად იარსებებდა დრო მისი სიკვდილის შემდეგ, როგორც არსებობდა მის დაბადებამდე, ის კი აღარ იქნებოდა, აღარ ექნებოდა ადგილი სივრცეში. ვამეხი ფიქრობდა იმაზე, არსებობდა თუ არა ეს ადამიანი საერთოდ, ილუზია ხომ არ იყო ის სამყაროს უსაზღვროებაში, რადგან სამყაროს დროის უსასრულო სიდიდემ შთანთქმა მისი არსებობის დრო. იქნებ ყველაფერი რაღაც უცნაურ ილუზიას წარმოადგენს. თითონ დროც ხომ ისეთივე არაზუსტი ცნებაა, როგორც დასაწყისი და დასასრულსა, როგორც მიმართულება სამყაროში? დრომ არ იცის, რა არის ხანგრძლიობა, ის მუდმივია, თუმცა ჩვე-

ნთვის ის ხანგრძლივობის გამოხატვე-
ლია. მიუხედავად ამისა, არ არსებობს
ერთიანი დრო, სამყაროს სხვადასხვა
კუთხეში სხვადასხვაგვარია ის, არ არ-
სებობს გარკვეული მიმართულება, ყვე-
ლა მიმართულება ტოლფასია, არ არსე-
ბობს ზევით და ქვევით თავისთავად,
არც მარჯვნივ და მარცხნივ, ყველაფე-
რი პირობითია და არავინ იცის, რა არის
საგნების ჰეშმარიტი არსი. არ არსებობს
საგანი, რომელიც თავისთავს წარმოად-
გენდეს ყველა შესაძლებელი თვალსა-
ზრისით. ასევეა ადამიანიც. იმ წერ-
ტილს, რომელსაც ჩვენ პირობით დასაწე-
ყის ვეძახით, და იმ წერტილს შორის,
რომელსაც აგრეთვე პირობით დასას-
რულს ვეძახით, თანაბარ მანძილზე მდებ-
არე საგანი სხვადასხვანაირად ჩანს
დასაწყისიდან და ბოლოდან. ცოცხალი
არსება, რომელიც თავისი სასიცოცხ-
ლო ძალების განვითარების კულმინა-
ციურ სიმაღლეზეა ასული, მისი ცხოვ-
რების დასაწყისიდან მთლიანად სრულ-
ყოფილად გვეჩვენება, მაგრამ თუკი
მას შევხედავთ მისი დასასრულიდან.
ის თავისი განვითარების წინა მომენტ-
თან შედარებით მაღლა კი არ არის ასუ-
ლი, არამედ დაბლაა დაშვებული, უფ-
რო დაუსტებელია, ვიდრე წინა საფე-
ხურზე იყო, რადგან, რაც უფრო ვითა-
რდება სასიცოცხლო ფუნქცია, მით
უფრო უახლოვდება კრიზისს, სიკვ-
დილს. მაშ რაღაა რეალობა? სად არის
სინამდვილე? იქნებ მთელი, ჩვენთვის
ცნობილი სამყაროს ცხოვრება, რომე-
ლიც დაუსრულებლად მიმდინარედ გვე-
ჩვენება — მხოლოდ და მხოლოდ სიზ-
მარია სამყაროს შესახებ ჩვენს წარ-
მოდგენაზე მილიარდჯერ უფრო დიდი
მასშტაბის არსების მთვლემარე გონე-
ბაში და ჩვენ ამ სიზმრის უმნიშვნე-
ლო ელემენტები ვართ? იქნება ყველა-
ფერი, რაც ასე გრანდიოზულად და
უსასრულოდ მიმდინარე გვეჩვენება იმ
არსების შეგრძნებით ისევე სწრაფად გა-
დის, როგორც ჩვენთვის ერთი წამი.
ვინ იცის, იქნებ ადამიანები სულაც

სიზმარული სიმბოლოები არიან, სრულ-
ლებით არა დამოკიდებულნი თავიანთ
ნებასურვილზე და იმ მძინარე უცნობ
არსების გონების ქვეცნობიერი კარნა-
ხით მოქმედებენ და ქრებიან, იმ გონე-
ბისა, რომელსაც შეიძლება თვითონაც
არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი
თავი და მასზე ბევრად უფრო დიდ,
უფრო გრანდიოზულ მოვლენას ემორ-
ჩილება, ემორჩილება რაღაც გარკვე-
ულ, საერთო, უმაღლესს წესს, რომე-
ლიც, ალბათ არსებობს, მაგრამ ადამი-
ანს არ შეუძლია მისი შეცნობა? თუ
ადამიანი, რომელიც აღარ არსებობს
თავისთავად, ესე იგი, ორგანულად, მა-
გრამ არსებობს სხვა სახის გონებაში.
ცოცხალი ადამიანის წარმოსახვაში, მო-
გონება იქნება ეს, თუ სხვა რამ, რეა-
ლობა, მაშინ, რატომ არ არის რეალობა
ყოველგვარი, თუნდაც ძალზე ფანტას-
ტიკური წარმოსახვა, სიმბოლო, რომე-
ლიც ადამიანის თავში წარმოიქმნება,
რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აზრო-
ვნების საშუალებით არსებობს და არა
ნივთიერად? თუ ესეც რეალობაა, რა-
ტომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ყო-
ველგვარი წარმოსახვა, ყოველგვარი
სიმბოლო, რომელიც ჩვენს გონებაში
წარმოიქმნება და ჩვენ მას შინაგანად
ვხედავთ, არის მატერიალური საფუძ-
ვლის მქონე, თავისთავადი, დამოუკი-
დებელი, საკუთარი ნივთიერი სხეულის
მქონე საგანი და არა აბსტრაქცია? თუ
ამას დავუშვებთ (ყოველ შემთხვევაში
ჩვენ რეალობად მიგვაჩნია ისეთი რამ,
რაც აღარ არსებობს, მაგრამ გვწამს,
რომ არსებობდა), მაშინ საცხებით დასა-
შვებია ისიც, რომ თავის მხრივ ადამი-
ანები, მთელი კაცობრიობა თავისი
ცხოვრებით, სიზმარულ სიმბოლოებს
წარმოადგენენ რომელიმე გრანდიოზუ-
ლი მასშტაბის მქონე არსების ცხოვრე-
ბაში, მის გონებაში და ემორჩილებიან
მის კანონებს... მხოლოდ არავინ იცის,
რა არის ეს არსება. თუ ასეა, მაშინ
განწირულია სულისა და ნების ყოველ-
გვარი სწრაფვა და ცდა სრული, ეგ-

რეთწოდებული სამყაროსეული, უაღრესად ზებიროვნული თავისუფლებისაკენ, რადგან თუკი რაიმეს ემორჩილები, მაშინ აღარ არსებობს ასეთი სწრაფვის შესაძლებლობა. ბუნების კანონს კი არ შეიძლება არ დაემორჩილო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერასოდეს ვერ გაიგებ რა ხდება ამ ქვეყნად, რატომ ცხოვრობდი, რისთვის ცხოვრობდი...

სწორედ ამ დროს მუსიკა გაისმა და ვამეხს ფიქრი შეაწყვეტინა, აღმართზე თაურისას მოასვენებდნენ. ვამეხი წამოდგა და სასაფლაოს შესასვლელისაკენ გასწია. საფლავებს შორის მიმავალმა უცბად იგრძნო: ცხოვრება მაინც სულ სხვა რამ იყო. განყენებულ ფიქრს ხსნა არ მოჰქონდა. ის, რაზედაც ვამეხი ფიქრობდა წელან, არ შველოდა მის ტკივილს. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე, საერთოდ, ადამიანის როლის განსაზღვრა. ვამეხი გრძნობდა, რომ ყველაზე მთავარი რამ მისთვის იყო ადამიანი, ადამიანის ტკივილი. ადა-

მიანი არის სამყაროს ცენტრი, ფიქრობდა ვამეხი, — და მას ემორჩილება ყველაფერი, მისგან ჯამომდინარეობს ყველაფერი, ყოველგვარი პრობლემა, რომლითაც ის დაინტერესებულია, რომელიც იცის, რომელიც მის წინაშე დგას, და ყოველად შეუძლებელია ადამიანისათვის ადამიანზე მაღლა სხვა რამ ძალის დაყენება. ვამეხის გონებაში უცბად დაიჩრდვა, უცბად გაქრა ის სისტემა, რომელიც თვითონვე შექმნა. მას არ შეეძლო ასეთი კუთხით ეცქირა ადამიანისათვის და სხვა რამ მიეჩნია ეფრო უმაღლესად, მნიშვნელოვნად. სამყაროზე ფიქრი ადამიანს სჭირდება მხოლოდ საკუთარი ადგილის და ბედის განსაზღვრისათვის ამ სამყაროში. ამიტომ ადამიანის მიწიერი, ყოველდღიური ცხოვრება ისევე მწვავე ტკივილად რჩება ვამეხის გულში. მას მოუხდა ტვირთი შეემსუბუქებინა ყველასათვის. ცხოვრება, ფიქრის გარდა, მოქმედებაცაა, ფიქრობდა ის.

□ ბაზრძელება იმნიბა □

მთარ ჭილაძე

მ თ ა შ ი

ათნილა დაერჩით და ყველა ჩვენგანს
მეგზურად ყაედა ვჭვი და შიში.
და ხიჭათს ფზიზულად ეძინა ყველგან:
მიწაზეც, ცაზეც, მზეშიც და ჩრდილშიც.

მერე კი ცხრანი მივსდევდით ბილიკს
წყვედიანი კლდეებს ფხოჭნიდა ტანგით,
და ობოლივით მიგვყავდა ფრთხილად
ცხრად გაყოფილი მუათის ბარგი.

და მოწყენილი, რიგორც აული,
მოგედევდა რალაც, ღრუბლის მავგარი.
ხოლო უბრალო ხმაც და ხმაურიც
იყო უსაზღვრო ფიქრის საგანი.

და სახიფათო წამთა სიუხვე
სიცოცხლის ჭინით მავსებდა დაღლილს.
შორს კი ძეგლივით იდგა ტიუხი
და იყო მშვიდი, ვით ღმერთის სახლი.

პ ა მ ო თ ს ო ვ ე ბ ა

რა მოხდა, თუკი ველარ შევხვდებით.
ამ ქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით, —
მარადიული ის არის მხოლოდ
და ასეთია ყოველთვის ბოლო
ნამდვილი გრძნობის, განცდის და ენების.
და შეც ამ დიდი კანონის ნებით
მიყვარხარ!

მაგრამ ამ სიტყვას ახლა
იაფი სცენის სურნელიც ახლავს,
რაც არ უხდება და არც ჭირდება,
ამიტომ, ალბათ, გამიჭირდება
მისი წარმოთქმა. მაგრამ გახსოვდეს,



მაგრამ გჯეროდეს, რომ არასოდეს
არ დაგავიწყებ ჩემს ხმას და სახელს,
 შენგან მრავალი ტკივილის მნახველს.
 და გზა, რომელიც გაიყო ორად
 და უკვე იქცა ცოდვად თუ ჭორად,
 იყოს დღევრძელი, რომ შენი წილი,
 თავისი ღორღით, მტკრითა და ჩრდილით,
 ტანჯვის გზად იქცეს და უცხო თვალი:
 ყრმის თუ მოზუცის, კაცის თუ ქალის,
 გხედავდეს მხოლოდ ამ გზაზე მავალს,
 რადგან დღეიდან მე შენი ხმა ვარ.
 რადგან მე უკვე ვიყავი ღმერთი
 და მოვიგონე ეს გრძნობა ჩემთვის,
 ჩემს დასაცავად და დასალუპად.
 და რისხვა, გულმა რაც დააგუბა,
 რაც გულს აქამდე ძალით ვკავა,
 წყრილმან გრძნობების წასალგკავად
 გასასვლელს ეძებს, რომ დღეის იქით
 შენს ნაკვალევზე დიოდეს იგი.
 და უსასრულოდ, დღისით თუ ღამით,
 და თუნდაც მხოლოდ სულ ერთი წამით
 იქცეს კოშმარად, ან მოჩვენებად,
 დაგიფრთხოს ძილი და მოსვენება,
 და ფრთებშეკვეცილ ფრინველის მსგავსად
 აღარ შეგეძლოს გაფრენა არსად.
 მერე რა მოხდა, თუ უცხო თვალი,
 ჩვენი უცნაურ სეირით მთვრალი,
 ბაგეს გადასცემს დამცინავ ღიმილს
 და იმ ღიმილის უხეში ქიმი
 გაგვივლის გულში..

შენ კი გახსოვდეს,
 რომ ვერ მიაგნებ ხსნას ვერასოდეს,
 რომ მე ვარ ჯვარიც და ეშაფოტიც
 და ჩემი სულის ყველა ნაფოტი
 იმ კოცონისთვის გროვდება ახლა,
 რომელზეც შენი სურვილით ახვალ.
 მაგრამ იქამდე შენი სახელი,
 ვით ჩემი მტრების თანამზრახველი,
 ან ვით ურჩხული: ცხრა ხმით, ცხრა ხელით
 დამახრჩობს, თუკი ამოძახებას
 ვერ შევძლებ უცებ.

გოღოღინი



გაუჩინარდა სარკმელში ტოტი,
საკვამურებიც და მავთულებიც...
აღარაფერი არ ჩანს სრულებით,
და როგორც შავი ყინულის ლოდი
დუმს ტელეფონი.

მაგრამ დუმილიც თანდათან კარგავს
თავის საზარელ აზრს და უფლებას
და შესმის, როგორ ესაუბრება:
კედელი კედელს, საგანი საგანს.

თუმცა მე უკვე აღარ მაქვს ნება,
რომ რამე გრძნობა მქონდეს შენდამი
და მტვრად ედება ჩემს გლუვ ზედაპირს
თავგანწირული და ლალი ვნება.

მაინც რაღაცით უნდა გავერთო
და ავიტანო დაღიც და დაღლაც,
რადგან ჩემს ნაწილს შეადგენს ახლა
ის, რაც დარჩება ჩემგან საერთოდ.

კუჭკინის რულის აჩვილი

ახლახან შეწყდა სროლის ხმა თითქოს. გალურჯებულა სივრცე წყლულივით და ჩა-
ჩოქილი პოეტის ლანდი მიწას ეყრდნობა დამბაჩის ლულით.

უცებ სცენაზე შემოდის თოვლი, რომ უფრო სრული იყოს სურათი. და გვივარდება
ფეხებში უხმოდ, რომ უფრო მკვეთრად გამოჩნდეს სისხლი, ახლაც რომ მკვერდით ას-
კდება სივრცეს, როგორც წითელი ცხენების ჯოგი, თავლიდან ცეცხლით გამოდგენილი.
მოარბენინებს ვიღაცა ღრუბელს და სისხლს ვიღაცა თოვლს აყრის ფეხით. და დაგ-
რძელებულ სხეულებს შორის ფუსფუსებს ქარი, როგორც მსახური.

ტყეს მოდგომია უკვე ქალაქი, და სახურავი, კუს ბაკანივით. ნელა მიხოხავს ხეების
გასწვრივ.

ზამთრის პირველი დღე

უკვე ყველანი ველოდით ზამთარს:
ფოთლები გაქრნენ, ხოლო ჩიტებმა
კვლავ გადალაბეს მისჯილი ცხრა მთა,
ბუნების გულის დასამშვიდებლად.



ყველანი ცქერად იყვნენ ქცეულნი,
თითქოს შეცვლიდა რამეს ზამთარი,
ან თითქოს მისი შიშიმე სხეული
არ იყო ჩვენი გადასატანი.

მეც იქ ვიყავი, მაგრამ ვერაფრით
ვერ მოვეუნახე აზრი მოლოდინს,
თუმცა ყველაზე მეტად ვდელავდი
და შეთქმულივით ვდუმდი ბოლომდის.

ხოლო სათქმელი, ცხოველის მსგავსად,
ბორგავდა სულში და მოითხოვდა
გამომგლავნებას და ხალხში გასვლას,
ანუ ყინვაში გასვლას სითბოდან.

მაგრამ მე უცებ ვიგრძენი ნათლად
განუსაზღვრელი ძალა წერტილის
და, ალბათ, მამინ გადაწყვედა მართლა
რაც კი მეგონა გადაწყვეტილი.

მერე კი დადგა აღთქმული წამი,
ყველასგან უკვე ბევრჯერ ხილული:
ძლიერს აითრია ფეხები ღამემ
და აბრჭყვიალდა მზეზე ყინული.

ოთახი

ქალი ტიროდა. გარეთ კი თოვდა
და გროვდებოდა თოვლი რაფაზე.
და ქალთან რაღაც საერთო ჰქონდა
ზამთრის სიმკაცრეს და სიკაპასეს.

შეშფოთებული იყვნენ საგნებიც,
ან თოვლის შუქზე მოჩანდნენ ასე,
და, რა თქმა უნდა, ჩვენზე ნაკლებად
იტანჯებოდნენ ტირილის ხმაზე.

ის კი ტიროდა და პირქვე იწვა:
სურდა ტირილით თავი გაერთო-
და უკვე თოვლით დაფარულ მიწას
იმ ქალთან რაღაც ჰქონდა საერთო.

ჩ რ დ ი ლ ი

ნუ მომახედებ ნურასდროს უკან,
ვიცი სიცოცხლე გზადაგზა მრჩება
და თუ შეღირსა ნამდვილი ვნება
ის დაადგება ჩემს ცხედარს შუქად.

ჰერ კი მიწაზე ეცემა ჩრდილი
სხვა სამყაროში გასულ სხეულის.
გამოფიტული და დამსხვრეული
ეცემა პირქვე და მწარედ ტირის.

და ჩემს მაგიერად სხვები ცდილობენ,
რომ მთად აქციონ ჩრდილის ტირილი.
ის კი მარტოა და ნადირივით
საკუთარ ნერწყვით ირჩენს ჭრილობებს.

მე არ მცალია ჩრდილისთვის ახლა,
ფრთებად ქცეულან ძველი ცოდვებიც
და მე ამ ფრთებით მიწას ფშორდები.
და უსასრულოდ მივიწვევ მაღლა.

და იქნებ მართლა შემომხედეს სადღაც
ვნება, რომელიც იქცევა შუქად...
არც მე ვეყოფი ამ მიწას ლუკმად,
არც ჩემი ცრემლი აუვსებს კათხას.





წიგნიანი ჯიხვიანი წიგნიანი

ბოქოლია ლომიძის ხატვისა

(პირთი თვის კრონიკა)

წელს, ზაფხულზე, როდესაც ვასრულებდი ფუნდამენტურ შრომას—„წყალტუბოს რადიოქტიური, როდონული წყლებისა და მათში არსებული რადიუმის უმანაიის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე“. — წყალტუბოში შემთხვევით ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი გავიცანი. პირადად მე სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის, დიდი პატივისმცემელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ის ყმაწვილი, რომელსაც ტატულის ეძახდნენ, ხშირად ტელევიზორში, რამდენჯერმე თვით სტადიონზე მენახა და გამიკვირდა, როდესაც წყალტუბოში შევხვდი. იგი ძალიან გამხდარი მომეჩვენა, თუმცა შემდეგ, თითქოს ჩემს გასაოცებლად, რამდენჯერმე სინანულით მითხრა: შესამჩნევად მოვიმატეო. ჩემი სპორტული უმეცრების მიუხედავად, საიდანაც ადრევე ვიცოდი, რომ ის ბიჭი იმ წელს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში შეიყვანეს და რამდენიმე მატჩიც ითამაშა. მაყურებლებში დიდი სახელი ჰქონდა, მაგრამ როგორც შემდეგ გავიგე, ფეხბურთის მცოდნენი თურმე ამომავალ ვარსკვლავად თვლიდნენ.

• • •

წელს წყალტუბოში თითქმის მთელი ივნისი წვიმდა. ხანდახან ცა პირს გახსნიდა, მაგრამ ისევ გაავდრდებოდა. წვიმდა წერილად და გაუთავებლად: გზის პირებს ჩაყოლებული, ტოტებ-

გართმული ნაძვები, ღვიის გაფარფაშებული ბუჩქები და სველი კვიპაროსები ღია მწვანედ ხასხასებდნენ. ანწლითა და მაღალი სარეველა ბალახებით დაფარული პატარ-პატარა მინდვრები, რომლებიც დიდი პარკის მივარდნილ კუთხეებში და აბაზანების ყრუ კედლებთან შემორჩენილიყო, წყლით იყო დატბორილი. ბეტონის კალაპოტში პატარა, ამღვრული მდინარე მოდიოდა. მოასფალტებულ შარაგზებს წვიმის წყალი რეცხავდა. პარკის შესასვლელთან თითქმის ყოველთვის რამდენიმე ტაქსი იდგა. დაორთქილ, დაბურულ ფანჯარაში წვერგაუპარსავი მძღოლის მოწყენილი სახე ჩანდა.

საწვიმარმოზურული დამსვენებლები სწრაფად გადირბენდნენ პარკის მოასფალტებულ მისადგომებს და სააბაზანოებს აფარებდნენ თავს. ფოტოგრაფები, რომლებიც დარში თავიანთი ძველთაძველი აპარატებით მთელ ბაღს არიან მოდებულნი, ახლა საკუთარ ჯიხვიანებში, ან სააბაზანოების ვესტიბიულებში ყაჩაღებით იმალებოდნენ.

ასეთ უხეირო ამინდში კომფორტაბელურ სასტუმრო-პანსიონატში ყოფნაც მოსაბეზრებელია. იმ პანსიონატში თვით მე ვცხოვრობდი და ჩემ სიტყვებს დარწმუნებით შეგიძლიათ ენდოთ. სხვებზე მეტად შორი კუთხეებიდან ჩამოსულ, მზესა და სითბოს დანატრებულ ავადმყოფებს მოწყენოდათ. ზოგიერთი ხმისამოუღებლად, საათობით იდგა ვესტიბიულში. ვეება შემაბან-

დიანი კარი მძიმედ იღებოდა და გალუმპული დამსვენებლები რიგრიგობით შემოდისოდნენ, იქვე იხდიდნენ საწვიმრებს და ნახერხით მოფენილ მარმარილოს იატაკზე დადიოდნენ.

ნასადილევს, როდესაც სასტუმრო-პანსიონატის შესასვლელ-გამოსასვლელები და გრძელი დერეფნები დაცარიელდებოდა (ზოგს ეძინა, ზოგი სააბაზანოდ იყო წასული), ჩვეულებისამებრ, მუშაობას თავს ვანებებდი და სასეირნოდ გავდიოდი. იმ უღიმღამო დღესაც ასე მოვიქეცი. სანამ ფერდობზე ამომავალი, განიერი ქვის კიბე ჩავათავე, გვარიანად დავსველდი.

შუადღით ბალში ფოსტა მოჰქონდათ და იმ იმედით, რომ ჭიხურში ახალი ეურნალ-გაზეთები დამხედებოდა, პარკში შევედი. შორიდანვე შევატყე, ჭიხური დაკეტილი იყო, მაგრამ უკან აღარ ვაგებრუნებულვარ; ახლო მივედი და სველ მინაში შევიხედე. შიგ არავინ იყო. შემოვბრუნდი და, სანამ უკეთეს ადგილზე წასვლას მოვისაზრებდი, კაკაოსფრად შეღებილი ჭიხურის წინგამოშვერილ სახურავს შევაფარე თავი.

ხელმარჯვნივ, სიღრმეში დაბალი, ლურჯად შეღებილი ტირის შენობა ჩანდა. დახლს რამდენიმე კაცი მისდგომოდა. ბევრი აღარ მიფიქრია, ტირისაკენ წავედი. საგაზეთო ჭიხურთან ასფალტის ბილიკი თავდებოდა და ტირამდე ტალახიანი გზა მიდიოდა. ქვიდან ქვაზე, ჩემი ფიქრით, ოსტატური ხტომით შევედი ტირის მოლიავებულ შენობაში. ყველანი ჩემსკენ მოტრიალდნენ. ამ ხალხს, ალბათ, საქმე არაფერი ჰქონდა და ისე მომაჩერდნენ, თითქოს ჩემ მოსვლასა ელოდნენ. ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც იმ დღით ორჯერ ვნახე, როგორ ბრძანდებოდა, მკითხა. იმ ახალგაზრდას საკურორტო სამმართველოში რაღაც უმნიშვნელო თანამდებობა ეჭირა. კურორტის მთავარმა ექიმმა ჩემთან მუშაობა დაავალა. დღევამოშვებით არქივში დავდიოდი და შავ სამუშაოზე მეხმარებოდა. სახელად კოკი ერქვა. შეიძლება

სხვა სახელიც ჰქონდა, მაგრამ ყველანი კოკის ეძახდნენ. კინალამ ჩემი ტოლი იყო, მაგრამ მუდამ თქვენობის სმელაპარაკებოდა, ხანდახან ბატონოსაც მეძახდა და უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა. სულ ვცდილობდი არაფერში დამჭირებოდა და მისი ზედმეტი თავაზიანობისაგან გავთავისუფლებულიყავი. პირმრგვალი, ზომიერად მსუქანი კაცის მომლიძარი, სანდომიანი სახე და მოძრავი, უნდო თვალები ერთმანეთს არაფრით არ ესადაგებოდნენ. ბუნებით შეიძლება ეჭვიანიც კი ვარ, მაგრამ ასეთ, ერთი შეხედვით, უწყინარ, ქვეშევშე კაცს არასოდეს ვენდობი. სულ მიკვირდა, რას გამოელოდა კოკი იმ უმნიშვნელო კანცელარიული სამუშაოდან, როდესაც თავისუფლად შეეძლო ეყაჩაღა პირველსავე მოსახერხებელ შარავნაზე.

ტირის კედელთან ახალგაზრდა ბიჭი იდგა. ბიჭს ხელში ლამაზი საბჭენი ჯოხი ეჭირა და თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა. იმ ბიჭმა ჩემი ყურადღება შესვლისთანავე მიიქცია. მომეჩვენა, რომ სადღაც მენახა და არც შეემცდარვარ. სწორედ ის აღმოჩნდა ფეხბურთელი ტატული.

ტირშიც გვარიანი მოწყენილობა სუფევდა. სიღრმეში რამდენიმე უხეირო სამიზნე და ერთი ქუეყიანი ტოტალიზატორი იდგა. თაროზე ოდესკოლონი, საპონი, იაფფასიანი, ცალგვერდშესველებული ნამცხვრის შეკვრა, პუდრის რამდენიმე კოლოფი და ცარიელი შამპანურის ბოთლი იდო. როდესაც ჰაერის დაწვრთვული თოფით იმდენ ქულას დააგროვებდი, რამდენიც დებულებით საჭირო და პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი იყო, მაშინ ერთ ამ ნივთიანს მიიღებდი საჩუქრად. აქ სხვა დროსაც ვყოფილვარ და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს საჩუქარი სასჯელს უფრო ჰგავდა, თუმცა მოგება და „პრემიის“ მიღება მაინც მსურდა.

მეტირემ თვითონ ამირჩია თოფი და ტყვიები დახლზე დამილაგა. ტატულიმ მირჩია, ნიშანი ოდნავ ზევით დამეჭირა.

ჩრევა-დარიგებისათვის ტატულის მადლობა ვუთხარი და სროლას შევეუდექი. ვიცოდი, ყველანი მე მიყურებდნენ და ველავდი. მეგონა კოკი ზურგსუკან დამცინოდა. ამან ისე გამაბრაზა, რომ მოურიდებლად მოვტრიალდი. კოკი არც იცინოდა და არც მე მიყურებდა. მაგრამ, როგორც კი სამიზნესაკენ შევბრუნდი, მაშინვე მივხვდი, რომ კოკიმ ვილაქას თვალი ჩაუკრა. სროლას მალე მოვრჩი და მეტირეს ვთხოვე, წასროლი არ დაეთვალა და არც სამიზნე მოეტანა.

— თქვენ, ბატონო, არ ისროდით ცუდად... ორი ათიანშია და დანარჩენებიც იქაა, იმ რაიონში... — ოღონდ გაიღიმა კოკიმ და თვალი მომარიდა.

— ერთი მარტო ათიანში... — თქვა მეტირემ და თავისი სიტყვის დასადასტურებლად სამიზნისაკენ წავიდა.

— ...ერთი ათი... ცხრა, აქაც, იქაც... სულ ორმოცია!.. — დაიძახა მეტირემ და უკან დაბრუნდა. ფოჩიანი ტყვიები დახლზე დაყარა.

— მე მეტი მეგონა.. — თქვა კოკიმ და ისევ გაიღიმა.

— ჩემთვის ესეც ზედმეტია.—ვთქვი მე.

— პირველ სროლაზე ასეა.. მერე და მერე მოუმატებთ... — დამამბედა მეტირემ.

— რაღაც არა მგონია... — არ წაეხალისდი მე.

— ეს ყოველთვის და ყველაფერში ასეა... ჯერ ცოტას გავრტყამთ, მერე ბევრს და მერე უფრო ბევრს... თუ გინდათ, ცადეთ...

— სამწუხაროდ, მე პირიქით მემართება, თუ არა, დიდი სიამოვნებით...

ჩემ ნათქვამზე კოკიმ ხმამაღლა გაიციხა, მაგრამ უცბად გაჩერდა.

— თოფები არ ვარგა არაფრად... — ჩაილაპარაკა ტატულიმ და სამიზნეს ზურგი შეაქცია, წელით და ნიდაყვებით დახლს ჩამოეყარნო. ყველანი გაჩუმდნენ. გარედან წვიმის ხმაური შემოვიდა. სახურავიდან გადმოხადენი წყალი ტყაპანით ჩადიოდა წყლის გუბეში. ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე და

ტირში მყოფთ შევთავაზე. ყველამ, ტატულის გარდა, ერთდროულად გადმოწია ხელი. კოკიმ კოლოფიც გამომართვა და დიდხანს ათვალიერა უცხოური ფირმის თვალისმომჭრელი ეტიკეტი. თვითონ სიგარეტი ვერაფერი შეიღი იყო, მაგრამ გარეგანი ბრჭყვიალებით ყურადღებას იქცევდა და ხშირად იმაზე მეტ ეფექტს ახდენდა, ვიდრე მე მინდოდა.

— ამოიღე კიდეც... — ვუთხარი კოკის, როცა კოლოფი დამიბრუნა.

— გმადლობთ, საკმარისია... — გაიღიმა კოკიმ და ასანთი ამინთო. სიგარეტს მოუყიდე და კოლოფი ტატულის მივაწოდე.

— მე არ ვეწევი. — თქვა ტატულიმ. ერთი ღერი მაინც ამოიღო, პირში ჩაიღო, მაგრამ ცეცხლი არ მოუკიდებია.

— რა უბედურებაა, ეს წვიმა! — თქვა მოულოდნელად ერთმა ზომამზე მეტად მაღალმა ბიჭმა, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა.

— რა ვიცი, რა არი, ივნისში, პირიქით, მზიანი ამინდები უნდა ყოფილიყო და ამ პატიოსნად გასულ ნაგაზაფხულს არ დალა ყველაფერი!.. — სინანულით თქვა მეტირემ. უამინდობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჩანდა, მეტირეს მეტად აწუხებდა, ვიდრე სხვა ვინმეს.

— ამ კვირას ქუთაისში ფეხბურთია... — თქვა კვლავ მაღალმა და, კმაყოფილმა იმით, რომ საუბარი ახლა სხვა საგანზე გადაიტანა, ზემოდან გადმოგვხედა.

— რა ფეხბურთი იქნება ამ წვიმაში! — იმწამსვე აპყვა მეტირე.

— კვირამდე იქნება გადაიღოს, რა იცი!?

— კვირა როდისაა? — უყურადღებოდ იკითხა ტატულიმ.

— კვირა ხვალაა, მგონია! — თქვა ვილაქამ.

— ხვალ შაბათია. — თქვა კოკიმ.

— შაბათი როგორაა?.. ხვალ რომ შაბათი იყოს, მაშინ დღეს პარასკევი იქ-

ნებოდა! — ბრძნულად შენიშნა მაღალ-
მა.

— მერე პარასკევია დღეს, შე უბე-
ღურნაწევარო!.. — უთხრა კოკიმ. შემ-
დეგ ჩვენცენ მოიხედა და გაიჭყანა.

— მასე გეტყვა მერე! — დამშვიდ-
და მაღალი და სიგარეტის კვამლი
სხვეწენ აუშვა.

— დღეს პარასკევია, ხვალ შაბათია.
ზეგ კვირაა... — დინჯად თქვა მეტირემ
და ამ საკითხზე ლაპარაკიც მოთავდა.

— არ წამობრძანდებით ამ კვირას
ფეხბურთზე? — მკითხა პატარა სინუ-
მის შემდეგ კოკიმ.

— არა მგონია... — ვუპასუხე მე.

— კვირა დღეს დასვენება-გართობაა
საჭირო... — გაიღიმა კოკიმ და ჩემთვის
რომ არ შემოგხედა, სიგარეტს სული
შეუღებრა, ფერფლი გააცალა.

— უბრალოდ, წამოსვლა არ მინდა,
თორემ, საქმე კი არ მაკავენს...

— არ დადიხართ ფეხბურთზე? —
მკითხა მოულოდნელად ტატულიმ.

— იშვიათად, მაგრამ უფრო სწორი
იქნება თუ ვიტყვი, არ დავდივართქო...

— არ გაინტერესებთ, ალბათ?..

— შეიძლება მაინტერესებს კიდევც,
მაგრამ ისე არა, როგორც საჭიროა...
ეს ნაკლი დაბადებით დამყვა, ახლა კი
ენანობ, მაგრამ რაღა დროსია!..— ვთქვი
მე და თვითონვე გამეცინა. მივხვდი, ეს
ირონიული მკვერმეტყველება აქ, ამ
ყოფაში, სულ არ იყო საჭირო.

— გასაგებია...— თქვა ტატულიმ და
გაკვირვებული, მაგრამ რაღაცით კმა-
ყოფილი მზერა მომაშორა.

ამ ლაპარაკის დროს დანარჩენები
დაჟინებით გვიყურებდნენ და ჩემმა
განცხადებამ, თუ ვაოცება არა, რაღაც
გაუგებრობა მაინც გამოიწვია.

— კარგად იყავით! — თქვა უცბად
ტატულიმ და წასვლა დააპირა. ზღურ-
ბლთან შეყოყმანდა. ზევით ისე აიხედა,
თითქოს დარწმუნებული არ იყო, თუ
მართლა წვიმდა.

— მიდიხარ? — ჰკითხა კოკიმ.

— მივდივარ. — უთხრა ტატულიმ.

— საღამოს სად იქნები?

— საღამოს არ ვიცი... — უპასუხა-
ლბოდ თქვა ტატულიმ. შემდეგ ჩემს
მოიხედა, ღიმილით დამემშვიდობა, ჯოხს
დაეხედა და ოდნავ კოჭლობით, მაგ-
რამ რაღაც კატორი სიმსუბუქით სწრა-
ვად წავიდა. მაღალი ბიჭი ძუნძულით
აედევნა. მივხვდი, კოკისაც უნდოდა გა-
ყოლოდა, მაგრამ შეყოყმანდა და წას-
ვლა გადაიფიქრა. ამის გამო ხასიათიც
წაუხდა. კოკი ძალიან შინაურულად
ეპყრობოდა ხელჯობიანს, მაგრამ მაინც
ეტყობოდა, რომ იმ ბიჭს გაცილებით
შეტ პატივს სცემდა, ვიდრე მე, თუმცა
ტატული, ჩემზე რომ არაფერი ვთქვა,
კოკიზეც ბევრად უმცროსი იყო.

— იცით, ვინ იყო ის ბიჭი? — მკით-
ხა კოკიმ, როცა მოგვიანებით ორთავე-
ნი ტირიდან გამოვედით.

— ვინ ბიჭი?

— აი, ახლა აქ ფეხბურთზე რომ
ელაპარაკებოდით...

— ვინ იყო?

— ფეხბურთელია, არ გავიგონიათ
მაინც? — გაუკვირდა კოკის.

— მგონი საღვაც მინახავს კი-
დეც... — დავამშვიდე მე.

— არც შეიძლებაოდა არ გენახათ,
მაგისთანა ფეხბურთელი ახლა მეორე
არ არის! — მე ოდნავ გამეღიმა. კო-
კიმ განაგრძო:

— ...ახლა ინგლისში უნდა წასული-
ყო...

— ინგლისში რაღა უნდოდა?

— ინგლისში ერთ თვეში მსოფლიო
პირველობა დაიწყება.

— ეს კი ვიცი...

— თუ იცით, კარგია... ტატულიც იქ
მიყავდათ, მაგრამ ფეხი იტყინა.

— ფეხი სად იტყინა?

— სამზრეთ ამერიკაში... შემდეგ
თურმე დაშავებული ფეხით თამაშობდა
და ბოლოს აქ მოხვდა სამკურნალოდ...
მაგაზე ღიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგ-
რამ ასე დაემართა...

— დაღუპულა სულ! — ვთქვი მე.
კოკიმ ეჭვის თვალთ შემხედა, იფიქრა
ეს პატიოსანი კაციც თუ მე მამითუ-
რებს, კარგად ყოფილა საქმეო...

— თუ ჩემი არ გჯერათ, გაიკითხეთ და თვითონ დარწმუნდებით... — თქვა მან ოდნავ ხმადაბლა.

— ხვალ კანცელარიაში ნუ ამოხვალთ, ისეთი საქმე აღარაფერი მაქვს, რომ მარტო მუშაობა ვერ მოვახერხო... — ვუთხარი კოკის სრულიად უადგილოდ. კოკი ერთხანს პასუხიც ვერ გამცა. გუნებაში, შეიძლება, შემომავინა კიდევ, თუმცა სახეზე არაფერი დატყობია.

ცოდვა გატეხილი სჯობს და შინდამრუნებულმა ცოტა კი ვინანე, ტატულის რომ ისე უყურადღებოდ ველაპარაკეის პიკი, ცხადია, პატივისცემას იქნებოდა მიჩვეული და მე, ალბათ, გული ვატყინე. ამის სურვილიც კი არ მქონია.

წყალტუბოს სასტუმრო-პანსიონატის მეორე სართულზე მშვენიერი ოთახი მეჭირა. ფართო, მაღალი ფანჯარა პატარა, ეგზოტიკურ ბაღს გადაყურებდა. ფანჯარასთან თელის მოზრდილი ხე იდგა. კედელთან დაფნისა და ღვივის ბუჩქები იყო.

ოთახში დაღამებულს დაებრუნდი. ფანჯარა გავაღე თუ არა, წვიმისაგან დამბალი ფოთლების სასიამოვნო სუნი მეცა. გვარიანად დაღამებულიყო. აღარ წვიმდა, მაგრამ არც ვარსკვლავები ჩანდა. შორი-შორს, ფერდობებზე შეფენილი სანატორიუმის ფანჯრებიდან ნათურები ციმციმებდა. ტაფობში ჩავარდნილი უზარმაზარი პარკი მუქად ჩაღურჯებულიყო. დატბორილი მინდვრებიდან და ღია თბილი წყალსატევებიდან ბაყაყების ხმა ისმოდა. ბაყაყები ყოყინებდნენ ერთხმად, ერთდროულად. მოულოდნელად ყველანი გაიტრუნებოდნენ. ის-ის იყო კიდევაც დაგავიწყდებოდა ბაყაყების არსებობა, იფიქრებდი, მათი ხმა არც მსმენიაო, რომ ისევ ხმაშეწყობილად დაიწყებდნენ მოთქმას. მაშინ თითქოს მთელი წყალტუბო ბაყაყეთად იქცეოდა. ყოყინებდნენ, ყოყინებდნენ ბაყაყები. ამ ხმას ყური მაინც მალე ეჩვეოდა და ველარც გრძნობდით თუ მართლა რამე

არღვევდა ღამის სიმყუდროვეს ბოლოს და ბოლოს ბაყაყებმა ტრუნდები ისე შემოგვესმებოდათ, რთვობადაც ზეული, როგორც შემოდგომის ფოთლების შარი-შური.

კარგა ხანი ვიდექი ღია ფანჯარასთან და მუქ სიღურჯეში გაუჩინარებულ წყალტუბოს ვეყურებდი. ბოლოს მაგიდას მივუვექეი და მუშაობა დავაპირე. საქალაქიდან თაბახის ფურცლები ამოვიღე. წინადლით გადათუთრებულ გვერდები ცალკე დავალაგე და წერა დავაპირე, მაგრამ ვერ შევქელი. მეცნიერული შრომა, მართალია, მწერლობა არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნება და ხასიათი ამ საქმესაც სჭირდება. ამაში ბევრჯერ დავრწმუნებულვარ და, რადგანაც ვიცოდი, მაინც არაფერი გამომივიდოდა, იმ ღამესაც საქმეს თავაგვანებე. საკმაოდ გვიან იყო და დაუწევი კიდევ. ფიქრებმა ამიყოლა, ვერ დავიძინე. გამახსენდა იმ დილით გაცნობილი ბიჭი, ტატული. ტატულის თხელი, გამართული ტანი და სანდომიანი ღიმილი კარგა ხანი მედგა თვალწინ. ვიფიქრე, რატომ კარგად არ გამოველაპარაკე და დაწერილებით არ შევიტყე მისი ავადმყოფობის ამბავით. იქნებ ჩემი გავლენით და ნაცნობობით რამეში გამოვდგომოდი. ამ ფიქრებში ჩამთვლიმა. შეიძლება მეძინა კიდევ, როდესაც ტოტების შლივინმა შემაკრთო. თვალი გავახილე. მომეჩვენა, რომ გარეთ, თელის ხეზე, რალაც სულიერი ადიოდა, ან ჩამოდიოდა. თუმცა ისევ ვიფიქრე: მოულოდნელად ქარმა ხომ არ დაუბერა-მეთქი. ამასობაში მესამე სართულის რომელიღაც ოთახში შექვი აანთეს და მე აშკარად გავარჩიე თელის ელასტიურ ტოტებში გაჩხერილი ადამიანი. ეს კოკი იყო და სხვა არავინ. შეუძლებელი იყო ასე თვალსაჩინოდ რამე მომლანდებოდა. ცხადად დავინახე კოკის მრგვალი სახე და მოკლედ შეკრეჭილი თმა. სინათლე აინთო თუ არა, კოკი ქვევით ჩაშლივინდა, ერთი ტოტი ჩახლიჩა და ძირს ჩახტა. საწოლიდან წამოვვარდი და ფანჯარა

გადავიხედე. ვერ ვიტყვი, რომ არ შემინებია, თანაც საკმაოდ გვარაინად. მაგრამ ფანჯარასთან მაინც სწრაფად მივირბინე. ჰქვევით მაინც ვერაფერს ვაღივალდი. ხიდან ჩამხტარი კაცი ან იქვე, დღეის ჩრდილში მიიშალა, ან სწრაფად გაეცალა იქაურობას. ფანჯარას მოვშორდი. ვიფიქრე, ვილაყა იქნებ ჩემი ეშინია და წასვლას ვერ ბედავსტო, მაგრამ არც ფეხის ხმა მომესმა და არც შუქჩქების შრიალი გამიგია. საერთოდ, ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მე უკვე იმთავითვე ვიფიქრე: ხომ არაფერი მომელანდატო. ისევ დავწვიქი. კარგახანი ვარკვევდი, მართლა კოკი იყო ხეზე თუ სხვა ვინმე. იქნებ სულაც არაფერი არ ყოფილა. ამ ფიქრებში ჩამეძინა და მოულოდნელად შეშფოთებულმა გავიღვიძე. მომეჩვენა, თითქოს ვილაყ ფანჯრიდან შემოსვლას აპირებდა. მერე კი მივხვდი, რომ ტყუილუბრალოდ შევკრთი, მაგრამ ხასიათი გამიფუტდა. რა უნდოდა იმ კაცს შუალამისას ხეზე, ვერა და ვერ გავიგე. იქნებ ჩემი შრომის მოპარვა სურდა. ეს აზრი რატომღაც დაჟინებით ამეკვიტა, თუმცა თითქმის შეუძლებელი იყო დაუმთავრებელი, გაუგებარი ბელით ნაწერი, ნახევრად დაუნომრავი გვერდები ვინმეს გამოდგომოდა. იქნებ სიგარეტების მოსაპარავად მოვიდა? გამახსენდა როგორ ხარბად, უნახავივით ათვალერებდა უცხოური ფირმის პრიალა კოლოფს. „შეიძლება მაგ კაცმა ერთი კოლოფი სიგარეტის გულისათვის თავში აგური ჩაგარტყას!“—ეფიქრობდი მე. გარეთ გრილოდა, მაგრამ ფანჯარა მაინც არ ჩავეკეტე. თითქოს შეშინოდა, ვინმემ სიმხდალე არ დამწამოსტო და გავწვალდი კიდევ. სულ ველოდი, რომ ვილაყ ხელმეორედ მომაკითხავდა. მართალია, არც ისეთი მშისარა ვარ, მაგრამ უეცრად გაღვიძებულს, რომ ოთახში ვინმე დამენახა, ჰეშმარიტად გული შემეჩანდებოდა. ასე ძილ-ღვიძილსა და შფოთში გავატარე მთელი ღამე, როდესაც ინათა, მაშინლა ჩამეძინა.

დილით ცალი თვალთი გამოვიხედა მზემ. მაინც მშვენიერი, ნათელი დარი ილგა. მივხვდი, რომ წუხანდელი ღამისთევა სულ არაფრის გამო მოხდა და ასე რამ დამაფრთხოტო, გამიკვირდა.

სამმართველოს არქივში დავიხიენბით მივედი. კოკი თავახიანად შემეგება. სულ არ ეტყობოდა, რომ გუშინდამ ხეებზე დაძვებოდა. გაფრთხილებული მყავდა, არ მოხვიდე მეთქი, მაგრამ მაინც მოსულყო და, სხვათა შორის, არც თუ ტყუილუბრალოდ. მე თავი მტყოდა და კოკი რომ არ ყოფილიყო, ბერს ვერაფერს მივაგნებდი; თუმცა მადლობის მაგიერ გამომწვევად ველაპარაკებოდი და ისეთ წვრილმან რაღაცეებს ვავალებდი, რომ თავმოყვარე კაცი აუცილებლად წონასწორობიდან გამოვიდოდა. ჩემი გამოხდომები კოკზე არ მოქმედებდა, თუ არაფერს იმხნევდა, ვერ გავიგე და ამან უფრო გამაღიზიანა.

ნაშუადღევს ისევ გაწვიმდა. წვიმის წვრილმა წვეთებმა მშრალი ასფალტა დაქორფლა. შალე ყველაფერი დსველდა. რიგრიგობით აინთო სანატორიუმის ფანჯრებში სინათლე. ხმაშეწყობილად აყიყინდნენ ბაყაყები.

იმ საღამოს რესტორანში ვახშობა დავაპირე. ვიფიქრე, საქმელს ერთ ბოთლ შავ ღვინოსაც დავაყოლებტო. მართალია, ღამე ჩვენებურ რესტორანში მარტო შესვლა და ვახშობა არც ისე მიხანშეწონილია, მაგრამ იმჟამად ამ ჩვევისათვის ანგარიში აღარ გამიწევია.

რესტორნის დიდ დარბაზში ხალვათობა იყო. ამფითეატრში პატარა ორკესტრი იჭდა. მოწყენილი მუსიკოსება ხმადალა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. კუთხეში ცარიელი მაგიდა შევათვალთვალე და ის იყო დაჯდომა დავაპირე, რომ ნაცნობმა ხმამ გვერდზე შემეპარუნა. მეზობელი სუფრიდან კოკი მეძახდა. ფეხზე წამომდგარიყო და ჩვეული თავახიანობით მეპატიყებოდა. იმ მაგიდას შევიდოდე კაცი მიჯდომოდა. ისინი შემოსვლისთანავე დავინახე,



მაგრამ ყურადღება არავისთვის მიმიქცევია. არ მეგონა, თუ აქაც ნაცნობს შეგხვდებოდი. კოკის დანახვა არ მესიამოვნა, მაგრამ მიუსვლელობაც არ იქნებოდა, რადგან იქვე ტატული და რამდენიმე სერაიოზული კაცი იჯდა. ბოლოს ერთი მათგანიც შევიცანი, ეს იყო ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელი პაპუ კვირკველია. იგი თბილისში რამდენჯერმე კლინიკაში მესტუმრა და მკირეოდენი სამსახურიც გავუწიე. მწვრთნელმა თვითონვე მიცნო. მსუქანი კაცი ხეწეშით წამოდგა. ხელი ჩამოშრთვა და მომიკითხა. პაპუ კვირკველია რუსეთში ფეხბურთის რომელიღაც გუნდს წვრთნიდა. საქართველოდან დროებით გადახვეწილი იყო და წყალტუბოში საიდან მოხვდა, ვერ გავიგე. სუფრა კი აშკარად მის საპატივეცემულოდ იყო გაშლილი. სკამი გამითავისუფლეს. დაექექი. ძალაუვნებურად შუაგულ ქეიფში ამოვყავი თავი. თუმცა წინასწარ განვაცხადე, ღვინოს ვერ დავლევ მეტი, მაგრამ, რადგანაც ჩვენ სუფრაზე «ვერ დავლევ» არაფერს არ ნიშნავს, ღვინო აკრძალული მაქვს, თუ დავლევ, შეიძლება მოვკვდეო, დავუმატე. მეგონა თავს დავიძვრენდი, მაგრამ არც ამან გაჭრა. უბრალოდ, ყურიც არავინ მათხოვა.

— ღვინო მეც აკრძალული მაქვს, მაგრამ ვსვამ და ამას რომ კაცი მოეკლას, ჯერ არ მინახავს! — მანუგეშა ტატულიმ და ღვინიანი ჭიქა დამანახა. არაფერი მითქვამს, თუმცა ღვინისაგან მოკლული კაცი იმდენი მენახა, რამდენიც გინდოდათ. ტატული ამას რომ ლაპარაკობდა, იღიმებოდა და სკამის საზურგეზე იყო გადაწოლილი. ლამაზი, დაბორკილი ჯოხი მარცხენა ხელში ეჭირა.

— ღვინოს რომ კაცს აუკრძალავენ, იმან არც უნდა დალიოს... — რუსულად ჩაილაპარაკა პაპუ კვირკველიამ. პაპუს ღვინოზე, მართლაც, უარი ეთქვა და პატარა გრაფინით გვერდით არაყი მოედგა. სმა-ჰამით მაინც გადადლილიყო, მძიმედ სუნთქავდა. შესიებულ

ფეხზე ფეხსაცმელი წაეძრო და ღვინოსთვის შეება მიეცა.

— მაშინ არაყს დავლევ მწვრთნელს ტატულიმ.

— არაყს რატომ დალევ? — გაუკვირდა მწვრთნელს.

— ღვინო თუ არ მესმება, აბა, რაკვინა?

— ნუ დალევ, თორემ დაიღუპები. — კვლავ რუსულად უთხრა მწვრთნელმა და ტატულის უხეირო ხუმრობაზე არც გაღიმებია.

ტატულიმ გაიღიმა და საცხე ჭიქა გვერდზე მიწია.

— რას შევები?! — დაქვევებით ჰკითხა შეშინებულმა თამადამ.

— არ დალიოთ, რომ მითხრეს, ვერ გაიგე?

— საერთოდ ნუ სვამ, თორემ, ახლა შეიკარი პირითქო, ხომ არ მითქვამს! — ქართულად ჩაილაპარაკა მწვრთნელმა და ოფლი მოიწმინდა.

ტატულიმ სიმღერა დაიწყო. არც ისეთი დაწმენდილი ხმა ჰქონდა, მაგრამ სწორად და ტყბილად მღეროდა. რამდენიმე კაცი, ვისაც თავის იმედი ჰქონდა, სიმღერაში აჰყვა, მაგრამ ტატული მალე გაჩერდა. შეატყო ხმები მთლად კარგად ვერ აუბეს და სიმღერა არ გამოდიოდა. ოდნავი უსწორობა მის ყურს, ჩანდა, ეკლად ესობოდა და თავი შეიკავა.

— დასაწყისისთვის მაინც არა უშავს! — თქვა მერე ხმამაღლა, გაიღიმა, ჭიქა აიღო და მანიშნა დავლიოთო. სადღეგრძელო ვთქვი, ჭიქაც დავცალე. პირველს მეორე მივაყოლე და მოქეიფეებს ავყვი. ეს სულ ტატულის ბრალი იყო. მე მივხვდი, რომ იმ ბიჭს ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის დამყარებისა და ნდობის წარმოუდგენელი უნარი ჰქონდა. ყველა ასაკისა და თანამდებობის კაცს გაცნობისთანავე უახლოვდებოდა. არადა, სულ ოცდასამი წლის იყო, მეტის კი არა. ახლაც ისე ნათლად და გარკვევით ვიგონებ იმ ამბებს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყველაფერი. თვალწინ მიდგას ტატუ-

ლის მუქი ყავისფერი, მომღიმარი თვალები და ძალიან შავი, წინ გადმოვარცხნილი თმა. სულ მგონია, დღემდე მგონია, რომ სადღაც კვლავ შევხვდები, კიდევ დაველაპარაკები. საიდან, როგორ?

ის სუფრა ჩემი მისვლის მერე მალე აიშალა და რამდენადაც მახსოვს, ღირსსახსოვარი იქ აღარაფერი მომხდარა. მხოლოდ, როცა ტატულის დღეგრიძობამ მოაწია, მწვრთნელმა პაპუ კვიციანი, საყურადღებო რამ თქვა. ახლა იმ სიტყვებს რომ ვიხსენებ, სინანული მიპყრობს.

— ამას, რასაც ახლა ვეტყვი, შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ იქნებ შენთვის ეს უფრო საჭიროაო, — დაიწყო მწვრთნელმა. — ჩვენი ქვეყნის ყველა ძველს და ახალ ფეხბურთელს ვიცნობდი და ვიცნობ, მაგრამ შენისთანა ფეხბურთელი ვერ არ მინახავსო.

— არ არის მართალი... — გაწითლდა ტატული.

— მართალია... ვერ ბავშვი ხარ, მაგრამ რაც შეგძლო, იმის ნაბეზარიც ვერ გააკეთე... გაგათამამეს და თავი ვეღარ დაიპირე. ვითომ შენ სახელს არაფრად აგდებ, მაგრამ სწორედ ამ თავაგდებით იბრანები. ახლა ლონდონში მსოფლიო უნდა გიყურებდეს და შენ წყალტუბოს რესტორანში ზიხარ... ბევრია, ბიჭო, შენისთანა სპორტსმენი?

— ბევრია... — თქვა თავდაბრილმა ტატულიმ და ფრჩხილი მოიკენიტა. ჩვენ ტატულის ვუყურებდით.

— თუ თავს არ მოუარე, ისე გაქრები, რომ შენგან არაფერი არ დარჩება და ბოლოს მარტო ამხანაგები, სპეციალისტები და თითო-ორი კაცი მოგიგონებს... — მწვრთნელი გაჩუმდა, არცის კიჭას ჩააჩერდა და მერე თავისთვის თქვა: — ამაშია საქმე!

მეორე დღეს მე საგანგებოდ ვნახე ტატულის მკურნალი ექიმი. ექიმი ჩემი კარგი ნაცნობი აღმოჩნდა და პირდაპირ ვკითხე, ტატულის რა ქირს-მეთი?

— ...ისეთი არაფერი, მუხლი აქვს მაგარი ნალრძობი და წვივის კუნთის კონ-

ტრაქტურაც განვითარებია, ყველა ამაზანა რომ კეთილსინდისიერად მიუღო, ახლა კუნთი გამართული ექნებოდა.

— არ იღებს ამაზანებს?

— როცა მოეხასიათება კი... — გაეცინა ექიმს. — ეს კიდევ არაფერი, მე მგონი, მაგას ლეიძლიც ტყევა... თვალებზე დააკვირდი თუ გინდა და შენ თვითონაც მიხვდები... ანალიზებზე არ მთანხმდება... ურჩევნია ღვინოს თავი დაანებოს!

— რა ღვინის მსმელი ახლა შეგ არის? — განგებ შევეკითხე ექიმს.

— ბევრს ვერ სვამს, რომ იცოდო... ყოველ შემთხვევაში, მაგი ჩემთან ვერ მოვა!

— მაინც ვისთან სვამს, რა ხალხთან?..

— ქვეყანას იცნობს, გამვლელი და გამომვლელი მაგას აკითხავს... სანამ ფეხბურთის ითამაშებს, პატივისმცემელი არ დაეღუვა, მერე კარგი სიმღერა იცის, გიტარაზე კარგად უკრავს...

— კი მაგრამ, ვერ ეტყვიტ რამეს, ჰკუთას ვერ დაარიგებთ?...

— ჰკუთის დარიგება არ აკლია, მაგრამ ესეცაა, ქართველმა კაცმა თუ ღვინო არ დალია, რა გამოვიდა!... ამოიოხრა ექიმმა.

მე და ის ექიმი ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით. ათიოდე წელი არ მენახა. არც გარეგნულად შეცვლილიყო, სიღინჯიც არ მომატებოდა. დიდი წარმოდგენის მასზე არც არასდროს ვყოფილვარ.

ერთ საღამოს პანსიონატის საბილიარდოში შევედი. არასოდეს იქ არ შემიხედავს და გამიკვირდა, იმდენი ნაცნობი დავინახე. მაშინლა მივხვდი, სად იკარგებოდა ნაცნობი სახეები საათობით.

ტატული და კოკი ბილიარდს თამაშობდნენ. ვილაც ბიჭები ფეხზე იდგნენ და მღუმარედ აყოლებდნენ თვალს მომზრიალედ ბურთებს. ტატული რატომღაც ძალიან ნერვიულობდა. ჩემი შეტყობით, კარგად, ყოველ შემთხვევაში, კოკიზე უკეთესად თამაშობდა,



მაგრამ ძალიან ჩქარობდა; შეცდომებს უშვებდა და განიცდიდა. მისი ნერვიულობა მყურებლებსაც გადადებოდათ და ბოლოს მეც ავლელდი. ალბათ, დიდი ხანი თამაშობდნენ, რადგან ბიჭები ცქერით დაღლილიყვნენ. მღუმარედ ლექვადნენ პაპიროსებს და ხანდახან კედელს ზურგით ეყრდნობოდნენ. კოკი იცინოდა. პარტნიორის აზარტი სულ არ მოცხებოდა. ტატული ხმამალა ლანძლავდა თავის თავს. ერთხელ, როცა აშკარად ჩასაგდები ბურთი გვერდზე წაუვიდა, ისე მაგრად შემოირტყა თავში ხელი, რომ ყველანი შევეკრით. ეს თამაში მაინც მან მოიგო. თუმცა მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს კოკიმ ძალით წააგო. ტატულიმ ცარციანი ხელები დაიფერთხა და პაპიროსი მოითხოვა. ვილაყამ პაპიროსი მისცა და ასანთიც აუნთო. ტატულიმ მოუკიდა და კოკის ხმადაბლა, მაგრამ მაინც საკმაოდ უხეშად უთხრა:

— ახლა შეასრულე, რაც გვეალებ! —
 — რა გვეალება? — გაეცინა კოკის.
 — იცი შენ... ერთი, ორი, სულ ხუთი კაცი ვართ და წაგვიყვანე პატივისსაცემად, ასე იყო დათქმული!
 — ფული არ მაქვს! — უთხრა კოკიმ.

— აბა რატომ მეთამაშე?!
 — გეთამაშე ისე... — გაიღიმა კოკიმ. გვერდზე გაიხედა და ვილაყას თვალი ჩაუკრა.

— შენ რომ მოგეგო, ხომ სულს ამომართმევდი! — დაგუდული ხმით თქვა ტატულიმ. ეტყობოდა მღელვარებისაგან ხმა წაერთვა.

— გავალ და ვიშოვნო! — მოიღუშა კოკი.

— გადი, იშოვნე!
 ტატული კოკისთან მივიდა და თვალებში მიაშტერდა. რომელიღაც გარეული ცხოველივით დაიძაბა.

— რა იყო, რა დაგემართა? — გაიღიმა ფერდაკარგულმა კოკიმ.

— არაფერი არ იყო, გადი აქედან, წადი!

— რატომ უნდა წავიდე?..

ტატული უფრო ახლოს მიიწვია. კოკიმ უკან არ დაეხრებოდა. ყველანაირი მივხედით, რომ თუ კოკი წაიქცევა, სიტყვას იტყოდა, ტატული ხელს გაართყამდა. ეტყობოდა, ეს კოკიმაც იგრძნო, მაგრამ ვერ გადაწყვიტა საჩხუბრად მომზადებულიყო თუ სამარცხვინოდ გასულიყო გარეთ. იღვა და ხმას არ იღებდა. ამასობაში ბიჭები შუაში ჩადგნენ და მოჩხუბრები დააშორიშორეს.

— გაათრიეთ მაგ მათხოვარი! — დაიძაბა ტატულიმ.

კოკიმ რალაც ჩაილაპარაკა და გარეთ გავიდა, მაგრამ საშინლად აღლევებული იმწამსვე უკან შემობრუნდა და ტატულის დაუძაბა:

— ხეალ დილით მეექვსე აბაზანასთან გამოდი და იქ მოვილაპარაკოთ, თუ კაი ბიჭი ხარ!

— კარგი, მოვალ! — შშვიდად უბასუხა ტატულიმ. იგი მაშინ პიჭაკს იცვამდა.

— ათ საათზე! — ხმაში ხრინწი გაერთია კოკის. სახეზე სულ აწითლებული იყო.

— ხო, კარგი... გადაშენდი ახლა! — ჩაილაპარაკა ტატულიმ და გვერდით მდგარ ბიჭს ისევ გამოართვა პაპიროსი. არამწვევლები ან საერთოდ არ ეკარებოდა თამბაქოს, ან წამდაუწუმ ექაჩებოდა. ტატულიმ პაპიროსს მოუკიდა და იმწამსვე ჩაუქრა. ამაზე გაეცინა. იგი ისე იყო დამშვიდებული, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო.

მე ეს ყველაფერი ძალიან არ მომეწონა და საბილიარდოდან უხმოდ გამოვედი. დარწმუნებული ვიყავი, არავის დაუენახავართო. ბილიარდს იმწუთას ქრელ პიჯამოში გამოწყობილი დამსვენებლები თამაშობდნენ.

სასტუმროდანაც მალე გავედი. ქვის კიბე ჩავათავე და, რადგანაც არ ვიცოდი, საით წავსულიყავი, გზის პირას შევეკონდი. აღარ წვიმდა, მაგრამ ცას მაინც პირი ჩამოსტიროდა. მოულოდნელად ვილაყამ მკლავში ხელი გამომძლო. მოვიხედე, ტატული იყო. დანარ-

ჩენი ბიჭები, რომლებიც ბილიარდის თამაშს უყურებდნენ, იქვე დარჩენილიყვნენ.

— ელოდებით ვინმეს? — მკითხა ტატულიმ.

— არა, არავის... — რატომღაც დავიბენი მე.

— თუ საქმეც არაფერი გაქვთ, ცოტა გავიაროთ...

— სიამოვნებით, როგორც გინდათ...

ჩვენ თავივე წავედით. დანარჩენებიც შორიახლო გამოგვეყენენ, მაგრამ, რადგან ტატული ჩემთან ლაპარაკით გაერთო, ნელ-ნელა ჩამოგვშორდნენ. ეს უყურადღებობა ტატულის უტაქტობას მივაწერე.

— ...ხომ შეხედეთ რა მოხდა? — დიმილით შემეკითხა ტატული.

— სად? — პირველად ვერ გავიგე, რაზე მეკითხებოდა.

— ზევით, საბილიარდოში...

ვერაფერი ვუპასუხე. არც მეგონა, თუ ტატულიმ საბილიარდოში დამინახა.

— ...კაცს პატარა რაღაცაზე არასოდეს არ უნდა აყვე... — განაგრძო ტატულიმ. — მე თქვენ სახეზე შეგატყუეთ, რომ ნაწყენი დარჩით... ალბათ, მართლა ცუდად მოვიქეცი, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რა ტუტუცია მაგ კაცი... ნერვები დამაგლიჯა... თუმცა მე ამ ბოლო დროს საერთოდან განერვიულებული ვარ! — გაიღიმა ტატულიმ და მერე უცბად მოიწყინა. მომეჩვენა თითქოს ბოდიშს მიხდიდა. მეტი ვერაფერი მოვახერხე და ვკითხე: ალბათ, დიდი ხნის მეგობრები ხართ-მეთქი?

— როგორ გეკადრებათ... — სწრაფად მიპასუხა ტატულიმ. გეგმარდა, კიდევ ერთი გამამართლებელ საბუთს რომ მიავნო. — რა დიდი ხანია, აქ ვნახე პირველად... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. შეიძლება, ერთი დღის გაცნობილ კაცს მეტი პატივი სცე, ვიდრე ბავშვობის ამხანაგს, მაგრამ ყველაფერს ზომა აქვს... ამასწინებებზე ბრაზილიიდან ჩამოტანილი სვიტრი ვაჩუქე, მაგას გაუყიდი, ახლა ეს რა სათქმელია, მაგრამ მაინც...

მამინ ტატულის ლაპარაკიდანაც ვერ გავიგე, რა საერთო ჰქონდა ამ თქმულას მინანს ერთმანეთთან. ახლა კი ვხვდები, რომ ტატულის ყველასთან შეეძლო ამხანაგობა. სულ მალე, იფიქრებდი, ჩემზე უკეთესი მეგობარია არ ჰყავსო, იმ წუთას, შეიძლება, ისიც იმასვე ფიქრობდა, მაგრამ ეს მეგობრობა და ამხანაგობა ზედაპირული იყო. ეს ამბავი მას, თითქოს უცნაურია, მაგრამ კიდევ უფრო სიმპათიურს ხდიდა.

მე და ტატულიმ იმ დღეს ბევრი ვილაპარაკეთ და ბოლოს რესტორანში ამოვეყავით თავი. ეს არის ბოლო ქართული სიამტკბილობისა. დარბაზში სულ რამდენიმე მაგიდა იყო დაკავებული და დასაჯდომის ამორჩევა მაინცადამაინც არ გაგვეპირებია. სულ ორი ბოთლი ღვინო მოვითხოვეთ. გადაწყვეტილი გვექონდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, მეტი არ დაგველია. სწორედ იმ დღეს გავეცანიით რიგიანად ერთმანეთს. ჩემ თავზე ლაპარაკი არ მყვარებია და არც მიყვარს, მაგრამ მაინც გაგტყდი და ვთქვი: რომ კლინიკაში განყოფილება მეგარა, ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობდი და უკვე იმ წელს სადოქტოროს ვიცავდი. ჭერაჭერობით საკმაოდ ახალგაზრდად მთვლიდნენ და ყველას უკვირდა, ამდენს რომ მივალწიე. ტატულიმ კი მთელი ეს ტიტულები და ჩინ-მედლები წყალში გადამიყარა. ჩემი გულახდილობა არც თავისებებად, არც თავმდაბლობად არ მოჩვენებია; ოდნავადაც არაფერი გაპკვირებია. მეწყინა, თუმცა არასოდეს არავის გაცოცხება არ მიცდია. როგორც მერე გავარკვიე, ტატულის ჩემში ყველაზე მეტად ის მოსწონდა, რომ სპორტით არ ვიყავი გატაცებული და ფეხბურთის არაფერი გამეგებოდა.

თვითონ ტატულის ფეხბურთის თამაში ძალიან ადრე დაუწყია. მისი მშობლების დამსახურება მის გაფეხბურთელებაში იმით ამოიფურებოდა, რომ ბურთის თამაშს უკრძალავდნენ ყველგან და ყოველთვის. ტატული ზედმეტი, როგორც თვითონ თქვა, შინაურული

სახელი ყოფილა. სინამდვილეში რეზო მქვიაო. ოფიციალურად და პრესაში ზურაბს უწოდებდნენ. ეს სულ გაუგებრობის ნიადაგზე მომხდარა და ამ შეცლომის გამოსწორება არც მიცდიაო. თერამეტი წლისა უკვე საბჭოთა კავშირის ნაყრებ გუნდში შეიყვანეს, მაგრამ დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის ერთი წლით თამაში აუკრძალავთ. კეუა, როგორც მისი მონაყოლიდან დავამტყიცე, მაინცადამაინც არც მერე მომატებია, მაგრამ მსოფლიო პირველობისათვის მზადების დღეებში ისევე პირველ ნაკრებში წაიყვანეს. სამხრეთ ამერიკაში ფეხი უტყენია. ეს ამბავი არაფრად ჩაუგდია და თავის გუნდში დაშავებული ფეხით თამაშობდა თურმე. მუხლში ნოვოკაინის ბლოკადას ვიკეთებდი და მოედანზე ისე გამოვდიოდით, თვითონ თქვა.

ტატულიმ ჯიბიდან რამდენიმე დეპეშა ამოიღო. მოსკოვიდან სთხოვდნენ: ეცნობებინა, შეეძლო თუ არა ვარჯიში და საკონტროლო თამაშებში მონაწილეობის მიღება. ეს დეპეშები რომ მივიღე, მაშინ მუხლს საერთოდ ვერ ვმართავდი, ვერც დავდიოდით, თქვა ტატულიმ.

— ...ახლა არა მიშავს... — ტატულიმ ფეხი გამართა. მუხლი ხელით მოსინჯა. მერე დეპეშები შეინახა და განაგრძო:

— ...ერთ თვეში, უფრო ადრე, მსოფლიო პირველობა დაიწყება... სადაც წესი და სამართალია, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი და აწი რალა აზრი აქვს, ვითამაშებ თუ არა...

— კიდევ იქნება მსოფლიო პირველობა... — ვუთხარი მე.

— კი, იქნება ოთხი წლის მერე. ოთხი წელი ჩვენთვის ძალიან ბევრია... იცი, ფეხბურთელები რა ადრე ვბერდებით?

მე არ ვიცოდი, როდის ბერდებოდნენ ფეხბურთელები, მაგრამ ტატული მაინც დავაიმედე. ვუთხარი: ჯერ საკმარისად ახალგაზრდა ხარ და კიდევ ბევრის ვაკეთებას მოასწრებთქო.

ამდაგვარი დარიგება ტატულის, ჩან-

და, იმაზე მეტი მოესმინა, ვიდრე საქირო იყო და ჩემი ლაპარაკისათვის უყურადღება აღარ მიუტყვევია. ამასობაში ორი ბოთლი ღვინოც გამოვწრუბეთ. შექვიფიანებულს კიდევ მინდოდა დამეწლია, მაგრამ თავი შევიკავე; ჩემი სულმოკლეობა დავთრავუნე და ენას კბილი დავაჭირე. ის იყო წასვლაზეც უნდა ჩამომეგდო სიტყვა, რომ ბრვე ტანის მომტანი დავინახე, რომელიც სინზე დაწყობილი ბოთლების რაწყა-რუწყით ჩვენკენ მოდიოდა. იმ ახლომახლო ჩვენს გარდა არავინ იჭდა, მაგრამ რატომღაც გულუბრყვილოდ მეგონა, გვერდს აგვიარდა.

— ეს თორმეტი ბოთლი შალიკო ერისთავმა მოგართვათ! — თქვა მომტანმა. სინი მაგიდაზე შემოდო და ტატულის მიაშტერდა, ახლა რა ვქნაო.

— სად არის თვითონ? — მშვიდად ჰკითხა ტატულიმ.

— გვერდით კუბეში არიან...

— მაღლობა უთხარი.

— კი ბატონო, ვეტყვი.

საგონებელში ჩავარდნილი ტატული ბოთლებს მიაშტერდა.

— გახსნა? — ჰკითხა მომტანმა.

— ორი გახსენი, დანარჩენები აქ იყოს, შეიძლება დაგვეკირდეს.

— კაი, ბატონო.

მომტანმა ორი ბოთლი გახსნა. დანარჩენები მაგიდის ფეხთან დააწყო და წაეიდა.

— რატომ არ ერიდები ღვინოს, ხომ იცი, რომ არ უნდა დალიო? — უადგილო დროს ვუთხარი ტატულის.

— თქვენ ექიმი კაცი ხართ და თამბაქოს ეწვეით, თანაც უმოწყალოდ... ხომ იცი, რომ პაპიროსი მავნებელია? გამეცინა, თუმცა ეს სიტყვები არც ისე მახვილგონივრულად და ჩემი შეკითხვის შესაფერ პასუხად ჩამითვლია.

— ღვინო მე არ მიყვარს, თუ მარტო ვარ, გინდაც სადილობისას, რომ მომკლა. ერთ ჰქვას ვერ დამალევენებ... მაგრამ, რომ ჩავარდება, სხვანაირად არ გამოდის... ასე იქცეოდა ჩვენი მამა-პაპა

დაბადებიდან და მე ახლა უცბად ბრ-
ნილიელი ფეხბურთელი ვერ ვავხდე-
ბი... ამას, ალბათ, დიდი დრო კირდე-
ბა... — ტატული გაჩუმდა, მაგრამ მე
რომ აღარაფერი ვთქვი, ისევ განაგრძო:
— ყოველთვის, ბავშვობიდან დაწყებუ-
ლი, ყველაფერში პირველი ვიყავი:
ჩხუბში, თამაშში, და, თქვენ წარმოიდ-
გინეთ, სწავლაშიც, თუ ოდნავ ფეხი
წამობორძიყდა, სულ დავანებებ ფეხ-
ბურთს თავს და ტაქსის შოფრად დაე-
დგები...

ჩემი ნაცნობობის მანძილზე ტატუ-
ლიმ ბევრჯერ ახსენა ტაქსის შოფრო-
ბა. თითქოს ვიღაცას ემუქრებოდა: თუ
არ მომიარეთ, წვალ, ფეხბურთიდან
გავიქცევიო, მაგრამ ამ სიტყვებს
მთლად ტყუილუბრალოდაც არ ლაპა-
რაკობდა. ეტყობოდა, ეს პროფესია შა-
ვი ღღისთვის ჰქონდა შემონახული.

—... საერთოდ, — განაგრძო ტატუ-
ლიმ, — თქვენ თავზე არ მიიღოთ და,
ყველა ჰკუას რომ გარიგებს, ამაზე ცუ-
დი არაფერია. ასე ჰგონიათ, მე ვიცი ვარ
და ჩემი თავი არ მენანება... მაინც ამ
წვიმამ ხომ ამომართვა სული. შეიძლე-
ბა მთელი თვე იწვიმოს? ერთი ხეირი-
ანი ქალი მაინც დამანახა, რომ დაველა-
პარაკო. ყველა ოთახებშია ჩაკეტილი,
გარეთ აღარავინ გამოდის... სულაც წა-
ვიდოდი, მაგრამ მერე ატყდება ერთი
ამბავი, მკურნალობა არ დაამთავრა და
ისე ჩამოვიდაო, იმათ საქმე მეტი კი არ-
აფერი აქვთ...

მე მოთმინებით აეუხსენი, რატომ
იყო იმისთვის წყალტუბოს აბაზანები
საპირო, რა ტკიოდა და ბოლოს ღვიძლ-
ზეც გადავუკარი სიტყვა.

— ღვიძლი ჩვენ ყველას გვტკივა, ჩემ
ძმას, ბაბუაჩემს, მამაჩემი ციროზით
მოკვდა და, ალბათ, მეც ღვიძლი მომკ-
ლავს, როცა იქნება, მაგრამ მაგაზე ფი-
ქრი ჯერ აღრეა... ხვალიდან ვარჯიშს
დავიწყებ, წვიმასაც აღარ ვუყურებ...

რესტორანში ხალხი მომრავლებული-
ყო. ორკესტრი უკვე მერამდენედ უკ-
რავდა მოსაწყენ, სევდიან მელოდიას.
როცა საკრავების ხმა მიწყდებოდა,

ღია ფანჯრებიდან ბაყაყების გალობა
შემოგესმებოდათ. შემდეგ მუსიკას და-
უკრავდნენ და ბაყაყებზე უმეფრედნენ.
მერე ისევ ბაყაყები დაცხებდნენ თა-
ვიანთ მუსიკას. საოცარი ის იყო, რომ
ბაყაყები ხმაურობდნენ, მაგრამ სიჩუ-
მისა და სიყრუვის განწყობილებას
ქმნიდნენ, ადამიანს ტირილის ხასიათ-
ზე აყენებდნენ.

ტატული გარინდებულყოფი და რაღა-
ცას ფიქრობდა. გამახსენდა, რომ დი-
ლით კოკის უნდა შეხვედროდა და ხა-
სიათი გამოიფუქდა. ხვალ დილით, ალ-
ბათ, დიდი უსიამოვნება მოხდებოდა
და, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა
ყოველივე. ჩემი შიში ტატულის გავუმ-
ხილე. დარწმუნებული ვიყავი, იგიც
ამაზე წუხდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ
ტატულის სულაც არ ახსოვდა ეს ამბა-
ვი. როდესაც გაეახსენე, გაეცინა და ისე
გამხიარულდა, თითქოს მეორე ღღის-
თვის ერთი კარგი გასართობი გაინაღ-
და.

— თუ სულ არ მიხვალ, უყეთესია,
უსიამოვნებას მოერიდე! — ვურჩიე
ტატულის.

— მე არ მივიდე? — გაუკვირდა ტა-
ტულის.

— თუ არ ჩათვლი, რომ შენი თავ-
მოყვარეობა შეილახება, ცხადია, არ
უნდა მიხვიდე.

— მე კი მივალ, დილით ადრე ვდგე-
ბი და საღ წავიდე, მაინც არ ვიცი, მაგ-
რამ ის თვითონ არ მოვა, ვერ გაბედავს!
— გულგრილად თქვა მან.

— რომ მოვიდეს?

— მაშინ ბოდიშს მოიხდის, ან რა-
ღაც უარესს გააკეთებს...

— იქნებ ისე არ მოხდა, შენ რომ
გინდა...

— მე არაფერი არ მინდა და თუ ძა-
ლიან გააკვირა საქმე, გავლაზავ კი-
დეც...

ტატულის გაეცინა. ჩანდა ყველა გზა
მოვეუქერი და სხვა გამოსავალი ვეღარ
ნახა. მომეწონა მისი გაბედულება. თუ-
მცა, ჩემი შეტყობით, კოკი არც ისე აღ-
ვილი საცემი უნდა ყოფილიყო.

— ...ისე, გინდაც ბოდიში მომიხადოს, მაინც არ შევეურიგდები... ძალიან კარგი, რომ საქმე აქამდე მივიდა. აწი აღარ დაველაპარაკები! — დაბეჭითებით თქვა ტატული.

ორკესტრმა კვლავ დაუკრა უხერო მელოდია. მოულოდნელად დარბაზში სასტვენის ხმა მოისმა. ყველანი მარჯვნივ მიტრიალდნენ. ორკესტრი დადუმდა. შემოსასვლელში რამდენიმე ადამიანი გამოჩნდა. წინ ერთი გამხდარი კაცი მოდიოდა. სწორედ მას ეკირა ხელში ფეხბურთის მსაჯის სასტვენი. იგი შუა დარბაზში გაჩერდა. დანარჩენებიც შედგნენ. სასტვენიანს ყელსახვევის ნასკვი ქვევით ჩამოექაჩა და გული გაღებოდა. შლაპა გალიბანდივით შემოეგდო თავზე. შარვლის ცალი ტოტი ოდნავ აკაიწებული ჰქონდა. გარეთ წვიმდა და შეიძლება შარვლის ტოტები ადრევე აიწია და შემდეგ ერთის ბოლომდე ჩამოშვება გადაავიწყდა. მთელი რესტორანი მოულოდნელად გამოჩენილ უცნაურ სტუმრებს მიჩერებოდა. უცებ სასტვენიანის ამფონები სკამების ხრიგინით ცარიელ მაგიდას შემოუსხდნენ. გამხდარ კაცს სასტვენი ხელში ეკირა და თვალისდაუხამხამებლად მუსიკოსებს უყურებდა.

— გაუმარჯოს ვასიკოს! — დაიძახა მედოლემ და ჭოხები აწია.

— შე რომ ვიცი, ის დაუკარით! — იყვირა ვასიკომ.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ორკესტრმა ოპერა „კარმენის“ უვერტიურა დააგუგუნა. ვასიკო დაბნიალდა და ღირიყრობა დაიწყო. იგი ღირიყრობდა მთელი სხეულით; ხელებით, ფეხებით, ყურებით, შლაპით, მოქცეული ყელსახვევით. ღირიყრობდა წარმოუდგენელი ტემპერამენტით და საოცრად უცნაური მოძრაობებით. დაუჭერებელია, რომ ასეთი რამ კაცმა მეორედაც ნახოს ცხოვრებაში. არის მომენტები, რომლებიც, სამწუხაროდ, არასოდეს აღარ მეორდება. მართალია, ვასიკო თვითონ აყოლებდა მუსიკას ხელ-ფეხს, მაგრამ მისი ცეცხლი მუსიკა-

კოსებსაც გადაედოთ და დანაწირულმა ორკესტრმა მთელი რესტორანი ახანაზარა. უკანასკნელი აკორდებიც შეწყდა. ვასიკომ შლაპა მოიხადა და ტაშის გრიალში მადლობა თქვა. მახლობელი მაგიდიდან დაუძახებ, ვასილ ოლიფანტოვიჩ, მოდი, ერთი ჭიჭა დავგილიეო! ვასიკომ ის სუფრა დალოცა. დიდი ხნით, მთელი რესტორნის გასაგონად ლაპარაკობდა. თითქოს ეშინოდა, ყველა სუფრაზე რომ ერთი და იგივეს განმეორება არ მომიხდეს მოდი, აქედანვე ვიტყვი ყველაფერსო.

— ეს კაცი რომელიდაც სანატორიუმის ბუღალტერია... — მითხრა ტატული.

— ბუღალტერია? — ძალიან გამიკვირდა მე, თუმცა ტოსკანინი არც მანამდე მგონებია.

ვასიკო ბოლოს რატომღაც ჩვენთანაც მოვიდა. ტატული წამოდგა და ხელი ჩამოართვა. მე სკამი მოვიტანე, მაგრამ ვასიკო არც დაჯდა და არც დალია. მხოლოდ სახეე ჭიჭა აწია და სადღეგრძელო თქვა. ტატულის მიეფერა. შეუქო ზრდილობა და სწავლა-განათლება. მამაშენი და მე ასე ვიყავითო. თითები მიადო ერთმანეთს. ბოლოს უთხრა: ჩვენი ძმობა და მეგობრობა სულ დღევანდელივით ვაგრძელებულიყოსო. ძმობისა და მეგობრობის რა მოგასხენოთ და, ჩემი მიხვედრით, ის კაცი ტატულის საერთოდ არ იცნობდა, თორემ აუცილებლად ფეხბურთსაც ახსენებდა. ამას ჩემზე უკეთ ტატული მიხვდა და ვასიკოს ღიმილით უთხრა:

— თქვენ მე ვერ მიცანით, ბატონო ვასო!

— მე ვერ ვიცანი! — საშინლად გაოცდა ვასიკო.

— მე მგონი, ვერა... — გაეცინა ტატულის.

— მე ვერ ვიცანი!? — იყვირა ვასიკომ. — მაგას ამბობ, ბიჭო, შენ! შენ რომ ტრუსებით დარბოდი, იქედან მახსოვხარ!

— მე ახლაც ტრუსებით დავრბივარ... — ჩაილაპარაკა ტატული.

— კარგს შევები მერე ძალიან... ვერ მიცანიო, რომ ამბობ, არ გრცხვენია... მეორედ არ წამოგცდეს მასეთი რამე, თუ არა ძალიან მეწყინება, მამის სულს ვფიცავარ!

ტატული წამოდგა. რას კადრულობთ, თქვენი წყენინება როგორ იქნებაო. ვასიკო ტატულის გადაეხვია, გადაკოცნა. მერე ხელები გაშალა და იყვირა:

— მამულო საყვარელო, რა ხალხი დაიხოცა და რა ხალხი დავრჩით!

ვასიკო წავიდა. ჭერ მუსიკოსებთან შეიქცია თავი, მერე ამხანაგებსაც მიაკითხა. მისი ხმა კიდევ კარგა ხანი ისმოდა.

— როგორ ეწყინა ოლიფანტოვიჩს. ვერ მიცანიო, რომ უთხარი. — შევახსენე ტატულის.

— არ ვეტყვოდი, მაგრამ მართლა მიცნობს, ერთ საღამოს ერთად ვიქვიფეთ...

— ახლა, ალბათ, ვერ გაგიხსენა...

— ვერა... აზრზე ვერ მოვიდა, ვინ ვიყავი! — ტატულის სიცილი აუტყდა. იგი ძალიან გამზიარულდა და მთელი საღამო იცინოდა.

მეორე დღით ნათელი დღე დადგა. აღმოსავლეთისაკენ მიმავალი, ვებერთელა ღრუბლის ნაფლეთები დროდადრო შზეს ეფარებოდა, მაგრამ მცხუნვარე სხივები მაინც ასწრებდა დამბალი მიწის აორთქლებას.

ნაბახუსევს თავი მიბრუოდა. დილით მაინც ძალიან ადრე ავდექი. წუხანდელი ამბავი მოვიგონე; თანმიმდევრობით და დაწვრილებით გავიხსენე ყველაფერი. იმ დილით რომ „დუელი“ იყო დაინიშნული ისედაც მახსოვდა და მეექვსე აბაზანასთან გასვლა გადავწყვიტე. წარმოვიდგინე, რომ დღისით, შუაგულ წყალტუბოში სისხლისმღვრელი შეტაკება გაიმართებოდა. მართალია, არავის დავეუვალდებულეზივარ, მაგრამ ჩემი პროფესია, ესე იგი ექიმობა, უფლებას არ მაძლევდა ასეთი სახიფათო შემთხვევისათვის თავი მომერიდებინა. თუ სექუნდანტობას ვერ შევძლებდი, დოსტატრად მაინც გამოვდგებოდი.

პაემანის ადგილზე ყველაზე პირველი გამოვცხადდი. მალე ტატულიც გამოჩნდა. ახალთახალი კოსტუმოდან გათქათამებული თეთრი პერანგი და ლურჯი ყელსახვევი მოუჩანდა. იგი ოდნავ ებჯინებოდა ჯოხს. ნელა და მსუბუქად იოდიოდა. სულ არ ეტყობოდა, წინა ღამის ნაჭიფარი რომ იყო.

მალე კოკიც მოვიდა. კოკის ისეთი საეჭვო შესახედაობის რამდენიმე პირი მოჰყვა, რომ ძალიან შევეკრთი. თუმცა ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა. გამოირკვა, რომ ის ხალხი ტატულის მეტ პატივს სცემდა, ვიდრე კოკის. ესეც რომ არა, კოკი მთვრალი მოვიდა და ისე არასერიოზულად იქცეოდა, რომ ჩხუბზე ლაპარაკიც აღარ ყოფილ: „ოკიმ ტატული გვერდზე გაიხმო. რა ეფაპარაკა, არ ვიცი, მაგრამ უკან გაციუნებულნი და ხელგადახვეულნი დაბრუნდნენ. არ მეგონა, თუ ასე იოლად შერიგდებოდნენ. წინადლით ტატული გულმოდგინედ ამტკიცებდა, არ დაველაპარაკებო. მომეჩვენა, რომ ამ სითბოს კოკი სულ არ იმსახურებდა. ტატული კი გადაქარბებული გულგაშლილობით ექცეოდა ყველას და ქეშმარიტ შეგობრებს უგულუბყოფდა.

კოკის მსლებლები სერიოზულად იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. ტატული ამით, განსაკუთრებით კი ერთ გამხდარ, მაღალ კაცს მოკრძალებით ელაპარაკებოდა. გამხდარი ზრდილობიანად უგდებდა ყურს. ხანდახან თუ გაიღიმებდა. მოკრძო სახის, ფერდაკარგული კაცი, ჩემი შეტყობით, შეიძლება არც ისე დიდი ხნის წინ იყო გამოსული ციხიდან. ტატულის არ უყვარდა პირმოთნეობა. არასოდეს ადამიანს თანამდებობისა და მდგომარეობის, თუნდაც ფულიანობის გამო არ გამოარჩევდა, მაგრამ ამგვარ, საეჭვო ხალხს დიდ პატივს სცემდა და კარგ ბიჭებს ეძახდა. ეს უცნაური თვისება მე ადრევეც შევაშინე.

კოკი რომელიღაც დუქნის სახელს ახსენებდა და ამბობდა: წავიდეთ, შერიგების აღსანიშნავად თითო ჰქიპა დავ-

ლიოთო. მგონი, სადაც პურ-მარლის შეკვეთაც ჰქონდა მიცემული. პირადად მე წასვლაზე უარი ვთქვი. გამხდარმა, ფერდაკარგულმა კაცმა თავაზიანად მიმიპატივა. მგონი, პირველად მაშინ ამოიღო ხმა და კინაღამ უარიც ვერ ვუთხარი, მაგრამ ისევ ტატულიმ გადამარჩინა. სხვებს უთხრა: წამოსვლა არ შეუძლია, გადაუდებელი საქმე აქვსო. მაშინ ყველანი დამეშვიდობნენ. ტატულიმ გამიღიმა და შეტრიალდა.

ტატულიმ ამაცხილა ამ უსიამო შეკრებულუბას, მაგრამ ასე იოლად რომ მიმატოვეს, მაინც ნაწყენი დავრჩი.

შინისკენ მიმავალმა ამომშრალ აუხს ჩავუარე თუ არა, დავინახე, რომ ტატული, კოკი და დანარჩენები მანქანებში სხდებოდნენ. ვერაინ შემამჩნია. უკვე არც აღარავის ვახსოვდი. კოკი ხელებს შლიდა და რაღაცას ხმამაღლა ლაპარაკობდა. ისეთი მთვრალი იყო, რომ ბოლოს მაინც აღრევდა. ამ დილაადრიანადაც ხომ იმიტომ დათვრა, რომ გული მიცემოდა. ის ხალხიც ზურგის გასამაგრებლად ჰყავდა წამოყვანილი. თუ გვარჩიანი მშიშარა არ იყო, ყაჩაღობის, როგორც აღრე მეგონა, არაფერი ეცხო. იმ დამეს თელის ხეზე, ჩემი ფანჯრის წინ, მართლა ის დაქრებოდა, მაგრამ ჩემს ოთახზე შეიარაღებული თავდასხმა ფიქრადაც არ მოსვლია. ჩემი ფუნდამენტური შრომა ისევე აინტერესებდა, როგორც ჰამათის ქვის ხეთური იეროგლიფები. კოკის დამსვენებელ ქალთან, რომელიც ჩემი ოთახის მეზობლად ცხოვრობდა, რომანი ჰქონია გაჩაღებული. ცხადია, იმას უქვრეტდა. რატომ და რისთვის? რა ჩვენი საქმეა.

ასე დამთავრდა ეს ისტორიული „ღუელი“.

ქუჩაში გავედი თუ არა, ვასიკო დავინახე. ბეჭებში წახრილი „ოლიფანტოვიჩი“ საქმიანად მოდიოდა. ხელში დიდი პორთფელი ეჭირა. შიგნამდვილად ბალანსები ან რაღაც სხვა საბუღალტრო საქმეები ეწყო. სულ არ ჰგავდა იმ კაცს, რომელმაც წინა დამით რესტორანში ერთი ამბავი დაათია.

გამითანასწორდა თუ არა, მივესალმე. ვასიკომ შლაპა მოიხადა და მანქანაში სილაში დამიბრუნა. მერე გავკვირებულმა გამოხედა. ვერაფრით ვერ ვაიგო, ვინ ვიყავი და საიდან გავჩნდი.

შუადღისას კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წყალტუმბოს ქუჩები ნიაღვრებმა გადარეცხა. მსუბუქი მანქანები მშუილით დადიოდნენ მოასფალტებულ გზებზე.

მეორე დღეს, მოსკოვში, საბჭოთა ნაკრებმა ინგლისში გამგზავრების წინ უკანასკნელი საკონტროლო მატჩი გამართა. ეს თამაში ჩვენ ტელევიზორში ვნახეთ. მთავარი ექიმის კაბინეტში ტელევიზორთან ათიოდე კაცი ვისხედით. ტატული მდუმარედ, ყოველგვარი კომენტარების გარეშე უყურებდა თამაშს. როდესაც მოედანზე გაუთვალისწინებელი კურჩოზი მოხდა, მხოლოდ მაშინ გამხიარულდა და ბევრიც იცინა. ისე კი ნერვიულობდა და ფრჩხილებს იკვნიტდა. ნაკრებმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო ის თამაში. ჩვენ გავცხარდა. ჩვენი აღტაცება ტატულის სულ არ გაუზიარებია. მომეჩვენა, თითქოს ნაწყენიც დარჩა.

თამაშის დამთავრების მერე ცხარე კამათი ატყდა. მე, ცხადია, ხმას არ ვიღებდი, მეშინოდა, რამე სისულელე არ მეთქვა. ისინი კი ერთ ახალ მოთამაშეს რომლის გვარს ახლა განგებ არ ვაპაზელებ, თავგამოდებით აქებდნენ. ბოლოს ტატულიმ თქვა: მაგ კაცი ისეთივე ფეხბურთელია, როგორც მე ასტრონომიო. ამ განცხადების გამო ოთახში სიჩუმე დადგა.

— რატომ? საზრიანი ფეხბურთელია, ხშირად ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებს და ორივე ფრთაზე თამაშობს... საერთოდ ყველგან არის. — თქვა პატარა სიჩუმის შემდეგ მთავარმა ექიმმა. თქვა, მე მგონი, მხოლოდ იმიტომ, რომ არავის ეფიქრა, ფეხბურთი არ ესმისო.

— მართალია, ყველგან არის, მაგრამ არასოდეს იქ არ არის, სადაც უნდა იყოს! — უპასუხა ტატულიმ. შემდეგ

დაახსიათა რამდენიმე მოთამაშე და დაახანელა ის სავარაუდო გუნდი, რომელიც ინგლისში ითამაშებდა. მისი ნათქვამი შემდეგში თითქმის მთლიანად ახდა.

— პელე ხომ ყველაზე უკეთესი ფეხბურთელია? — ჰკითხა ვილაცამ ტატულის. ჩვენ ყველანი თხებივით ტატულის მივაჩერდით. ყველამ, მათ შორის მეც კი, ვიცოდით რომ პელეს ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ მაინც ტატულისაგან გვიანტერესებდა იმის მოსმენა, რაც უკვე ვიცოდით.

— რასაკვირველია, ყველაზე კარგი ფეხბურთელია... — თქვა ტატულიმ. ცოტა დაფიქრდა და განაგრძო:

— ...ფაქტიურად ეს ასეა, მაგრამ პრინციპში როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ ერთი კაცი ყველაზე უკეთესია... შეიძლება არის ვილაცა, რომელსაც ფეხბურთი საერთოდ არ უთამაშია, მაგრამ ცხრა პელეს ჯობია, როგორც ფეხბურთელი. ნაპოლეონი უდიდესი მხედართმთავარი იყო, ასე ვიცი, ასე ვამიგია, მაგრამ ნაპოლეონზე ნიჭიერი და ძლიერი პიროვნება შეიძლება ცხენებს უვლიდა. ასეა, ვილაცას გაუმართლებს და წინ გაეარდება... ჩემთან სპორტსკოლაში ერთი ბიჭი ვარჯიშობდა. მეც და სხვებიც იმასთან ლანდები ვიყავით, იმას კი ფეხბურთი მასხრობად მიაჩნდა და დაანება კიდევ თავი... ერთი იყო კიდევ, მახსოვს, უკეთესი თუ არა ნაკლები არა, იმას ძვლის ქლეჭი დაემართა... ასეა... ყველას არ უნართლებს. ყველა აღამაინი იმას არ აკეთებს, რისთვისაც დაიბადა...

ამ გრძელ სიტყვას ისევ სიჩუმე მოჰყვა. რატომღაც არავინ საჭიროდ არ ჩათვალა ტატულის შეკამათებოდა. თუმცა, ალბათ, ზოგი არ დაეთანხმა და ზოგს მისი ნათქვამიდან აზრიც არ გამოუტანია. ბოლოს თქვეს: ეს თავყრილობა უფრო მოსახერხებელ ადგილას რომ გადაგვატანია, ურიგო არ იქნებოდა, რადგან თითოეული ღვინის შემდეგ თავში საუტხოო აზრები მოგვივო: მაკლუნებელმა წინადადებას საქ-

მოს მხარდაჭერა ჰპოვა, მაგრამ ტატულიმ წასვლაზე უარი თქვა, სიტყვებს გუნება გაუფუჭა და კარგად წყნარებულ საქმე დასაწყისშივე ჩაყვდა.

მე და ტატული ოთახიდან ერთად გამოვედით და გრძელ დერეფანს გავყევით. ცოტა ხნის შემდეგ ტატულიმ მოულოდნელად მითხრა:

— ხელიდან ვარჯიში უნდა დავიწყო.

— ფეხი რას გიშვება?

— ფეხს არა უშავს... ფეხი კი არა, ამ დილით ავიწონე და გული კინაღამ გამისკდა. შეიდი კილო მომიმატებია. ამ ფეხს თუ ვუყურე, სულ ამოვვარდები ფორმიდან...

გამეხარდა ეს რომ თქვა, თუმცა ამდაგვარი სიტყვები მისგან პირველად არ მესმოდა. ვურჩიე, რამდენიმე აბაზანა კიდევ მიეღო და მოსკოვიდან ჩამოსულ ცნობილ პროფესორ ტრავმატოლოგთან მიმყოლოდა. ამაზე იგი უხალისოდ დამეთანხმა. შემდეგ თავის ოთახში შემეყვანა. საწოლზე, ალბათ პავანური გიტარა იდო (თუ გიტარა ძალიან პრიალებს და თვალს ქრის, მე პავანური მგონია). ვიცოდი, ტატული კარგად უკრავდა, მაგრამ არსად მომესმინა და, სამწუხაროდ, არც მაშინ მითხონია, დაუკარი-მეთქი.

ტატულიმ ჩემოდანი გახსნა და უამრავი სამახსოვრო პრინები, სუვენირები და საჩუქრები მაჩვენა. მითხრა: რომელიც გინდა აირჩიე და წაიღეო. მე გონა ხუმრობდა, მაგრამ თხოვნა დაბეჯითებით გამიმეორა. საჩუქრისა და პრინის გაჩუქება თუ შეიძლებოდა, ვერც წარმოვიდგინე და ამიტომ მოვიხატრე, რამე რომ ამეღო, ახლა მისგან სამახსოვრო ნივთი დამჩრებოდა.

შემდეგ ტატულიმ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ყურნალები ამოაღა. ყურნალებში მისი ფოტოსურათებიც იყო. ერთი სპორტული ყურნალის გარეკანზე მარტო თვითონ ესატა. ყურნალი გადაშალა და მითხრა:

— აქ ვილაცა ყურნალისტ ევროპის ნაკრები დაუხანელებია და მე ამ სიაში

ჩავეწერივარ, ჩენი ქვეყნიდან მართო მე ვარ...

ესპანურ ენაზე დაწერილი ეურიალი ხელში დავიჭირე და გაჭირვებით ამოვიკითხე დაახლოებით ის, რაც ტატულიმ მითხრა. მივხვდი, ეს ამბავი ძალიან ბევრს ნიშნავდა და ჩემი მიხვედრილობის სიტყვიერი დასაბუთებაც დავაპირე, მაგრამ ტატულიმ მოულოდნელად მკითხა:

— აღამიანს რომ რაიმე შემთხვევით დაემართება, ის მართლა შემთხვევითია, თუ ვინმეს ხელი ურევია?

ეს შეკითხვა ჩემთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ერთხანს ვერაფერი ვთქვი. მართალი თუ გინდათ, კარგად ვერც ვავიგე, რა მკითხა. ამას ტატულიც მიხვდა და განაგრძო:

— ...მაგალითად, ახლა მე ინგლისში მსოფლიო პირველობაზე სათამაშოდ უნდა წავსულიყავი, შემთხვევით ფეხი ვიტყინე, მართალია, შემდეგ ფეხს არ მოვუარე და რაც მჭირს, ყველაფერი ჩემმა თავმა მიყო, მაგრამ შემთხვევით რომ ფეხი არ მეტყინა, მაშინ რა მოხდებოდა?

— მაშინ არაფერი.— ეუბასუბე გულუბრყვილოდ.

— ესე იგი, შემთხვევით არ წავედი ინგლისში?

— არა, აქ სულ სხვა ამბავია... — დავფიქრდი მე.

— მაშინ სულ უბრალო. მაგალითი ავიღოთ: ვთქვათ, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, ერთ მშვენიერ დღეს მიდის ქუჩაში. უცებ სახლის კედლიდან, გინდაც სახურავიდან გადმოვარდა აგური, დაცა ამ კაცს თავზე და მოკვდა. თუ ეს შემთხვევაა, რაღა იმ დროს, რაღა იმ ადგილას, რაღა იმ წერტილზე დადგა, საიდანაც აგური ვარდებოდა? აქ ხომ სულ სეკუნდების ამბავია?..

ტატული, ეტყობოდა, დამოუკიდებლად მინდგომოდა შემთხვევითობა-აუცილებლობის კაცობრიობისათვის კარგად ნაცნობ პრობლემას. ბედისწერისა და ფატალურობის ელემენტებიც იყო

მის ნაფიქრში. თუმცა დარწმუნებული ვარ, არც ერთი ეს ტერმინი ვერცხვნილი არ ჰქონდა. როგორც უმეტეს შემთხვევით ვუბასუბე. ფილოსოფიის ჩემი უღარიბესი ცოდნაც გავიმეტე, მაგრამ ტატული მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა. რა უნდა მექნა? ბოლოს და ბოლოს, მე ექიმი ვარ და არა ფილოსოფოსი. თუმცა ერთი მეორეს სულაც არ გამოირიცხავს.

მიუხედავად ღრუბლიანი დღეებისა, წყალტუბოში ადრე თენდებოდა. ექვსი საათისათვის სამგურალის ქედებს ზევით გაფერმკრთალდებოდა ცა, შემდეგ სანატორიუმების თეთრი, უზარმაზარი შენობების ბაცი, რბილი სილუეტები გამოიკვეთებოდა.

ადრე ამდგარს ღია ფანჯრიდან მცენარეთა სველი ფოთლების სასიამოვნო სუნი მცემდა. ამ დროს ვიწყებდი მუშაობას. ამ დროს გამოდიოდა ტატული სავარჯიშოდ. ძვირფასი სპორტული კოსტუმი ეცვა. ნელა, კატასავით გადირბენდა ჩვენს ბაღს და უკაცრიელი ქუჩებით მდინარე წყალტუბოს სათავემდე აღიოდა. სვენებ-სვენებით გაირბენდა ათიოდე კილომეტრს და უკანვე ბრუნდებოდა.

ასე გაგრძელდა სულ რამდენიმე დღე. ბოლოს მაინც დადგა ის საბედისწერო დამე.

ნაშუადამევეს, როდესაც დაწოლას ვაპირებდი, ჯახის ხმამალაღმა ხმამ ფანჯრიდან გადამახედა. ქვევით ახალთახალი ვოლგა იდგა. მანქანაში ოთხი ბიჭი იყო. ერთი წითელხალათიანი ახალგაზრდა მანქანიდან გადმოვიდა და ფანჯარაში გადმომდგარ ტატულის რაღაც უთხრა. ტატული იცინოდა. ბოლოს პიჯაკი მოიხსნა და უყოყმანოდ ჩავიდა ძირს. ვილაცამ მანქანის კარი გაუღო. ტატულიმ შიგ შეიხედა და სამივე გადაკონა: შემდეგ წინ დაჯდა. წითელხალათიანი საჭეს მიუჯდა. რადიოს აუწია და მუსიკის ხმაზე მანქანა ნელა, რწევით გაეცალა იქაურობას. იმ დამეს ძალიან მშვიდად მეძინა. ნათქვამია, ცუდის მომასწავებელი წინათგრძნობა

ადამიანს ძილშიც შეაწუხებდო, მაგრამ მე იმ დამეს ერთი ბუნდოვანი სიზმარიც არ მინახავს.

ახალი გათენებული იყო.

კოკი უკითხავად შემოვიდა ოთახში და საწოლში თავს დამადგა. გამიკვირდა მისი დანახვა, ვერ გავიგე, რა უნდოდა ამ დილადრიანად, ან უნებართვოდ რატომ შემოვიდა, როცა ასითი რამ არასოდეს ჩაუდენია.

— იცი ტატული რომ მოკვდა? — მოთხრა კოკიმ.

დარწმუნებული ვიყავი უბიროდ ხუმრობდა, მაგრამ მაინც შეძრწუნებული წამოვჩექი საწოლზე.

— რას სულელობ, ასეთი ლაპარაკი როგორ შეიძლება!

— მართალს გეუბნები. კარლო ლორთქიფანიძეს, გოგია მოხვევს და ვილაყეებს საქეიფოდ წაუყვანიათ და უკან დაბრუნებისას რკინის ბოქს შესკლომიან.

— ტყუილი იქნება! — დავიფინე მე.

— ჩემი თვალით ვნახე, მკვდარია. საავადმყოფოშიც მკვდარი მიუყვანიათ და ვინ რას უშველიდა!..

მე სიგარეტს დავწვდი. ზელს დავხედე, საშინლად ვცახცახებდი. ღია ფანჯრიდან დილის სუსხი შემოდიოდა და ალბათ შემცივდა.

— იქნებ არ მომკვდარა და დამტვრეულია! — ვთქვი მე უაზროდ.

— ნეტავი დამტვრეულიყო, ორივე ხელი მოტეხოდა. ორივე ფეხი მოტეხოდა! — თქვა კოკიმ. ტახტზე დაჯდა. სახეზე ქუდი აიფარა და ხმამალა ატირდა.

წარმოვიდგინე ფეხებმომტვრეული ტატული და თავში ელვასავით გამობინა: დამტვრეულს და ხეიბარს მკვდარი იყოს ჯობიათქო. ეს ფიქრი იმწამსვე მოვიშორე, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ტატული იმიტომ მიყვარდა და პატივსაც იმიტომ ვცემდი, რომ ფეხბურთელი იყო. ეს არის ანგარება, მეტი კი არაფერი. ამას ახლა ვამბობ, თორემ მაშინ ენაწართმეული, აცახცახებული ვუყურებდი ატირებულ კოკის. მაშინ-

და მივხვდი, რომ ყველაზე მეტად ტატული ამ კაცს ყვარებოდა. კოკი დამტანს, დიდხანს მწარედ ქვითრებდა.

კოკიმ მართალი ამბავი მოიტანა. ტატული და მისი ნაქეიფარი მოკეთებები მთელი სისწრაფით მოჰპროდნენ გამთენიისხანს ქუთაის-წყალტუბოს გზაზე. წყალტუბოს მისადგომთან, იქ, სადაც რკინიგზის ლიანდაგია, რკინის სკეტს შეტაკებია. ტატულის გარდა ყველანი გადარჩნენ.

ტატულის მძლოლის გვერდით უყვარდა ჯდომა. აუცილებლად წინ დაჯდებოდა და ნიდაყვს ფანჯარას ჩამოადებდა. არ უყვარდა, როდესაც მანქანა ნელა მიდიოდა. სულ ეჩქარებოდა. თავაწყვეტილი მანქანა შვებას ჰკვრიდა.

ოთხივენი გადარჩნენ და ტატული მოკვდა. დანარჩენებს, ცხადია, ეწყინათ კაცი რომ მოკვდა, მაგრამ რა შეედრებოდა მის პირველ გახრებას, თვითონ რომ ცოცხლები გადარჩნენ.

იმ უბედურ დილას ცამ ღრუბლები გადაიყარა და მუქი ლურჯი ცა მთლიანად მოშიშველდა. პერი იყო საოცრად გამჭვირვალე და უძრავი. ძალიან შორს კავკასიონის თეთრი მთები ელავდა. სველ კურორტს მსუბუქი ორთქლი ადიოდა. იქაურობა ნელა, შემქნეულად შრებოდა.

ქუთაისის გზაზე, წყალტუბოს მისადგომთან, რკინის მაღალ ბოქს ცნობის-მოყვარე ხალხი ეხვეოდა. ისინი ერთმანეთს უყვებოდნენ, როგორ დაეჯახა მანქანა ბოქსს. ბოქსის ცალი გვერდი თითქმის შუამდე იყო გაფხაჭნილი. ერთმა დამსვენებელმა ქალმა, რომელიც გახარებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მშემ გამოიხედა და ოდნავ მუდაკრული მაინც დაბრუნდებოდა, ასე იხუმრა: ბოქზე რომ მანქანით ადიოდნენ, ნათურების ჩამოხსნა ხომ არ უნდოდათო. ამ ხუმრობაზე ზოგიერთს გაეცინა.

კოკიმ მოთხრა: ამბობენ, ტატულის მანქანაში ეძინა და, ალბათ, არც არაფერი გაუგიაო. ყველაფერი შეიძლება. ან იქნებ სიკვდილის წინ გაახსენდა დე-

და, ამხანაგები ან აღრიალებული ღონ-ღონის უემზლის სტადიონი მოეჩვენა. შეიძლება მართლა არაფერი გაუგია და ეს ყველაზე უკეთესია. თორემ ჩვენ, რომლებიც ჯერ არც ვრთხელ არ მოვმკვდარვართ. საიდან შევძლებთ გავიგოთ, რას ფიქრობს კაცი სიკვდილის წინ.

სიტყვა „წყალტუბო“, როგორც ხშირად დაუსაბუთებლად ამტკიცებენ, ნიშნავს თბილ წყალს, უფრო სწორად, „წყალტფილს“. თუ გავიხსენებთ, რომ „ცუღდა მცირესა ტბათგანსა ტბორე ეწოდებოდა“. მაშინ შევხვდებით „წყალტბორეს“. ამ სიტყვის შესაბამისი ფონეტიკური ცვლილება კი, ალბათ, „წყალტუბომდე“ მიგვიყვანს. შეიძლება არც ეს დებულებაა სწორი, მაგრამ სიტყვა „წყალტუბო“ ისევე ნიშნავს „წყალტფილს“, როგორც სამტრედიის „სამ მტრედს“ და აბასთუმანის „აბაზს და თუმანს“.

წყალტუბო ცნობილია მინერალური სამკურნალო წყაროებით. ხალხი ამბობს, რომ ეს წყალი პირველად აღმოაჩინაო ერთმა მწყემსმა ბიჭმა, რომელიც განმარტებული დაღებულებოდა მუხის უღრან ტყეში, საათობით იჯდა უხარმარა, წაქცეულ მუხაზე და დაკარგული, დაწყლულებული ფეხებით თბილ წყალში ჰქონდა ჩაყოფილი; მწყემსი გარინდებული იჯდა და ფიქრობდა მზეთუნახავ ქალზე, რომელიც ქაჩებს ჰყავდათ დამწყვედული აღმასის კოშკში. მწყემსს ფეხები მოურჩა და უკვდავების წყლის ამბავი შორს გაავრდა. მალე სამეგრელოს დასწრეულებული დედოფალი, რომელსაც თურმე სახე მზისთვის არ უჩვენებია, სწყევთა ამ ადგილს და ისიც შორჩენილა.

...მაგრამ წყალტუბოს სახელი გაუთქვა არა მწყემსმა ბიჭმა და სამეგრელოს მზეთუნახავმა დედოფალმა, არამედ დაგლახავებულმა, დავრდომილმა ავადმყოფებმა, რომლებიც ჩოჩიალა ურმითა და ხის დაწლარკული საკაცეებით მოჰყავდათ და უკან თავისსავე ფეხებით ბრუნდებოდნენ.

ავადმყოფები ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე ბანაობდნენ ღია გუბებში. ზოგჯერ ღრმა წყალსატევში ავადმყოფი რჩებოდა მთელი ღამე,

რომ არ დამღვრჩალოყო, ქაში თოკით იყო ჩაკიდებული. ვიმეორებ: თოკით იმითომ იყო ჩაკიდებული, რომ ვერ დაშლარჩვალიყო.

ამჟამად კურორტი წყალტუბო არის მსოფლიოს ერთ-ერთი უაღრესად კეთილმოწყობილი, ევროპული ტიპის კურორტი.

წყალტუბოს მინერალური წყლები მიეკუთვნება თერმალურ, როდონოვან, სულფატ-ჰიდროკარბონატულ-ქლორაიდ-ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმთან წყლებს. იგი შეიცავს კაჟიანს კოლოიდურ მდგომარეობაში; ეს კი ხელს უწყობს რადიუმის ემანციის დაშლას და დაღეჭვას. აქედან გამომდინარე, ამ წყლის რადიოაქტიური თვისება ძირითადად განსაზღვრავს მის სამკურნალო ღირსებას.

მე ვფიქრობდი, რომ ეს წყალი დადებითად იმოქმედებდა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, რომლის დაავადების გარეშე ნამდვილი რევმატიზმი არც არსებობს (არ გამოვიციხავ, რომ ამასვე ფიქრობდნენ სხვებიც).

ჩემს მიერ ჩატარებულმა ანალიზებმა და საარქივო მასალებმა (ავადმყოფობის ისტორიებმა) ჩემი მოსახრება საუკუნით დადასტურეს. ამის შესახებ ვრცლად, ხოლო დანარჩენი საკითხების გარეშემო ზოგადად, მოთხრობილია ჩემს ფუნდამენტურ ნაშრომში, რომლის საყმაოდ მორიდებული სათაური აღრევე მოგასხნეთ. დიეტარესებული მკითხველი ამ ნაშრომს ჩემი დახმარების გარეშეც მოძებნის, მხოლოდ მე მინდა თქვენი ყურადღება ერთ მეტად საინტერესო გარემოებაზე შევაჩერო:

ხშირია შემთხვევა, როდესაც წყალტუბოში ყოფნას არავითარი შედეგი არ მოაქვს. მკურნალობა თითქოს წყალშია (არა აქვს მნიშვნელობა წყალტუბოს თბილ წყალს) გადაყრილი. ავადმყოფები იმედდაკარგულნი, გულაცრუებულნი, ზოგჯერ ირონიული ღიმილით ბრუნდებიან უკან; მაგრამ კარგაბნის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ავადმყოფი უკეთესობას გრძნობს და იგი ზვდება, რომ წყალტუბოში ყოფნას ტყუილად არ ჩაუვლია... ჩვენც ხშირად ვიმედოვნებთ, რომ, როცა იქნება, ყველაფერს სინათლე მოეფინება და ვილაცხა უკეთესობას იგრობოს.

ნიკოლოზ ჩაჩავა

შემორგომის რაფსოდია

ვის არ უნახავს ფოთლების თოვა,
როს შემოდგომის დგება დღეები.
გაზაფხული ზომ ისევე მოვა,
ისევე დაისხამს ფოთლებს ხეები.

მეც ხომ ყოველ წელს ფოთლები მცვივა,
დრო უღმობელად მიტევეს და მიტევეს,
ვერძნობ ვილუვი და თანდათან მივალ,
ხელახლა ვედარ დავისხამ კვირტებს.

მაგრამ ოდესმე თუ რამე მითქვამს
და ოდნავ მაინც მიწვდენია გულს,
მჯერა, რომ ვინმე მეც მომიკითხავს,
ყოველ წელიწადს, ყოველ გაზაფხულს.

ეპიგრები

1

მე არ მაწუხებს
ახლა სრულიად,
რომ ეს ცხოვრება
არის ვეება,
რადგან
მას ერთი
დასასრული აქვს,
და უამრავი
სათავეები.

2

...ხშირად ვბრუნდები
და დავეძებ
ცხოვრებას განვლილს,



ვით დაკარგულ ნივთს
დაეძებენ გზაში მგზავრები.
თუ კი ჩემს გრძნობებს
უკვე წყნარად
გაუღის ყავლი,
რატომ მანჩია,
როგორც კვალი
დინოზავრების.

3

დამეა, მთვარე დუმილით გვიმზერს —
და წყლის ციმციმით დამთვრალა ისიც,
სულგანაბული დაეძებს იმ შზეს,
ამ მდინარეში რომ ჩანდა დღისით.

4

შარაზე მივალ, გავერბი ძაღლებს,
ეზოებიდან რომ მაცილებენ —
და ალვის ხეებს, მალღებზე მალღებს,
რჩებათ შარაგზა და მანძილები.

5

ხე მალაღია, ცა თვალუწვედენი,
მიწაზე მაინც ვდგავარ ამაყად.
ჩემი ცხოვრება მათ მივეუძღვენი
და ამით, აბა, მე რა დამაკლდა.

6

ამ ჩემმა ფიჭრმა რომ ვერ იარა,
შემომეხვია, როგორც ხვიარა,
დამიმორჩილა, დამაზიანა,
თან დამაჭვს ასლა, როგორც იარა.



წიგნი შეიკრიბა
საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკის
სამუშაო განყოფილებაში
1980 წლის იანვარ-თებერვლის თვეში



გიორგი კაჭახიძე

ქიშკიებს მიღებენ სახლიკაცები

ყველგან ეზოში ვარდი ბევრია,
დაუხუნძლია ფოთლებს ბაღები, —
მაინც არ ვიცი, რად შეერია
ჩემს ალტაცებას ჩუმი ნაღველი!

ვისაც ვინც იწვევს, მასთან იღავოს,
მე ამ სიცოცხლის ეშხით ვიწვევი,
მაინც აკლია სხივი მიდამოს —
აღარც მამაა, აღარც ბიძები.

გულს რომ ყრუდ ესმის, მათი ხმებია,
ჩემს სიმღერაში კანგად ნაფრენი.
ბერიკაცებიც არსად მხედებიან,
ძველი მრჩეველნი და მეზღაპრენი.

ზამთრის მხლებელი სუსხი მკაცრია,
წლები სიბერის ვის დაინდობენ!
სოფელს ყველანი ისე გაცლიან,
ერთსაც კი ველარ დავეშვებოდგე.

რა შევიქენი, რა მოუცლელი,
აქ ფეხადგმული, შვილი ამ უბნის!
არ დამრჩენია ერთი ფურცელიც
განათებული მათი საუბრით.

აი, სირცხვილი, აი, სირცხვილი,
ლამის ააღდეს გულის ღაღარი.
ჩრდილში, გზის პირას მღერის წისქვილი,
გვერდით მოუსვამს ბერი ჭადარი.

თვეა ვარდობის და ალტაცების,
უნდა ვუპოვო კანგი ზღვა გრძნობებს.
ჭიშკრებს მიღებენ სახლიკაცები
და შვილიშვილებს გზა-გზა მაცნობენ.



პახანგ ჯაპახაძე

* * *

როდესაც სხვები წერდნენ დღიურებს,
მე სხვებზე უფრო წყნარად ვცხოვრობდი...
დრო მხოლოდ წარსულს ამაგიურებს
და მეტ სიმძაფრეს აძლევს მოლოდინს.
მაგრამ წარსული ყველას სჭირდება,
ყველა დაეძებს მაცთურ მირაჟებს,
რომ გაამართლოს თავის ღირსება
და თავის ნაკლი — ქვეყნის წინაშე.
მძლავრია ძველი წლების შაგია,
მოგონებებით გვავესებს ყელამდე,
მე კი ვმღეროდი სხვების მაგიერ
და ჩემს მაგიერ სხვები დელაუდნენ.
ტკივილიც აღარ მეუცხოვება,
რადგან სიმწიფის ჯამი გავიდა,
ხშირად ნახევრად გავლილ ცხოვრებას
სიმღერასავით ვიწყებ თავიდან.
არ მინდა — დარდი თავისთავადი
სულში ნისლივით შემოეხეტოს,
ღმერთო,
მარუქე მცირე ტალანტი;
ქვეყანას ბავშვის თვალთ შევხედო.

* * *

ერთხელ რკინიგზის პირას ვცხოვრობდი
და მატარებლებს ვუდარაჯებდი,
მიდასტურებდნენ ბავშვურ მოლოდინს
დიდი სინათლით საესე ფანჯრები.
წლები გაიჭრნენ ყაჩაღებივით,
გაპყვნენ ქარიშხლებს ელვისფრთებიანს,—
ახლა ხანდახან გაჩაღებული
მატარებლები მესიზმრებიან.
მათ მხოლოდ ერთხელ ვერ გამიმართლეს
ცნობისმოყვარე ბავშვის იმედი,

მე სხვა სიმღერას მაინც იმათი
 ბორბლების გუგუნს ვამჯობინებდი;
 ხოლო ბალებს და მწვანე კორდებსაც
 გზები ვარჩიე კირქვიანები,
 დიდი ამბები ხდებოდა, როდესაც
 მატარებლები იგვიანებენ.
 უტლამუნებდა წვიმა ლაბტივით
 ჩამქრალ ვაგონებს ხეიბრებიანს, —
 ახლა მე ხშირად ომგადახდილი
 მატარებლებიც მესიზმრებიან:
 თითქოს საომრად ავიშალენით,
 თითქოს დაუძარით ცეცხლის ეტლები...
 შერიგებული ქარიშხალივით
 ღიანდაგებში დავუხეტები.



ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა

მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი

გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი ნათელი გავრცელებული ქართული ეროვნული გენიოსა, იგი ხალხს ზოდს ჰგავს, რომელსაც საუკუნეთა განვი ვერ მოვდებთ და ყოველ შეხებაზე ეღვარება მომავტება. უკვდავი აკაკის სიტყვით, ორბელიანი საუკუნეების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდება და ამაღლება. მომავალი დრო და თაობა „გონების თვალთ“ შეხედავს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ღირსეულ მამულიწველს. დიდმა ილიამ გრიგოლ ორბელიანი ჩვენი ქართული ენის შეუფერად და თვითმპყრობელად შერაცხა და მას სასიკაძდლო მამულისშვილი, სახელოვანი ქართველი და დიდებული მწერალი უწოდა.

გრიგოლ ორბელიანის კოლორიტულმა პიროვნებამ იმთავითვე მოხიზლა და დაატყვევა თანამედროვენი თავისი მხედრული სიჭველით, დინჯი და შორსმჭვრეტელი დიპლომატიური ნიჭით, სამოქალაქო საქმეების ღრმა ცოდნით, სხვადასხვა ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური რწმენის ჩაწვდომის ტაქტიკით, მათი სულიერი მეომის პატივისცემით და, რაც მთავარია, თავისი მღელვარე, თერგივით დაუდგრომელი, მშფოთვარე პოეტური, სიტყვის ეშხითა და ლაზათით.

გრიგოლ ორბელიანის ძალღმში პოეტური სიტყვა მყარია და კლდთან მორღვეულ ლოდს ემსგავსება. რამდენი დაუდგერობა, უსწორმასწორობა, ვაუშარათავი რითში, პროზაში, არქაოში, დაუმუშავებელი, მძიმედ საკითხავი სტრიქონი აქვს, მაგრამ ყველაფერს მაინც დინჯი, დარბაისილოტი კილო, ღრმაზროვანი სიბრძნისა და სიდიადის ბეჭედი აზის. იგი გვატყვევებს ხალხის ბუნებრივობით, გვიხილავს ქვეშაირტი პოეტურობით და გამორჩეულ ადვილს ისაკუთრებს ქართული პოეტური სიტყვის ისტორიაში.

სადავო არ არის ჩვენს კრიტიკაში დამკვიდრებული აზრი — გრიგოლ ორბელიანის შეხედულებათა გასაღები მის პოეზიაში უნდა ვეძიოთო. ერთი ცნობილი შემთხვევითი ფრაგმენტის გარდა არაფერი ამტკიცებს, რომ გრიგოლ ორბელიანი, როგორც პოეტი, აღტ-

ყებულია მონარქიული რევიმით. მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებსა და წერილებში ვხვდებით მეფისა და მის მოხელეთა ტყუბას. არც ლექსებში, არც პოემაში არ აქვებს მეფის მოხელეებს, არც კი ახსენებს მეფის ნაცვალთ, თავის უფროსებსა და თანამებრძოლთ, მხოლოდ თანამემამულე გმირთა დიდებით კმაყოფილება, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტობითაა ნაყარანხები პოეტის სიტყვები:

„ხელშეფვე ჩვენი,
ძლიერი ზრქენო,
ნიკოლოზ დიდი სულგრძელობითა...“¹

გრ. ორბელიანს თავისი პოეზიის სავნად არ ვუთხდია ეორონცოვი, ზარიატინსკი და პასკენი. სამავიეროდ ასეთი პატივის ღირსად ცნო ყარაიოლელები, მუშა ბოქულაძე, ლობიანი, ბეყანი მერვალი... თუ მახვილით იმპერატორს უკაფედდა გზას მთასა და ბარში, კალმით სავსებით თავის სამშობლოს დიდების ტამარს ემსახურებოდა და სქნდა მშობლიური სიტყვის ფასადუდებულ სიმდიდრეს.

როგორც აღნიშნავენ „ტოლუმბაში“, ეს ისტორიულ-პატრიოტული პოემა — ჰიმნი, მიზაძეა ეუკოესკის პოემისა „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“, ეს უკანასკნელი კიდევ ინგლისელ თომას გრეის ოდისა „ბარდი“. ეს ერთი რიგის ოდებია. მებრძოლთა ბანაკში მყოფი მომღერალი, ბარდი, მგოსანი, ადიდებს წარსულისა თუ თანამედროვე გმირებს.

მაგრამ გრ. ორბელიანის პოემა ჩანაფიქრა. თაც და შინაარსითაც გამოირჩევა ეუკოესკის პოემისაგან.

ორბელიანის პოეზიაში ამქვეყნიური სიამის, შექცევისა და ეპიკურიზმის ნაკადი იმდენად დიდია, რომ, თუ მას პესნიმისტური სულისკვეთებისა და რეაქციული იდეების ქადაგებას დავუშავებთ, მიუტანებელი ცოდეა იქნებოდა.

¹ მუზეუმის ხელნაწერები, 130, კრებული XIX, 9.

ქაღარა მგოსნის შემოქმედებაში ბოლო დროს გაძლიერებული უიმედობის, ვადებისა და სასოწარკვეთების მოტივი უფრო პირადი ტრაგედია და სამშობლოს უიმედობით გამოწვეული მიუსაჯარი სულის ტანჯვაა, ვიდრე წუთისაოფლის ამოიების ფილოსოფიური დასაბუთების ცდა.

გრ. ორბელიანის რომანტიზმი დაწვრილებით აქვთ გარჩეული ჩვენს მკვლევარებს. აქ მხოლოდ ზოგადად შეგინშნაეთ ერთხელ კიდევ, რომ მისთვის უცხოა სამშობლოს საზღვრებს მიღმა ლტოლვისა და ოკეანეებსა თუ ჭუნგლებსა და უდაბნოებში რაღაც მიუწვდომელი საამისა თუ სიმშვიდის ძიება. გრ. ორბელიანისათვის არაა უცნობი არც ფრიდრიხ შლესელი, არც ბაირონი და გერმანელი, თუ ფრანგი რომანტიკოსები. მაგრამ მისთვის სრულიად მიუღებელია მათი სინამდვილიდან გაქცევის, მოვლენათა და გრძნობათა რაღაც ავადმყოფური აღქმისა და მისტიციზმის ფილოსოფია.

ქანსალი ჰედონიზმი, ცხოვრების სიამეთა მიღება, ღვინით და სიყვარულით ტკბობის ქადაგება გრიგოლ ორბელიანს აყენებს იმ ბრძენ აღმოსავლელ რეალისტ პოეტთა შორის, რომელთაც იცოდნენ სიტყვის ფასიც და ცხოვრების აზრიც. თავის ქაბუტ მუგობარ ანტონ ბრუნილიანისადმი მიძღვნილი ლექსით დაწყებული, ვიდრე სიცოცხლის ბოლო წლებამდე არ უქცევია ზურგი დაზარალებულ პოეტს და რდიმანდულ სამყაროსათვის, და ცხოვრებას ისე უყურებდა, როგორც მეზღვე უყურებს თავისი ნიჟის ნაყოფს, სურნელოვან ყვავილნარს.

გრ. ორბელიანისათვის ყველაზე ძვირფასი საკუთარი სამშობლოა. მისთვის კოჭრის ნიაგი უფრო საამოა, ვიდრე თვალუწვდენი ტრამპლები პატრონობა და მფლობელობა. ეს ჩანს თუნდაც მისი ერთ-ერთი წერილიდან, სადაც ეპიტოპონე ჰეგეპაქეს სთხოვს, რაღაც არ უნდა დაგვჩვენოს, თავის ეუთხეში დააბრუნე შენი შეილიო.

გრიგოლს მუდამ აღუღებებს ქართველთა ბედი, სადაც უნდა იყოს. 1855 წლის 7 ივლისს სიმონ შალვაშვილს სთხოვს: ჩვენი ინგლოების, ახალი ქრისტიანების ამბავი მომწერე, როგორ არიან, შიში ნურადროსა ექნებათ, არავეის დეაქანავრინებთო.

ვინ არ მოუხიბლავს გრიგოლ ორბელიანის „აარალის“, მის შესანიშნავ, მოწვევნიტურ ქმნილებებს: „ჩემს დას ეფეგმასა“, „საღამო გამოსალმებისა“, მის მუხამზაბებს?..

„მუშა ბოქულები“ უკუდავ პოეზიის გამარჯვებაა არისტოკრატიულ გულშეაღიბაზე. თუნდაც ეს არ იყოს საქმის ცოდნით დაწერილი ნაწარმოებო, თუნდაც მუშის მონძეშში ჩანდეს, გენერლის მუნდირი, მაინც

დაქტია, რომ მეფეთა შთამომავლები, ეღვმა მეზატონემ თანავრნობის უქმნა უბრალო მამურბას, უქმნა მისი ურუფლებობას და ერთგვარი ხარკი ვაილო დაზარებელი და დაბეჩავებული თანამომისაღმი.

ცნობილ პოემაში „სადღევრძელო“ შრავალო მშვენიერი სტრიქონია, საერთოდ კი საკმაოდ მიმე და გვიანურებული ლექსია, რიტმი და მარცვალთა რაოდენობაც კი არაა ყველაზე დაეული. და მაინც ეს არის მშლავრი ორბელიანისეული პოეტური ძეგლი, დიდია მისი შემოქმედებითი ძალა:

ბე. მამული სასურველი, ვინ გახსნოს,
რომ მის გული
არ აღძროთოღვებ, ხახარულია აღტაცებთა
აღსული?
ვინ ვიზალოს დროსა საშისმ, არ ღასთიხოს
თვისი სისხლი,
არა ღაკლას თავი თვინი, შენდა დახსნად,
ვითა მსხვერპლი!

მართებულად მიუთითებს პროფ. აკაკი ვაწერელია, რომ „სადღევრძელოს“ პოეტური ელერა ერთგვარი შთავრნების წყაროდ ექცა აეტროსის უკუდავ დისწულს. ბართომეილის „მერნის“ ცნობილი სტროფი „ნუ დავიშარხო ჩემსა მამულში“ რაღაცნაირად გვაგონებს „ტოლუმბაშის“ შემდეგ ადვილს:

„ვინ თუ ჩემსან გლას შავმა ბუდანი, აქ
განმისაზღვრა მუც აღსასრული...
ვინ თუ მოგკვდე ქრეთ ვარინად,
გულს არ დამევეს სატროფის ცრემლი“...

ბუნების აღწერაში, ვაქას შემდეგ გრიგოლ ორბელიანს ტოლი არა ჰყავს ქართველ პოეტებს შორის. სულ რამდენიმე სურათი მოგვცა ბუნებისა, მაგრამ ეს რამდენიმეც საკმარისია ასეთი გაბედული დასკვნის გამოსატანად. და ეს იმიტომ, რომ ორბელიანი ხალასია, უშუალოა, დიდოსტატია. სხვა თუ ინტელექტუალურად განიცდის ბუნებას, შორით ჰვრეტს, ან ვრნებთ სწელება, გრიგოლ ორბელიანის ბუნება არის ბუნება პოეტურ სტრიქონებში ორგანულად გაღასული და ვადამდირი.

ლაისტის ენით რომ ვთქვათ, „გრიგოლ ორბელიანის როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ პოეზიას აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი თავისი მაღალი აზრით, კეთილშობილიერი ენითა და მშვენიერების ღრმა გრძნობით“.

არტურ ლაისტე გრ. ორბელიანს, როგორც ბუნების მხატვარს, თვით ვაქას ადარებს:

„აქა-დშაველს მხატვრული ნიჭი ვასაოცარია. ვარდა გრაფოლ ორბელიანისა არც ერთ ქართულ პოეტს არ შეუქმნია ბუნების ასეთი დიდებული მხატვრული სურათებიო“, — ამბობს ჩვენი ხალხის უანგარო მეგობარი. შემდეგაც ლასტი გრაფოლ ორბელიანს. ილიას, ვეფხისტყაოსანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს გვერდით აყენებს და მათთან ერთად „საქართველოს დიდების გამახსივონებელს“ ეძახის, თელის პირველბარისხოვან, თავისთავად პოეტად, ლირიკული პოეზიის დიდოსტატად, რომლის ლექსი „ღრმად მოჩქმუნე კაცის ღოცვას ჰგავს“.

„პეტეფოს მსგავსად დაქექს თან თავისი ქვეყნის მიწის სუნთქვა და თავისი ხალხის ყველა თავისებურება, და მისი ლექსებიდანაც იგრძნობა, რომ წიგნების მტერისაგან არ შექმნილან. ის იყო ბუნებრივი, ხალხის პოეტი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მუზის წყალობით მომღერალი, რომელიც თხზავდა მხოლოდ მაშინ, როცა ველი კარნახობდა“.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნად განდნენ ახალი იდეები, ახალი ადამიანები, ახალი ურთიერთობანი... ასეთი გარდაქმნის ეპოქაში რომ ერს ღირსეული მგოსანი და ხელოვანი მოელოდნენ, ეს ნამდვილი ციური წყალობაა. ამიტომაც გამოჩენილი პატივდღეების გრძნობით გვმართებს ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრაფოლ ორბელიანის და სხვა მათს თანამოცალმეთა სახელების გახსენება. უცხოელი მეგობრის არტურ ლასტის მხვილი თვლი კარგად შეინიშნავდა ამ გარემოებას:

„ჭერ კიდევ თვლემდა ქართველობა ახალ დროში. იმ ეპოქაში ორი მგოსანი გამოჩნდა, მათ კვლავ გამოაცოცხლეს ქართული პოეზია და მშობლური ენისაღში სიყვარული იმდროინდელ ქართველობაში. ესენი იყვნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. ამ ორი მგოსნის ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს, ბარათაშვილთან ერთად, მათ ქვეყანას დაუბრკოცეს, რომ ქართველ ერში შემოქმედების უღიდესი ძალაა ჩამარხული, რომელიც ძლიერებით გადმოსკდა და მშენებლის ნათელი მოქონა მთელ საქართველოს... ეს პოეტური ნაწარმოებები ქართველი ერის სიცოცხლის ერთ-ერთი სხივი იყო. ქართველებისათვის ამ სამ მგოსანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“.

გრ. ორბელიანის დარღმინდული მეინახობის გამო სწორად შენიშნავს ა. გაწერიალი: „გრ. ორბელიანს ვუღწერდელ ჰქმნიანთან ერთად არ აულდა ერთგვარი ირონიაც თავისი ლექსების პერსონაჟების მიმართ, იგი მათ

დაკურებდა ზემოდან, იმ დარღმინდული ქედმაღლობით. რომელიც ზერს სრ. ფელდო პოეტს იმავე დროს დემოკრატ და ნათესავ ტრაპეზის გამზარებელი უოფილიყო“.

გრიგოლ ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელს თავის ლირიკაში ადიდებს მხოლოდ იმას, რასაც უნდა ადიდებდეს — ქალს, სიყვარულს, მამულს, სახელოვან გმიარებს, და არა მეთის ყოველსშემდეგ მოხელებებს, რომელთაც მხოლოდ ოფიციალურ მიმოწერაში უხდის აუცილებელ ხარკს. ამრიგად, დღი საფრთხის მიუხედავად, პოეტი დარჩა პოეტურ სიმაღლეზე, და მისი ოფიციალური ბიოგრაფია არაფერ ზიანს არ აყენებს იმას, რაც ჩვენი ერთგული კულტურის საგანძურში შევიდა.

„ღროება“ გრ. ორბელიანს მედამ „კლასიკურ პოეტს“, „საოცარი ბუნების“ პოეტს ეძახდა, იცავდა მის ღირსებას „უგვანო წერილთა მკლანელ“, „უმეცარი გონების პატრონ“ დილაენტებისაგან.

„მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფეო“, — ასე უწოდა ვახტანგ ორბელიანმა დიდ ნათესავს.

ვახტანგ ორბელიანი გრაფოლზე მაღლა ახალ პოეტებში მხოლოდ ბარათაშვილს აყენებდა.

კიბა ამაშივე აუვსებელ უფსკრულს ზედდა გრაფოლ ორბელიანის ცხოვრებასა და მის პოეზიას შორის, ზედმეტად კი თვლის მწერლის ბიოგრაფიის მოთხრობას. ჭერ ერთი, ორბელიანს არ შეუქმნია თავის მმართველობაში „დრაკონული კანონები“, როგორც ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი ამბობს, და ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც ფაქტებს უფრო ახლო გაეცნობა; მეორეც, არაფერი ისეთი უფსკრული არ არის რომანტიკოს ორბელიანის ლექსებსა და თავისი გვარის მზის ჩასვენებით გამოწვეულ მის კეშანს შორის. აქ ადამიანური, ისტორიული და პოეტური ამბეობა ერთმანეთში გადახლართული, და ეს სულაც არ გვაძლევს პოეტის ბიოგრაფიის „უარყოფის“ უფლებას.

უცნაურია, რომ პოეტის ბიოგრაფიით ეგზომ აღმფთვებელი კრიტიკოსი თავისი წიგნის მომღველი გვერდზე ადიარებს იმ საყოველთაო სიყვარულს, რაც „უმაღლესი სიყვარულს ვრწმობს“ მგოსანმა გრიგოლ ორბელიანმა მოპოვა საქართველოში. დრაკონის კანონთა დამკვიდრებით საყოველთაო სიყვარულს ადამიანი ვერ მოიპოვებდა, თუნდაც უციური ლექსები დაეწერა. აქ საქმე გვაქვს პირადად და პოეტურ პარამონულ მკლანობასთან, რასაც მხოლოდ ჩრდილს აყენებს დროის ხარკი. შექმნილა კეთარება, უშელო მოკვლობა, რაც პოეტ-სარდალს ეკისრებოდა.

¹ Artur Leist. „Das georgische Volk“, Dresden. 252.

² არტურ ლასტი, საქართველოს გული, 1963, გვ. 145.

¹ გრ. ორბელიანი, თხზ., სრ. კრებ. საბ. მწ., 1952. გვ. 60.

კტა ამაშივე მალა შეფასებას აძლევს ვრ. ორბელიანს, როგორც პოეტს, რომელმაც „პირველად შემოიტანა ჩვენს სალიბერალო პოეზიაში ბუნების აღწერა, ბუნების სურათთა განსხვავებები, ამ სურათთათვის სულის ჩადგმა... ახალი აზრი სიყვარულზე, მიაქცია ყურადღება ამ ვრძობის იდეალურ მხარეს... ქართული ერის დარდა და მწუხარება...“¹. მაგრამ კტა ამაშივე სასტიკია ორბელიანის პიროვნების მიმართ, და ამტკიცებს, რომ „ჩვენის ერის ძველს დაზავებულ და ნიადაგ ამშორებულ საზოგადოებას შეადგებელი შეიქმნა“.

აი, ეს ცალმხრივი დახასიათება საჭიროებს გადამხედვას.

გრიგოლს, დადების მწვერვალზე მყოფსაც კი, უსათუოდ ვერს უტრიალებდა „სამშინე ვეებისა, მწუხარებისა და უნეტემო მღვთაბრძოლისა“, „სიკლახავე და უმეღობა“², რაც მხოლოდ თავდაზნაურობას არ აწეო ტვირთად. იღონებ ესაი, ჩვენი გენერალი პოეტი უფრო ზოგადი, არისტოკრატიული, საერთო-საკაცობრიო ფაქტთა მწვერვალადან დასცქეროდა ამ ძნელდღობას და არ უცდია დაევიწყებინა მასთან. რომელთაც შეეძლოთ ამ უღლის დამსხვრევა. გრიგოლ ორბელიანი ამას ვერც მოელოდეთ.

გრიგოლ ორბელიანი საქმიან მონაწილეობას იღებს ყველა კულტურულ ღონისძიებაში, რაც მისი სამშობლოში ყოფნის დროს გატარებულა: ვეფხისტყაოსნის რედაქციაში, პოლიტიკურ-ნიკურა სკოლის დაარსების საქმეში, ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემოაბოში, ბანკის შექმნაში, ახალ ნაწარმოებთა შეფასებაში, გატაცებით კითხულობდა ილიას, აკაკის, ყაზბეგის ნაწარმოებს. გრიგოლ არქაისტია ენის საკითხში, შეხედულებებში, მაგრამ ხშირად კომპრომისზეც მიდის და მთლიანად არ უარყოფს ენობრივი სიახლის ტალღას, ლამაზ, ნაკადულისებრ მდინარე სამწერლო ენის მომხრეა და ასეთია მისი დარბაისლური ლექსიც.

პირველი ქართული მიბლიოთეკის დამაარსებელთა შორის დიმიტრი ყუფიანი, ბენეზეროვი, ასახილებს გრიგოლ ორბელიანსაც³.

გრიგოლ თავაყურს ადევნებს ყოველ კონფლიქტს ვერობასა თუ აზიაში და ომის მოყვარულ გენერლებისაგან განსხვავებით მუდამ ნატრობს. „ღმერთმა ინებოს, რომ არ მოხდეს ომიანობა!“

ჩვენ მხოლოდ ცალკეულ მომენტებს აღვნიშნავთ ომის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად

ძლიერი, მრავალფეროვანი, კეთილშობილი და თავისებური იყო ვრ. ორბელიანი. რედაქტორს პოეტი, მოქალაქე, მოღვაწე, საზოგადოებრივი მუშაური, პატრიოტი.

პრინცესა სალომე მიერატს, დავით დადიანის ასულს, გრიგოლისათვის ისე ესაიამოვნებინა ქართულ ენაზე დაწერილი წერილით, რომ ველახუცხეული პოეტი ქართული ენის და, საერთოდ, ენის ნამდვილ ამოთეოსს აძლევს საბასუხო წერაში. 1877 წლის 12 აგვისტოს: „მეტად მარტვემე შენს ქართულს ენათა, ჩემო მშვენიერო სალომე... ვანა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავლებისა ქართველთა ქალებისაგან?“

რაკი ყოველი ქართველი ქალისაგან მოითხოვდა ენისა და მწერლობის ცოდნას, რა დღე დადგებოდათ, მწერლებსა და რედაქტორებს, რომელნიც, გენერალ-პოეტის აზრით, ქართულ ენას ამახინებდნენ? არავინ რჩებოდა გაუკენწლავი. უწინ ენის სიწმინდეს მონასტრებში იცავდნენ. „ახლა რედაქციის მეთი ვინა დაგერჩა ენის მფარველად რომ — ესეც ასე დაუდევრელად, გულ-შეუტყობრად, ბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის ჰაზრით რედაქციას აწევს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩვენს მართლწერაზედაც და ენობრივად ენას ხმაარებზედა.“⁴

გრიგოლ ორბელიანის ფერადი ფანქრის წვერი მოხვედრიათ: ვიორგი წერეთლის, ნაყო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, ევატრიონე გაბაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, თეოი ილიას ნაწერებს. მაგრამ ყველაზე მეტად წერაილებს სერგი მესხისას, რომელიც მიანდა გავითლებლად და რედაქტორობის არა ღირსად. „უპს, რა უბედური ენა შეიქმნა საწყალი ქართული ენა — წაიწერა ერთაგან... ეს ცოდვე იყოს შენს კისერზე, მესხი“. სხვაგან კიდევ: „უბადრეყო მესხი, აქამდე ვერ ისწავლე ქართული და ვერც ისწავლი შენს სიციცხლეში“⁵. ცნობილი ლექსი კი, რომელიც მხოლოდ 1933 წლის „დროშის“ მეთე ნომერში გამოქვეყნდა, ასე იწყებოდა:

ვარ ისწავლა მესხმ წერა;
ვერა, ვერა!

მართალა, არც გრიგოლ ორბელიანი უცოდველი ენის საკითხში, მეტადრე პრობაში, წერილებში, რუსიციზმებით რომ აქვს გადატვირთული, მაგრამ მისი შენიშვნები თავის თანამედროვე მწერალთა ენობრივ კრიტიკებზე ნამდვილად სწორი და საგულღისებოა.

გრიგოლ ორბელიანი არა მარტო ნიკიერი პოეტი და ვინაერი სარდალი იყო, არამედ ჰკვიანი და გამოცდილი მმართველიც. თეი-

1. კ. ამაშივე, ეტრულები, 1911, 58-59.

2. 1881 წლის 16 ივნისის წერილი ლორის მელიქოვისადმი.

3. თ. ყუფიანი, მემუარები, გვ. 105.

4. „ციცხარი“, 1874, № 9-10.

5. „დროშა“, 1875, № 32.

თონ ზომ უტკბოდ და განუწყვლად ნაბიჯს არ გადადგამდა, მაგრამ მთავრობასაც ზნორად აფრთხილებდა, არც ერთ მხარეში მოუშვადებლად და შეუშინებლად ახალი კანონ-წყესები არ შეეტანათ: „ახალი რქელი და ძველის დარღვევა არ ვარგა ქვეყანაშიო“, — ურჩევდა უგუნრ მოხუცებს, რომელთაც თვითონვე ატყდებოდათ თავს ძალადობის შედეგები.

გრიგოლი აღშფოთებულია ამ მზრძანებელთა უგუნრობით, კაცების გამოყოფასაც კი ზედმეტად რომ თვლიდნენ და საქართველოს ჩრდილოეთის გუბერნიებს უთანაბრებდნენ.

„მინისტრების შეხედულება, კაცების თვისებებზედ რომ არ ცნობენ, უფიქრესი უხელოებებია აქეთრო მისაბუღობისათვის, რომლებიც რელიგიების, ენების, ჩვეულებების და ცნებების სხვადასხვაობით ხასიათდებიან... ახა, რა არის საერთო ბეტერბურგსა და ზანგეზურს შორის, არაქსის ნაპირას რომ შედგარეობ?“ — ასე სწერდა მიჩსკის 1865 წ. 26 მაისს.

არც ერთი დარგი არა რჩება უუფრადლებოდ გრიგოლს. პოეტი ვერ შერიგებია საქმის წარმოებას ადგილობრივი ხალხისათვის ვაუგებარ ნებაზე. „რას იტყოდა რუსი ხალხი მოსკოვში, რომ ინგლისური ენაზე ვაემართათ სასამართლოები?“ — ეკითხებოდა თავის შეგობარს მიჩსკის.

როცა თბილისში გენერალი კორსაკოვი ჩამოვიდა სამხედრო გიმნაზიის გასახსნელად, გრიგოლი ერთ კერძო წერაილში ამბობს, ეს კარგია, მაგრამ აქაურ მხარეს და მიუღს რუსის აქამდე უფრო პოლიტიკურად სკოლა ესაჭიროება, ვიდრე სამხედრო გიმნაზიებიაო.

გონებანათელი მწერლის ეს შორსმჭვრეტელობა თვალსაზრისი იმავე დროს მოწმობს იმასაც, რომ გრიგოლ ორბელიანი არ ყოფილა არც მხოლოდ სამხედრო მოღვაწე და არც არქაისტ, რომელიც მხოლოდ დაღუპული სამშობლოს ოდინდელ დიდებას მისტიროდა. მის აწუხებს ის, რომ სახალხო განათლების საქმე ზანტად მიდის, არა გვაქვს უნივერსიტეტი, ქვეყნის სიმდიდრე გამოუყენებელია, 70 წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა ისევ სახსნით ხნავე, ურემზე შორს ვერ წასულან (1875 წ. 4 მარტის წერილი მანანას ვეის, ივანე ორბელიანსადმი). საქართველოსაც შეჰქონდა წვლილი მხოფლიო ისტორიის ჩარხის ტრიალში, ისიც ებრძოდა შავ ბედს, ბარბაროსობას, მანაც უნდა მიიღოს თავისი წვლილი.

მაგრამ ვაიხსენოთ გრიგოლის უკუდავი სიტყვები თვით რუსეთზე. „დიდებულ იმპერიაზე“, მის ძლიერებაზე, მის „დიდ მომავალზე“, მისი პრაგრესის დიდ მესიტყვეზე, გერცყნზე... ჩვენი რომანტიკოსის თვალსაზრისი, გამოთქმული თუნდაც ღორის მელქოქეზე თავ-

დასხმის გამო, ჯეროვნად კიდევ არაა დაფასებული. აქ საქმე გვაქვს არა ფეოდალიზმის მოტრფილად რომანტიკოსთან, არამედ დიდ მოტრფილ მოამბრუნესთან, რომლის წიაღისა და აღლებული აზრის მომხიბლიობა დროთა მანძილზე კიდევ უფრო გაიზრდება.

გრ. ორბელიანმა ვაიხიარა მრავალი გამოჩენილი პოეტის ბედი. სიცოცხლეში ვერ მიიღო ჯეროვანი აღიარება, როგორც შემოქმედელი.

ბროკაუზის და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი იცნობს ინფანტერიის გენერალს თავად გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ არა პოეტ გრიგოლ ორბელიანს, სამაგიეროდ გამოჩენილ პოეტად თვლის ვახტანგ ორბელიანს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეაქვს სახეობის შემოქმედის და შტკას ჩვენი დიდი ლირიკოსის ხანგრძლივი ცხოვრების ამბავი.

ხალხს უკვარს რაღაც განსაკუთრებული, ამაღლებული, ის, რითაც ერთი ადამიანი ათასებისაგან გამოირჩევა, ასეთი გამოჩენული თვისებებით აღჭურვილი ადამიანია გ. ორბელიანიც, როგორც პოეტი, მოქალაქე ქალაქი და სარდალი.

იმ დროის გამოჩენილ ქართველ მწერალთა ცხოვრების სრული სურათის აღდგენა საერთოდ მწელია, რადგან არ იყო, ან თითქმის არ იყო ბეჭედი, რომ ეფრნალ-ვახუტეებში ან წიგნებში „გამოეხსრიკა“ ადამიანს მრავალი საყურადღებო ცნობა, დაიწყებას რომ მიეცა, არ არსებობდა მწერლობა, როგორც ცალკე „პროფესია“ მოწოდება, სულიერი და მატერიალური საარსებო წყარო.

მათ უფრო ძვირფასია ცალკეულ მოღვაწეთა, პირველ რიგში, იონა მუხნარგას გულისხმობება, რამაც შემოგვიჩვენა ან აღადგინა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი აღქსანდრე შავიკეაძის, ნეყოლბე ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ცხოვრებიდან.

გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის საქმე შედარებით უკეთ არის. საუკუნის ამ ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების შესახებ პირდაპირ ზღვა მასალა გახსნული მის პირად წერილებში, მამინდელ აქტებში, გამოცემებში, კერძო თუ ოფიციალურ მიმოწერებში. მაგრამ ხალხს სურს იცოდეს მეტი, სურს იცოდეს ყველაფერი — თავის საყვარელ შეილებზე. ჩვენც მოვალე ვართ აღვადგინოთ ყველაფერი, რისი აღდგენაც შეიძლება, და ბოლოს და ბოლოს სრული წარმოდგენა შევქმნათ ჩვენი კულტურული წარსულის ამ ერთ-ერთი ბუნებარზის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარეზე.

გრიგოლ ორბელიანი თავისდა შეუმჩნე-

ლად ადგენდა თავის ავტობიოგრაფიას — თავისი წერილებით და სხვათა შორის — ათასობით დამწერლობით ლექსებით.

გრ. ორბელიანი თავის თხზულებებს ჩვეულებრივ ფრაგმენტებად წერდა. დროის, შინაგონების, ლირიული მომენტებისა და გარემოების მიხედვით ჩაწერდა ლექსის ან პოემის ნაწილს, სტროფებს, სტრიქონებს, და მეტრ შეკრებებში, შეკრავდა ზოლებს. ასე, მრავალი წლის შემდეგ შეიკრა საბოლოოდ „ტოლუმბაშის“ ნაწილები და ათეული წლები გაუდიდებდნენ ის დასრულებულ პოემად, „სადღებრძელი“ იქცეოდა. ასევე დაწერილა „პე, იმე-რია“, „აღსარება“... და მრავალი სხვა.

პოეტის პირველმა ბიოგრაფმა და ქართული მწერლების პლუტარქმა იონა მფუნაგამამ თავისი შინაარსიანი ლექციებით გ. ორბელიანზე დაინტერესა საზოგადოება, უფრო ღრმად ჩააფიქრა და ათქმევინა მართლაც, დიდი ბუნებისა და სიბრძნის ადამიანი ყოფილა! ზოგადადის მოთვარი დამსახურება მარცხისა, რომ პირადი დავიერების გარდა პოეტის ცხოვრების ამბავი გაამდიდრა მისივე მდიდარი წერილების გამოტანთა და ანალიზით, ამ წერილებში კი სწორედ ზღვა მასალა გრიგოლ ორბელიანის ბუნების, აზრისა და გრძნობის შესწავლისათვის.

გრ. ორბელიანი გულწრფელია თავის ლექსებში, დღიურებში, აღწერებში, პირად წერილებში — საერთოდ, გრ. ორბელიანი გულწრფელია და მეტად ამავ. ეს მეტ ფასს აძლევს მის ლექსებსაც, წერილებსაც და დღიურებსაც, როგორც ბიოგრაფიულ დოკუმენტებს. ის არ ეკუთვნის იმ მწერლების რიცხვს, რომლებიც ცდილობენ შეიშინონ, შეილამაზონ თავიანთი ბიოგრაფია.

ამ წერილებში ყოველდღიური, პირადული, უწინმეტრო წერილმანებიც უხვად და დაღმარებრივად, მახვილგონიერული სტრიქონებიც. პირველი მოწმობს, რომ წერილებს გამოსაქვეყნებლად არ წერდა და არ აღამაზებდა, მეორე კი იმაზე მიუთითებს, რომ იყო დიდი აზრისა და გაქანების შემოქმედი, რომლის უბრალო პირადი წერილიც კი საგულისხმო აზრთა საგანძურია.

როგორც ჩვენი ლიტერატურის მკვლევარებმა შენიშნეს, „არავის ჩვენი იმდენი წერილი არ უწერია, რამდენიც გრიგოლ ორბელიანს“, და ესაა ერთგვარი მატანიე, „უაღრესად საქმიანი, მრავალი ფაქტითა და ამბით დატვირთული, ზშირად საგანთო ქრონიკებითა და წერილმანი ცნობებით აღსავსე, მაგრამ ყოველთვის ეპოქის დამახასიათებელი, თვით პოეტის მდიდარი და ხანგრძლივი ცხოვრების დამსურათბატებელი, სულეტი საყაროს ღელ-

ვისა და განცდების ლამაზ ფერებში გადაშორებული“! პროფ. ა. ვაწერელიანი *რქმნობა* წერილები ცხოვრების დოკუმენტები *სტრიქონები* ფასი წყაროა პოეტის ბიოგრაფიისათვის, შემუშავების მავიერი, სანდო, კოცხალი და ამოუწერავი“.

ამ წერილებში საყვარლებოა არა მარტო პოეტის პირადი განცდების ისტორია ან მანინდელი ისტორიული მოვლენების ფართო სურათი, არამედ ის ბრძოლაც, რასაც პოეტი უწევდა მშობლიური ენისა და კულტურის სასარგებლოდ. პოეტის ეპისტოლარული შემოქმედრობა მეფის მოხელეებთან თუ სხვა არაკეთილშემრევლებთან შეტაკებების ისტორიაა. ქართული ენისათვის ბრძოლის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ წერილები სალომე მიუტატთან, ლევან მელიქიშვილთან, იაკინთე ალექსი-მესხიშვილთან და სხვ.

გრიგოლი არ ურადებოდა საჭირო შემთხვევაში მეფისთან „შეიღო იყლისის მპყრობელი“ ხელშეიღვან მძისა და ნაცულისათვის — მიხეილისათვის, რომ დაეცვა ჩვენი ეროვნული ღირსებები, რომ არ დაეჩაგრათ „სიტყვა ქართული რუსთაველისა“.

ბიოგრაფის ძირითადი წყარო დოკუმენტურია მასალები. ცხადია, ანგარიშს უწევთ და ნაწილობრივ ეიმოწმებთ ჩვენი მწერლებისა და მკვლევარების შრომებს, მაგრამ უფრო იმდენად, რამდენადაც იგივე დოკუმენტური მასალა საკუთარ აზრთა ასპექტში აქვთ გადატებული. საისტორიო ანალები სათანადო სისტემაში მოყვანისა და გარკვეული მსოფლგვების ვარემ მხოლოდ საშენი მასალა და ამას გრძნობს ყოველი ბიოგრაფი, ყოველი ისტორიკოსი.

ამ წიგნით მკითხველს გვიდა მივაწოდოთ ფართო და ყოველმხრივი სურათი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა, მეტადვე მისი სამხედრო მოღვაწეობისა, რასაც დღემდე დამწერილ მონოგრაფიებში შედარებით მოკლედ ვხედავდნენ. სამავიეროდ, ავტორი შედარებით მოკლედ შეეხება პოეტის შემოქმედებას, რაც ასე ყოველმხრივ აქვთ განხილული ჩვენს მკვლევარებს — მიხ. ზანდუკელს, ა. ვაწერელიას, შ. რადაიანს, ა. მხარამესს, ჟ. ტუმბურიძეს და სხვებს.

როგორც გრ. ორბელიანის შემოქმედების შესანიშნავმა მკვლევარმა და მკოდნემ ა. ვაწერელიამ აღნიშნა, „კაცკასიური ომზე არსებულ ლიტერატურაში ვხვდებთ ბევრი საყვარადლებული ცნობა, რომელთა შესახებ გრ. ორბელიანის კერძო წერილებში არაფერია თქმუ-

1 ს. ცაიშვილი, მისი პუბლიკაციით ზუგდიდის მუზეუმის შრომებში დაბეჭდილი წერილების შესავალი წერილიდან (იხ. ხსენებული „შრომები“, გვ. 207).

ლი". ბიოგრაფიული რომანის ავტორს დასჭირდა ამ ლიტერატურის საფუძვლიანი გაყნობა-შესწავლა, მისი ანალიზი და მოპოვებული მასალის შეპირისპირების საფუძველზე იმის აღდგენა, რაც „წერილებში“ გამოტოვებულია ან გაკერითაა ნახსენები. ფონი — ქვეყანის დიდებული შთები და ამ შთებში დატრიალებული დიდი ბრძოლებია.

ჩვენ აღწერთ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებას და არა მარტო მის პოეტურ თავგადასავალს, თუმცა ეს ნაწილობრივ ერთი და იგივეა. აღწერთ პოეტის, სამხედრო მოღვაწის,

სამოქალაქო მოხელის ცხოვრების ამბავს, ამიტომ, ბუნებრივია, ზედმეტად დეტალურად გადატვირთვულ ვერ ჩავთვლით მისი სამხედრო კარიერის დამწერლობით გადმოცემას.

ჩვენი მიზანია მივცეთ შეთხვევას ბუმბერაზ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების სრულ, შეუფერავი, თანმიმდევრული სურათი, თანაც ისე, რომ ეს არ იყოს ფაქტების მშრალი აღნუსხვა, არამედ შეძლებისამებრ მათი გააზრება, ანალიზი, განზოგადება და მხატვრული სიტყვის მოშველიებით იმისი აღდგენა, რაც დოკუმენტებში არ მოხვედრილა.

ბონანიებული შეთხვეული

ზავზოვობა, უკვოვობა, ახალზავზოვობა

დაუჩერებელი ჩანს, მაგრამ ორბელიანთა წინაპრები ბარათაშვილები არიან. დიდილია ძმებავით მოდის ეს ორი ძლიერი გვარი საუკუნეების ქარცეცხლში, ბერკებად უღვანან ქართული ელტურისა და სახელმწიფოებრივი ძლიერების სიმაგრეს, ხმლითა და კაპოთი ასახელებენ აქედმოუხრელ ივერას¹.

გრიგოლი თავმოწონედ უწოდებს თავს „ყოფიანიშვილს“ და არც თუ უსაფუძვლოდ: სახელოვან სულხან-საბა ორბელიანის პაპა, ყაფლან ორბელიშვილი მეთექვსმეტე საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალია, ორბელ ბრათაშვილის შთამომავალი.

პოეტის გარდაცვალებას გამო კავშით მოცული „ვიწმე შესი“ „დროებში“ წერს, რომ გრიგოლ ორბელიანის წინაპრები საქართველოში 2500 წლის წინათ სკვითებთან ერთად შემოსულან... მათი მეფის შთამომავალი ქამბაკური, თავისი სახლობით დაახლოვება ქართველთა მეფეს, ამ უკანასკნელს სადგომად გამბაკურისათვის ორბეთი მოუცია, აქედანვე მიიღესო სახელწოდება ორბელიანი, ამ დროიდანვე დაიწყო მათი აღზევება ქართველ მეფეთა კარზე: განუწყვეტლივ ყოფილან ორბელიანნი კარისაკებად, ეზოს მოძღვრებად, სარდლებად, და ყველაფერში დიდი ნიჭი გამოუჩინიათ.

ორბელიანთა გვარის სახელოვან შვილთაგან პირველ რიგში იხსენიებენ ლიპარიტ ორბელიანს, რომელს სარდალს, რომელიც 1047 წ. მეფე გიორგის სომეხ-ბერძენთა დასახმარებლად გაუგზავნია. პირველი გამარჯვების შემდეგ ლიპარიტისათვის უღალატნიათ და შეუპოვარ ბრძოლაში ძლიერი სპარსელებს ტყვედ წაუყვანიათ. ლიპარიტს სპარსეთში ორი წელი დაუყვია და მერე საქართველოში დაბრუნებულა.

გრიგოლს თანამედროვენი იმ განთქმულ ლიპარიტს აღარებდნენ.

ჩვენს სასიკადადლო პოეტს თავისი დიდი წინაპარი იდეალად ესახება. შვილი რომ ჰყოლიდა, აღბათ, ლიპარიტს შეაჩქმევდა, მაგრამ რაკი არ ჰყვდა, თავის ძაპა, ზაქარიას, ემუდარებოდა, თუ ვაჟი გეყოლა, ლიპარიტი უწოდებო. არც ძმამ შეუხრტლა თხოვნა: შვილს სახდრიყო დაარქვა და პოეტის სურვილს ფრთები შეაფეცა.

პოეტის პაპა, ქიზივის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, მისი დიდდის, ელენე ბატონიშვილის მეორე ქმარი გახლდათ. ელენე პირველად ერეკლე მეფეს იმერეთის მეფე სოლომონ დიდის ძმისთვის, არჩილისთვის მიუთხოვებია, დაქორციელებული კი მეორედ მეფეს ზაქარიაზე გაუთხოვებია. ზაქარია შეუღოვარი ვაჟაკი ყოფილა, შემთხვევით არ უწოდებიათ მისთვის ლეკებს „მიწის მგელი“. სადაც იღვია მახვილმა მისმა, მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლადი — ამბობს სახელოვან პაპაზე პოეტი „სადღერატელოში“. აღა-მაჰმადანის შემოსევის დროს ზაქარიას 600 კაცი მოუშველებია მეფისათვის.

ელენესათვის მეორე ქორწინებაც უიღბლო გამომდგარა. ზორეშანი შექმნილა და თვითონ კი მალე გარდაეცლილა. ობოლი შვილიშვილი ერეკლე მეფეს სასახლეში მიუყვანია და ცამეტი წლისა ერთგული ზურაბისათვის მიუთხოვებია. ეს ქორწინება ბედნიერა გამოდგა.

პოეტის მამა ზურაბი, იგივე დიმიტრი, ერეკლე მეფის კარზე ძალიან დაახლოებული პირი ყოფილა. ზეიადსა და ენამახვილ ფეოდალს მერე რუსეთის საშახტრშიც გამოუჩინია სიჭველე და ვაჟაკობა. თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ იგი ტყვედაც ჩაიყარდნია ირანის გულქვა მმართველ აბას მირზას... შემდეგი მისი ცხოვრება უფრო ბერე-

სითა მოკლე. ზაქარია ჭიჭინაძე გვიმოწმებს, იმის დაწერილი ლექსები მეც მინახავს.¹

ხოვრემანი ძალიან ნაზი, მზრუნველი, ჭკვიანი, სათნო დედა ყოფილა. პოეტის ბიოგრაფი აზრობს, რომ გრაგოლის პატრიისციემა შრომლებისადმი აღმატებულად შეიღობებოდა სიყვარულს.

გრიგოლის ძეგლები, ზაქარია და ილია ცნობილი არიან რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებულ ომებში გამოჩენილი გმირობით, ხოლო მისი უსაკვარლესი და — „ღუფშია იმითა ცნობილი, რომ ქართული პოეზიის დიდებულნი— ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა შეიქმნა.

გრიგოლ, ზაქარია და ილია თავისთავად შესანიშნავი ადამიანები იყვნენ, მამაცი, განათლებულნი, კეთილშობილნი და დიდსულოვანი.

ლოტონი სიტყვა არ არის იონა მუენარჯიას გინცხადება: „იშეიათს ქართველ ქალს გუბრდია ამდენი წარჩინებული ქართველებით“.

მოხვეულ პოეტს დედამ ჩაუნერგა „ერთგულება მამულსა, განუზომელი პატრიისციემა მშობელთა და ნათესავთა... გზა სიყვითისა ასწავლა მას და სულ ალექსო მარადამ გამოუღვეული სიყვარულთა და სათნოებით“.²

ი. გრიშაშვილის მიერ აღმოჩენილი და ს. ცაიშვილის მიერ ხელმოკრულ მიგნებულ და მითითებულ დოკუმენტების პუბლიკაციის შემდეგ უდავოდ დადგენილი ჭეშმარიტებულ უნდა ჩაითვალოს, რომ გრიგოლ ორბელიანი დაბადებულია 1804 წლის 2 ოქტომბერს.

ოსმალ-სპარსეთთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლისაგან დაკლიძმა, ლეკების თარეშით დაქანცულმა საქართველომ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ერთმორწმუნე რუსეთს. მხოხულებულმა და ილაგაწყვეტილმა ერეკლემ ქართლის ბედი ერთმორწმუნე რუსეთს ჩააბარა.

1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა ბენდი მოაწერა რუსეთთან საქართველოს „საუკუნოდ და სამარადისოდ შეერთების“ ტრაქტატს. 1802 წლის 7 მაისს პირველი მეფინაცვალი კნორინგი საქმით შეუდგა იმ რევიმის დამკვიდრებას, რასაც რუსეთის იმპერია თანდათანობითა და დატინებით ამტკიცებდა თავის ქვეშევრდომთა შორის.

ხალხის ცხოვრება ამ რევიმს არ შეუძლებულა. თუ ვახტანგის კანონით გლეხისა სულის გარდა ყველაფერი ბატონს ეკუთვნოდა, ახლა სულად მოხელეებმა და მებატონეებმა მისაკუთრეს, და მშრომელი, შემოქმედი, მებრძო-

ლი ხალხი ორმაგი ჩაგვრის უღელმკავე უღრმო მობარა.

ნინად წამოგოვქე მე და პროსნაეს დაქუნ-
თულ მარჯვენაზე ზელი მოვლქივე.

განრახებებისაგ იგი მუდამ ერთი სიტყვით გა-
მობატავდა ზიზსა და სიძელეილს: „შეაბი!“
საზარელ გინებად და წყველა-კრულვად გაის-
მოდა მის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვა. „აღა-

რაფერი შეგვარჩინეს შეაბეგმა, ახლა ქალიშვილებს იტაცებენ და გერმანიაში მიჰყავთ შესარცხვენად!

ადგილობრივი ფოლკსდოქტორები, ადგილობრივი „შეაბეგები“ ეზიზღებოდათ განსაკუთრებით; ეს შეგვაღსკვები და სლოვენსკები, რომლებიც „ზინგერებად“ და „ნახტლიგალეზად“ გადნათლულიყვნენ, — ეს ევროპები, შინკები და უტოხები, რომელთაც უფან საბრუნებელი ყველა გზა გადაეპრათ და მეზობლებსა და მოყვრებსაც აღარ ინდობდნენ. წაგლეჯასა და დაწინაურებაში ერთმანეთს ეკობრებოდნენ.

6

ფანჯარა ღია იყო და ოთახში უხეი შუქი იდგა. მე თეთრ, დანამულ მაგიდისთან ვიჯექი; წერა მოვათავე და „ზრდილობის წიგნს“ ვფურცლავდი. მზე თხელ ღრებლებში ღვლიდებოდა. კარგ გუნებაზე დავდექი. მიზეზი ვერ ვამეგო. დიდი გამარჯვებაც ვერ ვგაგახარებს ისე, როგორც ზოგჯერ სულ მცირე ან ჩადაც ვაურთვეველი მიზეზი. მარტოობა მწყურროდა, მაგრამ ოთახში ავტოვიზებული გოტლიბ ბილშაიფერი შემოვიარდა და გადამხეხია: „იცი, რა ვნახე?! იცი, რა გოგო ვაიციანი?! მწუ... თითებს ჩაატყერი! ახალდაჩრიხელია, პაპ, პაპ, რა ყელის წანაკოლოზინებულა! აქ იპალემა, ვენაცუალე, აქ, ჩვენ ახლოს, მერვე ბარაკში! აი, გოგოს.. ჩემი აღმოჩენილია, კაციშვილია არ იცის ჭერ! დღეს შემოხვევით მოვყარი თვალის...“

„ისეთი მზეთუნახავი ვინ უნდა იყოს ამ ბანაკში!“ — ცალკეაღ წავილაპარაკე მე.

„მე! არ სჯერა! როგორც ბოში ცხენის გამოცნობაში არ შეცდებმა, ისე მე ქალში არ მოეცუდებდი! ისეთი ცოლი მყავდა, რომ ტფფლის ქუსლებზე აყოცებოდა, მაგრამ ამასთან მაინც მიქარავს!“

„საიმედო საქმეა?“

„შინ მივეცოცდი უკვე, ანკება შეეუფესო-ორკერ ჩაუეპაქუნე თვალი. გაწიოლდა და თავი ჩაღწია!“

„ნაღდი ყოფილი!“

„აბა! გოგო მომეწონოს და ხელიდან გაუშვებ?!“

„მართლა თუ ასე კარგია, დანიშნული იქნება!“

„ძიან კომიუტრი კაცი ხარ! დანიშნული იყოს

თუ გინდა, ჩემს თვალებს საიდ გაუტყვევა!.. მონუსხული მყავს საბოლოოდ!“

უცებ ჩაფიქრდა: „რაინსდტანგენჩემი მონუსხოსნოს?!“

„რა პეია?“ — ეკითხე მე.

„ემმა ისლერი მწუ! ჩვილმეტი წლის არის.. რომ მოვყვედი, აღარ მოვეშვებდი! ამ ზამთარს შევირთავ, ერთ ლახათიან შეურნობასაც ვავიკრავ და გიყვარდეს პირის გემო! პატივცემული მოხეცი კვი თვალთ მიყურებს, ბატონი ვენდტი ღირსეულად მაფასებს, სხვა რაღა მინდა! აცი შენ, ვინ არის ვენდტი? „ეს-დე!“ — მოწიწებით დამარცვლა ბილშაიფერმა. — ფიურერს უთქვამს ზერს რაინსმარშალ გერინგისთვის, ასეთი დაწინებულება უნდა შეეკმნათ, რომლისაც მე და შენ უნდა გეშინოდესო! პოდა, ეს გახლავს „ეს-დე!“

გოტლიბი თავბრუდამხვეული იყო ემა ისლერის სიყვარულით და აღტაცებული ლაპარაკით მთელი დამე არ მოგვესვენა. ვებერი ბუზღუნებდა, ეგვეწიბოდა, დაგვაძინეო, მაგრამ რაფერი ვაუვიდა. ბოლოს, გაიცეხლებული წამოხტა, კარ-ფანჯარა დააღია და ოთახში ორკოლი ქარი დაატრიალა.

„ახლავე დაკბე!“ — უბრძანა ბილშაიფერმა.

„არა!“ — ვაჩუქტა კარლი. — „ენტელ-ვენციამ საქმე გააქირვა, ოთახი უნდა გავანიავო!“

„ჩორტეა! შენ თეთონ ყარხარ, შე გორსალა!“

„არა, ენტელვენციის ბრალია!“

„დაკბე!“

დაეტყენენ ერთმანეთს და შეიქნა ბურხლი.

„შენ რა, იქ ხომ არ ვგონია შენი თავი! — გაყვიროდა ნიფხა-პერანგისამარა ბილშაიფერი. — პატივცემული მოხეცი და ბატონი ვენდტი კანცელარიაში წამდაუწუმ კი აღარ იდებენ კარებს. მოკბე!“

არგუმენტმა გასჭრა. ვებერმა საჩქაროდ დახტა კარ-ფანჯარა და ხმა აღარ ამოუღია. ემა ისლერის ეშხით ავზნებულ ბილშაიფერს კი გათენებამდე არ ჩაეძინა; გასაოცარ ამბებს იგონებდა: მიუწოდომელი ოცენება, ფანტასტიკური რაგვადანაგელები აგიგებდა. კინაღამ გადაიჩია, როცა მხარის ასამხელად ეუთხარი, კეკასიელები ბასრი ხანჯლით იპარსავენ წყერს, — სამართებელი რა ვაეკაცის საქმეა-მთქო. აეტებულე წამოვარდა ლოგინიდან, დაავლო ხელი ბლავე სამზარეულო დანას და კარლს ცხვირთან დაუტრიალა, „ვაგაკურად უნდა გაგპარსოო!“

ა. ჯიჯიშვილი

ოქტომბრის რევოლუციის და ბრძოლა საბჭოთა
ხელისუფლებისათვის საქართველოში

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მხურვალედ მიესალმნენ საქართველოს მშრომლები, კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა მასები. მათ საბჭოთა რუსეთის მთავრობას აღუთქვეს დახმარება კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მავალითად, თბილისის არსენალის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა კრების რეზოლუციაში ნათქვამია: „საბჭოების სრულად რუსეთის ყრილობას მიერ პეტროგრადში შექმნილი მთავრობა არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა, რომლის დასაცავად ჩვენ რაინდ კედელით აღვამართებთ და თავდადებით ვიბრძობებთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველა ძალს... წინააღმდეგ!“¹ ასეთივე მისალმებანი გაგზავნეს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, სამარწველო საწარმოების კოლექტივებმა.

დღი ოქტომბრის გავლენით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ძლიერდებოდა მუშათა პოლიტიკური გაფიცვები, სოფლად აგრარული მოძრაობა. შეძლებულმა კლასებმა და მათი ინტერესების დამცველმა ბურჟუაზულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა 1917 წლის 12-14 ნოემბერს თბილისში შექმნეს კოალიციური სამხარეო ხელისუფლება (ამიერკავკასიის კომსარიატი), რომელმაც ამიერკავკასია მოსწვევითა საბჭოთა რუსეთს და გადააქცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას პლაკდარმად, უცხოელი იმპერიალისტების სათაბუგო აიყენა.

ამიერკავკასიის ნაციონალისტურ პარტიებს შორის უთანხმოება ვაჟწყვედა. 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა, საქართველოში შეიქმნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა, რომელმაც თურქეთთან მოლაპარაკებას პარალელურად საქართველოში მოიწვია გერმანელი იმპერიალისტები.

ვ. ი. ლენინმა ზუსტად განსაზღვრა რას წარ-

მოადგენდა საქართველოს „დამოუკიდებლობა“. იგი წერდა: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა უოცლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრულად დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანელი ხიშტებას კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.“¹

საქართველოში დაიწყო გერმანელი და თურქი ოკუპანტების პარაზი. ისინი აქ ისე მოქმედებდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყნებში, ანუ ხაგებდნენ სახალხო მებრუნობას, იტაცებდნენ წიაღისეულ სიმდიდრეს, ძარცვავდნენ მოსახლეობას.

საქართველოს პოლიტიკურა და ეკონომიური მდგომარეობა უფრო გაუარესდა. რუსეთთან ეკონომიური კავშირის გაწყვეტამ ძალიან შეამცირა ვასალების ბაზარი, რაც მალე დაეტყო საქართველოს სახალხო მებრუნობას და გამოიწვია მისი დაცემა. გაღრმავდა ფინანსურ-ეკონომიური კრიზისი, განვითარდა სპეკულაცია, უფრო გაუარესდა მშრომელთა მდგომარეობა. ამ ნიადაგზე კიდევ უფრო გაიზარდა მუშათა და გლეხთა უკმაყოფილება. საქართველოში დაიწყო მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა. მის სათავეში ჩაედგა პროფკავშირული არალეგალური მუშათა ცენტრი, რომელიც თბილისში შეიქმნა და რსდმპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ხელმძღვანელობით მოქმედებდა. არალეგალურ მუშათა ცენტრში შედიოდა საქართველოს მსხვილი კავშირების წარმომადგენლები. თანდათანობით იზრდებოდა არალეგალური ცენტრის გავლენა მუშათა ფართო მასებზე. მიმდინარეობდა საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების ბოლშევიზაცია, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა პროფესიული კავშირების ბრძოლისუნარიანობა და დარაზმულობა. არალეგალური მუშათა ცენტრის მოღვაწეობის შე-

¹ ვახ. «Кавказский рабочий», 1917, № 184.

¹ ვ. ი. ლენინი, თბ., ტ. 28, გვ. 7-8.

დედად პროფესორთა საბჭოში 37 წევრიდან აღმოჩნდა 16 ბოლშევიკი.¹

პროფესორული არალეგალური მუშათა ცენტრი სათავეში ზედუდა საქართველოს მუშათა მასების საფეთეყო ბრძოლას. მარტო თბილისში 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომის აღინიშნა 1600 კონფლიქტი მეშებსა და მეწარმეებს შორის, ხოლო ქუთაისში — 684 კონფლიქტი.² გაფიცუნენ ამერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, თბილისის ქილაქის გამგეობის, ტელეფონის ქსელისა და ტრამვაის სადგურის მუშა-მოსამსახურეები, ელექტრიკოსები, ფოთის ნავსადგურის მუშები, კახეთის რკინიგზისა და სამტრედიის თვითმმართველობის თანამშრომლები. განაყოფიერებთ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტყიბულის მუშათა გაფიცვას, რომელიც 2000-მდე კაცი მონაწილეობდა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ტყიბულის ბოლშევიკური ორგანიზაცია. მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება, უფასოდ სწავლება, პროფუქტების დაბალ ფასებში მიწოდება, კოლექტიური ხელშეკრულების დადება, მუშათა დეპუტატების საბჭოებში მათთვის მალაროების გადაცემა. გაფიცვა ორ კვირას ვრძელდებოდა და ძირითადად მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.³

მეწვევიებასა და უცხოეთს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩება ქართველ გლეხთა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხთა აჯანყებანი დაიწყო მანგლისის, თბილისის, საჩხერას, ახალქალაქის, ვაგრის, ზაღდადისა და საქართველოს სხვა რაიონებში.

გლეხთა აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, სადაც აჯანყებულთა რიცხვა 11 თასამდე აღწევდა. 28 ივნისს აჯანყებულთა რაზმებმა დაიკავეს ქ. ზუგდიდი და სასტიკად დაამარცხეს მენშევიკური ჯარის ნაწილები. მეწვევიებმა ვაგზავენს დამატებითი ძალები. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო გერმანულ რაზმებშიც. უთანაწრობა ბრძოლის შემდეგ აჯანყება დამარცხდა. მისი ერთ-ერთი რაზმი, ა. გვეჯეკორის მეთაურობით კვკაეში გადავიდა.

დუშეთის გლეხობის აჯანყებანს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მენშევიკებისა და უცხოეთს ოკუპანტების წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორიაში. 17 ივნისს დუშეთში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. მენშევიკების რაზმებმა სასტიკი მარცხი განი-

ცადეს. 25 ივნისს მაზრაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, დაიწყო მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებების განხორციელება. მენშევიკებულთა დასახმარებლად მოვიდნენ მახლობელი რაიონების გლეხთა რაზმები. გლეხთა მოძრაობამ მენშევიკებისათვის მეტად საშიში ხასიათი მიიღო.

მენშევიკებმა თავი მოუყარეს კონტარევალიციის ძალებს და ვერმანელი ოკუპანტების დახმარებით შეძლეს დუშეთის აჯანყებულ გლეხობის დამარცხება. დაიწყო სახსლიანი ანგარიშსწორება, აჯანყების 200-ზე მეტი მონაწილე პასუხისგებაში მისცეს, ბევრი მოთვანი იქვე დახვრიტეს.

მარცხით დამთავრდა აგრეთვე გლეხთა გამოსვლები საქართველოს სხვა რაიონებშიც. მაგრამ მენშევიკების „გამარცხება“ არ იყო მტკიცე. საქართველოს მშრომლები კომუნისტების ხელმძღვანელობით ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ.

1918 წლის ნოემბერში საერთაშორისო ვითარება შევეთრა შეიცვალა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიამ დამარცხება განიცადა, რასაც მოჰყვა ეივლემლის მთავრობის დაშობა. ახალმა ხელისუფლებამ თავისი საზღვრო ნაწილები საქართველოდან სამშობლოში გაიწვია. ომში დამარცხება განიცადა აგრეთვე თურქეთში, რომელსაც ინგლისთან დადებულა ზავის საფუძველზე უნდა გაეთავისუფლებანი ამიერკავკასიაში დაყავებული ტერიტორია.

საბჭოთა მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის სახაეო ხელშეკრულება გაუქმებულა გამოაცხადა. მენშევიკებს კვლავ მიეცათ საშუალება გაეთვალისწინებინათ მიღებული მშაბე გაკეთილები და საბჭოთა რუსეთს დაეკრიბებოდნენ. მაგრამ მენშევიკებმა ეს არ გააკეთეს. ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები მოიწვიეს და მათ მიანდეს საქართველოს „დემოკრატიული“ ტესპუბლიკის დაცვა. საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ იგი უნდა ევრდნობოდეს რომელმე ძლიერა სახელმწიფოს ორგანიზმს, — ამბობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ინგლისის საგანგებო კომისართან საუბარში 1919 წლის 4 სექტემბერს. — ამ შეგნებამ გვეკარნახა გარკვეული ორენტიტაცია ინგლისისადმი. უნდა ითქვას, რომ ამ საქათხზე „მთავრობაში არ ყოფილა არავითარი უთანხმოება.“⁴

1918 წლის 22 დეკემბერს საქართველოში შემოვიდნენ ანტანტის იმპერიალისტების ჯარის ნაწილები, მათ ამოკანებ შეადგენდა საბ-

¹ გ. ტურუა, საქართველოში პროფესიული მოძრაობის ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1937, გვ. 31.

² საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1957, გვ. 427.

³ უტრ. „რევოლუციის მატანი“, 1931, №1, გვ. 142-145.

⁴ „მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში“, მასალები და დოკუმენტები, თბ., 1931, გვ. 82-83.

ქოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, დენიკინისა და თეთრგვარდიელთა ხრთვის სხვა მეთაურებისათვის ხელის შეწყობა, ამიერკავკასიაში ბურჟუაზიისა და მემარულეების ბატონობის განმტკიცება, წინადაცხადი სიმდიდრის უცხოეთში გატანა, საქართველოში არსებითად დამყარდა კოლონიური რეჟიმი, საქართველო საშუალო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ბაზა გახდა.

ოკუპანტების გეგმებში ქალაქ ბათუმს, მთავარი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმის პირველბარისსოფანა ნავსადგურით ოკუპანტები ფიქრობდნენ თეთრგვარდიელთათვის საჭირო იარაღის შემოტანას და კავსიის წინადაცხადი სიმდიდრის გატანას ევროპაში. ქალაქში განლაგდა საოკუპაციო ყარანა ნაწილები, რომელიც 15 ათასი კაცისაგან შედგებოდა. ბათუმში შეიქმნა სამხედრო საგებერნატორო და ბათუმის ოლქის სამმართველო საბჭო, რომელიც დაადგა შავრახმელ პოლიციას.

ბოლშევიკური ორგანიზაცია კანონგარეშე გამოცხადდა. აიკრძალა ბოლშევიკურად განწყობილი პროფესიული კავშირები, მუშათა მასობრივი კრების მოწყობა. ოკუპანტებმა ხელში ჩაიგდეს ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა და შექმნეს თავიანთი სამხედრო-პოლიციურა აპარატი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავეს თეთრგვარდიელმა ოფიცრებმა. აჩვენეს ქალაქი დენიკინელთა ხელშია. — წერდა ვაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, — ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში. მთელი მილიონი და სამაპირი რაზმები დენიკინელთაგან შესდებენა.¹

მემშვეყებისა და უცხოელი ოკუპანტების თანხმის მიუხედავად საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1919 წლის თებერვალ-მარტისათვის საგრძობლად გაიზარდნენ და ვანსტკაცდნენ. გაძლიერდა მათი გავლენა მეჭობა და ვანსტკაცობაზე, ჭარისკაცებისა და „სახალხო გვარდიის“ ნაწილებზე. პროფესიონალითა გამყვობაში უმთავრესად ბოლშევიკები გავიდნენ. მათი ხელმძღვანელობით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში გაფართოვდა საგაფიცო მოძრაობა, რომელმაც მთელ რიგ შემთხვევაში მწვევ სოციალური კონფლიქტის სახე მიიღო.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას, რომელიც 1919 წლის 24 მარტს დაიწყო. ამ დროს ქალაქის მეტრნობა დაცემასა და ნგრევას განიცდიდა. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი მცირდებოდა, ხოლო ის, ვინც მუშაობდა, თვებით ვერ იღებდა ხელფასს,

რაც ფულის კურსის კატასტროფული დაცემის გამო სავსებით აუტანელ ხელფას მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას.

23 მარტს შედგა ქალაქის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 1200-ზე მეტი კაცი, კრებას თავმჯდომარეობდა ბოლშევიკი ნუცუბიძე. კრებამ უმთავრესი გამოწვევა ბოლშევიკებმა წაბოლოვებეს, რომ მშრომელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ არსებული წყობილების შეცვლით. მათ განაცხადეს, რომ ერთადერთი სწორი გზა — ეს არის გადამწყვეტ კლასობრივ ბრძოლზე გადასვლა. კრებამ აირჩია საგაფიცო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი კახიკი, მდივად — ბოლშევიკი ხვალასია. საგაფიცო კომიტეტმა მთლიანად დააყვედრილა 24 მარტის დღის 9 საათიდან გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ამის საპასუხოდ ქალაქის თვითმმართველობამ გაფიცულ მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი დთხოვნილად გამოაცხადა.

თვითმმართველობის ასეთმა ღონისძიებამ მუშათა მასების მეტი აღფრთოება გამოიწვია. ქალაქის შარავლია პროფესიონალთა ორგანიზაციამ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა და სათანადოდ დახმარებოდა გაფიცულ მუშებს. საგაფიცო კომიტეტმა გამოსცა „თბილისის საქალაქო თვითმმართველობის მომსახურეთა კავშირის საგაფიცო კომიტეტის უწყებები“ (გამოვიდა სომხი ნომერი) და საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომლებს მოუწვია მხარი დაეჭირათ გაფიცვისათვის.

რუკ. (ბ) თბილისის კომიტეტმა მუშათა ფართო მასებს მოუწვია გაფიცულობისათვის გაეწიათ მატერიალური და მორალური დახმარება. „თვითმმართველი მუშის, თბილისის ყველა მუშის ვალა, გაფიცულობის მორალური და მატერიალური დახმარების გაწევის გზით, ორგანიზებულ სამართლებრივ გაფიცვების გზით, თუ საქართველოში საყოველთაო გაფიცვის გზით წინააღმდეგობა გაუწიოს მჭიმებელ კლასებსა და მათ აგენტებს, რომლებიც მოღალატურად უბრუნდებიან სექსენ მუშათა კლასს“.²

თბილისის მელოთონეებს, მეტყველების, ელექტრიკოსებს, ფარმაცევტებს, მეკარეებს, მზესხივეებს, მღებავებს, მშენებლებისა და სხვა კავშირებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაფიცულ

¹ „საქართველოს დამფუძნებელი კრება“, სტენოგრაფი. ანგარიში, 1919, 30 მარტი. გვ. 7.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი. ფ. 3. ს. 243.

¹ ვაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, № 331.

თათვის ყოველშრივი დამარცხების შესახებ.¹ ჩვენი პროლეტარული სოლიდარობის ნიშნად. — ნათქვამია ხოსტარიას თქვასახმელი და მექანიკური ქარხნის მუშათა კრების დადგენილებაში. — ეწვევით მუშაობას, თუ უახლოეს დღეებში დაკმაყოფილებული არ იქნება წამოყენებული მოთხოვნები. მივმართავთ ყველა პროფესიულ კავშირს მოწოდებით — შეიძროდ დარაზმონ თავიანთი რიგები და დაეხმარონ გაფიცულ ამხანაგებს ყველა საშუალებით, რაც კი პროლეტარიატს მოეპოვება».²

თბილისის თვითმმართველობის წარმოება და წესებულებების მუშათა გაფიცვის ამბავი სწრაფად გავრცელდა ამიერკავკასიაში. მას ფართოდ გამოემართა ამიერკავკასიის პროლეტარიატი. გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მონაწილეთა რაოდენობა 2200 კაცს აღემატებოდა. სისტემატრიად ტარდებოდა ვაფიციელთა შეკრებები, რომელზედაც მოწინავე მუშაობის ანტი-ხალხურ პოლიტიკას და მოუწოდებდნენ საქართველოს მშრომელ მასებს ებრძოლათ მენშევიკთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ-ერთ შეკრებაზე გაფიცულ მუშებს აღფრთოვანებით მიესალმნენ აგრეთვე ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენლები. „მოგვალმებით თქვენ, როგორც რუსეთის პროლეტარიატის ნაწილს, — ამბობდა ბაქოს მუშების დელეგატი ოლინა, — რომლებიც ეწვეით ბრძოლას არსებობის უფლებისათვის. მიმდინარე გაფიცვას აქვს არა ადგილობრივი — თბილისის ხასიათი, არამედ ამიერკავკასიის, რუსეთისა და საერთაშორისო ხასიათი“.³

თბილისის თვითმმართველობის მუშა-მოსახლსახურეთა გაფიცვა მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გაფიცვა გახდა საეტაპო მოვლენა თბილისის მუშათა მოძრაობაში. მან მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცო ბრძოლის შემდგომ განვითარებას. გაფიცვამ ნათელსკო, რომ საქართველოში ზვირთდებოდა მშრომელთა რევოლუციური ტალღა, რომელსაც წინაშე ემუქრებოდა ბერჟუაზიულ-მემშაურ წყობილებას.

მაჟორ მოკლენებს ქონდა ადგილი ბათუმში. ამ დროისათვის ბათუმის ბოლშევიკური ორგა-

ნიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, მან აღიერა პარტიულა უკრებები შექმნა მეღვინეების, მწველავების, სანაპირო არტელისა და ტყეში მუშათა შორის. ბოლშევიკური უკრებები მუშაობდა ბაქოხანში, ჭაოხაში, გორიოლკა და ქობულეთის სანაპირო რაზმის შემადგენლობაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კონსპირაციას და დისციპლინას. პარტიული ორგანიზაციის ყველა წევრი ვალდებული იყო აქტიურა მონაწილეობა მიეღო პარტიულ და პროფესიულ მოძრაობაში.

ბოლშევიკების მუშაობის შედეგად მუშათა ბევრი ორგანიზაციიდან განდევნილ იქნა მენშევიკები. მათგან ნაწილი მოახტრხა შოკალათე-ბულიყო ბათუმის ოლქის აეროვულ კრებაში — მექლსმა. აქ ვაბატონებული მდგომარეობა ეკავა ვაზ. სსამესლომანო საქართველოს-გარშემო შემოკრებად ჯგუფს, რომლის მიზანი იყო ავტონომიის საფუძველზე ავარი შეერთება საქართველოსთან. მექლსმის მეორე ჯგუფი შემოიკრება ვაზ. სსდალი მილეთის („ხალხის ხმა“) გარშემო და აშკარად ატარებდა თერქოფულერ ორიენტაციას. დენიკინელებსაც ჰქონდათ თავანთი ბეჭდვითი ორგანი — „ნაშ კარი“, რომელიც ხელს უწყობდა ეცხოველ კოლნინატორებს და ცდილობდა განემტკიცებინა ოკუპანტების პოზიციები. მიუხედავად ასეთი მიმბე პირობებისა, ბათუმის ბოლშევიკებმა ორგანიზაციამ რკ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან შესწლო გამაგრებულიყო პროფესიურულ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით პროფსაბჭოს პრეზიდიუმში და იგი უცხოელ ოკუპანტების ბატონობის ხანში ბრძოლის ულეალო და არალეგალურ საშუალებათა გამოყენების მთავარ შტაბად გადაიქცა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის მენაუ-ობითა პროფესიურის მუშათა გამარჯვებას, რომელიც მოპოვებულ იქნა ნავთმრეწველების წინააღმდეგ ბრძოლაში. პროფესიულ კავშირის გამეყოებაშ ნავთის საწარმოებში შექმნა საქარხო კომიტეტები და სათავეში ჩაუდგა მუშათა გაფიცვა, რომელიც მიზნად ისახავდა ხელფასის მომატებას, მ საათიანი სამუშაო დღის შემოდებას და საწარმოთა მებატრონებთან კოლექტიური ხელშეკრულებას დადებას. გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, კონსპირატებითან დადებული იქნა კოლექტიურა ხელშეკრულება. ამ წარმატებებმა მუშათა მასებს განუშტკიცეს საკუთარი ძალების რწმენა და მასობრივად ჩააბეს რევოლუციურ მოძრაობაში.

ოკუპანტების ბატონობის მძიმე წლებში

¹ ფ. მახარაძე, საქართველოს მუშათა კლასი 1917-1921 წლებში. თბ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, 1948, № 1, გვ. 38-39.

² Н. Б. Махарадзе, Победа социалистической революции в Грузии. Тб., 1965, стр. 286.

³ „საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრ. ანგარიში, 1919, 30, მისი, გვ. 7-8.

¹ ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 172, ფურც. 1-3.

ბოლშევიკებმა ენერგიულ შემოხმას ატარებდნენ ბათუმის მეშვეობით და აქარის გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით აქარის შორეულ სოფლებში ხშირად აგზავნიდნენ შემოაფიგატორებს, რომლებიც გლეხობას ესაუბრებოდნენ შთაშობის კავშირის ატყულებლობაზე და მოუწოდებდნენ შემოყრებისათვის ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო. ბოლშევიკური იდეების პროპაგანდამ აქარის შორეულ სოფლებშიც გააღვივა რევოლუციური ნაპერწკალი და გლეხები დარაზმა სოფლის პარაზიტების (ბეგე, ალა, მოლა, ხოჩა) წინააღმდეგ საბრძოლველად.

უცხოელმა ოკუპანტებმა გააძლიერეს რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და პროფსაბუკოს მიმართ და 7 აპრილს დახურეს ვაზ. „პატრუკი ვესტი“. პროფსაბუკოს პრეზიდიუმმა პროტესტის ნიშნად შექმნა საგაფიცო კომიტეტი და 8 აპრილს მოაწყო ერთდღიანი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. დაიკრებინათ ფაშისფერი და ქარხნები, საეაქროები და დამუშავებულიები. მუშაობდა მხოლოდ წყალსადენი, სახანძარი და სანიტარულ-ჰიგიენური სადგურები. ქალაქში გაერკვლა საგაფიცო კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც აქარის მშრომლებს მოუწოდებდა ოკუპანტებისა და მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

8 აპრილს საღამოს ოკუპანტებმა დააპატიმრეს საგაფიცო მოძრაობის 40-მდე მონაწილე. ბათუმში შეიქმნა ახალი საგაფიცო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობით მუშათა გაფიცვა კიდევ 2 დღე გაგრძელდა. „გაფიცვამ თავისი ერთსულეობებით მოლოდინს გადააპარბა, რამაც მთავრობას დავითი მთლად აუბნია“, — აღარებდა ვაზ. „ერთობა“.¹

ოკუპანტებმა ვერ შეძლეს გაფიცულთა წინააღმდეგობას ჩახშობა. მუშებმა გადაპრით მოითხოვეს 8 აპრილს დაპატიმრებული თანამომხრების განთავისუფლება, გაფიცულთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული და ი ნაწილი და გაეუქმებინა ვაზეთის დახურვის შესახებ გამოცემული ბრძანება. მაგრამ მუშათა ორგანიზაციებმა „პატრუსი ვესტი“ აღარ აღადგინეს და მის ნაცვლად მისში გამოსცეს ნამდვილი პროლეტარული ორგანო „კოლოს ტრუდა“. ვაზეთი წარმოატებით ეწეოდა ოქტომბრის იდეების პროპაგანდას. ბეგდავა მარქსაზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს, ამჟღავნებდა მენშევიკების ერთიანობას უცხოელ ოკუპანტებსა და თეთრგვარდიელებთან.

საქართველოს მშრომელთა რევოლუციური

მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკარავს მკ. ბრძოლის დენიკინის ფურცლები-დაულა არმიის წინააღმდეგ. 1919 წლის ივნისში დენიკინელთა არმია მოსკოვისაკენ დაიძრა, საჭირო იყო მთელი ძალეობა დარაზმა მტრის წინააღმდეგ, რომელიც უარს არ იტყობდა ამიერკავკასიაში შემოჭრაზე. ამასვე მიუთითებდა ამიერკავკასიის ბერტეაზიელი რესპუბლიკების შესვერთა კლასობრივი ბუნება, რომელიც დენიკინელთა პოლიტიკას ამკარად თანაუგრძობდა, ხოლო ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, დანაყთა მთავრობა — დენიკინის არმიის სომხეთშიც კი ენაბრძოლა.²

ასეთ ვითარებაში დენიკინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად რევოლუციური ძალთა დარაზმვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რკ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დენიკინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელ მასებს მოუწოდა ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნისაკენ. მოწოდებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია დაიწყო მძლავრა სახალხო მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბაქოს პროლეტარიატი.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები და მშრომელთა ფართო მასება მზურვალედ გამოხმაურდნენ ბაქოს „მუშათა კონფერენციის“ მოწოდებას ამიერკავკასიაში ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნის შესახებ. 1919 წლის 7 ივლისს რკ (ბ) თბილისის კომიტეტმა თავის პროკლამაციით მუშათა მასებს მოუწოდა ბაქოს პროლეტარიატთან ერთად დარაზმულიყენენ დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ. „ჩვენითვის — კომუნისტურბათობის, — ნათქვამია პროკლამაციით, — რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრთათვის არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მერყეობას და ყოყმანობას დენიკინის მიმართ. ჩვენი წმინდა მოვალეობაა ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ სახალხო უცანასკნელ წვეთამდე. ეს არის ჩვენი რევოლუციური და პარტიული მოვალეობა, ჩვენი მოვალეობა ჩუბი პანაგების წინაშე“.³

საქართველოში ჩატარდა მშრომელთა მიტინგები რომლებმაც თეთრგვარდიელებისა და მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას დაუჭირეს მხარი. განსაკუთრებით უტრადლება მიაქცევს ამიერკავკასიის რევოლუციური ძალების ერთიანობასა და საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასთან კავშირის განმტკიცებას. თბილისის თექსასტე-

¹ Труды Азербайджанского филиала ИМЭЛ при ЦК КПСС, Баку, 1948, т. 9, стр. 60.

² «Ворьба за победу Советской власти в Грузии», Документы и материалы (1917-1921 гг.), Тб., 1958, стр. 481.

³ ვაზ. „ერთობა“, 1919, № 85.

ლი და მექანიკური ქარხნის მუშებმა მენშვეიკური პარტიისაგან მოითხოვეს დენიკინელებთან ერთიანი ორგანიზაციის შექმნა, მათ წინააღმდეგომას გამოცხადება, საქართველოს ტერიტორიაზე მოხეტიალე თეთრგვარდიელების დაპატიმრება. ბათუმის მუშებმა ბაქოელ თანამებრძოლებს გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც გამოხატეს რევოლუციური ძალების საბოლოო გამარჯვების გულწრფელი სურვილი და აღუთქვეს აღმოეჩინათ შეპატივებულ მხარდაჭერა და დახმარება დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.¹

1919 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარო და საგუბერნიო კონფერენციები, რომლებშიც განიხილეს აქანყებისათვის მშრომელი მასების მხადყოფნის საკითხები. გამორჩევი, რომ პროლეტარიატს მტკიცედ უჭერდა მხარს სოფლის გლეხობა, არმიისა და „სახალხო გვარდიის“ მთელ რიგ ნაწილებში წარმატებით მიმდინარეობდა ბოლშევიკური და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, საქართველოში აქანყებისათვის უკვე შექმნილი იყო რევოლუციური სიტუაცია. მდგომარეობას აუჭარბებდა ის გარემოებაც, რომ ანტანტის საოკუპაციო ძარის ნაწილები მხოლოდ ბათუმში იმყოფებოდნენ (ანტანტის ჯარებმა აჭარის გარდა ამიერკავკასია დატოვეს 1919 წლის აგვისტოში) და აქედან მენშვეიკებისათვის აქტიურა დახმარების წარუვა: მათთვის ძნელი იყო. მაგრამ შეიარაღებული აქანყების დაუყოვნებლივ მოწყობა ნაკარნახევი იყო იმით, რომ იგი თეთრგვარდიელთა ზურგს მნაშენელოვან საფრთხეს შეუქმნიდა, რისთვისაც „დენიკინის აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწია. ამიტომ აქანყება მიზნად ისახავდა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში, არამედ მორალური გაფხვინის მოხდენას წითელი ძარის სასარგებლოდ“.²

რაც (ბ) კავკასიის სამხარო კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს მშრომელთა შეიარაღებული აქანყება უნდა დაწყებულიყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლასაუბრე, თბილისში — 23 ოქტომბერს, ხოლო პერიფერიაზე — მეორე დღეს. 24 ოქტომბერს ღამით აქანყების პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საქართველოს სამხედრო რევოლუციური შტაბი, რომელსაც თავისი ორგანოები ჰქონდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში.

¹ ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, ნაწ. II, თბ., 1961, გვ. 271.

² ეფრ. „რევოლუციის მტიანე“, 1928, № 2, გვ. 250.

მაგრამ საყოველთაო შეიარაღებული აქანყება ჩაიშალა. 22 ოქტომბერს მენშვეიკებმა დააპატიმრეს სამხედრო რევოლუციური შტაბისა და თბილისის საგანრიზონო საბჭოს წევრები და მიიღეს კონტრაზომები აქანყების ჩასაშლელად. ასეთ ვითარებაში აქანყება მზანს ვერ მიადრწედა და იგი პარტიის სამხარო კომიტეტის წინადადებით გადაიღო მ-9 ნოემბრისათვის. მაგრამ ყველა რაიონში ახალი დირექტივა დროზე ვერ მიიღეს და აქანყებანა ზეგადღის, სენაის, გორის, დუშეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სხვა ადგილებში დანიშნულ ვადაზე დაიწყო. აქანყებულებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი. გორისა და ოსურკეთის მახრების, აგრეთვე სამტრედიის რაიონს მთელ რიგ სოფლებში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ მენშვეიკებმა შესძლეს აქანყების ცალკეული კერების ლიკვიდაცია. დაამტკიცეს, დახვრიტეს ან საქართველოდან გადაასახლეს ასობით კომუნისტა და კომკავშირელი.

აქანყება დაშარცხდა, მაგრამ მას უშედეგოდ არ ჩაუვლია. აქანყებამ ნათლყო, რომ კომუნისტების გავლენა ყოველდღიურად მზრდებოდა, რომ მუშათა და გლეხთა მასები მზად იყვნენ ერთსულვნად ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამასთან აქანყებამ დენიკინი იძულებულა გახადო საქართველოს საზღვრებისაყენ გადაიქროლო რამდენიმე პოლკი და ამით შეესუსტებინა თავისი ძალები საბჭოთა რუსეთის ფრონტზე. აქანყებამ ჩაშალა აგრეთვე მენშვეიკების განზრახვა — სამხედრო დახმარება გაეწიათ დენიკინისათვის. ამ აქანყებით საქართველოს მშრომელებმა თავისი წვლილი შეიტანეს დენიკინის კონტრარევოლუციური არმიის განადგურებაში.

1920 წელი სამოქალაქო ომის ფრონტზე წითელი არმიის ახალი წარმატებებით აღინიშნა. საბჭოთა ნაწილებში გათავისუფლეს სამხრეთ რუსეთის ქალაქები და სოფლები. ბოლშევიკების კავკასიის სამხარო კომიტეტმა დაიწყო მზადება შეიარაღებული აქანყებისათვის. ამასთან დაეკავშირებოთ საქართველოს რაიონებში გაგზავნეს სამხარო კომიტეტის რწმუნებულენი, შეიქმნა სამხედრო შტაბები, შეიარაღებული რაზმები. 15 მარტს სამხარო კომიტეტი კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისა და ხალხის სახელით მიესალმა საბჭოთა რუსეთის მშრომელებს, კომუნისტურ ინტერნაციონალსა და წითელ არმიას და სახოვა მათ დახმარება კავიტალიზმის ბატონობისაყენ განთავისუფლებაში. შისალებაში ნათქვამია: „ძვირფასო მშობო და ამხანაგებო, თქვენი გამარჯვებანა სამოქალაქო ომის ფრონტებზე გულს გვიმხნეებს და გამარჯვების რწმენას გვიწერავს... ჩვენ მგზნებარედ გვესურს რუსეთის პროლეტარიატთან ხელი ხელ ჩაყადებულნა შევიდეთ საყო-

ველთა შრომისა და სოციალისტური მშენებლობის ახალ ცხოვრებაში.¹

1920 წლის მარტის მეორე ნახევარში საქართველოს სამრწველო საწარმოებში გახშირდა საფაფიკო გამოსვლები, რომელთა ამქვრად უფრო მასობრივი ხასიათი ჰქონდა და ბოლშევიკურა ორგანიზაციების ზეგავლენაში მიმდინარეობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ხაშურის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც 22 მარტს ჩატარდა. მისში 700-მდე კაცი მონაწილეობდა. გაფიცებულმა წამაყენეს ეკონომიკურა და პოლიტიკურა ხასიათის მოთხოვნები.

ხაშურის დეპოს მეშათა გაფიცვას გამოეხმაურნენ საქართველოს სტრანაპორტო მრეწველობის მუშები, რომლებმაც მოითხოვეს გაფიცულთა წინადადებების დაქაფოფლება. მგერამ მენშევიკებმა პროფესიული კავშირების ზოგიერთი ორგანიზაციის სახელდახელო კრებას თავს მოახვეს გაფიცვის საწინააღმდეგოდ დადგენილება და რკინიგზის პროფესიული კავშირების ცენტრალური გამგეობის დახმარებით პროფკავშირადან გარაცხეს და სამუშაოდან დაითხოვეს ხაშურის მეშათა გაფიცვის ბეგრა მონაწილე. მათ შორის გაფიცვის ზელმძღვანელები — დეპოს მენაქანე ე. მატრეველი და ზეიკაო დ. ლევაია.

16 მარტს გაფიცვენ დასავლეთ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელს მუშა-მოსამსახურეები. გაფიცვის ზელმძღვანელობდა ქუთაისის მთავარი საგუბერნიო საფიციკო კომიტეტი, რომელსაც სათვეში ედვინე ღ. ლოსაბრიძე და ი. მესხი. გაფიცვენ აღმოსავლეთ საქართველოს 3 მაზრის (ახალციხის, ახალქალაქის და გორის) ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკეა, გაფიცვა 32 საათს გაგრძელდა. მთავრობა იძულებული გახდა დაეკავშირებინა გაფიცულთა მოთხოვნები.²

29 მარტს ბათუმის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის პროფესიული კავშირების გამგეობასა და საქარხნო კომიტეტების კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია აჭარაში საბჭოთა ზელსუფლების დამყარების შესახებ. გაძლიერდა მზადება შეიარაღებულ აჯანყებისათვის. ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში წარმოადგენდა საპარტიკლისო დემონსტრაციის ორგანიზებული ჩატარება. მისი გადაქცევა მუშათა კლასის საბჭოლო ძალების დაფიციკრებას დღესასწაულად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპარტიკლისო დემონსტრაციის წარმატებით

ჩატარებას ბათუმში. ვინაიდან იგი კანტიკალიზმის მოწინააღმდეგე ძალთა ბრძოლისუნარიანობის საერთო შემოწმებასთან ერთად დიდ ზეგავლენას მოახდენდა საოცეპაციო წარის ნაწილებსა (საოცეპაციო წარის ნაწილების უმრავლესობას კოლონატორი და ნახევარდაკოლონატორი ქვეყნებდან იძულებით გამოყვანილი წარისკაცეა შეადგენდნენ) და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. ამიტომ ბოლშევიკებმა დიდი ყურადღება დაუთმეს დემონსტრაციის ორგანიზებულად ჩატარებას.

საპარტიკლისო საშხადისა მიმდინარეობდა ინგლისელი ოკუპანტებისა და ვრანგელის თეთრგვარდიელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში. ბოლშევიკების ზელმძღვანელობით რევოლუციურა შებრძოლი რაზმეები ზელს უშლიდნენ თეთრგვარდიელთათვის საომარი და საწვავი მასალების მიწოდებას, აფერხებდნენ ოკუპანტებს მიერ ნაძარცი საქონლის გატანას საზღვარგარეთ. ამ მიზნით არაუგალორმა რაზმებმა ბათუმის ნავსადგურში მწყობრადან გამოიყენეს გემი „გოზროფდენი“, რომელსაც ვრანგელისათვის საომარი მასალები უნდა წეილო. აფეთქეს კინტირის ხიდი (ქობულეთის მახლობლად) და ნათსადენი მილა. ათი დღით შეწყდა საშხადისო შემადგენლობას მიძარება, ნათობის გაზიფა, ვაკუუმი პატარა, მგერამ დიდი მნიშვნელობის საქმე. უფრო გვიან ხანძარი გაუჩინეს და ჩაძირეს საშხადრო მასალით დატვირთული გემი „სვეტ“, მოკლეს თეთრგვარდიელი გენერლები ლახოვი და ნათიევა.

საპარტიკლისო დემონსტრაციისა და აჯანყებისათვის მზადების დღეებში აჭარაიანის მშრომლებმა დაამხეს მესაჯატების ბატონობა და გამოცხადეს საბჭოთა ზელსუფლება. წითელი არმიის ნაწილებს დახმარებით თავიდან იქნა აცილებული საოქალაქო ომი. აჭარაში, ჩანში საბჭოთა ზელსუფლებამ გაიმარჯვა.

აჭარაიანელი ხალხის ისტორიული გამარჯვებამ ახალი ენერჯია შეიტა საქართველოს მშრომლებს და დიდად შეუწყო ხელა საპარტიკლისო დემონსტრაციების ჩატარებას, მუშათა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის განმტკიცებას, საპარტიკლისო დემონსტრაციებმა განსაკუთრებით გრანდიოზული მასიათი მიიღო თბილისსა და ბათუმში. ბათუმში დემონსტრანტებმა, რომელთა რიცხეა 25 ათასმდე აღწედა, კ. მარქსას, ე. ენგელსისა და ვ. ლენინის პორტრეტებით, წითელი დროშებითა და რევოლუციური ღონუნგებით ჩაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩეები და ვაჟიორეს მოთხოვნა აჭარასა და მთელს საქართველოში საბჭოთა ზელსუფლების დამყარების შესახებ. შესდგა დემონსტრანტთა მიტინგი, ბოლშევიკები ასაბუთებდნენ აჭარაიანთაში საბჭოთა ზელსუფლების გამარჯვების გარდუელობას. შეყ-

¹ ქურნ. „სისტორიო მოამბე“, 1955, № 8, გვ. 240-241.

² Журнал «Союз связи СССР», Тб., 1925, стр. 18.

რების მონაწილენი მათ ერთსულოვანი ტამით აწილდებოდნენ. მიტინგმა გუბერნატორის გაუგზავნა დედეგაცია და მოთხოვნა დაპატიმრებული ამხანაგების, მათ შორის ბათუმის მეშაბთა მოძრაობას ერთ-ერთი ხელმძღვანელის ს. გუბელი განთავისუფლება. იგი ლიბანის მკვლელობის მონაწილე აყო და სიკვდილით დამკა მოელოდა. მაგრამ დემონსტრანტებმა თქულეს სამხედრო გუბერნატორი გაეთავისუფლებინა ს. გუბელი, რომელსაც მხურვალედ შეხედნენ მიტინგის მონაწილენი.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ, საღამოს 7 საათზე ბათუმის თეატრში გაიმართა მიტინგი-კონცერტი. პირველ განყოფილებაში მუშა-ორატორებმა გააშუქეს მიმდინარე მომენტის საკითხები, 1 მათის დღესასწაულის მნიშვნელობა, ბათუმის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორია. შემდეგ ბათუმის თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს ა. ბლოკის, ა. ლუნინარსკისა და სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებები. წარმადგინეს ნაწყვეტები თეატრის საუკეთესო სპექტაკლებიდან.¹

პირველი მისის დღესასწაული რევოლუციური ძალების მძლავრი დემონსტრაცია გახდა. „პირველმა მისმა ყველა დაანახა — წერდა ვახ. კომუნისტი“, — რომ ბათუმის პრინციპალიტი მდიდარი რევოლუციური ტრადიციებით, მტკიცედ დგას რევოლუციური მარქსიზმის ნიადაგზე და საესებო იზიარებს კომუნისტურა ინტერნაციონალის ლოზუნგებს. ამ გარემოებამ ძალზე შეამფთხა მეშათა კლასის ყველა — აშკარა თუ ფერულ მტრები, მათ შორის ინგლისურა ფაშრლები, სპეკულანტები, ხალხის აშკარა მტაკებლები.²

თბილისში დემონსტრანტთა უმარალო კოლონის მენშევიკებმა მიუსის საგანგებო რაზმელები, რომლებმაც დაპატიმრეს უზომოდ ნაცემი და ღაქირი 55 კაცი. თბილისში ბოლშევიკებმა 2-3 მისის მოაწყეს შეიარაღებული გამოსვლები. მეშათა რაზმებს უნდა დაეკავებინათ ქალაქის სტრატეგიული პუნქტები და დაეპატიმრებინათ მთავრობის შემადგენლობა. შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება წარმოებდა ფრთვე ბათუმში, ქუთურაში, აღხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ მეშათა გამოსვლები არ იყო ორგანიზებული, ამიტომ იგი დამარცხდა. მარცხით დამთავრდა აგრეთვე შეიარაღებული აჯანყება სამხრეთ ოსეთშიც.

რეპრესიის ძალებმა ბათუმშიც მიიტანეს იერიში მეშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ოქტომბრებში განიზრახეს, უპირველეს ყოვლისა, დაეშალათ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სპეციალურ

რი კომისია, რომელიც გემების მოძრაობას სასტიკ კონტროლს უწევდა. კომისიებს მუშაობის პერიოდში შეეწყდა ყირიმში პრინციპული, სამხედრო საუბრეკელისა და საწვავი მასალის გატანა. ხელისუფლება არსებითად პროფსაბჭოს ხელში გადავიდა, რაც მეშათა მისების დიდი გამარჯვება იყო.

ბათუმში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები აჯანყებისათვის, შედგა რევოლუციური კომიტეტი. აჯანყების დასაწყისად შერჩეულ აქნა 10 მისი. 2 დღით ადრე დანიშნული იყო პროფკავშირების საქარზხო კომიტეტებისა და მებრავართა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც ამავე დროს უნდა გამხდარიყო მებრავორთა ძალების გენერალური შემოწმება გადაწყვეტა ბრძოლის წინ. მაგრამ უცხოელმა ოქტომბრებმა 8 მისის დაპატიმრეს რევოლუციური მოძრაობის 18 თვალსაჩინო მუშაკი, ღარბიენ პროფსაბჭოს შენობა, ვახ. გოლოს ტრედსა რედაქცია და სტამბა, დაპატიმრეს მებრავორები. ქალაქში განახლდა საგანგებო მდგომარეობა. აიკრძალა დამე ქუჩაში სიარული. ვახ. შარდა მეშათა ორგანიზაციებზე თავდასხმა, კომუნისტების დაპატიმრება.

დაპატიმრებას გადარჩენილი პროფესიული მოძრაობის სხვა ხელმძღვანელები ბოლშევიკური ორგანიზაციის დამხარებით არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ. 9-10 მისის მათ მოაწყეს საპროტესტო ხასიათის გაფიცვა. მეშათა გაფიცვის ჩაშლამა აქტიურად მონაწილეობდა საქარათველთს „დემოკრატიული მთავრობა“, რომელმაც დასაწყისშივე დაარღვია საბჭოთა რესთთან დადებული ხელშეკრულების პირობები და აკარბიან უცხოელ ოქტომბრების ევაკუაციის შემადგეგ (1920 წლის ივლისი) განაკრძო იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ფართულ მოლაპარაკება, ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური პროფესიული კავშირების წინააღმდეგ ბრძოლა, კომუნისტებისა და კავშირების მისობრივი დაპატიმრება.

მაგრამ მენშევიკების რეპრესიებმა ვერ შეასუსტეს კომუნისტების გაელენა მშრომელ მისახლოებაზე, ვერ შეძლეს გამწვავებული სამეურნეო კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა. გენო-მიური კრიზისის შედეგად საქარათველთს სახალხო მერონება კატასტროფამე მივიდა. ქვეყნის ეკონომიურა რესურსების მარაგი ამოაწურა, ნედლეულის უკონლობის გამო ზედინედ დაიხურა საწარმოები, დაარღვია საქონლებრუნვა ქალაქა და სოფელთ შორის, საგრძნობლად შემცირდა ნათესი ფართობები, ზღაპრულად გადიდდა პირველი მომხარების საენე-

¹ Газ. «Голос Труда», 1920, № 104.

² ვახ. კომუნისტი, 1920, № 1.

¹ Газ. «Жизнь национальностей», 1920, № 31.

ბის ფასი, სავსებით მოიშალა ქვეყნის ფინანსური სისტემა, ფულის ნიშნები გაუფასურდა. უმართველი მენეჯერების სოციალურ-ეკონომიურმა და საგარეო პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა. ამჟამად იგრძნობოდა, რომ მენეჯერთა მთავრობა თავისი ბატონობის უკანასკნელ დღეებს ითვისებდა. შრომულ მოსახლეობას და არმიაში სავრძინობლად ვიზიარდა მენეჯერების საწინააღმდეგო განწყობილება, მომწიფდა საყოველთაო აჯანყების შესაძლებლობა, გაძლიერდა მენეჯერული პარტიის დაშლა, იგი მიატოვეს ისეთმა ბირებმაუკი, რომლებიც მენეჯერული პარტიის რიგებში მისი შექმნიდანვე იყვნენ.

ასეთ ვითარებაში საქართველოში 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. 16 თებერვალს შეაქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება და დახმარებისათვის მიმართა ვ. ი. ლენინს: მენეჯერული „მთავრობის დასახმარებლად. — ნათქვამია მიმართვაში — ისწოავდინ ევროპის რეაქციული ძალები. ვაგრობიანებულა ვაგნებელი ძალების შემოტევას შეიძლება გაუმკლავდეს მხოლოდ ვაგრობიანებულ წითელი სოციალისტურა რაზმება. ჩვენ აზრდი ვაჯექს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დიდი პოლიტიკური რევოლუციისა და დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დავტოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას ვაუწყებს ახალშობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.“¹

ვ. ი. ლენინას მათითებით სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ნაწრთობი წითელი არმიის ნაწილები ს. ორბელიანისა და ს. კარაიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებს მიემშველნენ. აჯანყებულ ქართველთა ხალხსადმი საბჭოთა მებრძოლების ძმური დახმარებით ერთხელ კიდევ თვალნათლივ გამოვლინდა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობა. წითელი არმიის ნაწილების დახმარებით 25 თებერვალს თბილისში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

წითელი არმიის რაზმებმა აჯანყებულ მუშებსა და გლეხებთან ერთად თანდათანობით გაათა-

ვისუფლეს საქართველოს მიწა-წყალი. მენეჯერები ბათუმისაყენ გატყვნენ. აქ მათი უფლებმოძრეთ შემოვიდნენ თურქეთის ჯარები. მენეჯერები ქებმა დაიკავეს აგრეთვე ახალქალაქი და ახალციხის ნაწილი. მენეჯერები ფიქრობდნენ, რომ ეს გამოიწვევდა თურქეთისა და საბჭოთა ჯარებთან შეტაკებას, რითაც ჩაიშლებოდა სახლგაომოლაპარაკება საბჭოთა რუსეთისა და თურქეთს შორის. მენეჯერების იმედები არ გამართლდა. 16 მარტს მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება, რომელაც ითვალისწინებდა ამ ორი ქვეყნის შვილობიან თანაშრომლობას, ამასთან აქარა აღარბუღებოდა იქნა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ვერც იმპერიალისტებმა ვაბედეს მენეჯერებისათვის დახმარების ვაწვევა. მათი სამხედრო ფლოტი რამდენიმე წარმატებულ ოპერაციის შემდეგ შავი ზღვას ნაესადგურებს ვაცალა. ამიტომ მენეჯერებმა მიიღეს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წინადადება მოლაპარაკების შესახებ და ქუთაისში ვაგზანენეს თვითნებო წარმომადგენლები. თუმცა მოლაპარაკება მიმდინარეობდა, მაგრამ მენეჯერები მაინც ეშინადებოდნენ ბათუმიდან ვააქცივად.

1921 წლის 17 მარტს მენეჯერებმა ბათუმი დატოვეს და თან ვაატანეს დიდძალი სახალხო ქონება. იმავე საღამოს ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც აქარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და ქართული ჯარის ნაწილების დახმარებით შეუდგა თურქი ასეერების ვანდევანს. 18 მარტს ბათუმში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქალაქში შემოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები. თურქებმა აქარა დატოვეს.

46 წელი სრულდება, რაც საქართველოში დავებო მენეჯერების ბატონობა და ვაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ ხნის ვანაელობაში საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინური ერთვულ პოლიტიკას ვანუხრვლად ვანხორციელების შედეგად უდიდესი წარმატებები მოიპოვეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის ძმურ ოჯახში შევავალ ყველა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

¹ «Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях», ч. III, М., 1928, стр. 87.

ანზორ კახანაძე

რევოლუციური გამოვლენის ეპიზოდები

საქართველოს მეშათა კლასი რუსეთის პრო-
ლეტარიატის მებრძოლი რაზმი იყო. ამიტომაც
იგი სიხარულით შეხვდა დიდი ოქტომბრის
სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას
რუსეთში. სამრეწველო ცენტრებში — თბი-
ლისში, ქიათურაში, ფოთსა და ბათუმში იმარ-
თებოდა მიტინგები, გამოქონდათ დადგენი-
ლებანი, რათა მხარი დაეჭირათ საბჭოთა რუსე-
თისათვის.

ქიათურის მაღაროს მუშებში დაიწყო ფარ-
თო საავტოციო მუშაობა. 1917 წლიდან 1921
წლამდე ქიათურის მაღაროს მუშათა გაფიც-
ვებს ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები:
ალექსანდრე და ვალაკიონ ეამაძეები, ვიქ-
ტორ ბაქრაძე, სერგო კახანაძე და სხვ. ქიათუ-
რა შერეო სამრეწველო ცენტრი იყო ამიერ-
კავკასიაში ბაქოს შემდეგ, ამიტომ გასაგებია,
რომ ქიათურის სოციალ-დემოკრატია ერთ-ერთ
თი ძლიერი ორგანიზაცია იყო საქართველოში.

ქიათურაში 1917 წელს მარტის ბოლოსათ-
ვის შეიქმნა მუშათა, გლეხთა და ჭარბსკაფთა
საბჭოები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ
თავისი არსებობის პირველსავე დღეებიდანვე
საბჭოებმა მოიპოვეს მშრომელი მასების დიდი
ნდობა და სიმპათიები. ქიათურის მშრომელთა
დეპუტატების საბჭო, რომელიც ერთიდაი მწარ-
მოებელთა და მუშათა ურთიერთობაში და უვე-
ლანაირად იცავდა ამ უკანასკნელთა ინტერე-
სებს, ეხმარებოდა მათ მატერიალურად. ერთ-
ერთ თავის წერილში ქიათურელი მუშები წერ-
დნენ: „არა მუშათა ელემენტებს არ შეუძლიათ
სამუშაოზე მოეწყონ, რადგანაც ეს საქმე ახლა
საბჭოს ხელშია. საბჭომ შეარჩია მუშების ერ-
თი მესამედი, სწორედ ისეთები, ვინც ნამდვი-
ლი მუშაა, დანარჩენი დაითხოვეს ქიათურიდან.
ასეთია აქედნი საქმეები ახლა“.¹

ქიათურის მუშათა საბჭო აწესრიგებდა მაღა-
როს მეშათა მდგომარეობას და თავისი მოთ-
ხოვნები გაუზიარებდა ქიათურის შავი ქვის ვეჯლა
მრეწველს, ვადას აძლევდა 1917 წლის 29 აბ-
რილამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში იმპერებო-
და მასობრივი გაფიცვით. და რაც მუშებმა

ვერ მიიღწიეს თავიანთ მოთხოვნილებათა და-
მაყოფილებას, ბოლშევიკების ხელმძღვანელო-
ბით საყოველთაო გაფიცვა მოაწყვეს.

ქიათურიდან იგზავნებოდა სასწრაფო დე-
პუტები, სადაც ატყობინებდნენ მთავრო-
ბას, რომ ქიათურის მაღარომ მუშათა სა-
ყოველთაო გაფიცვა დაიწყო და, რომ ამ
გაფიცვას გამოეხმაურა ვაგონების მტვირ-
თავი მუშები, როგორც თვით ქიათურაში, ასევე
შორაბანშიც. გაფიცულებს მხარი დაუჭირა სა-
ავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებმა, სადაც
მუშაობა შეწყდა. აი, რას წერდა ვაგონთა „სა-
ქართველო“ — „...გაიფიცნენ ქიათურის შა-
ვიქვის საბჭოს მომსახურენი და სახელმწიფო-
ებრივი მნიშვნელობის სამრეწველო უბნები,
უწყლო და უსინათლო სრულ უმოქმედობა-
ში ჩაუარდნია... ქალაქის მდგომარეობა დღი-
თი დღე უარესდება... ამას ემატება აუტანელი
შიშილი, მცხოვრებლებს ახსად იმედი არა
აქვთ სურსათზე“...¹

მენშევიკური მთავრობა ათასგვარი დაპირე-
ბებით უმასინძლებოდა მუშებს, მაგრამ მუ-
შებმა ყარგად იცოდნენ მთავრობის ოინები,
მით უმეტეს, რომ შორაბნის მუშათა კლასს
დიდი გამოცდილება ჰქონდა მეფის მთავრობის
წინააღმდეგ ბრძოლისა ვერ კიდევ 1905-1907
წლების რევოლუციიდან.

ქიათურის მრეწველთა საბჭომ ბოლოს გამო-
ნახა გამოსავალი: გერმანელ იმპერიალისტებ-
თან დაიწყეს მოლაპარაკება, რათა დაეფინან-
სებინათ შავიქვის მრეწველნი, სამავთროდ,
გერმანია მიიღებდა მარგანეცს ხელსაყრელ
პირობებში. მაგრამ ეს მოლაპარაკება წარმო-
ებდა მასინ, როდესაც საჩხერის აჯანყებულმა
გლეხებმა დაამხეს მენშევიკური მთავრობის ხე-
ლისუფლების ორგანოები. გერმანიის წარმომე-
დგენელმა ქიათურის მრეწველთა საბჭოს წევრს
ანთელაძეს ვანუცადა, რომ „აუცილებლად
შეატყობინეთ გერმანიის საელჩოს გამოგზავნონ
გერმანიის შეიარაღებული ძალები და თუ
ოქვენს დღევანდელ მთავრობას არ შეუძლია
საკეთარი ძალით წესრიგი აღადგინოს, მე

¹ ვაგონთა „ბრძოლა“, № 25, 1917.

¹ ვაგ. „საქართველო“, № 144, 1917.

ჩემს გერმანულ ხმებებს ავამოქმედებ წესრიგის დასამყარებლად და ამგვარად ქიათურის მუშაობას არ შევუფერებო.

მენშევიკური მთავრობა და შევიქვის მრეწველთა საბჭო ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ თავიანთი უდღერო დიქტატურის ხანგრძლიობა შეენარჩუნებინათ. გერმანულ იმპერიალისტებს საქართველოდან გაქმინდათ მარგანიცი, ჩაი, მატყლი, თამბაქო, სპალენძი, ტყავი და ყველაფერი, რის გატანაც შეიძლებოდა.

1917 წელს მაისში საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა მოიწვიეს კრება. შეიქმნა სამხედრო რევოლუციური შტაბი და მის ხელმძღვანელოდ არჩიეს ფრონტიდან ბოლშევიკი ბაგრატი ზეველიძე, ზოლო წევრად ტერენტი ავამლაძე, გ. კილაძე და სხვანი. რაიონის ყველა სოფელში შეიქმნა სამხედრო ქვეშტაბი.

მენშევიკებმა მთავრობამ მოიწვია საჩხერის რაიონში ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცთა თათბირი და მოითხოვა დაუყოვნებლივ გადაეცათ მისთვის ფრონტიდან ჩამოტანილი იარაღი და ტანსაცმელი. თათბირის დროს სამხედრო რევოლუციური შტაბის უფროსმა ბაგრატი ზეველიძემ ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა მოითხოვა. მან თათბირის მონაწილეებს განუმარტა იარაღის მნიშვნელობა და გაანალიზა არსებული მდგომარეობა. მის გამოხატვას მხარი დაუჭირა თათბირის ყველა მონაწილემ. მენშევიკებმა მიხანს ვერ შეაღწიეს.

1918 წელს, იანვრის ბოლოს, მენშევიკი ვალიკო ჯეღელი რახმით შეიჭრა საჩხერეში, იძულებით წაართვა იარაღი ჯარისკაცებს, ბაგრატი ზეველიძე დაამატიმრა, მაგრამ ხალხის მკაცრმა პრეტესტმა აძლუა ჯეღელი გაენთავისუფლებინა ბაგრატი ზეველიძე.

რაიონის დარბევა-აწიოკება ამ უფრო მეტ ბიძგი მისცა მოქმედებისათვის რევოლუციური შტაბის ხელმძღვანელობას, რომელმაც საჭიროდ სცნო უფრო კონკრეტული ღონისძიებანი შეემუშავებინა. ბოლშევიკი ავტორიტეტი განუმარტვლენდნ ხალხის ფართო მასებს, რომ საჭირო იყო შეიარაღებული აჯანყება. ისინი განსაკუთრებით მიუთითებდნენ რუსეთის ამბებზე: „ამხანაგებო, უკვე ერთი წელიწადი შესრულდა, რომ რუსეთში დაიწყო უდიდესი რევოლუცია. ძველი წყობილება დაიწვრა და ამის ადგილზე ახალი უნდა აშენდეს. მაგრამ ეს ნგრევა, ბუნების პროდუქტი, ერთი დავკრით არ მოთავსდება. დღეს უნდა მოხდეს მთელი ჩვენი ცხოვრების განახლება. ცხოვრება უნდა მოეწიოს სრულიად სხვა საფუძველზე, ვინემ ეს დღემდე იყო; თქვენ იცით, რომ ჩვენში ეს განახლება ჯერ კიდევ შორსაა, უნდა დამყარდეს ნამდვილი სახალხო მთავრობა, ე. ი. მთელი ძალაუფლება მუშების, ჯარისკაცებისა და

გლეხების დემოკრატების ხელში უნდა გადავიდეს ისე, რომ არც სოფლო და არც ქალაქად სხვა რაიმე დაწესებულებებს ძალაუფლება არ უნდა ეთუთვროდეს. ყველა მიწები როგორც სოფლო, ისე ქალაქად მთელი ხალხის საკუთრებად უნდა გადაიქცეს და ისინი გლეხების დემოკრატების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა სრულ განკარგულებაში უნდა დარჩეს“.

ბოლშევიკების ამ მოწოდებას ავტორიტეტი აცნობდნენ გლეხებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბოლშევიკთა ყოველ გამოხატვას და გამოსთქვამდნენ სურვილს ებრძოლათ მენშევიკური ტირანიის წინააღმდეგ.

საჩხერის რევოლუციურმა შტაბმა დაიწყო აჯანყება 1918 წლის 28 ივნისს, დაიკავა სადგური საჩხერა, ფოსტა-ტელეგრაფი, კომისარი-ატის შენობა და სხვა. 28 ივნისს დღის 9 საათზე საჩხერის რაიონში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომლის პირველი ბრძანება იყო სრული რევოლუციური წესრიგის დაცვა. კომიტეტმა სოფლებში შექმნა რევკომები, რომელმაც მთელი მიწა გლეხებს გადასცა და გაუშვებულად გამოაცხადა მენშევიკთა ხელი-სუფლების ორგანოები.

საჩხერის აჯანყება მშინ მოხდა, როცა საქართველო აჯანყებულთა ცეცხლის აღში იყო გახვეული. ამ რას წერდა მენშევიკური პრესა: „საქართველოს თითქმის ნახევარი გახვეულია აჯანყებისა და ანარქიის ცეცხლის აღში. დუშეთის მხარაში გლეხობამ იარაღი აიღო ხელში და აქტიურად გამოვიდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო გზაზე დარბაღის ზეობაში მთავრობის ჯარები ვარშემორტყმულია აჯანყებულთა მიერ და არაფერ იცის რა მოვლის ამ რაზმს. გორის მხარაში მეტისმეტად მღელვარებაა. ისეთში დიდი აშხები მწიფდება და დღე-ღღე მოსალოდნელია შეიარაღებული მისების გამოსვლა დუშეთის მსგავსად. თანაფთის მხარაში მღელვარება ძლიერდება და სახიფათო ზასიათს ღებულობს. თბილისის მხარაში შედარებით „შეშიფობიანობაა“. მაგრამ დრო გამოშვებით გაზეთებში მოხვედროლი ცნობები ლაპარაკობენ არეულობის შესახებ მანგლისის და თუთოი წყაროს რაიონში, როგორც ჩანს, საწვავი მასალა გროვდება და სავარისია მცირე ნაპერწკალი, რომ ხანძარმა იფუტოს. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიამო. რაჭის მხარაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებას. ასეთივე შეტაკებები იყო ზუგდიდსა და ლენ-

1 გაზ. „ბრძოლა“, № 25, 1918.

ტუმის მარბეზში, სერიოზული ამბები ღატრი-
აღდა სახეების ოლქშია.¹

მენშევიკებმა დაიწყეს დიდი სამხედრო ლაშ-
ქრობა, რათა სისხლში ჩაეხშოთ საჩხერის
გლეხთა აჯანყება. მენშევიკური გვარდია იყო
1 000 კაციისგან შემდგარი, პოლკოვნიკ ინჟირ-
ველის და კაპიტანების იშხნელისა და ფხაკაძის
მეთაურობით. რაზმს ახლდა არტილერიის ნაწი-
ლიც. მენშევიკთა გვარდია ორ ნაწილად გაი-
ყო: ერთი ნაწილი სოფელ სარეკში ამოქმედდა,
მეორე ნაწილი კი სოფელ ქორეთისაკენ გაე-
შურა, ბრძოლის ვაიარა სოფელი ქალაურთა და
არტილერიის ცეცხლი დაეშინა საჩხერეს. შუუ-
პოვარმა ბრძოლამ 12 საათი გასტანა. რევო-
ლუციური შტაბი სრული წესრიგით იხვედა
უკან, მან მოხერხებულად დაჰყო ასეულებად
და ათეულებად გლეხობა და მედგარ წინააღ-
მდეგობას უწყევდა კარგად შეიარაღებულ გვარ-
დიას.

აჯანყებულმა გლეხობამ მოახდინა რაიონის
მოსახლეობის მობილიზაცია და მოულოდნე-
ლად განახორციელა თავდასხმა მენშევიკურ
გვარდიულ სოფელ დარკვეთში, საეანეში, ჩიხა-
ში, ორღულსა და ივანწმიდაში. ამას კი არ მო-
ელოდა გვარდია, რომელმაც დიდი ზარალი გა-
ნიცადა. სამხედრო მინისტრი ვიორგაძე აღშფო-
თებული იყო ამ ამბით. მისი ბრძანებით ლან-
ხეთიდან სასწრაფოდ გაიგზავნა ქვეშევხებითა
და ტყვიამფრქვევით შეიარაღებული 50 კაცი.
გამგზავნული გვარდია არ ინდობდა არც მო-
ხუცებს, არც ქალს და ბავშვს. მენშევიკური
გვარდია ახალ-ახალ ძალებს იკრებდა და უტყე-
და აჯანყებულ გლეხობას. ზარბაზნების ძლი-
ერმა ცეცხლმა ააბულა ცუდად შეიარაღებული
გლეხობა უკან დაეხია და დასტოვეს საჩ-
ხერი.

რევოლუციურმა შტაბმა მოწოდებით მიმარ-
თა საჩხერეში მოქმედ, ე. წ. „სახალხო“ გვარ-
დიის შტაბს: „რევოლუციური გლეხობა გამო-
ვიდა თქვენს მიერ ფეხქვეშ გათელილ უფლებ-
ებათა დასაცავად. მას არ უნდა იარაღი და-
ეყაროს. თქვენ კი ძალით არიშევთ ხალხს
იარაღს, ცხენებს და სხვა საგნებს, წყევთ მშვი-
დობიან სოფლებს. უკანასკნელთა მხრივ არ
წარმოებს არავითარი სამხედრო მოქმედება.
რევოლუციური გლეხობას არ სურს სისხლის
ღვრა. საჩხერეში მყოფ სახალხო გვარდიის
შტაბმა დაე იცოდეს, რომ მთელ თავის მოქმე-
დებში პასუხს აგებს მთელი ქვეყნის რევოლუ-
ციური სინდისის წინაშე, უველგან საქართვე-
ლოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ეი-
თარღება გლეხთა აჯანყებანი, ეს გამოსვლები
გამოწვეულია თქვენივე მოქმედებით. თქვენ
გვონიათ, მთავრობა, რომელსაც თქვენ იცევთ,

ხალხის მიერ არის არჩეული, მაგრამ თქვენ
კარგად იცით, რომ თითქმის მთელი მშრომელი
ხალხი იბრძვის ამ ანარქიის წინააღმდეგ. მაშ
რადღას დავიდარაბობთ თქვენ? — ხალხი კი არ
არის შექმნილი მთავრობისათვის, არამედ მთავ-
რობა შექმნილი ხალხისათვის. იცოდეთ, მშრო-
მელი ხალხი იარაღს არ დაუყრს და სიყვლე-
დამდე იბრძოლებს, თუ მთავრობა მასზე გაი-
მარჯვებს, რაც ძლიერ საუკუთა, იგივე დარჩე-
ბა მაინც, როგორც მთავრობა არა ხალხისათ-
ვის. ნუ გეაუხებთ ახლა, როცა ცხოვრება სი-
ვლიც მოგვინდობს ვადამტყულოთ. ხალხს არ სურს
სხვისი სისხლი ღვაროს და ის პასუხს არ აგებს
თქვენი მოქმედებით გამოწვეული შედეგები-
სათვის. ვასთოდეთ, რომ თუ ამის შემდგომაც
არ დამყარდება მშვიდობიანობა თქვენ იქნე-
ბით უველადურში დამანაშაენი საერთაშორისო
პროლეტარიატის წინაშე, თქვენვე მოგიხდებათ
პასუხის გაცემა. თქვენ ნუ გვონიათ, რომ ასე
ადვილად გაიმარჯვებთ ჩვენი. ჩვენი სოლიდა-
რობა თანდათან მტკიცდება. ჩვენი ძალებიც
იზრდება, იარაღიც საკმაო რაოდენობით გვაქვს,
იხე რომ თქვენ ძალიან უნდა გაგვიწიოთ ანგა-
რიში, დაგვანებოთ თავი. ეს დამარჯვებლის
ლექია კი არ არის, არამედ პატიოსანი სიტ-
ყეაა რევოლუციური გლეხობისა, რომელსაც
წამს თავისი სიმართლე. ჩვენი პირობები:
1. შეიჩერეთ სამხედრო მოქმედება, გაიყვანეთ
ჩვენი რაიონიდან გვარდიის... 2. განათვისუფ-
ლეთ ჩვენი ტყვეები, ჩვენი მხრიდან პირობას
გაძლევთ მოვახდენთ ჩვენი ფრონტის დემოი-
ლიზაციას და გაეანთავისუფლებთ თქვენ ტყვე-
ებს. თუ თინახმა ხართ გამოგზავნეთ თქვენი
დელეგაცია ჩვენს შტაბში, სახალხო პირობების
შესამუშავებლად. საჩხერის რაიონის აჯანყე-
ბულთა გლეხთა შტაბი. 1918 წ. 8 ივლისი.“¹

გლეხთა რევოლუციური შტაბის მიმართეას
„სახალხო“ გვარდიის შტაბმა მხოლოდ ზარბაზ-
ნებისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლით უმასუ-
ხა კაპიტანმა ფხაკაძემ „თავხელი“ ძელეგატე-
ვის შეპყრობა კი მოინდომა. მან განაცხადა:
აჯანყებულებმა იარაღი ჩავვაბარონ, დაიშალა
და სახლში წაიღიანენ, ვადას იძლეოდა 11 ი-
ლისის 3 საათამდე.

მენშევიკურმა გვარდიამ აბუჩად აიგდო
გლეხთა შტაბის მოწოდება. რევოლუციურმა
შტაბმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიმართ-
ვა უშუამდგომ აღმოჩნდა, დაშლის და დაქსაქს-
ვის ნაცვლად შეკრბა გლეხობა. მათ თხოვნით
მიმართეს გორის მარბის მშრომელებს, ქიათუ-
რის რაიონის სოფ. ხრეიის რევოლუციური
შტაბს. აჯანყებულები 3 ნაწილად დაიფენენ,
რათა საჩხერეში მოკალათებული გვარდიისათ-
ვის შეეტიათ. მოულოდნელმა იერიშებმა თავ-

1. ვაზუთი „სოციალ-დემოკრატია“, 1918, ივ-
ლისი.

1. ვაზუთი „სოციალ-დემოკრატია“, № 368,
1918.

ზარი დასა მენშევიერ გვარდის ხელმძღვანელებს. აწაყებულებმა სწრაფი ტემპით იწვეს წინსვლა, მათ ხელო იგდეს „მადი ნახეს“ ციხეზე დადგული ტყუამტრევევი. მაგრამ აწაყებულებმა მხოლოდ რამდენიმე საათი გაიშინეს. ვაკოყებულმა იმხნელმა არტილერიის ცეცხლი გასხნა და აწაყებულები იძულებული გახდნენ კვლავ უკან დაეხიათ. მენშევიერები არა მარტო აწაყებულთა ნაწილებს უშენდნენ უცესლს, არამედ ახლო-მახლო სოფლებსაც: ორულს, საკობას, სპეთს, სანანს, არგვეს, კორელიას, გორისას და სხვ.

აწაყებულებმა ვერ გაუძლეს ასეთ ჭარბ ძალებს და მთებში გაიხიზნენ იმ იმედით, რომ ახალი ძალით შეეცაით მენშევიერები სისხლიანი რევიმის წინააღმდეგ.

სახეების გლებთა აწაყება სრულ ერთ თვეს გაგრძელდა. მენშევიერმა გვარდიამ დიდი ზიანი მიყენა სახეების მშრომელებს. დაწვეს 45-ზე მეტი სახლი. სამხედრო საველე სასამართლომ ადგილზე დახვრიტა 21 ცაცზე მეტი, ციხეებში გაგზავნა 90-მდე, ბრძოლაში დაღუპულთა, დაჭრილთა და დასახიზრებულთა რიცხვი ხომ საკმაოდ დიდი იყო.

ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთში ფრონტიდან დაბრუნებულ ჭარისკაცთა რიცხვი საგრძნობლად დიდი იყო. მათ შიშიწვეს არალეგალური კრება, შეიქმნა პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც პირველსავე სხდომებზე 80 კაცი შეიყვანეს. სამხედრო შტაბის ზღმძღვანელად აირჩიეს არჩილ გოცაძე. პარტიული ორგანიზაცია (ბ. დევიძე). დღითი-დღე იზრდებოდა. სოფელ ხრეთში შეიქმნა გლებთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს არჩილ გოცაძე. საბჭომ რევოლუციური წესრიგი დაამყარა სოფლის მართვა-გამგებლობაში. სოფელი ხრეთის მსგავსად ასეთივე საბჭოები შეიქმნა ვაჭეში, ლვითორში, ჭვაციხეში, ცხილასთა და მუხტურში.

ჭიათურის რაიონის ცენტრში შედგა მიტინგი, რომელმაც ასეთი დადგენილება გამოიტანა: „ვივისს, 14 იანვარს შევიკრიბეთ და დავადგინეთ შემდეგი... რუსეთის დღევანდელი მთავრობა ეს არის მუშების, გლეხებისა და ჭარისკაცთა მთავრობა. ჩივრებმა ხალხმა პირველად იხილა მთელი რვა თვის განმავლობაში ნამდვილად მისი ინტერესების გამომატველი ორგანო, ამიტომ მას აღტაცებით ვუგებებით და აღუთქვამთ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძობებით ყოველგვარი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მის დასაინგრევად იქნება მიმართული...“¹

„ჩვენი სოფელი, — აღნიშნავდა ვახუთი „ბრძოლა“— ამჟამად დიდი რევოლუციური ქართველის წინაშე იმყოფება... ვაბატონე-

ბულ კლასებთან შეთანხმება-შერიგების ნაცვლად უკვე გაისმის ბრძოლის შეუწყობი კრიენა, რაც ძილს უფრთხობს შემამდუფებმა და მათ დამცველ მენშევიერებს“.

ჭიათურის რაიონის სოფლებში შეიარაღებულ აწაყებებისათვის მზადება მენშევიერებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ. დაიწვეს სოფლების განიარაღება. — მენშევიერებმა სოფელ თუზში დახოცეს ბოლშევიკი ჭარისკაცები. მკვლელობის ამბავი ელვის სისწრაფით მიედრო მთელ რაიონს. დასაფლავება გადაიქცა დიდ დემონსტრაციად. რაიონის ყველა სოფლებიდან თავი მოიყარეს დიდძალი შეიარაღებულმა ნაწილებმა, გაიმართა მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რევოლუციური შტაბის უფროსმა ვოცაძემ. მან განაცხადა: „მენშევიკ-პროვოკატორებმა ჩვენ ყველაფერი წაგვართვეს, მხოლოდ ცაბილი სიტყვებით, დაბრკობებით გვიყოლებენ. მათ არ შეგვიქმნეს ცხოვრების მინიმუმიც კი. არ მოგვეცეს მიწა, ჩამოგვამორგეს დიდ სოციალისტურ რუსეთს, ფეხქვეშ გათოლეს ყოველგვარი ადამიანური უფლებები და გააძაღეს ძმთა მკვლელი ომი. საქართველოს ყოველ კუთხეში მზადდება შეიარაღებული აწაყება. ამ აწაყებას უნდა შეუერთდეს ჩვენი რაიონიც, რათა დავამხოთ მენშევიერები მთავრობა. მივალწიოთ იმას, რასაც მიაღწია რუსმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ზღმძღვანელობით“.¹ მიტინგმა მიიღო დადგენილება რაიონის სოფლებში შექმნილიყო რევოლუციური კომიტეტები და ყოველიყვენ მზადყოფნაში.

მენშევიერებმა მთავრობამ ღამით გვარდია გაგზავნა ჭიათურის მთელ რიგ სოფლებში. განიარაღეს ფრონტული ჭარისკაცები, გადასწვეს მთელი რიგი სოფლები, ზოლო სოფელ ხრეთში, სადაც კარგად შეიარაღებული გლეხთა იყო, ვერ გაუბდეს შესვლა. სოფლის გარშემო არტილერია დადგეს და დაუშინეს უდანაშაულო ბავშვებს და ქალებს. იწვოდა სოფელი. რევოლუციურმა შტაბმა განგამოსთ გააღვიძა სოფელი და დაწყო გათრევისას ბრძოლა. რევოლუციურმა შტაბმა დღევანდელი გაგზავნა გვარდის წარმომადგენლებთან და თხოვა, რომ შეიწყვიტათ ბავშვებისა და ქალების ძლევა და იწყვედა ხრეთისა და რგანს შორის საბრძოლველად. გვარდია შეუწყვიტლად უშენდა უშეზარბეს სოფელს, აწაყებულთა შტაბის გადაწყვიტვლებით ფრონტული ჭარისკაცები ტყეში გაიხიზნენ, შეუერთდნენ საჩხერის პარტიზანულ ნაწილებს და მოსვენებას არ აძლევდნენ მენშევიერ გვარდის.

ჭიათურის რაიონის მფრინავი რაზმის ზღმძღვანელი სამხარაძე სოფლებს აწიოკებდა. იი

1. არჩილ გოცაძის პირადი არქივი, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდიდან.

მრავალთაგან ერთი მაგალითი: „...ამას ჩამოართვათ ცხენი, იმას სიმინდი, იმას პური, ამას ცხვიარი და სხვა... იმას კი არ კითხულობს აქვს ვინმეს რამე? რომ რგანში ჭინჭართი იკვებებოდან, რადგან საჩიო არ აბადიათ...“ ხალხი მეტად უმეყოფილოა მთავრობის ავანტიურებით... ამავე წერიალი კეთილშობილი, რომ რგანის მშრომლები მოითხოვენ კომისარიატი არჩეული იქნეს ხელახლა და თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, „რგანის მშრომლები იარაღს მოკიდებენ ხელს და მოიშორებენ ამ ტანჯულ უღელს... რგანის მშრომელი ხალხი კითხულობს და განცვიფრებულია, რატომ მომარტებს არ სჯიან დანაშაულისათვის, ესაა კთავრობა?“¹

1918 წლის თებერვალში ბელაგორში (ხარაგაული) დააარსეს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომლის ერთერთი აქტიური წევრი, ფილიპონ ლაბაძე, მოგვითხრობს, რომ „ჩვენ შიშივე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, რომ არ შევემჩინეთ მენშევიკების ავანტიურს, ვაწყობდით ფარულად სხდომებს. სამშენებლოში, რეზინების სადგურში, სეირანობის დროს ერთმანეთს გადავცემდით პარტიის მითითებებს და ფართო ახსნა-განმარტებას ვუწარმოებდით პარტიის წევრთა და თანამარტობთა შორის“.

მენშევიკური მთავრობის შეუმჩნეველი არ დარჩენია ხარაგაულის რაიონის ბოლშევიკების მუშაობა და თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკები დაპატარავს და ჩასვეს შორაბნის სამხარო ციხეში.

გლეხები არ ცნობდნენ მენშევიკების მიერ მიღებულ კანონებს, რომლებიც მიმართული იყო გლეხთა მდგომარეობის გაუარესებისაკენ და თვითნებურად იტაკებდნენ მიწებს. ქუთაისის გუბერნიის კომისრის სახელზე ვაგხავნილ განცხადებაში, რომელიც ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეს შემამულე ქალს ეუთვნოდა, ვკითხულობთ: „გლეხები აღარ იძლევიან საიჯარო გადასახადს, რადგან მათ მიანიათ, რომ კრძომ საკუთრება მიწაზე უკვე გაუქმებულია და მიწები გლეხების სრულ განკარგულებაში გადავიდა“. იგივე შემამულე ქალი იტყობინებოდა, რომ გლეხები „თვითნებურად ჩეხდნენ მის ტყეში“².

„თითქმის ყველა სოფელი დაირაზმა ბოლშევიკების გარშემო... ხარაგაულის რაიონის სოფლებში ნებობირის, ბეკათბნის, გოლათუბნის, — ზემო შთის სოფლებში... ხალხი ფუსფუსებს, ეშაადება და აცხადებენ, როდესაც მოვლენ ბოლშევიკები ჩვენ ყველანი იმათ შეუერთდებით და გავაწორებთ ყველაფერს“³.

ჩხარის რაიონში (თერჯოლა) 1917 წლის პირველ ნახევარში შეიქმნა პარტიული ორგანიზაცია, ჩხარელმა ბოლშევიკებმა, რომლებს თითქმის ყველა სოფელში შექმნილი გლეხთა საბჭოები, დაიწყეს სოფლების შეიარაღება.

ბოლშევიკებმა დაბა ჩხარში 1917 წლის 16 მარტს გამართეს ხალხმრავალი მიტინგი, სადაც მიიღეს დადგენილება გაეგზავნოს რუსეთის მუშათა კლასის მსოფლიო მეფის ჩამოგდების და საბჭოების შექმნის შესახებ.

1918 წლის 19 თებერვალს ჩხარში მიმდინარეობდა სკოლის შენობაში კრება, რომლის დღის წესრიგში იდგა საკითხი მიმდინარე მომენტზე. ჩხარის მენშევიკთა ბუროში მიიღეს სასწრაფო დადგენილება, რომ გაერკეთათ მიტინგის მონაწილეები და დაეპატარებინათ ბოლშევიკი აგიტატორები. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანისათვის გამოწვეული იქნა შორაბნის მახრიდან შეიარაღებული ნაწილები. სასკოლო შენობაში შევიდნენ მენშევიკი და მოუწოდებდნენ ხალხს დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ დაბაში ატეხდნენ სროლას. მენშევიკებმა ვერ შეძლეს მიტინგის დაშლა, მაშინ მათ გვარდიის დახმარებით აღუა შემოარტყეს სასკოლო შენობა და გამაყრუებელი სროლა ატეხეს პაერში. მიტინგის მონაწილენი სრულ წესრიგს იცადნენ, ჩაეყრეს ყველა გასასული კარი და ლამის პირველ საათამდე განაგრძობდნენ მუშაობას.

შორაბნის სამხარო მილიციიდან მეორე დღეს გამოსხდდა ვაჩიჩილაძე. იგი მოითხოვდა იარაღსა და იმ ბოლშევიკების დაპატარავებას, რომლებმაც მოაწყეს მიტინგი. ხალხმა არ გასცა ორგანიზატორები.

ჩხარელმა ბოლშევიკებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა. დღითი-დღე ზრდდნენ პარტიული ორგანიზაციის რიცხობრივი შემადგენლობას. მათ ფართო კავშირი ქონდათ ქუთაისის საგუბერნიო პარტიულ კომიტეტთან, მოქმედებდნენ ბროშურები და პროკლამაციები, აწყობდნენ მიტინგებს და აშაადებდნენ გლეხების შეიარაღებას.

მართალია, 1917-1918 წლების გლეხთა აჯანყებანი დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება არ იყო მორალური, გლეხობა აყენებდა ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადების საკითხს და ახლა გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ მტკიცე კავშირი შეეკრა სოციალისტურ საბჭოეწიფოსთან, დიდ რუსეთთან შეეკავშირებინათ თავისი ძალები.

1919 წლის დსაწყისიდანვე საქართველოში კავკაიდან თბილისში დაბრუნდა რკ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა 1919 წელს აჯანყების მომზადებისა და გატარებისათვის, აღდგენილ იქნა კომუნისტური ორგანიზაციები, ეწყობოდა სა-

¹ ვაზეთი „შრომა“, № 7, 1918.

² ვაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, № 259, 1918.

³ ვაზეთი „ერთობა“, № 158, 1918.

გუბერნიო და სამხარო პარტიული კონფერენციები, რომლებზედაც პარტიული მუშაობის გაძლიერების ამოცანებთან ერთად იხილავდნენ საკითხს შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

შორაპნის მხარაში ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა სამუშაოდ მიაღწია ალექსანდრე ვაშაძე, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია პარტიული ორგანიზაციების მშენებლობის საქმეში. შორაპნის მხარაში ბოლშევიკი პროპაგანდისტები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ 1919 წლის აჯანყებას იყვნენ გ. და ა. ვაშაძეები, ს. კაპანაძე, დ. ბაქრაძე, ა. გოცაძე და სხვ. ისინი განუშარტავდნენ მშრომლებს კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდებას და ადგილზე სახელდნენ ღონისძიებებს.

შორაპნის მხარაში ხშირად ეწყობოდა გაფიცვები. აი რას ვკითხულობთ გაზეთ „ერთობაში“: „გაფიცვით დატვირთული სამოცი ვაგონის გადმოტვირთვა შეჩერდა. მუშებმა გადმოტვირთვაზე უარი განაცხადესო, ვინაიდან მათ მეტი ჰქონდათ ხელფასი, არ ეძლეოდათ მატარებლით უფასო მგზავრობა და წამლები, მშვირი კუბით, ჰამაწყვეტით ეწყობა ცოკერებას შორაპნის მუშაო“¹. „შორაპნის ვაგონების მტკირთვე მუშებს დიდი თანაგრძობა გამოუცხადეს ძირულის აგურის ქარხნის მუშებმა, სადაც 200 კაცზე მეტი მუშაობდა და დაიწყეს მასიური გაფიცვა. აგურის ქარხნის მუშებს შეუერთდა საღებავების—სურბასა და კარის მუშები. გაფიცულები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას“².

1919 წლის ნოემბერში საჩხერის რაიონში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. რამდენიმე სოფელმა დაამხო მენშევიკთა ხელი-სუფლება. მაგრამ მენშევიკთა გვარდია სწრაფად ამოქმედდა და დაიწყო სოფლების აწოკება. დაწვა და დარბევა. გაზეთი „ერთობა“ უსიარტყვილოდ წერდა: „საჩხერის რაიონში მოქმედმა გვარდიამ, რომელსაც უფროსობს ლბაძე, რაზმი ორ ნაწილად გაყო, სტრატეგიული პუნქტები დაკავებულა, მემამბოხეთა მეთაურები დატყვევებულა. 2 დეკემბერს საველე სასამართლომ სიკვდილით ადგილზე დასაჯა გიორგი და ნიკო გელაშვილები, მიხა სამხარა-

ძე, პეტრე აბულაძე, სარდიონ კაპანაძე, მიხა მელაძე და სხვები“¹.

1919 წელს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე უნდა დაწყებულიყო საერთო საყოველთაო აჯანყება საქართველოს ყველა მხარაში. ამ მიზნით რკ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შექმნა აჯანყების ერთიანი ცენტრი თბილისში. თითქმის ყველა მხარა მზად იყო და ელოდა ცენტრიდან სიგნალს აჯანყების დაწყების შესახებ. მაგრამ ინგლისისა და მენშევიკების აგენტებმა, ცენტრი დაამატარეს და ვეღარ მოხერხდა აჯანყების ორგანიზებული დაწყება. სამხარეო კომიტეტმა აცნობა მთელ რიგ მხარებს, რომ თავი შეეკავებინათ და არ დაეწყათ აჯანყება. მაგრამ ეს ცნობა მხარეების ნაწილმა დროზე ვერ მიიღო და დაიწყო აჯანყება, რაც მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისის იმპერიალისტების დახმარებით ჩააქრო.

1919 წლის აჯანყება დამარცხდა, აი რას წერდა ფილიპე მიხარაძე: „ამგვარად ბოლშევიკური მოძრაობა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მას ხალხის ფართო მასებში ღრმა ნიადაგი ჰქონდა, ყველა დამარცხდა. ამასთანავე, ორგანიზაციები დაინგრა, თითქმის ყველა აქტიური მომუშავე ან დახვრტილი იყო, ან სატელალოში იჭრა. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ხალხი გატყვევებულა და ჰქნდნენ მოიხრდა მტარავლების წინაშე, მაგრამ ეს არ მოხდა. მენშევიკების სიმხვეცი და ჭალათობა ხალხი ერთი მხრით კიდევ უფრო აღამფოთა და, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გააყავა. მას იმედი ჰქონდა, რომ ახალი გამოსვლების დროს ის უსათუოდ გაიმარჯვებდა...“²

1921 წლის თებერვალში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი. რომელიც ხელმძღვანელობდა აჯანყებას. რევოლუციურმა კომიტეტმა საქართველოს მშრომელთა სახელით მიმართა თხოვნით ე. ი. ლენინს.

საბჭოთა რუსეთმა დახმარების ხელი გამოუწოდა აჯანყებულ ქართველ ხალხს და 1921 წლის 25 თებერვალს სამდღამოდ დაეხმო მენშევიკური დიქტატურა.

¹ გაზეთი „ერთობა“, № 138, 1919.

² ფ. მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში 1917-1921 წ. გვ. 147, 1923.

1. გაზეთი „ერთობა“, № 137, 1919.

2. გაზეთი „ერთობა“, № 138, 1919.

დავით თაყაიძე

გიორგი ქუჩიშვილის ეპიკური ნაწარმოებები

გიორგი ქუჩიშვილმა ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში პოპულარობა მოიპოვა უმთავრესად როგორც შესანიშნავი ლირიული ლექსების ავტორმა. მაგრამ ჭეროვნად დაფასებული არ არის მისი ეპიკური ნაწარმოებები, რომელთა შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაზე.

გ. ქუჩიშვილის პოეტურ ეპოსში წამყვანი ადგილი უკავია რევოლუციურ თემატიკას. მისი ადრინდელი პოემა „ტორილა“, რომელსაც საფუძვლად უდევს მზის სხივებში შეკრილი ტორილის დაწვის თქმულება, აღგზორიულ ფორმებში გამოხატავს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის, ხალხისათვის თავდადებული ადამიანის ბედს. ანალოგიური ხასიათისაა პოემა „მეტეხში“, მაგრამ აქ ავტორის ხედვა უფრო კონკრეტული და რეალისტრია. ეს ნაწარმოები ჩვენს ცნობიერებაში აღადგენს კაპიტალიზმის ეპოქაში ახლად გამოღობებულ, მაღალი რევოლუციური შეგნების მქონე მუშის სახეს. მართალია, პოემის გმირი პატიმრობაში კვდება, მაგრამ იგი კვდება მშრომელი ხალხის გამარჯვების ღრმა რწმენით.

ამ თვალსაზრისით საუფრადლებოა პოემა „ტყვე არწივიც“, რომელიც ასახავს რევოლუციის უშინაირი ჩაინდის ლადო კვიციანიძის ცხოვრების ტრაგიკულ ფინალს.

არსებითად ამავე თემატიკურ რკალს განეკუთვნება პოემა „რისთვის?“ იგი გამოხატავს ადამიანის შიშიმე ჭეჭდრის რევოლუციამდელ სინამდვილეში. ნაწარმოების გმირმა ეფრემმა „დაკვში, დასწყველა ძველი წესრიგი“, თოფიარლი აისხა და, როგორც დგენილმა, ურთ, უკაცრიელ ადგილებს შეაფარა თავი. უთანასწორო ბრძოლაში ეფრემი დაეცა. მაგრამ მწერალი არ კმაყოფილდება სინამდვილის მარტოოდენ პასიური ასახვით; მას აინტერესებს გაარკვეოს ის, თუ რისთვის ხდება უკველივე ხს, რამ აიძულა ეფრემი იარალი აესხა და ტყეს შეფარებოდა, რატომ ვადალწყვეს მას სახლკარი, რატომ დაეგმო და დასწყველა მან ცხოვრებაში გამეფებული წესრიგი და, დასასრულს, რატომ დაიღუპა იგი—აი, წყება იმ საკითხებზე, რომელ-

თა გაარკვევა აინტერესებს მწერალს. ნაწარმოების დასათავრებაც ამ ეპოპულური კითხვების გაღაწყვეტაზე მიგვანიშნებს. ტყვეით ვანგმირულ ეფრემის ცივი თვალები, რომლებიც საუვედღრით მიეპყრო მას ცისთვის, „თითქოს ჭკობხვადეა: რისთვის?“ პოემა „რისთვის“ ღრმად ჩააფიქრებს მკითხველს და ზიზღს აღძრავს იმდროინდელი რევოლუციისა და სოციალური ვითარებისადმი.

გ. ქუჩიშვილმა შექმნა რევოლუციონერი, მუშათა ელასის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მგოსნის ორიგინალური სახე. დრამატულ პოემებში — „ვარსკვლავი“ და „კოშკი“, მგოსანი წარმოსახულია, როგორც მშრომელი ხალხის ქომაგი, მისი სულისკვეთების გამოხატველი და იმედი. თემცა „კოშკი“ მგოსანი სუსტად ეხშიანება პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ადამიანთა მებრძოლ ბუნებას, მაგრამ პოემაში ასახულ მგოსნის ბუნებაში აშკარად შეინიშნება პროტესტანტული განწყობილება, ბრძოლის ენა.

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს დრამატული პოემა „ვარსკვლავი“. პოემის გმირია ახალგაზრდა მგოსანი ივერი. იგი ღრმად დაარწმუნებული ხალხის მომავალში დასწამს, რომ ადამიანის ძალას შეუძლია შექმნას „საოცნებო მხარე“, სადაც იმეფებს შვება და ნეტარება. ამასთან ივერი მხოლოდ მყოცნებე პიროვნება როდია, არამედ განსახიერება მოქმედებს, სიმამაცისა და გმირობის; იგი წინ მიუძღვის მებრძოლ მუშებს და ხალხს ჩამოუტანს საოცნებო ვარსკვლავს, რაც სიმბოლურად გამოხატავს ხალხის მიერ საოცნებო იდეალიზის განხორციელებას.

გ. ქუჩიშვილის პოეტურ ეპოსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განდევნილობის პირობებში. ამ თემას ეხება გ. ქუჩიშვილის პოემა „სენაკი“ და ცნობილი ბოლშევიკური ხელია. ამ შემთხვევაში პოეტი გვესახება დიდი წინაპროს — ილია ჭავჭავაძის თემატიკური-იდეური ხაზის გამგრძელებლად. გ. ქუჩიშვილისავე მიანჩია, რომ ცხოვრობიდან ვანდგომამა და ზორცის „წამება“ — ამოთებაა. ჭერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი პოემა „სენაკი“, რომელიც დათარიღებულია 1911 წლით, გვევლინება: როგორც ჩამოყალიბებული ათისტი. ამ

პოემაში გ. ქუჩიშვილი აშკარად გამოხატავს ცხოვრებისაგან განდგომის „ფილოსოფიის“ უნიადგობას;

უკ, მწირო, მწირო,
ჭილარა წვერით,
ხშით ღმობიერით
ვის შეპლადიდებ?
სულსა წყევლსა,
ძალშილედსა
რისთვის აწიმებ?
რად ავადებ?
ნუ თუ გგონია,
რომ შენს ვედრებას,
შენს ცხემლთა ფრქვევას
და ღაღადებას
ისმენდეს ღმერთი?
არა და არა!
მე ლოცვა შენი
ამოდ ისმის
იმ უდაბნოში..

პოეტი ვერ კიდევ რევოლუციამდე, როდესაც იდეალისტურ და რელიგიურ შეხედულებებს ძლიერი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე, გაბედულად უარყოფს „იმ ქვეყნიურ“ სამოთხეს და პირიქების განდგომას ნამდვილი ცხოვრებიდან.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გ. ქუჩიშვილის ცნობილი ბალადა „ჩაქვის ხიდი“, რომელიც თავის იდეურ-მხატვრული ღირსებებით ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. მასში მწერალმა ეპიურ თორმანში რელისტური პოეტური სახეებით გამოხატა, თუ როგორ იმსხერვიოდა რელიგიური ფანატიზმი, როცა იგი ცხოვრებას შეეყაზებოდა.

ბალადაში უღამაზესი ქალწულის სახით, რომელიც წარმოადგენს მარადიული ღვთისა და ოცნებების საგანს, აქვეყნიური მშვენიერების სიმბოლოს, ავტორი წარმოგიადგენს რეალურ ცხოვრებას, რომელთან უიღბლო მარცხდება ძველთაძველი ჯვრის მონასტრის — სპარტელოში ქრისტიანული რელიგიის ამ ფლანკის ციტადელის — უკანასკნელი მდგმურა.

და მას შემდეგ სიყრუეა
ჯვარის მონასტერში,
საოცებლურად დაკიდულა
ღმერთები ქერში.
აღარაფერ აღარ სწირავს
დღეს იმ მონასტერში,
და ისობა ყოველივე
ღრო და ჯამის მტვერში,
მხოლოდ დარჩა ეს ლეგენდა
უკვდავ ქართულ ერში.

მ წარმოების იდეური გადაწყვეტა და ზოგი მხატვრული დეტალი ჩვენში აღძრავს

ი. ქვეყაძის „განდგეგლის“ ასლიცაყენს, მაგრამ „ჩაქვის ხიდი“ ორიგინალობის უტყუარი ბეჭედი ახის და მკითხველს იტაცებს მებრძოლული სახეებით, პოეტური სტრიქონების დაღი წყობით, რაც განსაზღვრავს მთელი ნაწარმოების რიტმს.

გ. ქუჩიშვილის პოეტურ ეპოსში გინცალევეებით დგას პოემა „მონადირენი“, რომელიც გამოირჩევა მყარი სოფეტითა და გმირთა ცხოვრების ტრაგიკული ფინალით.

საბოლოო ხელსუფლების პერიოდში გ. ქუჩიშვილის შემოქმედებებში უფრო ფართო ხასიათს იძენს რევოლუციის თემა. სატყუნეობით ჩაგრული ხალხის აზვირთება და ბრძოლა, რომელიც პროლეტარიატის სრული გამარჯვებით დამთავრდა, ასახულია პოემაში „ოქტომბერი“.

პოეტის ხედვა ხშირად სცილდება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და გამოხატავს მსოფლიო მუშათა კლასის სოციალური ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელ სურათებს (პოემა „კაპიტალისტური მსოფლიოს ნგრევა“).

მომინი წლებში საყოლმურნეო სოფლის ფონზე იშლება გ. ქუჩიშვილის პოემა „სოციალისტურ დიად კახეთში“. ეს ნაწარმოებო, რომელიც წარმოსახავს კოლმურნე გლეხის მაღალ შეგნებას, და მის საზეიმო სულიერ განწყობილებას, ფორმის თვალსაზრისით წარმოადგენს ლირიკული და ეპიკური თხრობის ორგანულ შერწყმას. მასში განსაკუთრებული ღირსებით გამოირჩევა გოგია მერხანგარის სიმღერა, რომელმაც საყოველთაო გაერყელება პოემა და ხალხმა იგი საუვარელ სიმღერად აქცია.

ამავე პოემაში ავტორმა ოსტატურად გამოიყენა ჭარბული მკითხველისათვის ყარგად ნარინობი ლტოლვილური სახეები: ვაჟის მინდია, ილიას კაო ყაჩაღი, ზაქრო და ხალხური არსენა ოძელაშვილი, რომლებიც, ავტორის გააზრებით, ახლა ნამკლით ხელში, საყინვახსნილი, მარჯვედ შრომობენ საყოლმურნეო ყანება და ბალ-ვენსაძებში.

გ. ქუჩიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა XX საუუნის ქართულ პროზაშიც. მისი მრავალმხრივ საინტერესო მოთხრობები, რომლებიც რელისტურად ასახავენ რევოლუციამდელი ქართული სოფლის დამახასიათებელ სურათებს, აქამდე შეუსწავლელია. გ. ქუჩიშვილის ადრინდელი პროზაული ნაწარმოებები დათარიღებულია 1909 წლით. ხოლო მისი მოთხრობების პირველი ტომი გამოვიდა 1914 წელს, ლირიკული ლექსების კრებულთან ერთად.

გ. ქუჩიშვილის პროზის თემატიკა მრავალფეროვანია. ისე როგორც თავის პოეზიაში, მწერალი ბელეტრისტულ თხზულებებშიც დანტერესებულია მშრომელი ადამიანის ყოფით

მისი სოციალური გარემოთი და ზედით. გ. ჭე-
ნიშვილის შემოქმედებაში სოციალური გარემო
როდეს ჩანს მიშვლად, ერთფეროვნად, იგი წა-
ბრმდგენიანია, როგორც საფუძვლიანი და სხ-
წყისი ადამიანთა მრავალფეროვანი ყოფისა
მთელი სიკვარითი, სიხარულითა და ტკივილ-
ებით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მწერ-
ლის ერთ-ერთი პირველი მოთხრობა „მომღე-
რალი“. მასში ნათლად ჩანს რეაქციის პერი-
ოდში დამსჯელი რაზმისაგან განწამვლები
გლუხაკის ავი ზვედრი. მაგრამ დასახელებუ-
ლი მოთხრობის დედაპირი მაინც სხვაა: იგი
გვიჩვენებს იმ დიად მაგიურ ძალას, რომელიც
განუფრული თვისებაა ჭეშმარიტი ხელოვნებისა.
მოთხრობა მხატვრულად ადასტურებს ხელოვნ-
ების ცხოველ ზემოქმედებას ადამიანის სუ-
ლიერ სამყაროზე. მის დიად საზოგადოებრივ
რეაქციას.

კლასობრივი ბრძოლის მთავრი სურათია მო-
ცემული მოთხრობაში „ივანე“. მასში ჩანს
რეალისტი მწერლის კალმით დახატული ქარ-
თული სოფლის დამახასიათებელი სინამდვი-
ლე რეაქციის წლებში.

მოთხრობის ცოცხალი ენა, სხარტი დაილო-
ვი, ამბის ძალადუტანებელი, ბუნებრივი დინე-
რა, რომელიც ფინალში ტრაგიკულ დასრულე-
ბას პულღობს, ქმნის ერთიან, კომპოზიციუ-
რად მტკიცედ შეკრულ ნაწარმოებს. დასახე-
ლებულ ნაწარმოებში შკაბიხელს ხიბლავს
ციოლ-ქმრის დაილოვი, რომელშიც ლაქონურა-
და წარმოსახული რეველუციამდელი გლუხაკ-
ის სოციალური გარემო, მისი შრომისმოყვა-
რებაა, მოსიყვარულე და ფიზიკურად ჭინა-
ლი ბუნება.

მოთხრობა „ივანე“ თავისი ხასიათით წარ-
მოადგენს ვენ. ნინოშვილისა და მ. არაგვისძი-
რელის რეალისტური პროზის გაგრძელებას და
გამოხატავს ავტორის რეველუციური სულის-
კვეთებას, იგი დამახასიათებელი იყო, საზო-
გადოდ, გ. ჭეიშვილის შემოქმედებისათვის.

სოციალურ პრობლემებს ეხება მწერალი
თავის მრავალ მოთხრობასა და ეტოდში („სა-
ყოდავი“, „აგურის მზადველი“, „მხერგავი“,
„მღარაოი“, „მათე“, „ხელზე მოსამსახურე“
და სხვ.). ენოს სიტყვებში: „ოპ, ღმერთო,
ღმერთო, სად არის შენი სამართალი, სად?...
ზოგს აუარებელ სიმდიდრეს ანიჭებ, ზოგს კი
სიცოცხლესაც სტაცებ...“ („საყოდავი“) გამო-
წვევის ღრმა ტკივილები და ადამიანური სულის
წვილი უთანისწორი სოფლისაში.

რეველუციამდელი საზოგადოებრივ ძალთა
კრიტიკას იძლევა მწერალი 1909 წელს დაწე-
რილ ეტიოდში „უსათაურო“. ნაწარმოებში,
უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს რეაქციის
წლების ანატომიას, მაგრამ მწერალს ამ კონკ-
რეტულ-ისტორიული ვითარების ფონზე გან-
ზოგადებულად აქვს საზოგადოდ სოციალურის
გეოგის წინაღობისადმი მშრომელი ადამი-
ანის მიმე ზვედრი. ამ ნიადაგზე გ. ჭეიშვილის
შეხედულება უიმედობისაყენ იხრება. მაგრამ
ავტორის სევდა არ მიდის სასოწარკვეთილმა-
მდე: „რა გაუწყობა, — მიმართავ ავტორი ავ-
სულს. — ეამი შენია და ეამისა შენ ხარ მედ-
როშე“.

ავტორი ჭეიშვილის პროზაში გამოიჩინე-
ის მოთხრობები და ეტიოდები, რომლებშიც
ავტორი ასახავს ბუნების მოვლენებს, მცენა-
რება და ცხოველთა მდიდარ სამყაროს. მწერა-
ლი დიდი ოსტატობით ხატავს ილუმინაციით
აღსაყვე მთებს, მინდვრებს, ყელმოღერებულ
მელოდურ ირემსა და შიის აწყობა წყაროს. გ.
ჭეიშვილითან ბუნების მოვლენები გასულ-
დგმულზედ უფროა, მათთვის დამახასიათებელია ფი-
ჭრი, ცრემლი, სიხარული და ყველა ის თე-
სება, რომელიც კი შეიძლება ჰქონდეს ად-
მიანს. ამ თვალსაზრისით მწერლის მხატვრე-
ლი კონცეფცია ვაჟა-ფშაველასებურია.

გ. ჭეიშვილითან გასულდგმულზედ ბუ-
ნება ზნობად აღუგორიერი მნიშვნელობისა
და გამოხატავს საზოგადოებრივ მოვლენებს
და ფიჭრებს. მწერალი მცენარეებსა და ცხოვე-
ლებს ალაპარაკებს ჭეყენის აუკარგზე, მათ ჭირ-
სა და ზღბინზე. ამ გზით იგი ახერხებს ვადმის-
ცეს ადამიანთა სულიერი განწყობილება. მა-
გალითად, ეტიოდში „ფოთლები“, რომელიც
დაწერილია 1909 წელს, ჩვენ ვგრძნობთ რეა-
ქციის ხანის საზოგადოებრივ დეპრესიას; იმ
ტკივილებსა და მელონქოლისა, რაც ისტორი-
ულად დამახასიათებელი იყო ამ პერიოდისათ-
ვის. ეტიოდებში „ქედანი“, „მშვიდობით“,
„რევი“ გ. ჭეიშვილი ეხება ცხოველებსა და
ფრინველებთან ადამიანის დამოკიდებულებას.
მათში მკაფიოდ შეინიშნება ჰუმანისტი მწერ-
ლის სიბრალული და თანგრძნობა უტყუი არ-
სებებისადმი. იგი ამხელს იმ ადამიანს, რომე-
ლიც თავისი „მსუნავი“ და „გაუთმალარი“ კუ-
ქის ამოიყურად სიცოცხლესაც კი უსაბუნ-
საყვარელ ფრინველს („ქედანი“). მაგრამ ამ
შემოხვევაში საკითხი როდი ეხება მხოლოდ
ადამიანის მიერ საბრალე ფროსინზე ნადი-
რობის ფაქტს, არამედ იგი გაცილებით უფრო
ფართო მნიშვნელობის შეიცავს და ეხმაურე-
ბა საზოგადოდ ადამიანის მიერ ადამიანის გა-
ნადგურების პრობლემას, რაც მთელი სიმწვა-
ვით იღვა და გადაჭრას მოითხოვდა რეველუ-
ციამდელ ანტიკონსტრუქციულ საზოგადოებაში. მწე-
რალი ეტიოდში ადამიანს შთააგონებს სამარ-
თლიანობა, უძლეური არსებისადმი სიბრალული.
ისეთ ჩვეულებრივ მოვლენაშიც კი, როგორც
ნადირობაა, ხედავს ბუნების კანონზომიერების
ღარღვევას, უსამართლობას.

ამ პოზიციებიდან იგი პროტესტს აცხადებს
პრობლემის ან საზოგადოების ერთი ნაწილი-
საგან მეორის ჩავერის წინააღმდეგ. ამგვარად,
თუ ჩაუვკვირდებით დასახელებულ ნაწარმოე-
ბებს, ცხადი გახდება მათი ღრმა ქაბეჭქსიტი-

რომელიც მეტად დამაფიქრებელია ადამიანთა საზოგადოებისათვის, რამდენადაც ამ საკითხი ეხება საზოგადოდ ძალმომრეობას, ხარბი ადამიანის უჩაღურ ბუნებას. „სტაცებს იმას, რაც თვითონ არ მიუყვია...“ — თი საკითხი, რომელიც აღიღვებდა გ. ქუჩიშვილს.

ადამიანური ფიქრები და გრძნობები წარმო-სახული ეტიუდებში „ია“ და „ენძელა“. პირველში იგრძნობა წუთისოდლისადმი სამღერავი, აღმოცენებული ამქვეყნიურ წარმავლობაზე: შვეყნებითა და სილამაზით დაჭილდოებული ია სწუხს იმას, რომ ღმერთს „დიდი ხნი-სიციოცხლე არ გაუმეტნია მისთვის... და განა მარტო ჩვენი ენატრობთ ამას! — ამბობს იგი, — ყველანი... ყველანი“ („ია“). სრულიად საპირისპირო აზრს გამოხატავს მწერალი „ენძელაში“. მასში წარმოდგენილია ყვეილი, რომელიც შვეიდად ეგებება თავის ზედრს. ენძელამ იცის, რომ ერთ დროს უნდა დატკნეს და, თუმცა სიკვდილის ერთგვარი შიში მისაც ახლავს, მაინც არ სწუხს, არ მოთქვამს: „შე კი ვართი, ეკანალეშ შიშით, რადგანაც კარგად ვიცი, რაც მომელის იმათვან, მაგრამ კაცმა რომ თქვას, არც ისე ეზივი, როგორც ზოგიერთი ყვეილი... ეს ხომ ცხადია, რომ ადრე თუ გვიან დატკნობა არ ამღლებია... მაშ დეე ინეტარონ და იზხიარულონ ზაეშვეებმა... ერთხელ ხომ მაინც ვიხილე ტურჯა ბუნება, ბრწყინვალე მზე, ცის ობოლი ცხემლი... ერთხელ ხომ მაინც მომიგონებენ და იტყვიან: დაიღუბა, დატკნა მშვეწნური ენძელა, მაგრამ ერთხელაც არ უარევია თავისი ზედრი, არ დაუგვია ვაჩენის დღე, არ დანანებია ნორჩი სიციოცხლე... უკანასკნელა მისი ცვარიც კი სიცილით გაშრა... სიცილით იშვა და სიცილითვე მოკვდა...“.

ამ სტრიქონებში ზგენ ეგრძნობთ ადამიანურ სევდას, რომელიც გამოწვეულია წუთისსიცილის „გაუტანლობით“, ამ ქვეყნიურა წარმავლობათ, საკვდილზე ფიქრით. მაგრამ „ენძელაში“ ადამიანის დამოკიდებულების საკითხი საკუთარი ზედისადმი რატიმისტურადაა გადაწყვეტილი. ენძელა სიცილით იშვა და სიცილითვე კვლავა. ზოგიერთივით არ მისტირის თავის ზედს და ემყოფილი იმით, რომ ერთხელ მაინც იხილა ტურჯა ჰვეყანა, სიამოვნებით შეეწირვის ზაეშვეებს: დეე მათ მაინც ინეტარონ და იზხიარულონ. ეტიუდი „ენძელა“ ალგორიული ხასიათის ნაწარმოებია, რომლის ლირიულ ბჭყარებში მინიშნებულია ადამიანური ხასიათი და აზრები.

ბუნების თემაზე დაწერილ ნაწარმოებებშიდან აღსანიშნავია „მზე დიდებული“, „მთის ხმა“ და „მთის წყარო“.

გიორგი ქუჩიშვილის, როგორც რელისტი მწერლის შემოქმედებაში მძაფრად აისახა XI სუეუენის პირველი ნახვერის დიდი ისტორიული პროცესები, ღრმა სოციალური ძვრები და გარდაქმნები. პოეტისათვის მთავარია ნაწარმოებების იდეურა სიკვადე და სისადაეე. ამიტომ, არა მარტო მის პროზაულ ნაწარმოებებში, არამედ, ლირიკაშიც გ. ქუჩიშვილი მომწოდებულერ-ორატორულ ტონს იყენებს, მის დამბეულ რიტმს: და პათეტიკაში ვაისმის ეპოქის ძლიერი ხმა.

გიორგი ქუჩიშვილის პროზა ხასიათდება დიხევილი სტილით, მის ემჩნევა ოსტატის ზელო მოთხრობები, ისე როგორც მისი ლირიული ნაწარმოებები, კომპოზიციურად შეკრულია. ზოგჯერთი მოთხრობა, ეტიუდი და ბალადა „ჯაქვის ხიდი“ გარკვეულ ადგილს დაიჭერს მეოცე საუკუნის ქართულ ეპიკურ ეანრში.



მიხეილ სააკაშვილი

ივანე თარხნიშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა

ივანე თარხნიშვილი ქართველ მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც შეცხრა მეტე უკუნის სამოციან წლებში სწავლა-განათლების მიღების მიზნით რუსეთს მიამდგრა.

თბილისის პირველ გიმნაზიაში ერთხანს მუცადინეობისა და სახლში მოწოდების შემდეგ, ივანე თარხნიშვილი, გიორგი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, 1860 წელს პეტერბურგში გამგზავრებულა. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად აუცილებელი იყო საშუალო განათლების მოწოდება, რაც თბილისიდან გამგზავრებულ ახალგაზრდას არ გააჩნდა. სიმწიფის ატესტატის მისაღებად ივანე თარხნიშვილს განუზრახავს საექსტერნო გამოცდების ჩაბარება, რისთვისაც იგი მოუწოდებია ბესარიონ დოლობერიძეს. ასე რომ, პეტერბურგში ჩასული ივ. თარხნიშვილი ბესარიონ დოლობერიძისა და მისი ამხანაგების წრეში მოხვედრილა.

ბესარიონ დოლობერიძისა და მისი წრის მეშვეობით ილია ჭავჭავაძესთან საახლოვე, არსებითად, ქართველ სამოციანელებთან იდეურ სიახლოვეს ნიშნავდა. საკულისსიოა ის გარემოება, რომ პეტერბურგში მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილი — ნ. ნიკოლაძე და სხვები, რომელთადაც ახლო იყო ივ. თარხნიშვილი, იდეურ ურთიერთობაში იმყოფებოდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან და მათ მებაიარაბტრე ნ. გ. ჩერნიშევსკისთან, ნ. ნიკოლაძისა და სხვების მეშვეობით ჭაბუკ ივ. თარხნიშვილს, ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა უნდა განეცდებოდა; საამისო ფაქტებიც არსებობს.

პეტერბურგის მეორე გიმნაზიაში გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და საშუალო განათლების ატესტატის მიღების შემდეგ, ივ. თარხნიშვილი 1863 წლის 10 ოქტომბერს მიიღეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკ-მათემატიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ივ. თარხნიშვილი დიდი გულმოდგინებით ისმენდა მენდელეევის, ბეკეტოვის, ოსიანოვიჩის და სხვათა ლექციებს, რამაც დიდად შეუწყო ხელი მასში, საერთოდ, ბიოლოგიისა, კერძოდ, ცხოველთა ფიზიოლოგიისადმი ინტერესის გაღვივებას.

ცნობისმოყვარე ჭაბუკი გატაცებით ეუფლებოდა მეცნიერების დარგებს, მაგრამ მას დიდხანს

არ დასცალდა უნივერსიტეტში მეცადინეობა. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის მალე იგი უნივერსიტეტიდან გაიციხეს.

დიდი დავიდარაბისა და ცდის შემდეგ, ივ. თარხნიშვილი 1864 წლის 15 სექტემბერს ახერხებს პეტერბურგის მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში შესვლას. აქ მას განსაკუთრებით იზიდავს რუსეთის ფიზიოლოგიის მამა ივანე სენენოვი, რომლის გენიალურმა ნაშრომმა — „თავის ტვინის რეფლექსებმა“ 1863 წელს, გამოქვეყნებისთანავე, მიიპყრო სამეცნიერო და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება.

1869 წელს ივ. თარხნიშვილი ამთავრებს მედიკო-ქირურგიულ აკადემიას და 1871 წელს 2 ივნისს იცავს დისერტაციას მედიცინის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამის შემდეგ, ახალგაზრდა მეცნიერმა მოამუშაა შობლიურ საქართველოს და აქ საჭირო ლექციებით გამოვიდა თემაზე: „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“.

ქართველი საზოგადოებრიობა თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ივ. თარხნიშვილის მოღვაწეობას. ქართული პრესა სისტემატურად აშუქებდა მის საქმიანობას, მაგალითად, 1871 წლის „დროების“ № 39-ში ვკითხულობთ: „ამ ჩვენებურმა ახალგაზრდამ უქანასებულ დროს ისეთი სახელი დაიმსახურა რუსეთის სწავლულს ექიმებში, რომ უმკველია, იმის ლექციები ძლიერ საინტერესო და სასარგებლო იქნებოან ჩვენი საზოგადოებისათვის“. ასევე „დროებამ“ 1871 წლის 42-ე ნომერში მოათავსა საქმიან ვრცელი წერილი სათაურით: „დოქტორის ივანე თარხნიშვილის ლექციები“. „ორშაბათს, ... წერდა „დროება“, — ამ თვის თერამეტს საამოყენების გრძნობით გამოვედით თბილისის „ქრეთიკის“ ზალიდან. ჩვენმა ახალგაზრდა მედიცინის დოქტორმა ივანე თარხნიშვილმა რუსულად წაიკითხა საპუბლიკო ლექცია (საკითხავი) „ცხოველების მოძრაობაში ნერვებს რა მნიშვნელობა აქვთ“.

ლექციების კითხვა ივ. თარხნიშვილმა 1871 წლის 4 ნოემბერს დაამთავრა. მისი ლექციების შესახებ მრავალ ცნობას და შეფასებას ვხვდებით, როგორც იმ დროის ქართულ პრესასა და შემდეგში გამოქვეყნებულ მოგონებებში, ასევე თანამედროვეთა პირად მიწერ-მოწერაში. უკა-

ნასენელის საილუსტრაციოდ მოეყვანთ გრიგოლ ორბელიანის მიერ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი 1872 წლის 5 იანვარს მიწერილი წერილიდან ამონაწერს, „...იყო რამდენიმე ლექციები ფიზიოლოგიიდან, რომელსაც დიდთა საჭებურად კითხულობდა ახლად გამოჩენილი მსწავლელი უმაწვილო კაცო... ძღვეს ვედირსენით მსწავლელ ქართველს“. მიხვილ თემინიშვილი თავის შვილს ატყობინებდა: „მედიცინის დოქტორმა თარხნიშვილმა წაიკითხა უკვე ორი ლექცია. ლექციები აღსაესება სამეცნიერო ინტერესით“.

ლექციების დამთავრების შემდეგ „დროებაში“ მოთავსებული ერთ-ერთი სტატიის ავტორი წერს: „უფ. რედაქტორო! ნება მომეცით ორიოდე სიტყვი ის გრძნობა და აზრები გავიზიაროთ, რომელიც უფ. თარხნიშვილის ლექციებში აღარა ჩემში“. ამის შემდეგ სტატიაში ი. თარხნიშვილის ლექციებთან დაკავშირებით ლამარაკია საქართველოს მთელ რიგ საჭირობო-ბოლო საკითხებზე. სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „გისურვებთ, რომ უფ. თარხნიშვილისთანაა ნამდვილი გზის მაჩვენებელი ჩვენი საზოგადოებას და განსაკუთრებით იმის ახალგაზრდა წევრებს შემდეგმაც არ მოაკლდეს“.

„დროებაში“ 45-ე ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი სარედაქციო სტატია სათაურით „რა უნდა გამოეტანათ მსმენელებს უფ. თარხნიშვილის ლექციებიდან?“. წერილი იწყება შემდეგი სიტყვებით: „უკანასკნელ ლექციაზე, რომელიც ნოემბრის 4-ს იყო, უფ. თარხნიშვილმა გადაავლო თვალი ყველა იმ აზრებსა და საგნებს, რომელსაც წინანდელ ოთხ ლექციაში ილაპარაკა“. წერილის ავტორის გადმოცემით, ივ. თარხნიშვილმა განავითარა აზრი, რომ კაცის სხეულის რთული აგებულება და მისი ყოველგვარი მოქმედება ბევრად ჩამოჰკავს მანქანის მოწყობილობასა და მოქმედებას. როგორც მანქანისათვის საჭიროა რაიმე გარეშე ბიძგი, რომელსაც ის მოძრაობაში უნდა მოეყვანოს, ასევე ზემოქმედება აჩის საჭირო ადამიანის სხეულის მოძრაობაში მოსაყვანად.

ლექციების მიერ საზოგადოებაზე მოხდენილი გავლენის საილუსტრაციოდ ინტერესს მოკლებული არ არის ივანე თარხნიშვილის მიერ ლექციების კითხვის დროს პრესაში „უცნობის“ ფუნქციონირება გამოქვეყნებული ფელეტონი, რომელიც ასე მთავრდება: „მეფსალმებოდ ახალსწავლულს, ცოთილ იყოს, უმაწვილო კაცო, თქვენი შრომა. სახელი თქვენი ჩიწერება საქართველოს განათლების ისტორიაში, როგორც ბირევი მავალითა“. ავტორი გამოისთქვამს სურვილს, რომ ივანე თარხნიშვილს ბევრი მიმბაძველი გაემოუჩნდეს.

1895 წლის „კვალის“ მეთორმეტე ნომერშიც წერეთელი წერდა: „...ი. რ. თარხნიშვილი ერთი იმ ქართველ მეცნიერთაგანია, რომელ-

მაც დღეს განათქვამა სახელი სამეცნიერო კვლევით ევროპაში და რუსეთში, ეს იმ ქართველთაგანია, რომელიც გვაძლევს მავალითს, თუ რა უმაღლეს წერტილამდე შეუძლია ახლად გაიწიოს კაცის საკეთიბობო მეცნიერების ქარიცხლებეზე. თ. ი. თარხნიშვილი 1861 წელს ჩვენთან (მე და ნიკოლაქესთან) მოვიდა პეტერბურგს. ის იყო მაშინ თექვსმეტი წლის ახალგაზრდა და უნდა მომზადებულიყო ეგზამენის დასაპირად, რომ შესულიყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. მაშინ ბესარიონ ლოლობერიძე, ის იყო, უნივერსიტეტს ათავებდა. ივ. თარხნიშვილი მივბარა მას და ერთწელიწადნახევარში ისე მოამზადა ნიჭიერი ახალგაზრდა, რომ 1863 წლის გასულს ჩინებულად დაიჭირა შესასულიყო ეგზამენი ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტში. ერთ წელს შემდეგ ის გაიტაცა პრაქტ. სენენიერის ლექციებში და უნივერსიტეტიდან გადავიდა მედიკო-ხირურგიის აკადემიაში.

1864 წელს ის გახდა თვით პრაქტ. სექტორის ასისტენტი სენენოვს ძალიან უყვარდა ი. თარხნიშვილი და უწინასწარმეტყველებდა, რომ შენ უნდა შეიქმნე ჩვენი სამეცნიერო მუშაობის გამგებობაში...“

1871 წელს ი. თარხნიშვილი ჩამოვიდა თბილისში და აქ რამდენიმე პუბლიკური ლექცია წაიკითხა კრუჟოკის დარბაზში, ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიაზე. თვით პრეპარატების შემზადება ამ ლექციებისათვის გვეჩინა მონღოლთა მისიგან შე, პავლე ალექსანდრეს-ძე იზმაილოვს და ა. ა. ივანოვს. ლმერთო ჩემო, რამდენ ცოცხალ ბაყაყს მაშინ ტყავი გავაძრეთ და ხერხემლის ტენი ტენის ძაფებთან გამოვჩინეთ. მაგრამ ისე ფრთხილად, რომ ბაყაყი არ მომეკლათ. ივ. თარხნიშვილი ამისთანა შემზადებულ პრეპარატზე ცდიდა ხოლმე ევოლუციონულს ნაყადულს, რომ მსმენელებისათვის ეგზანსა, თუ როგორ მოქმედობს ელექტრონის ძალა ხერხემლის ტენიზე და ტენის ძაფებზე. ამ დროს მე და იზმაილოვი დიდთ განათებულიყარანთ, უკან გამოქმედებდით პრეპარატზე ელექტრონის ძალს. ბაყაყის მოძრაობის სურათი მავურებლებს თვალწინ იხატებოდა ეკრანზე მიმდგარი ჩრდილით. კრუჟოკის დარბაზში ტყეა აღარ იყო მავურებლებსაგან. განსაკუთრებით საინტერესოთ მიანდით ეს ლექციები მაშინდელს მანდილოსნებს.

საკუთარი მეცნიერეულით ჰყენდა ნათელს ახალგაზრდა მეცნიერო ი. თარხნიშვილი ფიზიოლოგიური ფუნქციების განმარტებას. ამ დროს, იმ ხანებში, მთელი თბილისის საზოგადოებას მხოლოდ ახალგაზრდა პროფესორის ნიჭიერებაზე ჰქონდათ საუბარი, და უნდა ეთქვათ, რომ იმან კიდევ შექმნა მთელი ეპოქა: მიძინებულ თბილისის საზოგადოებაში, იმან აღწარა უმაღლესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით, დედათ-

სქესში. უმეტეს ნაწილად ი. თარხნიშვილის შვედრეზინელებს და ცოცხალ მეცნიერულ სიტყვას უნდა დაბრალდეს ის მიმართობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს თბილისის ახალგაზრდობაში. პირველი მავალი იყო, რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზრდა ინსტიტუტზე და ზავედნიის დასრულებულმა ქალებმა მოინდომეს საზღვარგარეთ წასვლა უმაღლეს სწავლა-მეცნიერებას მისაღებად.

როდესაც პროფესორი თარხნიშვილი ეწვია ბოლო რუსეთს წასვლას, მისმა მეგობრებმა გაეცნოთო შინაური სადღიო. ამ სადღიზე დაესწრნენ სხვათა შორის... თვით მისი გამზრდელი ბესარიონ ლოლობერიძე. გზა რომ დაველოცეთ, იმან წარმოთქვა შემდეგი: „ჩემი მოვალეობა ჩემი სამშობლოს წინაშე მე ასე მესმის: მე უნდა დავუმტკიცო... ხალხს, რომ მართლაც იკავს ნიჭია და გონიერებას შეუძლია... თვით ვერობის საუფეთესო მეცნიერებასაც არ გამოუვარდესო“...

გამოთხოვების უამს ვროხმად შეეძახეთ: „ამერთმა ავსარტლებიროს ეგ შენი განზრახვა და გესახლებინოს საქართველოს ერთ მეცნიერების წინაშე!“

დღეს, მართლაც, მან მიიღწია ამ სურვილს. პროფ. ივ. თარხნიშვილი უპირველესი ფიზიოლოგია რუსეთში და მისი სახელი, როგორც მეცნიერის, ევროპაშიც არის განთქმული...“

1912 წელს „თემის“ 52-ე ნომერში მოთავსებულ კვატერინე გამაშვილის მოგონებებში კითხულბო: „ქალაქში ხმა ვავარდა ახალგაზრდა მეცნიერი თარხნიშვილი წაიკითხავს ლექციებს ფიზიოლოგიადნო, და მამინდელმა ეპიხეთებმა, რასაკვირველია, დაამომწეს ეს აზრები და თანაც აღნიშნეს, რომ თარხნიშვილი უკვე ცნობილი ლექტორია პეტერბურგში.“

„მეუღლე კრუციკის“ დარბაზში იყო დანიშნული ეს ლექცია-დღესასწაულები. მთელი ქალაქი ფეხზე იდგა, გარდამეტებულად მოსწავლუ ახალგაზრდობა. არც ერთი წარმოდგენა, არც ერთი გამოჩენილი არტისტი და საზოგადო მოღვაწე არ დირსებდა თბილისში იმისთანა საჯარო ოცაიებს, რაც თარხნიშვილმა თავისი ლექციებით დაიწახებრა მამინ.

მთელი საათობით ველოდიოთ კასასთან ბილითების მიღების ჭკბს. და თვით სალექციო დარბაზში ხომ გულის ფანქალობით და აღფრთოვანებით მოველოდიოთ ფარდის ახდას, რომ დაგვენახა შვენიერი ვაკეაი, სულ 25-26 წლის ჰბბუკი, უკვე დამახტრებული და სახელგანთქმული მეცნიერი და შესანიშნავი ორატორი. ჩამდენი ხანიც გადიოდა, იმდენი ივ. თარხნიშვილის სახელი და იმისაღმი ღრთოვლება ძლოერდებოდა ქალაქში, და უკანასკნელი ლექცია ღრის ხომ მთელ ტრიუმფად გადაიქცა კბბებო „კრუციკისა“, ფართო შესავალი ქუჩა, გავედილო იყო ხალხით და ვამს ძახილს და ტა-

შის კვრას ბოლო არ ჰქონდა. ქალები ია-ეიო-ღუფენდენ ფხბქვევ გამოჩენილ ლექტორს და სიცოცხლით საესე და გონიერებით ბრწყინვლუ ვაკეაეს.

ეს აღბაცება გარდამეტებული არ იყო. თარხნიშვილის ლექციები ფიზიოლოგიადან ნერვების სისტემის შესახებ ისეთის სისადაეთ და პოპულარულად იყო წარმოთქმული და თვალსაჩინოდ ნაჩვენებო ბუყაყების და ძაღლების სხეულზედ, რომ მესამე კლასის მეცნიერდებიც კი მიხვდებოდნენ ნათქვამს“.

ივ. თარხნიშვილის აღნიშნული ლექციები იყო თერგდალულთა თაობის წარმომადგენლის, სახელმწივეკვილი მეცნიერის გამოსვლა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საკითხებზე. ამ ლექციებში ი. თარხნიშვილი იცავდა მარქსადელი მატერიალიზმის პოზიციებს.

1872 წელს ივანე თარხნიშვილმა თბილისში გამოსცა აღნიშნული ლექციები. იდგალისტებმა იგი სამართლიანად მიიჩნიეს მატერიალისტურ ნაწარმოებად და მის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

იმ ხანებში თბილისში გაიშალა მთელი დისკუსია ივ. თარხნიშვილის ნაშრომში განეთარებული შეხედულებების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. დისკუსიის პროცესში ივ. თარხნიშვილმა პრესაში ბრწყინვალე პასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ივ. თარხნიშვილმა უმუალო მონაწილეობა მიიღო იმ ხანებში წარმოებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში და აქტიურად იცავდა მარქსადელ მატერიალისტურ შეხედულებებს.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, ივ. თარხნიშვილი თავის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობის პროცესში არ ივიწყებდა საქართველოს და ცდილობდა, რითაც კი შეეძლო, დახმარებოდა მშობლიურ ქვეყანას.

ქართული ეურნალ-გაზეთების რედაქტორებს სთავაზობდა წერილებს სხვადასხვა საკითხებზე. საკუთარი წერილების გარდა, აწვდიდა სხვა ეიტორების შრომებსაც. თბილისში არსებულ ექიმთა საზოგადოებას უგზავნიდა თავის სტიტიებსა და მოხსენებებს. მან უფრადღება მიატცია იმდროინდელ საქართველოში მოღებულ მებრტ და საზოგადო სენს — მალარიის და სცადა გამოეჩახა მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშვალება როგორც მერნალბობის, ისე პროფილაქტიკის მხრივ.

ივ. თარხნიშვილმა სამართლიანად მიატცია უფრადღება საქართველოს დაკოზბებულ ადგობებს, როგორც მალარიის ვავრცელების ეურებს, და პირველმა მიუთითა დაკოზბიანების საწინა-აღმდეგო ღონისძიებების დაწერკვისა და ვავრცელების სკვიროებაზე. მავრამ თვითმპყრობელობის პირობებში საამისოდ საკირო

სახსრებზე მთავრობა, რასაკვირველია, არ ფიქრობდა.

მოწინავე საზოგადოება დიდად აფასებდა და პატივს სცემდა მსოფლიოში სახელმწიფოებრივ მუცნიერს, მაგრამ მისი საქმიანობა, თავის პროგრესულ მინიარსის გამო, ცხადია, არ მოეწონებოდათ ოფიციალურ პირებს, თვითმპყობელობასა და მისი იდეოლოგიის მოტრფიალე აღამიანებს. ამის შედეგი იყო, რომ, როდესაც ივ. თარხნიშვილს აკადემიაში მოღვაწეობის 25 წლისთავი შეუსრულდა, გარკვეულმა წრეებმა ყველა ღონეს მიმართეს, რათა ივ. თარხნიშვილს სამუშაოსთვის თავი დაენებებინა. ისევე ვითარებაში, რასაკვირველია, ივ. თარხნიშვილი საიუბილეოდ არ იყო განწყობილი.

ივ. თარხნიშვილს შეუტყვია, რომ აპირებენ მისი მოღვაწეობის 25 წლისთავის აღნიშვნას. მაგრამ თანხმობა არ მიუცია. „ფერისი“ 1895 წ. 42-ე ნომერში ვითხოვლობთ: „ამას წინადაზნებში დაბეჭდილი იყო ის ამბავი, რომ აპირებენ პროფ. ი. რ. თარხნიშვილის 25 წლის მოღვაწეობა დიდის ამბით ილღესასწაულონ. ესაა თარხნიშვილს შემდეგი წერილი გავუზავინა ვაზ. ნოვ. ერ-ში“:

„ვაზ. ნოვ. ერ-“ დგან შევიტყვე, რომ ზოგერთებს სურთ, რომ ჩემს პატივსაცემად ილღესასწაულონ ჩემი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე 2 მარტს. საჭიროდ ვრაც ვაუწყო ყველას, რომ ილღესასწაულის მიღება არ შემობლან, ერთი იმიტომ, რომ უქიფოდა ვარ დამეორეც იმიტომ, რომ ესაა ისეთი ვარკობაში ვართ, რომ უღროთ მიმანია საიუბილეო ილღესასწაულის გამართვა“...

სახელწილი მეცნიერისა და პედაგოგის, შენაინწინვე მოღვაწის მუშაობის 25 წლისთავის აღანიშნავი იუბილე მინც ჩატარებულა. ივ. თარხნიშვილის იუბილეს ფართად გამოეხმურა ქართველი პრესა. „ფერისი“ ფურცლებზე მოთავსებული იყო ერთი წერილი, რომელშიც რედაქცია დაწვრილებით აცნობდა მეცნიერებს სასიქედლო თანამემამულის ცხოვრებასა და საქმიანობას: „გუშინ 2 მარტს, — წერდა ივერია, — შესრულდა 25 წელი მას შემდეგ რაც ი. რ. თარხნიშვილი სამეცნიერო მოღვაწეობას შეუდგა, და დღეს თვალსაჩინო სახელი და პატივი აქვს მოხვეჭილი... ი. რ. თარხნიშვილი როგორც მეცნიერი, ცხოველებსა და აღამიანის ფიზიოლოგიის მკოდენ, საქმოდ არის ცნობილი მეცნიერებაში. აქ სრულიად შექმდებლია ჩამოვალა ყველა იმ შრომებისა, რომელიც თარხნიშვილს გამოუტყვევებია ფიზიოლოგიის შესახებ. ისიც საკმარისია ვთქვათ, რომ როგორც ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, თარხნიშვილმა ასახე მერა შრომა დაბეჭდა ექსპერიმენტალურ ფიზიოლოგიის შესახებ და ბევრი მოწყვეტ შეიძინა, რომლებიც ზოგი რუსეთისა და ზო-

გიც საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მუშობენ.

გარდა ამისა, თარხნიშვილს იდეალურ წყევრე დახელოვნებულ პოპულარიზატორად და ლექტორად. ამჟამად ი. რ. თარხნიშვილი სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად ბერის ჩაიხიხელი“.

1900 წელს შესრულდა ივანე თარხნიშვილის მოღვაწეობის 30 წელი. რუსეთისა და საქართველოში დიდი გულისხმეობითა და სიყვარულით იყო აღნიშნული ეს თარიღი.

1900 წლის „ფერისი“ 52-ე ნომერში ვითხოვლობთ: „მეცნიერებმა უკვე უწყიან, რომ 3 მარტს 30 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი თანამემამულე პროფესორი და აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი სამეცნიერო, საპედაგოგო და სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობს. სატახტო ქალაქის ვახუშტეში ამის გამო ბევრსა სწერენ. აი, სხვათა შორის, რას ამბობს ერთერთი ვახუთი: „აკადემიკოსი თარხნიშვილი. შთამომავლობით ქართველი, გენერალ-ლეიტენანტის შვილი, დაიბადა 15 ივნისს 1846 წელს... პირველდაწყებითი განათლება სახლში მიიღო, მხოლოდ ერთი წელიწადი თბილისის გიმნაზიაში დასწო და შემდეგ 1863 წ. შევიდა საბუნებისმეტყველო ფაულტეტზე. მერე წელაწადს სამხედრო-სამეტრნალო აკადემიაში გადვიდა, სადაც სწავლა 1869 წ. დასთავრა. 2 წლით თარხნიშვილი აკადემიაში დასტოვდა სამროფეროდ მისამზადებლად, ხოლო ამ ხნის შემდეგ აკადემიის კონფერენციამ საზღვარგარეთ გაგზავნა, რათა თავის სპეციალურ საგანში — ფიზიოლოგიაში უფრო უკეთ მოხადებულყო. საზღვარგარეთ ნიჭერმა ახალგაზრდამ სამი წელიწადი დასწო. ვერ სტრასბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ პარიზის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იქ თარხნიშვილი მეცადინეობდა შემდეგი მეცნიერების ხელმძღვანელობითა: კოპპე-ზეილერისა, გოდცისა, რეკლნგაუზენისა, ვოლდეიერისა, კლოდ ბერნარისა, შარკოსა, რანვიესი და სხვათა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს თარხნიშვილმა ნემეცნიერსა და ფრანგულს ეფრინალებში 14 სამეცნიერო თხზულება დაბეჭდა.

დაბრუნების შემდეგ, 1875 წელს, თავ. თარხნიშვილი დანიშნული იქნა აკადემიაში პრეპოდოცენტად, რამდენიმე ხნის შემდეგ დამტკიცებულ იქნა ფიზიოლოგიის ორდინარ პროფესორად. იმ თანამდებობაზე 1895 წლამდე დარჩა. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. 1892 წელს თარხნიშვილს ებოძა აკადემიკოსის წოდება“.

1900 წელს, მოღვაწეობის ოცდაათი წლის შესრულების გამო, ივანე თარხნიშვილს ქართველი პედაგოგების სახელით იაკობ გოგებაშვილმა შემდეგი მინიარსის დებემა გავუზავინა: „ქართველი პედაგოგი გულითა და სულათ

ვილოცავენ მოდით წლის იუბილეს თქვენის ნაყოფიერი მოღვაწეობისას საპროფესორო და სამოღვაწეო ასპარეზზე და მხურვალედ მსატარებენ, რომ დიდხანს სიცოცხლობდეთ რუსეთისა და თქვენის სამშობლოს საქართველოს საკეთილდღეოდ*.

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც დიდი გულისხურთ ეკიდებოდა ივ. თარხნიშვილის მოღვაწეობას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ვაუწყებია შემდეგი წინაარსის დეკლამაცია:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ულოცავს მსოფლიან იუბილარს ოცდაათი წლის ნაყოფიერ სალიტერატურო-სამეცნიერო მოღვაწეობას, უძღვნის გულწრფელ საღაშს ღირსეულ მამულშიწველს და უსურვებს ხანგრძლივ სამსახურს სამეცნიერო ასპარეზზედ თავის და საქართველოს შველუბის ასახედოდ“.

გასულ საუკუნის 70-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის წამოწყებულ მოძრაობაში ივ. თარხნიშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა. უნივერსიტეტის დაარსების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის გამაფრთხილებელ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი. 1871 წელს უნივერსიტეტის დაარსების მომხრეებმა, სხვებთან ერთად, ივანე თარხნიშვილიც აირჩიეს იმ კომისიაში, რომელსაც დავებულა მთავრობისათვის გადასაცემად თხოვნის შედგენა და, საერთოდ, ამ საქმის ხელმძღვანელობა.

მეტად საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც უნდა ივ. თარხნიშვილისა და პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის ურთიერთობას. სხვა მასალებთან ერთად, ამ საკითხს შექმნიეს მოგონება, რომელიც, ჩვენი თხოვნით, გამოსაქვეყნებლად გადავრეკეთ შეცნიერების დამასხურებელმა მოღვაწემ პროფესორმა მარია ამ ქრისტეფორეს ასულმა უკრულიქმ. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ივ. თარხნიშვილი ხშირად ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტებს პეტერბურგში, ერთი თავისი ნათესავის ოჯახში. ამ შეხვედრების დროს, ჩვეულებრივი მხიარულებებისა და გართობის გარდა, იმართებოდა საუბრები სხვადასხვა საკითხზე, ხშირად პოლიტიკურ თემებზეც. არაიშვიათად საუბრები ეხებოდა საქართველოს საქართველოთა საკითხებს. აღნიშნულ საღამოებს პოლიციის ყურადღებაც მიუპყრია.*

პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობიდან, რომელნიც ივ. თარხნიშვილია წრეში ტრიალებდნენ, ნაწილმა შემდეგში თავისი მოღვაწეობა საქართველოს უნივერსიტეტში გაშალა. ამ ახალგაზრდებს შორის იყო ქართველი მეცნიერებისა და კულტურის სიამაჟე, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი.

ამ პერიოდის ივერიაში ვითარებობით: „თარ-

ხან-მოურავი ბრიტანელის უნივერსიტეტს მიუწვევია რამდენიმე ლექციის წაუკეთებლად ლექციების პროფესორი ფიზიოლოგის შესახებ წაიკითხავს“. „თარხან-მოურავს პარიზის მსოფლიო გამოფენის მონაწილეობისათვის მიუღია ფრანგული ორდენი საპატიო ლეგიონისა“.

„კვალ“ კი იუწყებოდა: „ცნობილი ფიზიოლოგი აკადემიკოსი ივ. თარხნიშვილი უკვე დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და სოლიანოე გაროლოტში დაიწევს პოპულარული ლექციების კითხვას „ბიოლოგიაზე“. სულ ათამდე ლექცია იქმნება. თარხნიშვილი ამ ლექციებს წელს შესამეგრე კითხულობს და მისი აუდიტორია მუდამ სასურველს მსმენელებით.

არაერთხელ იხსენიებს ივ. თარხნიშვილი „დროება“.

პარიზის გამოფენისათვის დაწერილ წერილში — „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი“ — იაკობ გოგებაშვილი, მიუთითებს რა ივ. თარხნიშვილზე, როგორც საქართველოს ერთ-ერთი სასახლო შველზე, წერს: „ქართველი მეცნიერისებთანაა ერთა რუსეთის უმცლეს სკოლებს მოკლე ხანში არა ერთი ნიჭიერი პროფესორი და მეცნიერი შესძინა, შესანიშნავი ფიზიოლოგი, უნივერსიტეტის პროფესორი, პოპულარიზატორი და ერთი საუკეთესო ლიტერატორთაგანი რუსეთში — თარხნიშვილი წმინდა ქართველია, შუაგულ ქართლში დაბადებულა, იქვე აღზრდილი“.

